საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№10 (292)
18 – 24 მარტი, 2015

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

2
## საიდან შემოდის ყველაზე მეტი ფული საქართველოში

## ქართული პოლიტიკის «გრუზავიკები»

5



## მოეთრევი აქციაზე?

## «ეკლესიის ლანძღვა შეიძლება, პატრიარქისაც, მაგრამ ნატოზე ცუდის თქმა ერეტიკოსობას ნიშნავს»



«რომ შეეძლოთ, ალბათ, ინკვიზიციასაც შემოიღებდნენ და კოცონზე დაწვავდნენ ადამიანებს, რომლებიც ალიანსზე რამე კრიტიკულს იტყოდნენ...»
7

## ოპერაცია «გზა შინისაკენ»
12



ვლადიმერ პუტინმა ყირიმის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებაზე «მწვანე კაცუნებსა» და კიევში განხორციელებულ გადატრიალებაზე ისაუბრა


3

## მომავალი ჩვენია?

## «ზუგდიდში მოქალაქეებს 20-30 ლარს აძლევენ 21 მარტის აქციაზე დასწრების სანაცვლოდ»
4

## ლიბია
10



«დემოკრატიამდე»



«დემოკრატიის» შემდეგ

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## რიჩარდ ნორლანდს იან კელი შეცვლის




**ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ საქართველოში აშშ-ის ელჩის თანამდებობაზე იან კელი წარადგინა. იან კელი თბილისში ზაფხულის ბოლოს ჩამოვა, როდესაც ნორლანდს სამწლიანი ვადა ამოეწურება.** „მიხარია, რომ თეთრმა სახლმა წელს ჩემს შემცვლელად ასეთი გამოცდილი და დაფასებული კოლეგა დაასახელა. ახლა მის კანდიდატურას აშშ-ის სენატი განიხილავს და დაამტკიცებს. გამგზავრებამდე დარჩენილ თვეებში ჩემთვის კვლავ პატივი იქნება, ყველაფერი გავაკეთო აშშ-საქართველოს ურთიერთობების გასაღრმავებლად, აგრეთვე, დემოკრატიის, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის ხელშესაწყობად ამ შესანიშნავ და უძველეს მიწაზე,“ — ნათქვამია რიჩარდ ნორლანდის განცხადებაში.




## შსს-ს განცხადება 21 მარტს დაგეგმილი აქციის შესახებ

**„21 მარტს დაგეგმილ აქციასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, არ დაარღვიონ საზოგადოებრივი წესრიგი და კანონის ფარგლებში იმოქმედონ. სამართალდამცველები კანონდარღვევის ყველა ფაქტზე რეაგირებას ოპერატიულად მოახდენენ და ყველა სამართალდამრღვევი პირი კანონის შესაბამისად დაისჯება. საქართველოს ხელისუფლება იცავს და პატივს სცემს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებას. შინაგან საქმეთა სამინისტრო მობილიზებულია 21 მარტს დაგეგმილი აქციის მიმდინარეობისას წესრიგისა და აქციის მონაწილეთა უსაფრთხოების დასაცავად.**

საქართველოს კანონმდებლობა დეტალურად გაწერს შეკრებისა და მანიფესტაციის წესებს. კანონის თანახმად, აქციის მონაწილეებს ეკრძალებათ: შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისას და ჩატარებისას მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობისკენ ან ძალადობით შეცვლისკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ, ან ისეთი მოწოდება, რომელიც არის ომისა და ძალადობის პროპაგანდა, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს და ქმნის ამ პუნქტით გათვალისწინებული ქმედების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს; ტრანსპორტის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკეტვა, თუ ამას არ მოითხოვს შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა რაოდენობა; ტრანსპორტის სავალი ნაწილის ავტომანქანებით, სხვადასხვა კონსტრუქციით ან/და საგნებით გადაკეტვა; განზრახ დაბრკოლებების შექმნა ტრანსპორტის გადაადგილებისთვის; შენობების შესასვლელების, ავტომაგისტრალებისა და რკინიგზის ბლოკირება; ცეცხლსასროლი იარაღის, ფეთქებადი, ადვილაალებადი, რადიოაქტიური ნივთიერება ან ცივი იარაღის ქონა; ისეთი საგნის ან ნივთიერების ქონა, რომელიც გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა ან სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების მიზნით; ცრემლმდენი, ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების ან/და მომწამვლელი ნივთიერებების ქონა; ალკოჰოლური სასმელების ქონა.

**შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზატორები ვალდებულნი არიან:** დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და შეასრულონ გაფრთხილებით ნაკისრი ვალდებულებანი; კანონის მოთხოვნათა დარღვევისას, მის აღმოსაფხვრელად მოუწოდონ შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს და მიმართოს ყველა გონივრულ ქმედებას; ხელი არ შეუშალონ პროფესიულ საქმიანობაში მაიდენტიფიცირებელი ნიშნის მქონე ჟურნალისტებს.

**სამართალდამცველთა უფლება-მოვალეობები:** პოლიცია თავისი ამოცანების განხორციელებისას მოვალეა, უზრუნველყოს მშვიდობიანი მიტინგების, დემონსტრაციებისა და მოქალაქეთა მასობრივი ღონისძიებების მონაწილეთა უსაფრთხოება; სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ვალდებულნი არიან, ხელი არ შეუშალონ პროფესიულ საქმიანობაში მაიდენტიფიცირებელი ნიშნის მქონე ჟურნალისტებს; თუ ორგანიზატორმა არ მოუწოდა შეკრებისა და მანიფესტაციების მონაწილეებს და არ მიმართა ყველა გონივრულ ქმედებას, ან შეასრულა, მაგრამ ვერ აღმოფხვრა დარღვევა გონივრულ ვადაში, სამართალდამცავი ორგანოები უფლებამოსილნი არიან, დარღვევის აღმოსაფხვრელად, ტრანსპორტის სავალი ნაწილის გასახსნელად ან/და ტრანსპორტის მოძრაობის აღსადგენად მიმართონ საერთაშორისო სამართლითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს“, — ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.



ბიძინა ივანიშვილი:

## ყველაფერს გავაკეთებთ, რომ «ნაციონალები» ხელისუფლებაში არ დაბრუნდნენ!

**ყოფილი პრემიერმინისტრის, არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ დამფუძნებლის — ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, დღევანდელი ოპოზიციური სპექტრი, რომლის დომინანტი „ნაციონალური მოძრაობაა“, ცდილობს იმის გაკეთებას, რასაც სააკაშვილის რეჟიმი 9 წლის განმავლობაში სჩადიოდა.**

„მათ მხოლოდ ის ისწავლეს, თუ როგორ მოატყუონ საკუთარი მოსახლეობა და როგორ იყვნენ ოპოზიციაში საზოგადოებასთან. 9 წლის განმავლობაში ისინი ოპოზიციაში იყვნენ საკუთარ ხალხთან და ცდილობდნენ, დაეხატათ, რომ ყველაფერი კარგადაა. მათმა ლიდერმა ისეთი აბსურდი შემოიტანა, ლამის დავით აღმაშენებლის პერიოდთან გაავლო პარალელები, რაც აბსოლუტურად არაკორექტული იყო,“ — განაცხადა ივანიშვილმა გადაცემა „20/30“-ის ეთერში. მისივე თქმით, „ნაციონალების“ აგიტმანქანა დღეს პირიქით ცდილობს, საზოგადოება დაარწმუნოს, რომ, რადგან ხელისუფლებაში არ არიან, ყველაფერი ინგრევა და ვერ მალავენ სურვილს, რომ ეკონომიკა დაინგრეს, ქვეყანა დაინგრეს და თვითონ ხელისუფლებაში დაბრუნდნენ.

„მათი ხელისუფლებაში დაბრუნება აბსურდია, რამეთუ ქართულ საზოგადოებას მახსოვრობა არ დაუკარგავს. „ნაციონალები“ ყველაფერზე არიან წამსვლელები, მაგრამ ამის საშუალება არ აქვთ და არც ექნებათ მომავალში. ყველაფერს გავაკეთებთ ამისათვის და საზოგადოებაც არაა ისეთი ბრიყვი, როგორიც მათ ჰგონიათ!“ — განაცხადა ივანიშვილმა.



ირაკლი ღარიბაშვილი:

## სახელმწიფო მოწოდების სიმაღლეზე დგას, ნებისმიერი პროვოკაცია იქნება აღკვეთილი!

**საქართველოს პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ზუგდიდში განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა და მოსახლეობას სიმშვიდისკენ მოუწოდა. პრემიერმა განაცხადა, რომ ეს იყო მიზანმიმართული პროვოკაცია „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან, რომელსაც, სამწუხაროდ, მოქალაქეებმა აგრესიულად უპასუხეს.**

„მე მესმის მათი შეშფოთებისა და გაბრაზების მიზეზი — ის, რომ ადამიანები, რომლებიც წარმოადგენდნენ წინა ხელისუფლებას, დღესაც ბედავენ და იცავენ იმ მკვლელებსა და სადისტებს, რომლებიც წლების განმავლობაში აწიოკებდნენ სამეგრელოს რეგიონს. მაგრამ მინდა, მოვუწოდო ყველას, შევინარჩუნოთ სიმშვიდე, ვინაიდან ამგვარი ქმედებებით მშვიდობიანი მოქალაქეები ხელს უწყობენ ისევ „ნაციონალური მოძრაობის“ გააქტიურებას. ისინი ჩაგრულად მოაჩვენებენ თავს მსოფლიოს და ამით ქვეყანა ზარალდება... არ გვჭირდება ზედმეტი ემოციები, აგრესია, პროვოკაციები. ორივე მხარეს მოვუწოდებ სიმშვიდისკენ და მინდა, მივმართო მოსახლეობას — სახელმწიფო დღეს დგას მოწოდების სიმაღლეზე, ნებისმიერი პროვოკაცია იქნება აღკვეთილი. მესმის, რომ მოქალაქეებს სურთ, მათ მიუზღონ ჩადენილი დანაშაულების გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა სამეგრელოში. შეგახსენებთ, ჩემი მინისტრობისას აღმოვაჩინეთ ენით აუწერელი სადისტური კადრები, ვნახეთ, როგორ აწამებდნენ, აუპატიურებდნენ და ტანჯავდნენ მოქალაქეებს განსაკუთრებით — სამეგრელოს რეგიონში. რა თქმა უნდა, მესმის მოსახლეობის, რომლებიც უყურებენ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების გამომწვევ მოქმედებებს“, — განაცხადა პრემიერმინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს, დაუყოვნებლივ აღკვეთოს ნებისმიერი პროვოკაცია.

## საიდან შემოდის ყველაზე მეტი ფული საქართველოში




**ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2015 წლის იანვარში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 75.5 მილიონი ამერიკული დოლარი, ანუ 146,5 მლნ ლარი შეადგინა, რაც 23 მლნ აშშ დოლარით (44.6 მლნ ლარით), ანუ 23.3 პროცენტით ნაკლებია 2014 წლის იანვრის ანალოგიურ მაჩვენებელზე. მთლიანობაში, 2014 წელს 36 მილიონი ამერიკული დოლარით არის შემცირებული გადმორიცხული თანხის ოდენობა 2013 წელთან შედარებით.**

2010 წლიდან დღემდე გზავნილების მოცულობას თუ გადავხედავთ, ლიდერობენ რუსეთი, საბერძნეთი, იტალია, აშშ, თურქეთი, უკრაინა, ისრაელი, გერმანია, ესპანეთი და აზერბაიჯანი, რაც, სავარაუდოდ, ამ ქვეყნებში ბევრი ქართველი ემიგრანტის ყოფნით არის განპირობებული. აღსანიშნავია, რომ ზოგი ქვეყნიდან ფულადი გზავნილების ოდენობა შემცირდა, ზოგიდან კი — გაიზარდა.

***ყველაზე მეტი თანხა რუსეთიდან** ირიცხება და საგრძნობლად აღემატება სხვა ქვეყნებიდან გადმორიცხულ თანხებს. მიმდინარე წლის იანვარში, ეროვნული ბანკის ინფორმაციით, **რუსეთიდან საქართველოში ჩაირიცხა 25 860 500 დოლარი**, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 21 მლნ-ით ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის დეკემბერთან შედარებით ეს რიცხვი თითქმის ორჯერ არის შემცირებული.

***საბერძნეთიდან,** სადაც ასევე ბევრი ქართველი ემიგრანტი ცხოვრობს, გასულ წელს 204 781 900 ამერიკული დოლარი გადმორიცხეს, ხოლო 2013 წელს — 18 25 87 200. მიმდინარე წლის იანვარში კი გადმორიცხვების რაოდენობამ 12 204 800 აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2 მილიონ ამერიკულ დოლარზე ნაკლებია.

***იტალიიდან** 2014 წელს გზავნილების რაოდენობამ 121 469 700 დოლარი შეადგინა, რაც 2013 წელთან შედარებით 11 მლნ-ით მეტია.

***ამერიკის შეერთებული შტატებიდან** კი გასულ წელს საქართველოში 82 062 900 დოლარი გადმოირიცხა.

***თურქეთიდან** 2014 წელს საქართველოში 64 336 100 დოლარი გადმორიცხეს.

***უკრაინიდან** 2015 წლის იანვარში 2 მილიონი ამერიკული დოლარი გადმოირიცხა, ხოლო საქართველოდან უკრაინაში ამ პერიოდში 1,5 მლნ დოლარზე მეტი გადაირიცხა.

### მილიონები, რომლითაც ემიგრანტები ქართულ ეკონომიკას კვებავენ

როგორც ეკონომიკური სფეროს წარმომადგენლები აცხადებენ, გზავნილების რაოდენობა დამოკიდებულია კონკრეტულ ქვეყანაში ქართველი ემიგრანტების რაოდენობაზე. სწორედ ამას ადასტურებს დიასპორის არაოფიციალური სტატისტიკაც, რომელიც დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო სამინისტროს აპარატმა გაავრცელა. მონაცემები ასეთია:

**რუსეთის ფედერაცია:** 800 000-მდე ქართველი ემიგრანტი, საიდანაც 2009 წლიდან დღემდე 285 915-მა ადამიანმა მიიღო მოქალაქეობა.

**საბერძნეთი:** დაახლოებით 250 ათასი ემიგრანტი, მათ შორის 100 ათასამდე ეთნიკური ბერძენი.

**იტალია:** 20 000 ემიგრანტი.

**აშშ:** 80 000 ემიგრანტი.

**თურქეთი:** 100 000 შრომითი მიგრანტი.

**რამდენიმე წელიწადში ჩვენ თვალწინ შეიცვალა ქართული გარემო. საქართველოს ყველა კუთხეში ნახავნაირნაირი ჯურის ადამიანებს. ქართველები კი უცხოეთში გარბიან და იქ ეძებენ საარსებო წყაროს. მიწები უცხოელების ხელში გადადის და ისედაც გაზარმაცებული გლეხობა მოჯამაგირეობისთვის არის განწირული. ეკლესიები თითქოს სავსეა, მაგრამ სისასტიკე და დაუნდობლობა ზეობს.**

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მომავალი ჩვენია?

**„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია? აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია!“ — სიმღერად ქცეული ეს სიტყვები არაერთხელ მოგვისმენია სხვადასხვა ინტერპრეტაციით — სევდიანი და მოგუდული, მარშივით აჟღერებული ეროვნული მოძრაობის აღმავლობისას, შეხსენებასავით ნამღერი — ახლაც...**



**თუ გვინდა, რომ მომავალი გვქონდეს, საქვეყნოდ ვთქვათ, რომ ოჯახი ქალის და მამაკაცის კავშირია ღვთის წინაშე, რომ ბავშვს უნდა ჰყავდეს დედა და მამა და არა ორი მამა ან ორი დედა. საქვეყნოდ უნდა ვთქვათ, რომ ერი, რომელიც საკუთარ მიწას გაყიდის, სახელმწიფოსა და საკუთარ მომავალს უნდა დაემშვიდობოს. საქვეყნოდ უნდა ვიმეოროთ, რომ მომავალი დღეს იქმნება და, თუ ჩვენ არ გავანძრევთ ხელს, სხვები შეგვიქმნიან ისეთ მომავალს, როგორიც მათ სჭირდებათ!**

ათწლეულები გავიდა, ჩვენ კი კვლავ ამ მომავლის იმედად ვართ, აწმყო ისევ არ გვწყალობს! წყალობის მოლოდინი, ხელს თუ არ გაანძრევ, დიდი ვერაფერი იმედია, თუმცა ადამიანი იმედით ცოცხლობს და ახლა ეს იმედი ოცნებად იქცა. ოცნება კი კიდევ უფრო ეფემერულია, დიდი შანსია, ოცნებად დარჩეს ან იმედგაცრუებად იქცეს.

**ვინც უკვე აისრულა ოცნება, მათ აწმყოც სწყალობს და მომავალიც, ჰგონიათ, რომ განაღდებული აქვთ. ვინც ოცნება გუშინ და გუშინწინ აიხდინა, აწმყოთი უკმაყოფილოა და ისიც მომავლის იმედად არის. „მომავალი ჩვენია,“ — გაიძახიან გუშინდელნი და იმუქრებიან, რომ ხვალ ისევ ხელისუფლებაში დაბრუნდებიან. ასეა თუ ისე, „ოცნებაახდენილების“ ფენა — პოლიტიკოსების წოდება (თავად-აზნაურების წოდებასავით რომ ჩამოყალიბდნენ და ეჭვიანად უფრთხილდებიან საკუთარი რიგების სიწმინდეს) — პოლიტიკოსებსვე მივანდოთ, ჩვენ კი იმაზე ვიფიქროთ:**

**მომავალი მართლაც ჩვენია?**

**რამდენიმე წელიწადში ჩვენ თვალწინ შეიცვალა ქართული გარემო. საქართველოს ყველა კუთხეში ნახავ ნაირნაირი ჯურის ადამიანებს. ქართველები კი უცხოეთში გარბიან და იქ ეძებენ საარსებო წყაროს. მიწები უცხოელების ხელში გადადის და ისედაც გაზარმაცებული გლეხობა მოჯამაგირეობისთვის არის განწირული. ეკლესიები თითქოს სავსეა, მაგრამ სისასტიკე და დაუნდობლობა ზეობს.**

**ტელეეკრანებზე გაურკვეველი სქესისა და სქესშეცვლილი ტიპები მომრავლდნენ.** თუ ეკრანზე მოხვედრა წარმატებაა, უდავოდ მიარწიეს წარმატებას. მართლაც, რა საჭიროა ჩემპიონობა, აკადემიკოსობა, არტისტობა, მწერლობა, თუ მხოლოდ იმიტომ გაგაპიარებენ, რომ სექსუალურ უმცირესობას წარმოადგენ?! თითქოს ეს მიღწევა ან გამარჯვებაა! მათ მიმართ პიეტეტს (მოწიწებას, ღრმა პატივისცემას) არ მალავენ ტელეწამყვანები და მათი ხშირი შეხსენებით საზოგადოებას მოდუნების საშუალებას არ აძლევენ. თუ ასე გაგრძელდა, თინეიჯერებისთვის ისინი მისაბაძიც გახდებიან. მართლაც, ამ გზით პოპულარობის მოპოვებას არც შრომა უნდა და არც დიდი ძალისხმევა! გამოაცხადე, რომ არ ხარ ის, რადაც დაიბადე, ან „გამოასწორე“ შენი სქესი და წარმატებაც ხელში გექნება!

**მაშ, მომავალი მათია?**

პარადოქსია, მაგრამ **ჩვენ მომავლის სიმბოლოებად სწორედ მათ გვაჩეჩებენ, ვისაც მომავალი არ აქვს. ერთსქესიანი წყვილებისთვის საკუთარი შვილების ყოლა შეუძლებელია და ახლა, როცა ელ-გე-ბე-ტე პირების მიმართ დასავლეთმა სრული ტოლერანტობა გამოაცხადა, შემდეგი ეტაპი მათი ქორწინება და ბავშვების აყვანა გახდა აქტუალური.**

**მართლაც ამოყირავებულ რეალობაში ვართ, სადაც ჩოხოსანი ლევან ვასაძე მიუღებელია, მართლმადიდებლები — ბნელები, ხოლო კესარიად ქცეული ბესო პროგრესული, თანაგრძნობის ღირსი თუ არა (მართლაც, რა სჭირს საიმისო, რომ ჩვენი თანაგრძნობის იმედად იყოს?!) — პატივისცემის ობიექტი!**

აწმყო რომ არ გვწყალობს, აქედანაც ჩანს, ჩვენ კი ისევ გავიძახით, რომ მომავალი ჩვენია და საკუთარ თავს ვარწმუნებთ, რომ მაინც ყველაფერი კარგად იქნება!

იდენტობადარღვეული **ვაჭარაძე პატრიარქს საქართველოს მტრად აცხადებს**; სამაგიეროდ, **მიშა გომიაშვილის მიერ ელ-გე-ბე-ტე პირების მიმართ გადამეტებული მზრუნველობის გამო გამოქმულ აღშფოთებას მოწოდებები მოსდევს** – არ გადაიღონ, სპექტაკლში არ ათამაშონ და, საერთოდაც, თეატრიდან გაუშვან! **ამაზე მეტი სიგიჟე გაგონილა? სიტყვის უფლება მხოლოდ უმცირესობებს აქვთ, უმრავლესობა კი უნდა გა?უმდეს და მათი მითითებებით იცხოვროს! ბოდიში, მხოლოდ კი არ იცხოვროს, იფიქროს!**

**რა ჰქვია უმცირესობას, რომელიც უმრავლესობას აკონტროლებს?** ჯერ არ მოუგონიათ საამისო ტერმინი? არ სჭირდებათ და იმიტომ, თორემ სინამდვილეში ეს ტერორია! ტერორი მხოლოდ „შარლი ებდოს“ რედაქციის დახვრეტა არ არის, იგი მორალური კატეგორიაცაა — როცა საკუთარი აზრის გამოთქმისთვის გემუქრებიან! ასე იყო საოპერო მომღერალ **თამარ ივერის** შემთხვევაში, როცა მას მსოფლიო საოპერო თეატრების კონტრაქტების გაწყვეტით დაემუქრნენ და ბოდიშიც მოახდევინეს!

**კიდევ იტყვით, რომ მომავალი ჩვენია?**

ყბადაღებულმა ვაჭარაძემ ჩვენი გაზეთი ტყუილის გავრცელებაში დაადანაშაულა. მისი განცხადებით, რუსული პროპაგანდა ებრძვის: „გევორლდმა („საქართველო და მსოფლიომ“, თუმცა მას საიტის ინგლისურენოვანი დასახელება უფრო ემშობლიურება) ტყუილი დაწერა, თითქოს მე ვამბობდი, რომ ყველა მონაზონი უნდა დაორსულდეს. ჩემი აზრით, საპატრიარქოს განცხადება იყო სწორედ მონაზვნების მიმართ დამამცირებელი, რადგან ის ამბობდა, რომ, თუ ქალი შვილს არ აჩენს, უფუნქციოაო. მე ვიკითხე: მონაზვნები ქალები არ არიან-თქო?“ — დაწერა ფეისბუქგვერდზე **ირაკლი ვაჭარაძემ.**

მერე კიდევ უფრო შორს წავიდა და საკუთარი თავი წმინდა ილია მართალს შეადარა:

„ქართველებმა, ჩემნაირი უბრალო აქტივისტები კი არა, ერის მამად წოდებული ილია ჭავჭავაძეც კი მოკლეს. ილია ჭავჭავაძეც ალიზიანებდა უმრავლესობას. ისიც უსიამოვნო სიმართლეს წერდა. განა რამე მიკვირს. უბრალოდ, ამ კარგად ცნობილი ტრაგედიის ჩემ თვალწინ გათამაშებას ვაკვირდები“.

ტრაგედიაა, თუ იდენტობადარღვეულ ადამიანს გააკრიტიკებ, ოღონდ „ტრაგედია უგმიროდ“. ეს ისე, ვაჭარაძემ რომ იცოდეს – ქართულ ლიტერატურაში ბევრი რამ ნათქვამიც არის და აღწერილიც!

**„ქრისტე რომ ჩვენ შორის იყოს, ტაბურეტებით ჩაიქოლებოდა სიმართლის თქმისთვის ისევე, როგორც მე ჩავიქოლები ამ სტატუსისთვის“. არადა, არავინ ქოლავს ამ „სიმართლისთვის მებრძოლს“, არც ცემენ, არც ესვრიან, მაგრამ მაინც ცდილობს სიმართლისთვის გვემულის მანტიის მორგებას.**

„მე რომ ქალი ვიყო, საპატრიარქო კრიტიკის ქარცეცხლში მეყოლებოდა ახლა გახვეული. პარალელურად აქცია მექნებოდა დაანონსებული ამ დაწესებულებასთან. ეს ორგანიზაცია პირდაპირ მოუწოდებს, ამართლებს და იდეოლოგიურად აყალიბებს ჩემი მოკვლის სისტემას. მე რომ ქალი ვიყო, ეს ტრაგედია აუცილებლად მექნებოდა გაცნობიერებული და იქ ვიდგებოდი, საიდანაც ქადაგებენ, რომ ჩემი მკვლელობა, უბრალოდ, გარემოებათა დამთხვევაა, მეტი არაფერი.

მე რომ ქალი ვიყო, ახლა ბარიკადებზე ვიდგებოდი.

მაგრამ, აბა, მე ხომ ქალთმოძულე ვარ და თანაც — კაცი, რა უფლება მაქვს, ფემინისტების წმინდა და საიდუმლო ერთობაში გავერიო?

მოკლედ, გული მისკდება: ამდენი ასეული ქალთა ორგანიზაციაა და ყველა დუმს ან ექსკლუზიურ ფეშენ-ფემინიზმს აწვება.

ქარავანი კი მიდის. წელს კიდევ რამდენ ქალს დახოცავენ“?

ამ გულისშემძვრელი სტატუსიდან ვიგებთ, რომ ვაჭარაძე კაცია, არადა, ელ-გე-ბე-ტე თემის წარმოადგენელი გვეგონა. ოღონდ ისეთი კაცია, რომელიც ქალებს ბარიკადებზე დადგომისკენ მოუწოდებს — იბრძოლეთ თქვენი უფლებებისთვისო! **იმ ქალს რა ვუთხრა, რომელიც ვაჭარაძის „ჭკუით“ იბრძოლებს საკუთარი უფლებებისთვის!**

**მომავალი ჩვენია?**

ჯავშანმანქანა „დიდგორის“ დიზაინერმა ზვიად ციკოლიამ განაცხადა, რომ საქართველოს, რომელსაც მხოლოდ ხინკალი აქვს, არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია, წილხვედრი ქვეყანა ერქვას. მსახიობი მიშა გომიაშვილი გამოეხმაურა: „სიმართლე გითხრათ, გაოგნებული ვარ... თქვენ დიდებული ადამიანების ოჯახში დაიბადეთ და გაიზარდეთ, ხელოვანი ხალხის ოჯახში, სკოლაც, მგონი, საქართველოში დაამთავრეთ, თქვენ, სულ რაღაც, ათი წლით ხართ ჩემზე ახალგაზრდა, მაშინ საქართველოს ისტორიას კარგად გვასწავლიდნენ სკოლაში... არ იწყება საქართველოს ისტორია 2003 წლიდან... სვეტიცხოველი ვინ და სად ააგო?.. ან „ვეფხისტყაოსანი“ ვინ დაწერა? ან თამარი არ ჰყავდა საქართველოს? ან დავითი? მიქელანჯელოს რომ ახსენებთ, დამიანე არ გახსენდებათ? იყო ასეთი ფერმწერი XIV საუკუნის ქართველი მხატვარი, რომელმაც უბისის ეკლესია მოხატა... არც ფიროსმანი იყო ამქვეყნად? არც გუდიაშვილი? მსგავსი ბუმბერაზი მხატვრების სია ძალიან დიდი გამომივა.... პავაროტიო, ბრძანებთ, რა ვუყოთ პაატა ბურჭულაძეს? და მთელ ქართველ ქალბატონებს, ოპერის მომღერლებს ვგულისხმობ, რომლებმაც დაიპყრეს მსოფლიო საოპერო სცენები, ფელინი ქართულ კინოზე რა აზრისაც იყო, თავად მოგეხსენებათ, მგონია... მარტო ოთარ იოსელიანი უკვე საკმარისია, რომ არ ვახსენოთ სხვა დიდი რეჟისორები, მაგალითად, მიხეილ კალატოზიშვილი, იმედია, გაგიგიათ... კიდევ რომელ სფეროში გნებავთ? არ არსებობს თურმე ვაჟა, აკაკი, გალაკტიონი?

რატომ ვართო წილხვედრი ქვეყანაო? — ბრძანებთ... „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს: „და შემდგომად ამაღლებისა უფლისა, რა ჟამს წილ იგდეს მოციქულთა, მაშინ ყოვლად წმიდასა ღმრთის მშობელსა წილად ხვდა მოქცევად ქვეყანა საქართველოსა“ („ქართლის ცხოვრება“, რედაქტორ-გამომცემელი ს. ყაუხჩიშვილი, I, გვ. 37).

ბატონო ზვიად, სხვა ვინ ან რომელი ქვეყანა იტყვის წილხვედრი ქვეყანა ვართო, ეს მათი ნებაა, უნდათ, თქვან, უნდათ — არა, ღმერთმა კარგად ამყოფოთ...

გეთანხმებით **„ლამბორჯინი“, „ბუგათი“ და „ფერარიც“ დიდებული მანქანებია... მაგრამ ეჭვი მეპარება, რომელიმე იტალიელმა თავისი ქვეყანა სპაგეტის შეადაროს... და, თუ თქვენთვის საქართველო მხოლოდ სახინკლეა... ძალიან გული მწყდება, მეტსაც გეტყვით, შეურაცხყოფილი ვარ“...**

**მომავალი ჩვენია?**

ვიდრე ამოყირავებულ რეალობაში გვაცხოვრებენ, ერთობ საეჭვოა, მომავალი ჩვენი იყოს და არა კარგად დაპურებული და სათბურის პირობებში გამოზრდილი იდენტობა და ეროვნებადარღვეული იმ პირებისა, რომლებიც დღენიადაგ შხამს გვაწვეთებენ ტელეეკრანებიდან თუ სოციალური ქსელებიდან!

**თუ გვინდა, რომ მომავალი გვქონდეს, საქვეყნოდ ვთქვათ, რომ ოჯახი ქალის და მამაკაცის კავშირია ღვთის წინაშე, რომ ბავშვს უნდა ჰყავდეს დედა და მამა და არა ორი მამა ან ორი დედა. საქვეყნოდ უნდა ვთქვათ, რომ ერი, რომელიც საკუთარ მიწას გაყიდის, სახელმწიფოსა და საკუთარ მომავალს უნდა დაემშვიდობოს. საქვეყნოდ უნდა ვიმეოროთ, რომ მომავალი დღეს იქმნება და, თუ ჩვენ არ გავანძრევთ ხელს, სხვები შეგვიქმნიან ისეთ მომავალს, როგორიც მათ სჭირდებათ!**

**თამარ დავითულიანი**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მოსწავლეების ორგანიზება და კინოჩვენებაზე წაყვანა იმ საჯარო სკოლების დირექტორებმა უზრუნველყვეს, რომლებიც წლების განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური მხარდამჭერები იყვნენ. მოსწავლეებიც საგულდაგულოდ შეარჩიეს, ანუ ისინი, ვინც უკმაყოფილებას გამოთქვამდა ნანახის გამო. თავის მხრივ, დირექტორებს თითი ადგილობრივი ხელისუფლებისკენ უნდა გაეშვირათ — რაც ზემოდან დაგვავალეს, ის გავაკეთეთო. მოკლედ, „ნაცებმა“, თავიანთი ჭკუით, „ქოცნებისტები“ ამხილეს: აი, ბავშვებს რას უჩვენებენ, ჩვენ მიმართ ზიზღსა და სიძულვილს აღვივებენო...**

# ზუგდიდში მოქალაქეებს 20-30 ლარს აძლევენ 21 მარტის აქციაზე დასწრების სანაცვლოდ

**სააკაშვილის „ნარჩენები“ 21 მარტის აქციისთვის გაშმაგებით ემზადებიან და, უბრალოდ, საპროტესტო გამოსვლას კი არა, პოლიტიკურ წარღვნასა და ცუნამის გეგმავენ. მათი გათვლით, იმ დღეს დაიწყება „ეტაპობრივი დესტაბილიზაციის“ პროცესი, რომელმაც უახლოეს ორ-სამ თვეში ხელისუფლების სრული პარალიზება უნდა გამოიწვიოს. ეს არის გეგმა-მინიმუმი, რომელსაც პირველი აქცია დაძრავს, ხოლო მაქსიმუმს (და ზოგადად შედეგს) მერე ვიხილავთ, როცა სააკაშვილის ინკვიზიცია, უკრაინის მსგავსად, ევრომაიდნის კოცონს ააგიზგიზებს თბილისში.**



წინა კვირის მოვლენებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ „ვარდოსნების“ კრიმინალური სექტა ძალადობის ინსპირირებისთვის ემზადება. ჯერ იყო და, ფოთში სკოლის მოსწავლეებს „ნაციონალების“ ცხრაწლიანი რეჟიმის ამსახველი დოკუმენტური ფილმი უჩვენეს, შემდეგ კინოდარბაზიდან გამოსულ ახალგაზრდებს სააკაშვილის ნიფხვის ტელევიზია „რუსთავი 2“-მა რიგრიგობით ათქმევინა, ფილმის სანახავად, ადგილობრივი ხელისუფლების მითითებით, სკოლის დირექციამ მოგვიყვანაო.

ცხადია, „რუსთავი 2“-ის ამ იაფფასიან სპექტაკლს ისედაც არ დავიჯერებდი, მაგრამ სანდო წყაროს მიერ მოწოდებულმა ინფორმაციამ ყველაფერი კიდევ უფრო ცხადი გახადა: წინა კვირას ფოთის ერთ-ერთი საჯარო სკოლის პედაგოგი დამიკავშირდა (ვინაობას მისივე თხოვნით არ ვასახელებ) და დეტალურად მომიყვა, რა პროვოკაციაც მოაწყვეს იმ დღეს „ნაცრეჟიმის“ ნომრიანმა დამქაშებმა. მისი თქმით, **მოსწავლეების ორგანიზება და კინოჩვენებაზე წაყვანა იმ საჯარო სკოლების დირექტორებმა უზრუნველყვეს, რომლებიც წლების განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური მხარდამჭერები იყვნენ. მოსწავლეებიც საგულდაგულოდ შეარჩიეს, ანუ ისინი, ვინც უკმაყოფილებას გამოთქვამდა ნანახის გამო. თავის მხრივ, დირექტორებს თითი ადგილობრივი ხელისუფლებისკენ უნდა გაეშვირათ — რაც ზემოდან დაგვავალეს, ის გავაკეთეთო. მოკლედ, „ნაცებმა“, თავიანთი ჭკუით, „ქოცნებისტები“ ამხილეს: აი, ბავშვებს რას უჩვენებენ, ჩვენ მიმართ ზიზღსა და სიძულვილს აღვივებენო...**

ცხადია, რომ ეს „მხილება“ ერთგვარი სამზადისი, ლოგიკური წინაპირობის იმიტაცია იყო იმ „ძალადობისთვის“, რომელიც, დიდი ალბათობით, 21 მარტს (ან ცოტა მოგვიანებით) განხორციელდება „ნაცმოძრაობაზე“. **მერე გამოვა გივი თარგამაძე ან აკუნა მინაშვილი და იტყვის, რა გასაკვირია, საზოგადოება ძალადობდეს ჩვენზე, ხელისუფლება უკვე სკოლებშიც ეწევა „ნაციონალური მოძრაობის“ დისკრედიტაციასო.**

ერთი სიტყვით, რაც დრო გავა, „ვარდოსნებზე“ „თავდასხმები“ გახშირდება, იქნება „მივარდნები“ და „ოფისების დარბევა“. ასე დაარწმუნებენ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს და „დასავლელ პარტნიორებს“, რომ ეს დანაშაულებრივი პარტია მართლაც პოლიტიკური დევნის მსხვერპლია და ამის შემდეგ უკვე გზა ხსნილი ექნებათ, — „დიქტატურის“ გადაგდების მოთხოვნით ევრომაიდანს წინ რა დაუდგება?!

ისე, სააკაშვილს ევრომაიდანი თუ უნდა, ამის დასაჩქარებლად ყველაზე კარგი საშუალება მისი თბილისში ჩამოსვლაა. ასეთ შემთხვევაში მას, როგორც ძებნილს, აეროპორტშივე დააკავებენ. ეს კი პირდაპირ საბაბი იქნება დასავლეთისთვის, „ქართულ ოცნებას“ წითელი აუნთოს. გაიხსენეთ, რას ეუბნებოდნენ უკრაინელებს ტიმოშენკოზე: კი, მოიპარა, დამნაშავეა, მაგრამ უნდა გამოუშვათო. ახლა **წარმოიდგინეთ, რა ამბავს ატეხავენ სააკაშვილის დაკავების შემთხვევაში ტერნერები და მაკკეინები, ჯერ ისედაც რა განცხადებებს აკეთებენ,** დღე არ გავა, რომ საქართველოს პროკურატურას თითი არ დაუქნიონ, ჭკუით იყავითო...

მიუხედავად ამისა, ცხადია, სააკაშვილი პატიმრობაზე წამსვლელი არ არის ▶

# ჩატარდება თუ არა «ნაცების» აქციაზე მსხვერპლშეწირვის რიტუალი?

**რა თქმა უნდა, ჩატარდება და, შესაძლოა, ერთი-ორი დღით ადრეც. არეულობის „სამსხვერპლოზე“ აუცილებლად უნდა დაიდოს მსხვერპლი. სხვანაირად მოქმედება აღარ შეიძლება, რადგან „ნაცმოძრაობის“ მფარველებს ეწურებათ მოთმინება და, ეტყობა, თანხებიც. ბოლოს და ბოლოს, ანგარიშით ხომ უნდა წარდგნენ „უმაღლესი ქურუმის“ წინაშე, რათა უპატაკონ, რისთვის დაიხარჯა ის მილიარდობით დოლარი, საქართველოს გადაჯიშების საქმისთვის რომ გამოყვეს.**

საერთოდ, ბინძური პოლიტტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება „რევოლუციების“ გასაჩაღებლად აშშ-ის უსაყვარლესი ილეთია. მართალია, ეს „ტექნოლოგიები“ დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ამართლებს.

1990-იანი წლების დასაწყისში გამოვიდა ამერიკელი პოლიტოლოგის — **ჯინ შარპის ნაშრომი „დიქტატურიდან დემოკრატიამდე“,** რომელშიც დაწვრილებით აღწერა საკმაოდ პრიმიტიული სქემა ე. წ. ფერადი რევოლუციებისა. შარპმა გამოყო ხელისუფლების შეცვლის სამი ეტაპი: **პირველ ეტაპზე** უნდა ჩატარდეს საპროტესტო მასობრივი აქციები და გავრცელდეს გამოთქმა „ხელისუფლების არალეგიტიმურობა“; **მეორე ეტაპი** იწყება მოწოდებებით საბოტაჟისკენ და გამიზნული პროვოკაციებით სახელმწიფო და ძალოვანი სტრუქტურების მიმართ მათი ლაფში ამოსვრის მიზნით. აღსანიშნავია, რომ ზუსტად **ამ ეტაპზე ხშირად ხდება მშვიდობიანი მომიტინგეების მკვლელობა, ანუ ე.წ. საკრალური მსხვერპლის მიტანა სამსხვერპლოზე, რომლის გამოც იწყება აჯანყება;** და **მესამე ეტაპი** — ხელისუფლების უშუალო დამხობა.

საკრალური მსხვერპლის აუცილებლობა იმ შემთხვევაშიც ჩნდება, როდესაც საპროტესტო მანიფესტაციის „ტალღა“ საგრძნობლად იკლებს. მომიტინგეებს ბეზრდება ოპოზიციის ლიდერების ლაყბობა ერთსა და იმავე საკითხებზე და შინიდან აღარ გადიან. **2009 წლის ფართომასშტაბიანი გამოსვლები სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ არ იყო დაფინანსებული ამერიკის შეერთებული შტატების მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ აქციებს აუცილებლად „დაამშვენებდა“ ადამიანის მსხვერპლი, რომელსაც მოჰყვებოდა აჯანყება და „ნაცების“ გაძევება.**

„რევოლუციების“ ორგანიზატორებს კარგად ესმით, რომ უმსხვერპლოდ არეულობას ვერ მოაწყობ. ეს თვალნათელია, თუნდაც კიევის მაგალითზე. როდესაც „მაიდანელების“ რაოდენობა შეთხელდა, საქმეში სნაიპერები ჩაერთნენ. პროფესიონალი მსროლელების გამოყენებამ, მიზანმიმართულად რომ ხოცავდნენ მანიფესტანტებს, დიდი აღშფოთება გამოიწვია — სნაიპერებმა რამდენიმე დღეში დახვრიტეს ასამდე ადამიანი. ოპოზიციამ მომიტინგეების მკვლელობაში უკრაინის იმჟამინდელი პრეზიდენტი იანუკოვიჩი დაადანაშაულა. ამ „ბრალდებას“ მხარი დაუჭირეს დასავლეთის ლიდერებმა



**ზოგიერთ ახლანდელ ოპოზიციონერსა და ხელისუფლების წარმომადგენელს შევახსენებ, რომ ამერიკული დემოკრატიული ფასეულობებისადმი თქვენი მონური ერთგულებაც კი არ იძლევა გარანტიას, რომ პირადად თქვენს სხეულს არ დადებენ ამავე «ფასეულობების» სამსხვერპლოზე!**

და საერთაშორისო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, თუმცა არავითარი დამამტკიცებელი საბუთები მათ არ ჰქონდათ. დამოუკიდებელი ექსპერტები კი დარწმუნებულნი არიან, — ეს სასაკლაო „მაიდანზე“ მოაწყო თვითონ ოპოზიციამ, რომლის რიგებში იყვნენ აგრესიულად განწყობილი ბანდერელები. აი, ასე იქცა ე. წ. ზეციური ასეული უკრაინული „რევოლუციის“ სისხლიან სიმბოლოდ. რომ არა ეს მსხვერპლი, რომელთა შორის ჩვენი თანამემამულეც აღმოჩნდა, ამ ქვეყანაში არ გაჩაღდებოდა სამოქალაქო ომი...

„რევოლუციების“ საჭიროებისთვის სნაიპერების დახმარებით საკრალური მსხვერპლის მოპოვება, არახალია.

1991 წლის იანვარში ლიტვამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და, ამასთანავე, განაცხადა საბჭოთა კავშირიდან გასვლაზეც. საპასუხოდ, ვილნიუსში შეიყვანეს საბჭოთა ჯარის ნაწილები, რომლებმაც შტურმით აიღეს ვილნიუსის ტელეანძა. ამ ოპერაციისას დაიღუპა 13 ადამიანი და 140 დაშავდა. პასუხისმგებლობა ამ ტრაგედიაზე არავის აუღია, ხოლო სპეცნაზელები იფიცებოდნენ, რომ მათ შტურმის დროს ცეცხლსასროლი იარაღი არ გამოუყენებიათ. ჩნდებოდა კითხვა — მაშ, საიდან ეს ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული ჭრილობები? და **მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ აღიარა ლანდსბერგისის ერთ-ერთმა უახლოესმა თანამოსანგრემ აუდრიუს ბუტკიავიჩუსმა, რომ იანვრის მოვლენები ვილნიუსში დაიგეგმა ლიტვის დამოუკიდებლობის მომხრეების მიერ, რომლებსაც ინსტრუქტაჟს უტარებდნენ აშშ-ის სპეცსამსახურების თანამშრომლები;** და, სწორედ რომ მისი (ბუტკიავიჩუსის) პირადი ბრძანებით გაუხსნეს ტელეანძასთან ახლოს მდებარე სახლების სახურავებზე განლაგებულმა ორგანიზაცია „საიუდისის“ სნაიპერებმა ხალხს ცეცხლი. ეს იყო აუცილებელი სისხლიანი მსხვერპლი, რომელიც ლიტვამ გაიღო თავისი დამოუკიდებლობისთვის.

**საქართველომაც გაიღო მსხვერპლი 1989 წლის 9 აპრილს. შეიძლებოდა, რომ იმ დღეს უდანაშაულოთა სისხლი არ დაღვრილიყო? — ეს სრულიად შესაძლებელი იყო, თუ რუსთაველის გამზირზე შეკრებილები დაუჯერებდნენ პატრიარქს, რომელმაც გააფრთხილა მომიტინგეები გარდაუვალ დარბევაზე და სთხოვა მათ, ტაძარში სალოცავად გაჰყოლოდნენ.** ჩნდება კითხვა — რატომ არ შეისმინეს იქ მყოფმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებმა პატრიარქის თხოვნა-მუდარა? **აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ყოფილ სსრკ-ში დისიდენტურ მოძრაობას აფინანსებდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, ხოლო ამ „დიად“ საქმეს კურატორობდა უშუალოდ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო.** აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზოგიერთი აქტივისტი ანგარიშვალდებული იყო „მსოფლიო დემოკრატიის ციტადელის“ წინაშე, რომელიც, ტრადიციისამებრ, მათგან სისხლიან მსხვერპლს მოითხოვდა, მიტინგის შეწყვეტა კი ▶

— ამისთვის გამბედაობა არ ეყოფა, სამაგიეროდ, უკრაინის მაგალითზე უკვე აქვს დესტაბილიზაციის გამზადებული სცენარი. ახლა მთავარია, პროცესი დაიძრას და შეუქცევადი გახდეს, ამისთვის კი გარკვეული წინაპირობებია საჭირო.

...წინა კვირას ზუგდიდიდანაც დამიკავშირდნენ და მომაწოდეს უტყუარი ინფორმაცია, რომ **„ნაცმოძრაობის" აქტივისტები მოსახლეობას 21 მარტის აქციაზე დასწრების სანაცვლოდ გარკვეულ მატერიალურ ანაზღაურებას სთავაზობენ. ოციდან ოცდაათ ლარამდე თურმე ადგილზე აძლევენ იმ მოქალაქეებს, რომლებიც თბილისში წამოსვლაზე დათანხმდებიან და მეორე იმდენის დამატებას — დანიშნულების ადგილზე გამოცხადების შემთხვევაში.** იმავე წყაროს ინფორმაციით, თვითონ აქტივისტები გაწეულ სამუშაოში 200 ლარს იღებენ. ჯამში კი, „ნაცებს" დაახლოებით ასამდე ასეთი აქტივისტი ჰყავთ ზუგდიდში...

წყაროს ვინაობას ამ შემთხვევაშიც მისივე თხოვნით არ ვასაჯაროებ — ყველგან ისევ „ნაცები" არიან და, საჯაროდ რომ გამოვჩნდე, ათასგვარ სიბინძურეს ჩაიდენენ ჩემ მიმართო...

ბევრი რომ არ გავაგრძელო, **„მეოცნებეების" მიერ სისხლგადასხმული და ფერფლიდან აღდგენილი „ნაციონალები" სახელმწიფოს ახალ უბედურებას უნასკვავენ. მზადდება რეჟიმის პოლიტიკური რეინკარნაცია და, რაც მთავარია, მათ ამაში სრული მხარდაჭერა აქვთ ამერიკისგან.** გაიხსენეთ, რა განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა წინა კვირას, როცა „ქართული ოცნების" წარმომადგენლებმა ზუგდიდში როლანდ ახალაიას სახლთან „ნაცრეჟიმის" მამხილებელი სტიკერები გააკრეს, — საქართველო ასეთი ძალადობით ვერ იხეირებსო. რეზიდენტმა ამით, ფაქტობრივად, მიგვანიშნა, რომ „ნაცების ნარჩენები" მათი მფარველობით სარგებლობს და, მისთვის თითის დაკარების შემთხვევაში, საქართველო დასავლეთის ყველანაირ მხარდაჭერას დაკარგავს.

რა გაეწყობა, **რადგან ამას ნორლანდი გვეუბნება, ჭკუით უნდა ვიყოთ, თუ არა — მოგვჭამა ჭირი „ისტორიულმა არჩევანმა". არჩევანს ვინ ჩივის, ქვეყანას დაგვამხობენ თავზე. აქ ამბავი ატყდება, უკრაინა მონაგონი იქნება, „ქოცმთავრობამ" ამერიკის დაკრულზე თუ არ იცეკვა...**

**ჯაბა ჟვანია**

---

მათი მომავალი პოლიტიკური კარიერის დასასრულს და დაფინანსების შეწყვეტას ნიშნავდა. **პატრიარქის თხოვნის არად ჩაგდება ძვირი დაგვიჯდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თანდათან გარდაიქმნა ეროვნულ-დამანგრეველ მოძრაობად, შედეგად მივიღეთ შევარდნაძის რეჟიმი უმახინჯესი „დაგვირგვინებით" — სააკაშვილის სისხლიანი დიქტატურით!**

დავუბრუნდეთ 21 მარტს დაგეგმილ მიტინგს, რომელიც, ალბათ, მსხვერპლშეწირვის რიტუალით დასრულდება. რა თქმა უნდა, არ ვიცი ამ თავშეყრის მომავალი „რიგითი" მსხვერპლის ვინაობა, მაგრამ შემიძლია, ვივარაუდო, ვის აირჩევენ მიტინგის დამფინანსებლები „დასაკლავად" „ნაცების" ე.წ. ელიტიდან. **მე რომ ვყოფილიყავი აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს „უსტაბაში", მსხვერპლად უთუოდ დავასახელებდი არა ისეთ ოდიოზურ ფიგურებს, როგორებიც არიან, დავუშვათ, ბოკერია ან წიკლაური, რომელთა მკვლელობა არათუ პროტესტს, არამედ საყოველთაო სახალხო ზეიმს გამოიწვევს, ავირჩევდი ისეთს, როგორიცაა, მაგალითად, ნიკანორ მელია. ის ახალგაზრდაცაა, ცხონებული ნემცოვივით მომხიბვლელობაც აქვს და მისი ტრაგიკული აღსასრული მანდილოსნების ცრემლს დაიმსახურებს**. ამიტომ ვურჩევ ბატონ მელიას, ისე მოიქცეს, როგორც თავის დროზე ვასილ მჟავანაძე მოიქცა, სტალინის კრიტიკისთვის თავი რომ აერიდებინა პარტიის 22-ე ყრილობაზე, 1961 წელს — **ხმის ჩასახლეჩად და სიცხის ხელოვნურად ასაწევად მიირთვას დაახლოებით ორი კილოგრამი ნაყინი.** ამით შინიდან გაუსვლელობის საპატიო მიზეზს მოიპოვებს; ან რუსი ოპოზიციონერის — ნავალნის მსგავსად, ჩაიდინოს კანონსაწინააღმდეგო ქმედება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა წინაშე, 15 დღით რომ უზრუნველყოს ციხეში თავისი გამომწყვდევა. რაც უნდა იყოს, საპყრობილეში დროებით ყოფნა სჯობს სამარეში მარადიულ წოლას...

და კიდევ — **ზოგიერთ ახლანდელ ოპოზიციონერსა და ხელისუფლების წარმომადგენელსაც შევახსენებ, რომ ამერიკული დემოკრატიული ფასეულობებისადმი თქვენი მონური ერთგულებაც კი არ იძლევა გარანტიას, რომ პირადად თქვენს სხეულს არ დადებენ ამავე „ფასეულობების" სამსხვერპლოზე.**

ისტორია მეორდება. აცტეკების ცივილიზაციის მსგავსად, ამერიკის კიდევ ერთი ცივილიზაცია უფსკრულის პირას დგას და სასოწარკვეთილი მიმართავს ამ ველურ რიტუალს (ადამიანის მსხვერპლშეწირვას) იმ იმედით, რომ მზე მის თავზე არ შეწყვეტს ნათებას.

წმინდა მამების განმარტებით, ამ მსხვერპლით, ანუ ადამიანური სისხლით წყურვილს იკლავს ქვესკნელში ჩაგდებული კაცობრიობის „საუკეთესო მეგობარი" — ეშმა, რომელიც ბიბლიაში მოხსენიებულია სიცრუის მამად. მსხვერპლი უნდა იყოს რაც შეიძლება მეტი. და მისთვის მნიშვნელობა არ აქვს, ეს მსხვერპლი ვისია. ეშმას არ აქვს გაგება „ჩემიანისა" და „სხვისიანისა".

**გიორგი კორძაძე**

---

**პრეზიდენტ პუტინის „მაგრობის" აღიარება თუ გვიტყდება, ის მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ მას ძალიან სულელი და სასაცილოდ მოაზროვნე მოწინააღმდეგეები ჰყავს, რადგან მათი მოგონილი და გავრცელებული ტყუილებიც კი მხოლოდ ბავშვურ თამაშს მოგვაგონებს და მას არავითარი რეალური შედეგის მოტანა არ შეუძლია...**



**ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი**




# ქართული პოლიტიკის «გრუზავიკები»

**მაზეგ 21 მარტია! შენ მიეთრევი „ნაციონალების" დაგეგმილ აქციაზე? ჰო! სწორედ ასე ხისტად, უხამსად და უხეშად გეკითხები, რადგან ადამიანს, რომელიც მანიაკების, კაცისმკვლელებისა და ადამიანთა მწამებლების დაძახილზე ქუჩაში გადის, არ შეიძლება, მშვიდად ელაპარაკოს ნორმალური ადამიანი! „უუნარო" ხელისუფლება? კარგი! მერე? ეს იმას ნიშნავს, რომ მანიაკებს შევეკრათ? ან თუნდაც, როგორ ფიქრობთ, რით გამოიხატება, აი, მაგ მანიაკების „უანრიანობა": საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ჯარის „თარეშის" ჰალუცინაციით თუ პუტინის ჯანმრთელობისა და მოსკოვში „მიმდინარე სამხედრო გადატრიალების" შესახებ რაღაც სასაცილო ჭორების მოგონებით?**

„ბატონი ავად გამხდარა"-ო აჭრელდა ინტერნეტი და სოციალური ქსელები ამ დღეებში. ზოგი ცხარე ცრემლით დასტიროდა ვლადიმერ პუტინს, ზოგიც კი სიხარულით ტაშს შემოჰკრავდა — „არიქა, ეშველა საქართველოსო!"

პირდაპირ, მინდა, ვთქვა — ადამიანების ორივე ეს კატეგორია აუცილებლად ფსიქიატრთან ვიზიტს საჭიროებს, რადგან ადამიანი, რომელსაც ჰგონია, რომ რუსეთის სახელმწიფო ინტერესებსა და საგარეო სტრატეგიას რომელიმე ერთი კონკრეტული პერსონა განსაზღვრავს და განაპირობებს, ნამდვილად მწყრალად არის საღ აზრთან.

**არადა, ტელეეთერიდან გადმოფრქვეული აზრებისა თუ სოციალურ ქსელებში დაპოსტილ-დაკომენტარებულის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არც თუ ისე მცირე ნაწილს ჩვენი საზოგადოებისას აშკარად ეტყობა „21 მარტოსნების" გავლენა და „მზა" სულელური ფრაზების გაუაზრებელი გამეორება.**

**ეს ფრაზები ერთგვარ „პატრიოტიზმის რეცეპტად" არის აღქმული და, თუკი გსურს, მეგობრებსა და ახლობლებში „პატრიოტის" იმიჯი გქონდეს, აუცილებლად უნდა გაგიხარდეს პუტინის ჯანმრთელობის გაუარესება, ხოლო მოსკოვის ქუჩებში რამდენიმე ერთეული სამხედრო ტექნიკის გამოჩენა აუცილებლად „სახელმწიფო გადატრიალება" უნდა გეგონოს...**

თითქოსდა, თუკი პუტინს რამე შეემთხვა, რუსეთის სათავეში მოსული რომელიმე ახალი მმართველი იმ წამს დაგიბრუნებს სოხუმს, ცხინვალს, ლორეს, ყარსს, მთლიანად ტაო-კლარჯეთსა და ზევიდან კიდევ ქლუხორსა და კრასნოდარის მხარესაც დაამატებს.

ნამდვილად ვერ გეტყვით, რაში აძლევს ხელს ზოგიერთ ტვინით ავადმყოფს მსგავსი სულელური ჭორების გავრცელება პუტინის „გარდაცვალებასა" თუ მოსკოვში მიმდინარე „სამხედრო გადატრიალების" შესახებ — ეს ჯერაც შეუსწავლელი ფსიქიატრიული დაავადებაა თუ გართობის რამე ახალი სახეობა, მაგრამ „21 მარტოსნები" მხოლოდ „მოსკოვურ-კრემლური" ბოდვით რომ არ არიან გატაცებული და ადგილობრივი მნიშვნელობის მსგავს განცხადებებსაც აკეთებენ, ესეც ფაქტია.

**საკმარისია, გავიხსენოთ ორიოდე კვირის წინათ ვერშემდგარი ე. წ. „გრუზავიკების" სკანდალი, როდესაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ოფისში სპეციალური ბრიფინგიც კი გაიმართა და საქართველოს ისედაც დაზაფრულ-დამშეული მოსახლეობა კიდევ უფრო დაზაფრეს — „ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილდება ოკუპანტი რუსეთის სამხედრო ტექნიკის კოლონებიო"!**

**(მოგეხსენებათ, შემდგომში ეს გარკვეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გასაყიდი რუსული წარმოების ჩვეულებრივი სამოქალაქო „გრუზავიკები" აღმოჩნდა);** კერძოდ, ნუგზარ წიკლაურმა სენაკის სამხედრო ბაზის მიმართულებით მოძრავი „რუსული სამხედრო ავტოკოლონის" ვიდეოკადრები წარუდგინა საზოგადოებას. თავი დავანებოთ იმას, რომ ამ „სამხედრო ავტოკოლონის" შემადგენლობაში მხოლოდ ორი სატვირთო მანქანა იყო, და იმასაც, რომ ორივეს სამოქალაქო სანომრე ნიშნები ჰქონდა, რადგან მოგვიანებით „ნუგზარ-დიადმა" ისეთი რამ თქვა, რუსეთთან და მის არმიასთან დაკავშირებული ყველა მანამდელი სულელური გამონათქვამი საუკუნოდ დაჩრდილა.

კერძოდ, როდესაც მას ჰკითხეს, საიდან ასაბუთებდა, რომ ეს რუსული მანქანები ნამდვილად სამხედრო დანიშნულების იყო და ნამდვილად სენაკის სამხედრო ბაზაზე მიდიოდა, წიკლაურმა, არც მეტი, არც ნაკლები, ასეთი პასუხი გასცა:

**„არიან თვითმხილველები, რომლებიც აცხადებენ, რომ მანქანის რუსმა მძღოლმა შეაჩერა მანქანა, იქვე მდგომ მოსახლეობას ჰკითხა, სად იყო სამხედრო ბაზა და მხოლოდ ამის შემდეგ გააგრძელა მოძრაობა".**

საინტერესოა, როდესაც 2008 წელს რუსულმა სამხედრო ავიაციამ თითო-თითო უზუსტესი დარტყმით 3 საათში გაანადგურა ყველა ქართული ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის წერტილი, ყველა ქართული სამხედრო აეროდრომის ასაფრენი ზოლი, ყველა ქართული სამხედრო ბაზა, რომლებიდანაც შეიძლებოდა რუსულ სატანკო კოლონას საფრთხე შექმნოდა, მაშინ, ნეტავ, ვის ჰკითხეს რუსმა სამხედრო პილოტებმა იქ, ღრუბლებში — სად მდებარეობდა ეს გასანადგურებელი ობიექტები?

და, თუ ვერავის ჰკითხავდნენ, მაშინ საოცარია, როგორ მიაგნეს?

ან იმავე რუსულმა სატანკო კოლონებმა 2008 წელს, ნეტავ, ასე კითხვა-კითხვით მიაგნეს ორჭოსანის ასახვევს?

არა, რუსებს „ჟანგიანი ტანკები" რომ ჰყავდათ და „მოძველებული სამხედრო ტექნიკა" რომ ჰქონდათ, ეგ კი ვიცოდი აქამდეც, მაგრამ, თუკი „ოკუპანტის სამხედრო კოლონა" ჩვენს ტერიტორიაზე შემოვიდოდა და სენაკის სამხედრო ბაზას, ასე, გლდანში ახალგადასული ბიძაშვილის კორპუსივით კითხვა-კითხვით დაუწყებდა ძებნას, ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი.

ალბათ, რუსების ასეთი „დაბნეულობისა და უსუსურობის" გამოა, რომ ყველა, ვისაც არ ეზარება, მოსკოვის აღებასა და დაპყრობას გეგმავს, უკვე რამდენიმე წელია, და ერთადერთი, რის გამოც კრემლი ჯერ-ჯერობით მაინც დგას, არის ის, რომ ისინი, უბრალოდ, ვერ შეთანხმდნენ, რომელი მათგანი დაიწყებს პირველ იერიშს!

ასე გასინჯეთ, ჩვენს სახელოვან ყოფილ მთავარსარდალს სულ წუთი-წუთზეც კი ჰქონია გათვლილი ყველაფერი!

**„ამერიკის შეერთებული შტატების არმიას შეუძლია, მოსკოვი 40 წუთში აიღოს!" — განაცხადა უკრაინულ ტელევიზიასთან ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილმა. მანამდე იგი იმავე მისიის შესრულებას უკრაინულ არმიას უსახავდა, მაგრამ უფრო ხანგრძლივ დროში — 2 საათში!**

**ხოლო 2008 წელს კეზერას ტანკებს რუსეთის საზღვრამდე დაახლოებით საათნახევარში უნდა მიეღწიათ! სულ ახლახან ისიც კი ითქვა, რომ თურმე ნორვეგიის არმიას შეუძლია მოსკოვის აღება 1 საათში!**

**აი, მთავარსარდალიც ასეთი უნდა.**

აბა, ზოგიერთივით კი არ არის, მკითხაობას რომ დაიწყებს — „ორი თვე დაგვჭირდება მოსკოვის ასაღებად თუ 1 წელიწადი, ზუსტად ვერ გეტყვითო"...

მოკლედ, პრეზიდენტ პუტინის „მაგრობის" აღიარება თუ გვიტყდება, ის მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ მას ძალიან სულელი და სასაცილოდ მოაზროვნე მოწინააღმდეგეები ჰყავს, რადგან მათი მოგონილი და გავრცელებული ტყუილებიც კი მხოლოდ ბავშვურ თამაშს მოგვაგონებს და მას არავითარი რეალური შედეგის მოტანა არ შეუძლია...

ზუსტად ასევეა სპეციალურად 21 მარტისთვის მოგონილი სხვადასხვა „ფორმულა", რომლითაც ზუსტად ისევე უშედეგოდ ცდილობენ „ნაცები" ხალხის ქუჩაში გამოყვანას, როგორც „მოსკოვის აღებას" და „კრემლის განადგურებას".

„მე არ ვარ „ნაციონალების" მომხრე, მაგრამ მივდივარ 21 მარტის აქციაზე!" — არაერთი ასეთი შინაარსის მიმართვა გამოჩნდა ამ დღეებში სოციალურ ქსელებში, რომლებიც აშკარაა, რომ ქართული პოლიტიკის „გრუზავიკების" მოგონილია.

მათი მსუბუქი ტვინით, ადამიანები, რომლებიც სამართლიანად არიან განაწყენებული „ქართული ოცნების" მთავრობაზე, ამ სულელურ ტრიუკზე უნდა წამოეგონ და „ნაციონალებს" მიტინგზე რაოდენობა დაუფიქსირონ...

**ასევე გამოიყენება მეთოდი — „ქართველებო, პოლიტიკის გამო ნუ დავკარგავთ ერთმანეთს!"**

**არადა, მართლა არა მგონია, ადამიანების წამება, ქუჩებში ჩაცხრილვა და ცემა-ტყეპა „პოლიტიკა" იყოს!**

ამიტომ ძალიან კარგია, რომ მათი ეს მეთოდები ქართული საზოგადოებისთვის სწორედ იმ რუსული „გრუზავიკებივით" მოძველებული და ჩამოწერილია. თუმცა ვაღიარებ — ამ ჩვენმა მსუბუქმა „გრუზავიკებმა" ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილის გაბრუება მაინც მოხერხა და, სავარაუდოდ, სწორედ ასეთი გაბრუებული ადამიანები მივლენ 21 მარტის აქციაზე და სწორედ მათ კიდევ ერთხელ ხისტად ვეკითხები:

შენ მიეთრევი „ნაციონალების" აქციაზე? კი?

კარგია! რადგან კიდევ ერთხელ კარგად უნდა დაგათვალიეროთ, დაგთვალოთ და დავიმახსოვრო თქვენი მანიაკი და გაბრუებული სახეები!

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნორმალური ადამიანი, რომელსაც ეკონომიკური გათვლის უნარი აქვს, და ასეთად ნამდვილად არ მიმაჩნია საქართველოს გონებადახშული ხელისუფლება, დაინტერესებული უნდა იყოს მოსკოვი-სოხუმი-თბილისის რკინიგზის გახსნით. ჩვენ არაფერი გაგვაჩნია, სატრანზიტო ფუნქციის გარდა, და ეს უნდა იყოს სასწრაფოდ გამოყენებული“.**

# ჰამლეტ ჭიპაშვილი: საელჩოები ქართველ პოლიტიკოსებს ამერიკელთა მიერ გატუტუცებულ ხელის ბიჭებად მიიჩნევენ!

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა 11 მარტს გამართულ პრესკონფერენციაზე მოსკოვი-სოხუმი-თბილისი რკინიგზის ხაზის აღდგენის შესახებ ისაუბრა. „რუსეთი კონსულტაციებისთვის მზად არის, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება საქართველომ და აფხაზეთმა უნდა მიიღონ. ამ საკითხით, ბუნებრივია, სომხეთიც დაინტერესებულია. რკინიგზის ხაზის აღდგენას ჩვენ მხარს დავუჭერთ, თუმცა პირობებზე, პირველ რიგში, თბილისმა და სოხუმმა უნდა მოილაპარაკონ“, — თქვა ლავროვმა. რა მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის მოსკოვი-სოხუმი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენას? ვის აძლევს ხელს ამ გზის ამოქმედება და ვის —არა? ცვლის თუ არა საქართველოს ხელისუფლება პოლიტიკურ კურსს? — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი გვესაუბრება.**



**— ბატონო ჰამლეტ, რამდენიმე დღის წინათ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთი მზად არის კონსულტაციებისთვის და მხარს დაუჭერს მოსკოვი-სოხუმი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის ამუშავებას. რას მოუტანს საქართველოს ამ გზის აღდგენა?**

— საქართველოსთვის ეს გზა ძალიან სასარგებლოა, ამ სარკინიგზო მაგისტრალის საშუალებით კავშირი აღდგება აფხაზეთთან. ერთი წლის წინათ, როდესაც ამ საკითხზე საუბარი დაიწყო, აფხაზებმა სასტიკი უარი განაცხადეს, ანალოგიური რეაქცია ჰქონდათ ქართველებსაც. მოგეხსენებათ, ქართული პოლიტიკა „უდრეკია“ და, თავისი სიბრიყვიდან გამომდინარე, განაცხადეს, რომ ამ რკინიგზის აღდგენა საქართველოს ხელს არ აძლევს. რაც ასე ახსნეს: რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა ნიშნავს დაკარგული ტერიტორიების დაკანონებასო და ათასი სისულელე მოაყოლეს, თითქოს უამისოდ არ ხდება დაკარგული ტერიტორიების დაკანონება.

**მოსკოვი-სოხუმი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალი ჩვენსა და აფხაზებს შორის ე.წ. სარკინიგზო ურთიერთობებს წარმოშობს. რკინიგზა კი ყოველთვის აღმასვლის მომტანია.** ამ გზის აღდგენით საქართველოც და აფხაზეთიც ფულს მიიღებენ. ყურადღება გამახვილდება რკინიგზის ვარგისიანობაზე, ჩვენი რკინიგზა კი საკმაოდ მოძველებულია, აღდგენა სჭირდება.

**«ნატოს საკითხი დასრულებულია, ამის შესახებ ჯერ კიდევ შარშან განაცხადა ბარაკ ობამამ, მაგრამ დამპალმა ქართულმა პოლიტიკამ ვერაფერი გაიგო, არადა, სწორედ მისთვის ითქვა»**

ნორმალური ადამიანი, რომელსაც ეკონომკური გათვლის უნარი აქვს, და ასეთად ნამდვილად არ მიმაჩნია საქართველოს გონებადახშული ხელისუფლება, დაინტერესებული უნდა იყოს მოსკოვი-სოხუმი-თბილისის რკინიგზის გახსნით. ჩვენ არაფერი გაგვაჩნია, სატრანზიტო ფუნქციის გარდა, და ეს უნდა იყოს სასწრაფოდ გამოყენებული.

იმის ნაცვლად, რომ რკინიგზის აღდგენას მხარი დაუჭირონ, ქართველი პოლიტიკოსები ამბობენ, ამ გზით პირველ ეტაპზე მოხდება რუსეთ-სომხეთის რკინიგზით დაკავშირებაო და თვლიან, რომ რუსები რკინიგზას სამხედრო თვალსაზრისით გამოიყენებენ, რადგან სომხეთში არის გიუმრის სამხედრო ბაზა. სინამდვილეში, **მოსკოვი-სოხუმი-თბილისის რკინიგზის აღდგენა ყველაზე მეტად ამერიკის შეერთებულ შტატებს არ აძლევს ხელს, რადგან ამ სარკინიგზო მაგისტრალზე დომინანტი იქნება მისი ორი მტერი — რუსეთი და ირანი. ქართველი პოლიტიკოსები კი ამერიკელების ნააზრევს ახმოვანებენ.** ამერიკა ამ რკინიგზის ამოქმედებას ხელს აუცილებლად შეუშლის, მაგრამ ჩვენ არაფერში გვარგია ამერიკის ყურება, ჩვენ უნდა გავატაროთ ისეთი პოლიტიკა, რომელიც საქართველოსთვის სასარგებლო იქნება, თუმცა ჩვენ ხომ ვიქტორ ორბანი არ გვყავს?!

**— ლავროვის განცხადებას — თუ დასავლეთი საქართველოს ნატოში შეთრევას ისევ განაგრძობს, ზომებს მივიღებთო, მოჰყვა რკინიგზის ამბავი, შემდეგ — გოგი თოფაძის განცხადება ნატოში საქართველოს შესვლა უტოპიააო. გოგი თოფაძე პოლიტიკაში დამოუკიდებელი მოთამაშე არ არის და ნატოზე უარყოფით განცხადებას დამოუკიდებლად არ გააკეთებდა. ხომ არ ფიქრობთ, რომ საქართველოს ხელისუფლება გონს მოეგო და პოლიტიკის სხვა რელსებზე გადასვლას გეგმავს?**

— **გოგი თოფაძე პოლიტიკაში დამოუკიდებელი მოთამაშე ნამდვილად არ არის, მაგრამ, თოფაძესაც რომ არ ეთქვა, ისედაც ცხადია, რომ ნატოზე საუბარი უკვე აღარ ღირს. არაჩვეულებრივი რამ გააკეთა თქვენმა გაზეთმა — რა ენაზე დაგელაპარაკოთო და მეგრულადაც რომ მიმართა ხელისუფლებას...**

დიდი ახსნა-განმარტება არ სჭირდება ამ ყველაფერს.

**— თინა ხიდაშელმა ორლობეში ნაჭორავები უწოდა ოლანდის ნათქვამს და მთავრობამაც მხარი აუბა.**

— თინა ხიდაშელი პოლიტიკაში რომ არის, სირცხვილია. ხელისუფლებაში მყოფი ერთ-ერთი პარტიის წარმომადგენლის, თანაც პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლის ასეთ განცხადებაზე ისეთი რეაქცია უნდა ჰქონოდა საფრანგეთის საელჩოს, როგორიც ირანის საელჩოს ჰქონდა თეა წულუკიანის განცხადების მიმართ. ირანის საელჩომ თავზე დაგვამხო მთელი პოლიტიკა. საფრანგეთის საელჩოს თავშეკავება შეცდომაა და ნათელია, რომ არც ისინი არიან დამოუკიდებლები და ამერიკის თამაშს თამაშობენ. გარდა ამისა, **არც ერთი საელჩო ქართველ პოლიტიკოსებს სერიოზულად არ აღიქვამს და ტუტუც ბავშვებად მიიჩნევს, ამერიკელთა მიერ გატუტუცებულ ბავშვებად.**

თინა ხიდაშელი ერთი ჩვეულებრივი გოიმია, რომელმაც გუშინ დაინახა, რა არის ქვეყანა, სწორედ ამიტომ ლაპარაკობს იმას, რაც ენაზე მოადგება, ამ საქციელის გამო ამ დედაკაცისთვის სტრასბურგში ჩასვლა საერთოდ უნდა აეკრძალათ.

ფრანსუა ოლანდის განცხადების შემდეგ ძალიან ბრიყვული განცხადება გააკეთა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმაც — ვინ თქვა, რომ ოლანდმა საქართველო იგულისხმაო... ჰკითხეთ, აბა, ვინ იგულისხმა?

ნატოს საკითხი დასრულებულია, ამის შესახებ ჯერ კიდევ შარშან განაცხადა **ბარაკ ობამამ**, მაგრამ დამპალმა ქართულმა პოლიტიკამ ვერაფერი გაიგო, არადა, სწორედ მისთვის ითქვა.

**საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც დელიმიტირებული საზღვრები არ აქვს, ერთადერთი საზღვარი გვაქვს თურქეთთან და ისიც იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირმა გვიფეშქაშა. 23 წელიწადია, საზღვრების რევიზია არ მომხდარა. ყველა მდინარეს კალაპოტი აქვს შეცვლილი, საქართველოს ხელისუფლება კი ამ საკითხით არ ინტერესდება, სხედან და არ იციან, რა აკეთონ. ნებისმიერ მეზობელთან საზღვარი საკამათო გვაქვს. კიდევ რამდენიმე სახელმწიფომ რომ ცნოს აფხაზეთისა და ოსეთის რესპუბლიკები, წარმოგიდგენიათ, რა პრობლემის წინაშე დავდგებით?** ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ჩვენმა ტვინდახშულმა პოლიტიკოსებმა, განა არ იციან, რომ ტერიტორიული პრობლემებით ნატოში არავინ მიგვიღებს? რად უნდა ამას ოლანდის, ობამას, მერკელის ან სარკოზის თქმა? ყველაფერი კარგად იციან, მაგრამ მხოლოდ ერთი რამ ადარდებთ — ფული.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«მოსკოვი-სოხუმი-თბილისის რკინიგზის აღდგენა ყველაზე მეტად ამერიკის შეერთებულ შტატებს არ აძლევს ხელს, რადგან ამ სარკინიგზო მაგისტრალზე დომინანტი იქნება მისი ორი მტერი — რუსეთი და ირანი. ქართველი პოლიტიკოსები კი ამერიკელების ნააზრევს ახმოვანებენ. ამერიკა ამ რკინიგზის ამოქმედებას ხელს აუცილებლად შეუშლის, მაგრამ ჩვენ არაფერში გვარგია ამერიკის ყურება, ჩვენ უნდა გავატაროთ ისეთი პოლიტიკა, რომელიც საქართველოსთვის სასარგებლო იქნება, თუმცა ჩვენ ხომ ვიქტორ ორბანი არ გვყავს?!»**

## შესაძლოა, ევროზონა ესპანეთმა, იტალიამ და გერმანიამაც კი დატოვონ

**„საბერძნეთის მიერ ევროზონის დატოვებას დომინოს ეფექტი ექნება, შემდეგი იქნება ესპანეთი, იტალია და გერმანიაც კი“, — განაცხადა საბერძნეთის თავდაცვის მინისტრმა პანოს კამენოსმა გერმანული გამოცემა „ბილდი“-სთვის მიცემულ ინტერვიუში.**

„ჩვენ გამოსავალი ევროზონის ფარგლებში უნდა ვიპოვოთ, მაგრამ ეს გამოსავალი მხოლოდ იმაში არ უნდა მდგომარეობდეს, რომ ბერძნები მუდმივად ვალს ვიხდიდეთ“, — აღნიშნა პანოს კამენოსმა. საბერძნეთის თავდაცვის მინისტრმა გერმანულ გამოცემასთან საუბრისას ხაზი გაუსვა, რომ საბერძნეთი მნიშვნელოვნად დაზარალდა ევროკავშირის მიერ რუსეთისთვის დაწესებული სანქციების გამო. პანოს კამენოსის თქმით, საბერძნეთში ტურისტთა 25%-ს რუსეთიდან ჩასული ტურისტები შეადგენდნენ.



**„როდესაც პირდაპირ გეუბნებიან, ვერ მიგიღებთ, ვერ დაგიცავთ და ვერ დავიკისრებთ თქვენი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებლობასო, უსინდისო უნდა იყო ადამიანი, რომ საკუთარ ხალხს უკუღმა გადმოუთარგმნო ეს ყველაფერი“.**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# აკაკი ასათიანი: დიდი ხანია, ნატო ჩვენთან ერთგვარ რელიგიად იქცა. ეკლესიის ლანძღვა შეიძლება, პატრიარქისაც, მაგრამ ნატოზე ცუდის თქმა ერეტიკოსობას ნიშნავს

**ქვეყანაში ბოლო ხანს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ტრადიციონალისტთა კავშირის ლიდერი აკაკი ასათიანი ესაუბრება.**

**რომ შეეძლოთ, ალბათ, ინკვიზიციასაც შემოიღებდნენ და კოცონზე დაწვავდნენ ადამიანებს, რომლებიც ალიანსზე რამე კრიტიკულს იტყოდნენ...**



**„როდესაც ვერ აღადგენ სამართლიანობას, ვერ გახსნი მნიშვნელოვან საქმეებს და ვერ დასჯი დამნაშავეებს, როდესაც მთავარ ოპოზიციურ ძალად გამოაცხადებ დანაშაულებრივ პარტიას და შეუქმნი მას სასათფურე პირობებს, რატომ გიკვირს, რომ ის პარტია ძლიერდება?! ასეთი ხელისუფლების პირობებში „ნაციონალები“ კი არა, რატომ არაბები და მონღოლები არ დაბრუნდებიან“...**

**— ბატონო აკაკი, ობამას, მერკელისა და ნატოს ყოფილი გენერალური მდივნის — ანდერს ფოგ რასმუსენის შემდეგ საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმაც პირდაპირ გვითხრა, რომ საქართველო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ვერ გახდება. მიუხედავად ამისა, ხელისუფლების წარმომადგენლები (მაგალითად, დავით უსუფაშვილი) ამბობენ, ჩვენ მაინც ჯიუტად განვაგრძობთ ევროატლანტიკური სტრუქტურების კარზე კაკუნსო...**

— **ნატოში საქართველოს შესვლა რომ ილუზიაა, ოლანდის განცხადების გარეშეც ნათელია. ვინც ეს იცოდა და მაინც გაიძახოდა, შევალთო, თაღლითია, ხოლო, ვისაც გულწრფელად სჯეროდა, — იდიოტი.** დღეს შეიძლება, ნორმალურმა ადამიანმა ილაპარაკოს, რომ საქართველო შევა ნატოში და ნატო დაიცავს ჩვენს ინტერესებს ნებისმიერ სახელმწიფოსთან, თუნდაც ეს იყოს რუსეთი, რომელიც დღითიდღე ძლიერდება და ზრდის თავის გავლენას მსოფლიო გეოპოლიტიკურ ასპარეზზე?...

რაც მოვისმინე, ეს იყო აბსოლუტურად თანმიმდევრული და ზუსტი შეფასება იმ რეალობისა, რომელიც გვაქვს. **როდესაც პირდაპირ გეუბნებიან, ვერ მიგიღებთ, ვერ დაგიცავთ და ვერ დავიკისრებთ თქვენი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებლობასო, უსინდისო უნდა იყო ადამიანი, რომ საკუთარ ხალხს უკუღმა გადმოუთარგმნო ეს ყველაფერი.**

რაც შეეხება მათ კრიტიკას, ვინც საქართველოშიც, დიდი ხანია, ამბობს ნატოში ვერ შევალთო, ძალიან მაინტერესებს, **რატომ არ გააკრიტიკეს თავის დროზე ამერიკის პრეზიდენტი ობამა, გერმანიის კანცლერი მერკელი, ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი რასმუსენი ან ახლა, ამ ბოლო განცხადების გამო — საფრანგეთის პრეზიდენტი ოლანდი?** — ეს შეკითხვა ხომ ბუნებრივად ჩნდება?! საღად მოაზროვნე ქართველების კრიტიკას თუ არ ერიდებიან, თვითონ იმ ლიდერების მიმართ რატომ არ უჩნდებათ შეკითხვები?! **ვიდრე რეზოლუციას არ მიიღებენ დედის გინებით, — წადით, თავი დაგვანებეთო, მანამდე ვიტყუოთ თავი?!** საქმე ის არის, რომ **ხელისუფლებამაც ძალიან კარგად იცის, ნატოში შესვლის რა შანსიც გვაქვს, მაგრამ ამაზე საჯაროდ ვერ საუბრობენ. ვერ საუბრობენ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ გამოდის, ამდენი ხანს იტყუებოდნენ და მეორე — იმიტომ, რომ დაკარგავენ დასავლეთის მხარდაჭერას. ასეთ შემთხვევაში ამერიკაც და ევროპაც ყველაფერს ერთბაშად მოგვთხოვს, საგარეო ვალები იქნება ეს თუ სხვა რამე, რითაც ეს წლები გვეხმარებოდნენ...**

**— დასავლეთი საჯაროდ ამბობს, საქართველო ალიანსის წევრი ვერ გახდებაო და, საქართველოს ხელისუფლებამაც იგივე რომ გაიმეოროს, გაღიზიანდებიან?**

— დიახ, დაახლოებით ამგვარი აბსურდული თამაშია — ჩვენ უნდა ვიძახოთ, რომ ალიანსის კარი ღიაა, ისინი კი გვეტყვიან, ვერ მიგიღებთო. ასეთ განცხადებებს გააკეთებენ რუსეთის გასაგონად, რათა ამით დაამშვიდონ კრემლი, რომელიც არ ურიგდება დასავლეთის პოლიტიკურ ექსპანსიას. ეს არის რიტუალური ცეკვა და ყველა რიტუალურ ცეკვას აქვს თავისი დანიშნულება. საერთოდ, ნატო ჩვენთან, დიდი ხანია, ერთგვარ რელიგიად იქცა. ეკლესიის ლანძღვა შეიძლება, პატრიარქისაც, მაგრამ ნატოზე ცუდის თქმა ერეტიკოსობას ნიშნავს. ამ იდეოლოგიის აპოლოგეტებს რომ შეეძლოთ, ალბათ, ინკვიზიციასაც შემოიღებდნენ და ცეცხლში დაწვავდნენ ადამიანებს, რომლებიც ალიანსზე რამე კრიტიკულს იტყოდნენ...

**— ცეცხლში დაწვის რა მოგახსენოთ, მაგრამ ნატოზე უარყოფითი განცხადებების გაკეთება ავტომატურად რუსეთის აგენტობად აღიქმება. საზოგადოდ, „ისტორიულ არჩევანზე“ არ უნდა წამოგცდეს ცუდი, — ასეთია პოლიტიკური მოცემულობა...**

— მე ამას დავარქმევდი პოლიტიკურ კომპლექსს, რომელიც საქართველოს თავს მოახვია „ნაციონალურმა მოძრაობამ“. **სააკაშვილის პერიოდში დასავლეთს თუ გააკრიტიკებდი, ყველაფრისთვის მზად უნდა ყოფილიყავი — დაჭერისთვის, ფიზიკური ანგარიშსწორებისთვის, ლიკვიდაციისთვის...** საუბედუროდ, იმავეს განაგრძობს ახალი ხელისუფლებაც; მართალია, ესენი ფიზიკურად არავის უსწორდებიან, მაგრამ ნატოსა და ევროკავშირს ისევე ეთაყვანებიან, როგორც „ნაცმოძრაობა“. ეს რომ შეცდომაა, უკვე დღესავით ნათელია და ამ შეცდომაზე მათ მოუწევთ პასუხისგება, ოღონდ ხალხთან და არა „ნაციონალებთან“, რომლისაც ასე ძალიან ეშინიათ.

**— 21 მარტს „ნაცმოძრაობა“ აქციას გეგმავს მთავრობის გადადგომის მოთხოვნით. სააკაშვილი, ალბათ, ხვდება, რომ პოლიტიკურად გაკოტრებულია და ვერც არჩევნებში გაიმარჯვებს და ვერც ხელისუფლებას დაამხობს. როგორ ფიქრობთ, რას ემსახურება ეს აქცია?**

— აჩრდილები ხომ დადიან კოშკებში? ესენი პოლიტიკური აჩრდილები არიან. წარმოიდგინეთ, ევროპულ რომანებში აღწერილი ძველი სახლები, რომლებშიც ადამიანები შესახლდებიან და აღმოჩნდება, რომ თურმე გამოტენილია რაღაც წარსულის აჩრდილებით. აი, ზუსტად ასეთი აჩრდილების აქცია იქნება 21 მარტს...

რაც შეეხება ხელისუფლებას, მათაც ასე უნდა შეხედონ ამ ყველაფერს და თავი დაანებონ უსაფუძვლო შიშს. ერთადერთი, ვისიც უნდა ეშინოდეთ, ხალხია, მოტყუებული ხალხი, თორემ „ნაცმოძრაობა“ ორ წელიწადში გაქრებოდა, თუ მოისურვებდნენ...

**— ისე, 2012 წლის 2 ოქტომბრის შემდეგ ზოგიერთი „მეოცნებე“ დარწმუნებით ამბობდა, რომ „ნაცმოძრაობა“ ერთ წელიწადში „მოქკავშირის“ ბედს გაიზიარებდა, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა...**

— **როდესაც ვერ აღადგენ სამართლიანობას, ვერ გახსნი მნიშვნელოვან საქმეებს და ვერ დასჯი დამნაშავეებს, როდესაც მთავარ ოპოზიციურ ძალად გამოაცხადებ დანაშაულებრივ პარტიას და შეუქმნი მას სასათფურე პირობებს, რატომ გიკვირს, რომ ის პარტია ძლიერდება?! ასეთი ხელისუფლების პირობებში „ნაციონალები“ კი არა, რატომ არაბები და მონღოლები არ მობრუნდებიან...**

ხელისუფლება უნდა ყოფილიყო პრინციპული და შეესრულებინა საზოგადოების მთავარი მოთხოვნა — სამართლიანობის აღდგენა. იმ დროს, როცა გაიძახი, რომ ქვეყანაში არსებობს დანაშაულებრივი პარტია, ამას ალტერნატივა არ ჰქონდა, მაგრამ ხელისუფლებას ამის არც ნება აღმოაჩნდა და არც პოლიტიკური სიმტკიცე. ისე, დანაშაულებრივ პარტიას რაც შეეხება, ეს მათი სისუსტე კი არა, პირიქით — ძალაა, **არაფერი ისე არ კრავთ ადამიანებს, როგორც ერთობლივი დანაშაული და ზუსტად ამ პრინციპით არიან დღეს „ნაციონალები“ გაერთიანებული.**

**— ისინი რეალურ საფრთხეს წარმოადგენენ?**

— ვერ წარმომიდგენია, რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ ხალხს სააკაშვილისკენ მოუბრუნდეს გული და „ნაცმოძრაობამ“ არჩევნები მოიგოს. ეს, ალბათ, გამორიცხულია, მაგრამ ჩვენ ამით ვერ დავიმშვიდებთ თავს. **ქვეყანა უახლოვდება დამბლას — პოლიტიკურს, ეკონომიკურს, სოციალურს და ამ ყველაფერს აქვს ერთი მიზეზი — ხელისუფლება რეალობასაა მოწყვეტილი...**

**— ამას წინათ ივანიშვილმა რესპუბლიკელები გააკრიტიკა და განაცხადა, რომ ისინი მხარს უჭერენ ირაკლი ალასანიას. ეს ბევრისთვის მოულოდნელი იყო, რადგან ამ პარტიის მიმართ ივანიშვილი თავიდანვე განსაკუთრებულ სიმპათიას ამჟღავნებდა. რამ შეაცვლევინა აზრი ყოფილ პრემიერს?**

— მას აქვს პრეტენზია, რომ, როგორც კი შეხედავს ადამიანს, მაშინვე ცნობს, ვინ რას წარმოადგენს, მაგრამ ჩვენ ვიცით მისი, სულ ცოტა, ათი შეცდომა. მაგალითად: შეეშალა სააკაშვილი, ადეიშვილი, მერაბიშვილი... ის ხომ მათი მხურვალე გულშემატკივარი იყო?! — თვითონვე აქვს ნათქვამი. ასევე შეეშალა მარგველაშვილიც, ღარიბაშვილიც, ქალაქის მერიც და რა ვიცი, კიდევ რამდენი. ახლა რა ვქნათ? ვიჯდეთ და ველოდოთ, როდის არ შეეშლება?!

მე კი მგონია, რომ კიდევ დიდხანს შეეშლება.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## გოგი თოფაძე: ძალიან ბევრმა ქვეყანამ შეზღუდა არასამთავრობოები და ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გოგი თოფაძემ „საერთო გაზეთისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, სხვა საკითხებთან ერთად, საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებზეც ილაპარაკა.**

„ჩვენ ძალიან ლიბერალურები ვართ. ვფიქრობ, ძალიან დიდი დოზით ავიტეხეთ ეს დემოკრატიული მიდგომა და არ მოვთხოვეთ პასუხი მას, ვინც ამას ბედავს. სხვათა შორის, ძალიან ბევრმა ქვეყანამ შეზღუდა ეს არასამთავრობოები, დაუბლოკეს ის საბანკო ანგარიშები, რომლებიდანაც უცხოეთიდან მოდის თანხები. ჩვენც, ალბათ, ასე უნდა მოვიქცეთ... მაშინ, როდესაც ძირს უთხრიან სახელმწიფოს, სამშობლოს, იმიტომ, რომ იღებენ გრანტებს უცხოეთიდან, რა თქმა უნდა, პასუხი უნდა მოეთხოვოთ მათ. უნდა აიკრძალოს ეს, ასე გადააბრუნეს ძალიან ბევრი ქვეყანა ამერიკელებმა. ასე მოხდა ის ტრაგედიები, რომლებიც მოხდა არაბეთის ქვეყნებში, ერაყში, იუგოსლავიაში, ლიბიაში, ეგვიპტეში, სადაც აქამდე ვერ დაწყნარდა სიტუაცია, ახლა სირიაშიც იგივე ხდება. კარგი რა, გეყოთ! თანაც, დემოკრატიის დანგრევის მოტივით ანგრევენ ამ ქვეყანას. კადაფის რა უქნეს, კაცო, გააუპატიურეს, დაჩეხეს და ნაკუწებად გადააგდეს, არადა, ლიბია ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა იყო, მაღალი სოციალური პირობები ჰქონდა... და ეს დემოკრატიაა?“ — განაცხადა გოგი თოფაძემ.

ჩევლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბიძინა ივანიშვილის „საუკეთესო“ ტრადიციებით, კვლავ გრძელდება მლიქვნელთა ჯგუფების ჩამოყალიბება, რომლებიც ყველაფერს ისე და იმგვარად „ჩააანალიზებენ“, როგორც ეს ბიძინა ივანიშვილს მოეწონება და გაუხარდება!**

# «ოცი-ოცდაათმა» რა ჰქმნა? ანუ ნუ გეშინია, ინგა!

**ქართული მედიასივრცე ვაშლოვნელი ქეთოსავით ფუფუნებასა და ფერებაში არ იზრდებოდა. აქ იყო ქიშპი, ჯიბრი, კონკურენტ მედიასაშუალებაში სხვა მედიასაშუალების მფარველი პოლიტიკური ძალის შევარდნა — „ახევა“, გამოყენება, აღზევება-გაბანძება და ერთი უბედურება...**
**მოკლედ, რა არ გადაიტანა ქართულმა მედიასივრცემ, ვიდრე ერთმა „ყველაფერშიკმა“ მილიარდერმა მისი დალაგება და დაწყნარება არ გადაწყვიტა.**

აქვე შეიძლებოდა ისიც გვეთქვა, მანამდეც ბევრი რაღაცის დალაგება-დაწყნარება სცადა ამ მილიარდერმა, მაგრამ პირიქით კი გამოუვიდა — საითაც მიიხედა, ყველან აურია, აშალა და გადარია ფულზე დახარბებული და მასზე სხვადასხვა მხრიდან მიწებებული ტიპები-თქო... მაგრამ ამას მერე, როდესმე მივუბრუნდეთ.

ამ კონკრეტულ პუბლიკაციაში კი, შევეცადოთ, თემიდან არ გადავუხვოთ და მხოლოდ ქართულ მედიასივრცეში ახლადგამოჩენილ, ბიძინა ივანიშვილის პირად გადაცემა „20/30“-ზე ვისაუბროთ.

კერძოდ, ამ გადაცემის დაანონსებიდან მის ეთერში გასვლამდე ლამის მილიონჯერ დასმულ კითხვაზე შევეცადოთ პასუხის გაცემას — „გვჭირდება თუ არა ოცი-ოცდაათი?“

ჩემი აზრით, კი! „ოცი-ოცდაათი“ მართლაც ძალიან გვჭირდება...

მაგრამ ვიდრე აგიხსნიდეთ, რატომ, რაში ან რისთვის გვჭრდება „ოცი-ოცდაათი“, ჯერ შეძლებისდაგვარად დინჯად მივყვეთ ამ გადაცემის ავტორ-წამყვანებსაც, მის მაყურებელ-მაქებრებსაც და...

თუმცა, რაღა „და“?

როდესაც ეთერში თვით ბიძინაა, მაშინ ნუთუ შეიძლება, „მაყურებელ-მაქებართა“ გარდა, ვინმემ და რამემ იარსებოს?

ვისაც ბიძინას „ყველაფერშიკობისა“ არ სჯერა, ის ხომ მაინცდამაინც „ნაციონალია“, არა?

თქვენ წარმოიდგინეთ, **ზოგიერთი ივანიშვილის მეხოტბე იქამდეც კი მიდის, რომ მე „რუსთავი 2“-ზე ნამუშევრობას წამომაძახებს ხოლმე, მაშინ, როდესაც, მთელი „ჯი-დი-ეს“-ი გამოტენილია ისეთი ადამიანებით, ჩემი იმ ტელევიზიიდან წასვლის შემდეგ კიდევ 5 წელიწადს რომ მუშაობდნენ იქ, თანაც არც არავითარი პროტესტის გამოხატვას არ აპირებდნენ „ნაცების“ მიმართ, მათთვის რომ მილიარდერის შვილს უკეთესი მატერიალური პირობები არ შეეთავაზებინა...**

აი, ასეთი „ჭედვებიც“ კი ხდება, ოღონდ ეს უკვე მას შემდეგ, რაც ეს უცნაური ბელადომანი ადამიანები გაივლიან კონკრეტულ ეტაპებს ბიძინას უსუსური „გაპრავებისა“.

ეს ეტაპები ასეთია — **„ჭკვიანი რომ არ იყოს, მილიარდი არ ექნებოდა“, „კაცმა მიშა მოგვაშორა და მეტი რაღა უნდა ექნა“...**

ასეთ „რეცეპტულ“ ფრაზებს საზოგადოება უკვე მეტნაკლებად შეეჩვია.

აი გადაცემა „20/30“-მა კი კიდევ ერთი „ბრძნული“ გამოთქმა შვა — „ყველაფერი შოუ ხომ არ იქნება? ეს ანალიტიკური და დინჯი გადაცემაა. მის გაგებას ინტელექტი სჭირდება!“

ამავე ფრაზით „პრავდება“ ივანიშვილის პირველი გადაცემის სასტიკი კრახი, უმაყურებლობა და ურეიტინგობა.

აი, მივედით კიდეც მთავარ სათქმელთან — „აშკარაა, რომ ჩვენ გაგვექცა ხელიდან საინფორმაცო სივრცე. „რუსთავი 2“ შეგნებულად ავრცელებს დეზინფორმაციას და სხვა ტელევიზიები ექცევიან მის გავლენაში, ამიტომ ჩვენ ეს უნდა დავასრულოთ,“ — ბიძინა ივანიშვილის ეს სიტყვები ედო საფუძვლად „ჯი-დი-ეს“-ზე გადაცემა „20/30“-ის დაარსებას.

ანუ, ამ გადაცემის მიზანი „რუსთავი 2“-ის მიერ „ჩაკეტილი“ საინფორმაციო სივრცის გარღვევაა...

აი, აქ ჩნდება სწორედ ზემოთ ნახსენებ „გამპრავებელთა“ მიმართ მთავარი კითხვები: **კი, მაგრამ, თუკი ეს „ანალიტიკური“ გადაცემა „დინჯია“ და ასე შემდეგ, მიპასუხეთ, როგორ უნდა „გაარღვიოს“ რაიმე ტელეგადაცემამ, რომელსაც არავინ უყურებს?**

ან, რატომ გგონიათ, რომ „ანალიტიკაა“ ყველაფერი ის, რაც „შოუ“ არ არის?

განა არ შეიძლება, რომ გადაცემა სრული უაზრობა იყოს და არც „შოუსი“ ეცხოს რამე და არც „ანალიტიკისა“? ხმაურიანი უაზრობაც და წყნარი უაზრობაც — ორივე უაზრობაა!




**უსაფუძვლო გამოდგა გრიგოლიას შიში — «ივანიშვილმა რეიტინგი არ წამართვასო». ბატონი ბიძინას ამ სატელევიზიო გადაცემას თავისუფლად შეიძლება, «ოცი-ოცდაათის» ნაცვლად, «ნუ გეშინია, ინგა!» დავარქვათ**

სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვქონდა საქმე 15 მარტს, როდესაც მაყურებელთა უმეტესობამ 5 წუთის მეტს ვერ გაუძლო და ისევ „იმედსა“ და ინგა გრიგოლიას მიუბრუნდა.

პირდაპირ შეიძლება ითქვას — **უსაფუძვლო გამოდგა გრიგოლიას შიში — „ივანიშვილმა რეიტინგი არ წამართვასო“. ბატონი ბიძინას ამ სატელევიზიო გადაცემას თავისუფლად შეიძლება, „ოცი-ოცდაათის“ ნაცვლად, „ნუ გეშინია, ინგა!“ დავარქვათ.**

უბედურებაც ხომ სწორედ ეგ არის, რომ „ოცნებას“ და მის შემქმნელ-პატრონს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს შეგნებული და გააზრებული აქვს, რომ „საინფორმაციო სივრცე ხელიდან გაექცა“?!

მას რომ ეს შეგნებული არ ჰქონდეს და ისე აკეთებდეს ამ ყოვლად უაზრო გადაცემას, ერთობოდეს და, უბრალოდ, დრო გაჰყავდეს, ვინ ოხერი იტყოდა რამეს? მისია ტელევიზია და, რასაც უნდა, იმას გააკეთებს, ბოლო-ბოლო!

მაგრამ, **როდესაც ადამიანი ამბობს, — „ჩემი მიზანი „რუსთავი 2“-ის დაჩოქებააო“ და ასეთ მდარე სისულელეს შემოგთავაზებს ეთერში — ამას უკვე მართლაც მძიმე შემთხვევა ჰქვია...**

თუმცა, ორიოდე საინტერესო ფრაზა ყველგან შეიძლება იპოვოს ჩასაფრებულმა ადამიანმა და აი ისიც:

„ჩვენი ჯგუფი ითვლის სამოცამდე ადამიანს. ჩვენ ვდებთ მიუკერძოებელ ანალიზებს. ეს ხალხი მომაწოდებს სწორ და პირუთვნელ ანალიზებს ყველა სფეროზე. მომავალში კიდევ უფრო მეტი ადამიანი იქნება ამ ჯგუფში...“

ფრაზა, თავისთავად ცუდი არ არის... მაგრამ, როდესაც ამ ფრაზის ფონზე უცქერ ერთ გოგონას და ერთსაც ბიჭუნას, რომელთა მიდებ-მოდებასაც, „ანალიტიკის“ გარდა, ყველაფერი შეიძლება უწოდოს ადამიანმა, ხოლო მათ მზერას მხოლოდ ერთადერთი დატვირთვა აქვს — „ჩემს ბელადს მოვეწონო!“ — უკვე გასაგებია, რასთანაც გვაქვს საქმე...

ამ სამიოდე წლის წინათ, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა ე. წ. მრჩეველთა საბჭო შექმნა და რამდენიმე მართლა ანგარიშგასაწევი ადამიანი მალევე გაწია გვერდზე, მაშინვე ვთქვი, — ამ კაცს „მრჩევლები“ კი არა „თავისმქნეველთა საბჭო“ სჭირდება-მეთქი!

სამწუხაროდ, ეს დღესაც ასეა და **ბიძინა ივანიშვილის „საუკეთესო“ ტრადიციებით, კვლავ გრძელდება მლიქვნელთა ჯგუფების ჩამოყალიბება, რომლებიც ყველაფერს ისე და იმგვარად „ჩააანალიზებენ“, როგორც ეს ბიძინა ივანიშვილს მოეწონება და გაუხარდება!**

სწორედ ისევე, როგორც კეთდებოდა ამ ადამიანის ასპარეზე საჯაროდ გამოჩენის პირველივე დღიდან! ვიცი, ახლა ვინმე იტყვის — ეგრე რომ ყოფილიყო, მიშას ვერ გააგდებდნენო! მაგრამ მე სწორედაც რომ ასე გიპასუხებთ: **სწორი, გააზრებული და ჭკვიანური მენეჯმენტის პირობებში, ადამიანური რესურსის სწორად არჩევით და არა მლიქვნელთა „გაჯეჯილებით“, მიშას გაგდება კი არა, იმ უზარმაზარი ფინანსური რესურსით, რომელიც მაშინ დაიხარჯა, რამდენიმე რეგიონის სამარცხვინო წაგების თავიდან აცილება და პარლამენტში კონსტიტუციური უმრავლეობით მოსვლაც თავისუფლად იყო შესაძლებელი!**

თუნდაც შემდგომში, კონკრეტული მედიასაშულების თაღლითებისთვის ხელში ჩაგდების მაგიერ, ნორმალური მენეჯერების მიჩენით, იმ მედიასაშუალების დახურვის ნაცვლად, მისი ეფექტიანად გამოყენებაც იქნებოდა შესაძლებელი...

მაგრამ **„20/30“-მა თვალნათლივ დაგვანახვა, რომ ეს ადამიანი თავის შეცდომებზე ვერაფერს სწავლობს... მეტიც, მისი ყველაზე დამახასიათებელი თვისებაა თავის მოტყუება და საკუთარი თავის დაჯერებაა იმაში, რომ ყველაფერი კარგადაა...**

ეს, სხვათა შორის, პოლიტიკურ, სოციალურ, საზოგადოებრვ ასპექტებსაც ეხება და ამავე გადაცემაში მისი ამ გაუმართლებელი „თავდაჯერებულობის“ დამადასტურებელი რამდენიმე ფრაზა ყველა ამ მიმართულებითაც გაისმა, მაგრამ, რადგან ჩვენ ამ კონკრეტულ სტატიაში კონკრეტულად მედიაზე ვსაუბრობთ, **უკვე თვალწინ მიდგას სურათი, როგორ შემოეხვეოდნენ გარშემო „დიდი ანალიტიკოსი“ გოგო-ბიჭები „ყველაფერშიკ“ ბიძინას** და როგორ დაასწრებდნენ ერთმანეთს, რომ ბატონი ბიძინასთვის საქებარი სიტყვები ეთქვათ. დაახლოებით ასეთი ფრაზების კორიანტელიც აუცილებლად იქნებოდა:

„ვაიმე, აი სულ სხვა დონე იყო, რა! არც ერთ სხვა გადაცემას არ ჰგავდა! მაგრამ ეს გაუნათლებელი მასა მიიღებს ასეთ ინტელექტუალურ ნაკადს? ვაიმე, ამათ რად უნდათ ანალიზი, ამათ უნდათ შოუ, რა!“ — აი, ასეთი „რეცეპტით“ ამართლებს ხოლმე თავის უნიჭობას ნებიმიერი უნიჭო...

ვიცი, კითხულობთ და ფიქრობთ, — ეს კაცი თავიდან წერდა „20/30“ აუცილებელია ამ ქვეყნისთვისო, ახლა კი მოდგა და მიწასთან გაასწორაო“.

კი, ბატონო!

ნამდვილად საჭიროა ამ ქვეყნისთვის, ოღონდაც, მე როდესაც ეს ფარაზა დავწერე, მასში ყოვლად უნიჭო და არაფრის მომცემი სატელევიზიო გადაცემა არ მიგულისხმია!

სინამდვილეში, გადაცემა — არა, მაგრამ, ოცი-ოცდაათი ნორმალური, მოაზროვნე, რეალურად საქმის გამკეთებელი ადამიანი, მართლაც, საჭიროა, მაგრამ, ვიდრე ქვეყნის სათავეში მოხვედრილ თვითდაჯერებულ მანიაკებს ასევე თვითდაჯერებული ნარცისები ცვლიან, ოც და ოცდაათს კი არა, ორ-სამსაც არსად გააჭაჭანებს არამლიქვნელ, არაშემეტენე, არავაზელინ და მართლა საქმის გამკეთებელ ადამიანს!

ეს რომ ასე არ იყოს, ერთიორი კარგი „მარკშეიდერი“ ქვეყანაში ჯერ კიდევ კაი ხნის წინათ უნდა გვყოლოდა...

**ბაკურ სვანიძე**

---

## ერთი ჯარისკაცის კვებაზე სახელმწიფო დღეში 11-15 ლარს ხარჯავს

**„სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის“ დირექტორის — მირანდა მანჯგალაძის განცხადებით, სახელმწიფო ერთი ჯარისკაცის კვებაზე დღეში 11-15 ლარს ხარჯავს.**

**„რაც შეეხება ტარიფებს, ერთ ჯარისკაცზე დღიური ანაზღაურება სპეციალური ოპერაციის ძალებისთვის არის 15, 87 ლარი და საჯარისო ნაწილისთვის — 11, 22 ლარი“,** — აღნიშნა მირანდა მანჯგალაძემ. მისივე განმარტებით, უკვე შემუშავებულია სტრატეგია, რომელმაც სამხედროების „უვნებელი და კარგი კვება“ უნდა უზრუნველყოს, რაზეც წინამორბედ კომპანია „ქართულ კვებასთან“ შეკითხვები არსებობდა.

ქართული ჯარის კვებას 2015 წლის 15 თებერვლიდან შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“ ახორციელებს.



„მოდი, ჩავატაროთ თავისუფალი რეფერენდუმი, ხაზს ვუსვამ, თავისუფალი, წნეხის გარეშე, და ვკითხოთ ხალხს — საით უნდა და საით არ უნდა. არ გაინტერესებთ, ნატო, საერთოდ, უნდათ თუ არა? ან გონივრულია თუ არა ახლა ნატოში შესვლა, მაშინ, როდესაც ნატოსკენ ნაბიჯის გადადგმა და აქ რუსის ტანკის შემოგრუხუნება, ერთი იქნება?“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გია კორკოტაშვილი:

# არ გვილებს ეს ნატო კარს და ძალით ვეტენებით?!

**„ეს ყველაფერი უნდა დასრულდეს. ჩვენ გადავდივართ მოქმედებაზე, სხვა გზა აღარ დარჩა“, — ამბობს ტელერადიოწამყვანი, საზოგადოებრივი გაერთიანება „ქართული მისიის“ წევრი გია კორკოტაშვილი.**



**— ბოლო ხანს ქვეყანაში ვითარება დაიძაბა. ოპოზიცია ამბობს, რომ ქვეყანაში ყველაფერი ცუდად არის, ხელისუფლება კი საპირისპიროს აცხადებს. თქვენ როგორ შეაფასებთ ვითარებას?**

— როგორ და რა პირობებში ცხოვრობს ხალხი, კარგად ვხედავთ. საზოგადოების უმრავლესობა, ფაქტობრივად, შიმშილობს. და ახლა რას ამტკიცებს ხელისუფლება, არავის აინტერესებს. წინა ხელისუფლებაც გამუდმებით ამბობდა, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგად იყო და, რაც მოიმკეს ამით, ვნახეთ. ასეა დღევანდელი ხელისუფლების საქმეც. ქვეყანაში სტაგნაციაა და ამას ვერაფრით დამალავ. სავალალო მდგომარეობაა — ადამიანების უმრავლესობა დაუსაქმებელია და რით უნდა იკვებოს? თუ ამას დროულად არ მიაქცია ყურადღება ხელისუფალმა, შეიძლება, მისი ხელისუფლებაში ყოფნა სავალალო შედეგით დასრულდეს. ამას ვერავითარი სიმპათია, რომელიც ბატონი ბიძინასადმი იყო, ველარ გადაფარავს.

**— ამ ხელისუფლების მთავარი დაპირება სამუშაო ადგილების შექმნა იყო, მაგრამ მხოლოდ „ნაკურთხი“ პრემიების გამოწერით არიან დაკავებულნი...**

— ცუდია, ადამიანს რაღაცას რომ დაჰპირდები და არ შეუსრულებ, მით უმეტეს, იმ ადამიანს, რომლის ხმითაც ხელისუფლებაში მოხვედი. **უბადლებულ 100 საწარმოზე ლაპარაკიც აღარ ღირს, რამდენიმე ქარხანა მაინც აემუშავებინათ. ყველა ვერა, მაგრამ საზოგადოების გარკვეული ნაწილი მაინც დასაქმდებოდა, ახლა კი არავინ არის დასაქმებული, მაღალჩინოსნებისა და მათი ნათესავ-მეგობრების გარდა.**

ვერა და ვერ გაძლა ამათი მუცელი — **ქვეყანაში ნეპოტიზმი ყვავის და ეს ყველაფერი უნდა დასრულდეს. ჩვენ გადავდივართ მოქმედებაზე, სხვა გზა აღარ დარჩა: პირველი — „ნაციონალური მოძრაობა“ საბოლოოდ უნდა მოშორდეს აქაურობას და დღევანდელ ხელისუფლებას აღარ უნდა ჰქონდეს იმის საშუალება, რაღაც მომენტებში თავისი უუნარობა „ნაციონალებს“ გადააბრალოს; მეორე — ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღვადგინოთ და ამისთვის ყველა რჯულის ადამიანს უნდა დაველაპარაკოთ — ჩრდილოელი იქნება ის, დასავლელი თუ აღმოსავლელი.** დიახ, სულაც არ მაინტერესებს ვილაც მეშჩანების ან ძალიან „პრადვინუტების“ აზრი და ძახილი, — ვაიმე, რუსეთუმე და პრორუსიაო. რუსეთუმე კი არა, საქართველოს რაც აძლევს ხელს, როგორც უფრო კარგად იქნება, ისე უნდა მოიქცეს და იქით უნდა წავიდეს. ადამიანს, რომელსაც საქართველო უყვარს და მიაჩნია, რომ მხოლოდ ამერიკაზე უნდა დაიდოს ფსონი, მწარედ ცდება.

**ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოგვარების გასაღები არის რუსეთში, დიახ, გასაღები იმისა, რომ ჩვენ აფხაზეთი და სამაჩაბლო დავიბრუნოთ.**

**— საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა გვაუწყა, რომ ნატოს კარი ჩვენთვის კვლავ დახურულია, თუმცა ხელისუფლება ნატოს კარზე კაკუნს ჯიუტად განაგრძობს...**

— რაღაც შიში აქვს ხელისუფლებას. ფიქრობს, ასე რომ არ მოიქცეს, ცუდი რამ მოჰყვება, არ იცის, რა გააკეთოს. და თქვენ ვინ ხართ, ხელისუფლების წარმომადგენლებო, ჩვენი არჩეულები არ ხართ? **მოდი, ჩავატაროთ თავისუფალი რეფერენდუმი, ხაზს ვუსვამ — თავისუფალი, წნეხის გარეშე, და ვკითხოთ ხალხს — საით უნდა და საით არ უნდა. არ გაინტერესებთ, ნატო საერთოდ უნდათ თუ არა? ან გონივრულია თუ არა ახლა ნატოში შესვლა, მაშინ, როდესაც ნატოსკენ ნაბიჯის გადადგმა და აქ რუსის ტანკის შემოგრუხუნება, ერთი იქნება,** თანაც არ გვილებს ეს ნატო კარს და ძალით ვეტენებით?! ხან მაპიო, ხან მაპზე უკეთესიო... კარგი რა, მართლა, თქვე კაი დედმამიშვილებო, უკაკუნეთ კარზე და იყავით, რით ვერ დაილალეთ...

სახელმწიფოებრიობის განცდა „ნაციონალების“ პერიოდში უფრო იყო, ვიდრე დღეს არის. როგორი სახელმწიფოსი — ეს სხვა თემაა, მაგრამ ფაქტია, რომ იყო. დღეს კი მე სახელმწიფოებრიობის განცდა არ მაქვს. ძალოვან სტრუქტურაში რამდენიმე ადამიანი კი ვიცი, მართლა ვაჟკაცურად რომ იბრძვის ყველაფერ ამის წინააღმდეგ, მაგრამ ისინი ამინდს ვერ ქმნიან. სიტყვამ მოიტანა და აუცილებლად უნდა ვთქვა: ხელისუფლებამ ისიც კი ვერ მოახერხა, ნაცკადრების ნაცვლად, ის ადამიანები მოეყვანა თანამდებობებზე, რომლებიც ერთგულად იმუშავებდნენ. ჰოდა, ახლა თუ რამე მოხდება ქვეყანაში და საბოტაჟს ექნება ადგილი, პასუხი უნდა აგონ იმ ადამიანებმა, რომლებსაც ამდენი ხნის განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური წევრები გვერდით ჰყავდათ.

**— საბოტაჟის რა გითხრათ, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობა“ 21 მარტს, ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით, აქციის გამართვას აპირებს და ბევრი საუბრობს მოსალოდნელ პროვოკაციებზე. თქვენ რას ელით?**

— **„ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავისი ჭირი მოჭამა უკვე. მართალია, მათ სურთ ქვეყანაში სიტუაცია აირიოს, მაგრამ არაფერი გამოუვათ. დიახ, დესტაბილიზაციის მოწყობა უნდათ, რადგან მხოლოდ ამ გზით თუ დაიბრუნებენ ხელისუფლებას, თორემ არჩევნების გზით ისინი ვერასოდეს მოვლენ ხელისუფლებაში.** იმუქრება კიდეც სააკაშვილი უკრაინიდან. უკრაინაში სააკაშვილის ყოფნა გავაპროტესტე და მივმართე კიდეც უკრაინელ ხალხს, მაგრამ რად გინდა?! — პოროშენკოსა და მისი გუნდის ხელისუფლებაში მოსვლა დასავლეთის სურვილით მოხდა, დასავლეთის მიერ ხელდასხმულები არიან. სააკაშვილი დესანტივით არის, ჩამოსვეს საქართველოში, რაღაც-რაღაცები გააფუჭ-გამოაფუჭებინეს, მერე ბოლომდე ვერ მიიყვანეს საქმე და გადასვეს უკრაინაში. ახლა უკრაინაშიც გააფუჭებს რაღაც-რაღაცებს და მერე, ბანგლადეშშიც თუ დასჭირდათ რაღაც-რაღაცების გაფუჭება, იქაც გადასხამენ. აი, ეს არის. ახლა ვრცელდება ინფორმაცია, სააკაშვილის დავალებით, 21 მარტის აქციისთვის „ბოევიკები“ ჩამოვიდნენ უკრაინიდანო. „ბოევიკები“ კი არა, ვინც გინდა, ჩამოვიდეს, სულ არ მედარდება, რადგან საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მიუღებელია „ნაციონალური მოძრაობა“. კაციშვილი აღარ დაემონება სააკაშვილს, აღარ ჩაიფურთხებს სულში!

ეს ხომ ზუსტად ვიცით!

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

**«ჩვენ გადავდივართ მოქმედებაზე, სხვა გზა აღარ დარჩა. პირველი — «ნაციონალური მოძრაობა» საბოლოოდ უნდა მოშორდეს აქაურობას და დღევანდელ ხელისუფლებას აღარ უნდა ჰქონდეს იმის საშუალება, რაღაც მომენტებში თავისი უუნარობა «ნაციონალებს» გადააბრალოს; მეორე — ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღვადგინოთ და ამისთვის ყველა რჯულის ადამიანს უნდა დაველაპარაკოთ — ჩრდილოელი იქნება ის, დასავლელი თუ აღმოსავლელი»**

## ქართველი «კავეენშიკების» წარმატებული დებიუტი უმაღლეს ლიგაში

**მხიარულთა და საზრიანთა კლუბების საერთაშორისო თამაშების უმაღლეს ლიგაში ქართველი „კავეენშიკების“ წარმატებული დებიუტი შედგა.**

14 მარტს მოსკოვში გამართულ მერვედფინალურ თამაშებში საქართველოს მხიარულთა და საზრიანთა ნაკრები დამაჯერებლად გამოვიდა და მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა.

შეგახსენებთ, რომ ეს გუნდი აქამდე წარმატებით გამოდიოდა სხვადასხვა ფესტივალებზე, ხოლო შარშან მხიარულთა და საზრიანთა კლუბების საერთაშორისო პრემიერ-ლიგის ჩემპიონი გახდა და ამით უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

როგორც ჩანს, გუნდმა გაამართლა დამსახურებული ნდობა, ვინაიდან უმაღლეს ლიგაში სულ 20 გუნდი ირიცხება, ხოლო ქართული გუნდი იმ 12 საუკეთესოს შორის მოხვდა, რომლებიც ჩემპიონობისთვის ბრძოლას გააგრძელებენ.

საქართველოს მხიარულთა და საზრიანთა ნაკრები გუნდი მადლობას უხდის რუსეთში ქართველთა კავშირს და პირადად ამ ორგანიზაციის პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ ხუბუტიას.

ქართველი „კავეენშიკები“, უკვე არა ერთი წელია, საერთაშორისო თამაშებში ამ ორგანიზაციის მხარდაჭერით გამოდიან.

გუნდის წარმატებული გამოსვლები იმის მანიშნებელია, რომ ეს თანამშრომლობა კვლავაც გაგრძელდება და ქართველ მხიარულებსა და საზრიანებს მომავალში კიდევ უფრო დიდ წარმატებებსაც მივულოცავთ.

მანამდე კი გვინდა, სასიამოვნო სიახლეც გაუწყოთ — ამავე გუნდის თაოსნობით მალე თბილისში ჩატარდება მხიარულთა და საზრიანთა „საქართველოს საერთაშორისო რეგიონული ლიგის“ თამაშები, რომლებიც ოფიციალურად არის ლიცენზირებული ალექსანდრე მასლიაკოვის ორგანიზაცია „ამიკ“-ის მიერ.

თამაშებში მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეეძლება. ამის შესახებ უფრო დეტალურ ინფორმაციას გუნდი უახლოეს მომავალში გაავრცელებს.




## «ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს» განცხადება

**„პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ 15 მარტს ზუგდიდში განვითარებული მოვლენების გამო გამოხატავს შეშფოთებას და აცხადებს, რომ არავის აქვს უფლება, სამართლებრივი სივრციდან გავიდეს. პარტია მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს, დროულად გამოიძიონ მომხდარი, რათა გამოვლინდნენ და დაისაჯონ დამნაშავეები.**

„ქართული ოცნება“ მოუწოდებს თავის წევრებს და მხარდამჭერებს, არ აჰყვნენ „ნაციონალური მოძრაობის“ პროვოკაციებს, რომელთა მიზანია, ხელოვნურად დაძაბონ სიტუაცია და შექმნან არეულობის განცდა საზოგადოებაში“, — აღნიშნულია განცხადებაში.

ზუგდიდში „ქართული ოცნების“ აქტივისტებსა და „თავისუფალი ზონის“ წევრებს შორის დაპირისპირება მოხდა. ფიზიკური დაპირისპირების შედეგად დაშავდნენ აქტივისტებიც და სამართალდამცველებიც.

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაეროს ბოლო მონაცემებით (2015 წლის 2 მარტი), უკრაინაში მიმდინარე ომს 6 ათასზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე შეეწირა, 15 ათასი დაიჭრა და დასახიჩრდა. იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობამ კი 900 ათასს გადააჭარბა. უკრაინის ეკონომიკა კი სულს ღაფავს და მხოლოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარების იმედადაა.**

# ნგრევა და ხოცვა-ჟლეტა დემოკრატიის სახელით

**„ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან აცილების“ საბაბითა და დემოკრატიის სახელით აშშ-სა და მის მოკავშირეებს უამრავი დანაშაული აქვთ ჩადენილი კაცობრიობის ისტორიაში. მათ მიერ სამხედრო და სპეცსამსახურების ძალებით ჩატარებული ოპერაციების შედეგად მოეწყო სახელმწიფო გადატრიალებები, დაემხო მთავრობები, დაიღუპა მილიონობით ადამიანი, მათ შორის, ბავშვები, უსახლკაროდ დარჩა უფრო მეტი...**


დანგრეული მართლმადიდებლური ტაძარი იუგოსლავიაში

**ლიბია**





«დემოკრატიამდე» «დემოკრატიის» შემდეგ

**ერაყი**



«დემოკრატიამდე» «დემოკრატიის» შემდეგ



აშშ-მა, რომელიც ამ სახელწოდებით 1776 წლის 4 ივლისს შეიქმნა, პირველი ომი ჯერ კიდევ 1622 წელს დაიწყო, როდესაც მისი არმია ჯეიმსტაუნში (ვირჯინიის შტატი) თავს დაესხა ინდიელებს. სულ კი ინდიელთა წინააღმდეგ ომში, რომელიც 1900 წლამდე გრძელდებოდა, **ამერიკელებმა ათეულ მილიონობით ინდიელი დახოცეს.** მას შემდეგ იყო **მექსიკელებისთვის ტეხასის წართმევა (1835 წ.), ჰავაის კუნძულების დაპყრობა (1898 წ.), შეჭრა პანამაში (1895-1903), ნიკარაგუაში (1896 წ.), ფილიპინებზე (1898 წ.), ჰონდურასში (1912 წ.), ატომური ბომბების ჩამოგდება ჰიროსიმასა და ნაგასაკიში (1945 წ.), ინტერვენცია კორეაში (1950-53 წ.), ნავთობზე კონტროლის დაწესების მიზნით სახელმწიფო გადატრიალება ირანში (1953 წ.), გვატემალაში (1954 წ.), პატრის ლუმუმბას მკვლელობა კონგოში (1960 წ.), დომინიკის რესპუბლიკის პრეზიდენტის — რაფაელ ტრუხილიოს მკვლელობა (1961 წ.), ლაოსის დაბომბვა (1971-1973 წ.), სახელმწიფო გადატრიალება და პრეზიდენტ ალიენდეს მკვლელობა (1973 წ.) ჩილეში. ომები კამბოჯაში, ავღანეთში, ერაყში.** ყველა დანაშაულის ჩამოთვლა შეუძლებელია, რადგან აშშ-ის ექსპანსიონისტურმა პოლიტიკამ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა დააზარალა და ეს ყველაფერი კეთდებოდა დემოკრატიული ფასეულობების დაცვის სახელით, სინამდვილეში კი ამერიკელი იმპერიალისტები მხოლოდ თავიანთი ინტერესების დაცვაზე ზრუნავდნენ — ეს არის ნავთობსაბადოებისა და წიაღისეულზე კონტროლის დამყარება და მსოფლიოზე ბატონობა. მსოფლიოზე ჰეგემონიის დასამყარებლად კი საუკეთესო იარაღი ე. წ. ლიბერალური დემოკრატიაა. როგორც აშშ-ის პრეზიდენტის, რონალდ რეიგანის, ადმინისტრაციის თანამშრომელი, ანალიტიკოსი **დაგ ბენდოუ ამბობს: „აშშ-მა, სადაც კი ჩაერია, ყველგან კატასტროფა გამოიწვია“.**

***1999 წლის 24 მარტიდან 10 ივლისის ჩათვლით,** ამერიკის შეერთებული შტატები, ნატოს სამხედრო ძალებთან ერთად, გაეროს გვერდის ავლითა და საერთაშორისო სამართლის ნორმების უგულებელყოფით 78 დღის განმავლობაში ბომბავდა სუვერენული სახელმწიფოს — **იუგოსლავიის** ტერიტორიას.

ამ სამხედრო ოპერაციამ, სახელწოდებით „სამოკავშირეო ძალა“, რომელიც დასავლეთმა ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან აცილების საბაბით დაიწყო, ევროპაში ყველაზე დიდი ჰუმანიტარული კატასტროფა გამოიწვია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამერიკა და ნატოს სამხედრო-საჰაერო ძალის თვითმფრინავებმა 32 ათასი გაფრენა განახორციელეს და იუგოსლავიის ტერიტორიაზე 21 ათასი ტონა ბომბი (მათ შორის — კასეტური) ჩამოყარეს, რაც სიმძლავრით 4-ჯერ აღემატება ამერიკელების მიერ 1949 წლის 6 აგვისტოს ჰიროსიმაში ჩამოგდებულ ატომურ ბომბს. **დაიღუპა 5 ათასზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის, 400 ბავშვი, 7 ათასი — დაიჭრა და დასახიჩრდა, მილიონზე მეტი — უსახლკაროდ დარჩა, განადგურდა მართლმადიდებლური ტაძრები, უდიდესი ზარალი მიადგა ბუნებას, სულ კი ზარალი 600 მლრდ დოლარად არის შეფასებული.**

***2003 წელს აშშ-ის მიერ ერაყის ოკუპაციის რეალური მიზანი** იყო არა სადამ ჰუსეინის დიქტატორული რეჟიმის შეცვლა ან მის ხელთ არსებული ბაქტეოროლოგიური (ციმბირის წყლული) იარაღის განადგურება, არამედ ერაყის ნავთობის საბადოების ხელში ჩაგდება. დამატებით მიზეზი იყო „ერაყის დემოკრატიზაცია“. ამერიკელებმა, რომლებმაც გაეროს უშიშროების საბჭო და მსოფლიოს საზოგადოება ურცხვად მოატყუეს, სადამ ჰუსეინი სიკვდილით დასაჯეს, იარაღი კი, რომლითაც ის ვითომ მსოფლიოს ემუქრებოდა, ვერსად იპოვეს. მოგვიანებით, 2003 წელს, აშშ-ის იმჟამინდელმა სახელმწიფო მდივანმა აღიარა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მონაცემები ერაყში ბაქტერიოლოგიური იარაღის არსებობის შესახებ, რომელმაც სათავე დაუდო სისხლისმწოველ ომს, ზუსტი არ იყო(!).

**ომის პერიოდში ერაყში მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპა, მათ შორის — 250 ათასი ქალი და ბავშვი. ამერიკელებმა ამ ომში გამოიყენეს აკრძალული იარაღი — თეთრი ფოსფორისგან დამზადებული ბომბები.**

***2011 წელს** დასავლური პრესა წერდა, რომ ლიბიაში აჯანყებულები მუამარ კადაფის რეჟიმს ქვეყანაში გამეფებული კორუფციისა და დუხჭირი სოციალური პირობების გამო დაუპირისპირდა, მაგრამ იმხანად ლიბიაში ჯანდაცვა და განათლება უფასო იყო, კომუნალური გადასახადები არ არსებობდა (წყალი და ელექტროენერგია უფასო იყო), 1 ლ ბენზინი 14 ცენტი ღირდა, ახალშობილებს სახელმწიფო 7 ათას დოლარს ჩუქნიდა, უმუშევრების დახმარება კი ყოველთვიურად 750 დოლარს შეადგენდა. მაგრამ დასავლეთმა (აშშ-მა და ნატოს ქვეყნებმა), „ლიბიის დემოკრატიზაციის“ საბაბით, 2011 წლის 19-31 მარტს განახორციელეს სამხედრო ოპერაცია Odyssey Dawn და დაამხეს კადაფის რეჟი-

▶

---

მოკლედ

## რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო: რუსეთს უფლება აქვს, ბირთვული იარაღი ყირიმშიც განათავსოს

**რუსეთს აქვს უფლება, ბირთვული იარაღი ქვეყნის ნებისმიერ რეგიონში, მათ შორის, ყირიმშიც, განათავსოს, — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შეიარაღების გაუვრცელებლობისა და კონტროლის დეპარტამენტის დირექტორმა მიხაილ ულიანოვმა.**

„რა თქმა უნდა, რუსეთს უფლება აქვს, ბირთვული იარაღი თავის ნებისმიერ ტერიტორიაზე განათავსოს, თუკი ამას საჭიროდ მიიჩნევს“, — აღნიშნა ულიანოვმა. აშშ-ის ქმედებები, რომელიც მოკავშირე ქვეყნების პილოტებს ბირთვული იარაღის გამოყენებას ასწავლის, საფრთხეს უქმნის გლობალურ სტრატეგიულ უსაფრთხოებას და ბირთვული განიარაღების მომდევნო ნაბიჯებს პრობლემურს ხდის, თუმცა ჯერჯერობით ყირიმში ბირთვული იარაღის განთავსების გეგმა არ არსებობს“, — განაცხადა **მიხაილ ულიანოვმა.**

2014 წელს ყირიმში რუსეთის ბირთვული შეიარაღების განთავსება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა არ გამორიცხა.



**ᲮᲝᲛ ᲜᲐᲗᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲘᲠᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲔᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲨᲘ, ᲠᲐᲗᲐ ᲒᲐᲐᲗᲔᲗᲠᲝᲜ ᲔᲠᲗ ᲓᲠᲝᲡ „ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲨᲣᲥᲣᲠᲐᲓ“ ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ „ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲫᲐᲦᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ“ ᲛᲘᲔᲠ ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲣᲢᲘᲝᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲗᲐ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲔᲡ — ᲠᲣᲡᲔᲗᲡ.**

ᲒᲔᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მი. ქვეყანა კი, ფაქტობრივად, დაიშალა. ახლა იქ ძალაუფლება ხელში აქვთ შეიარაღებულ რაზმებს, რომლებიც ტერიტორიულ-ტომობრივ პრინციპზე შეიქმნა. **ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲗᲐ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲚᲘᲑᲘᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ Ე. Წ. ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘᲐ, ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐ ᲞᲠᲝᲕᲝᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐ ᲛᲘᲖᲜᲐᲓ ᲘᲡᲐᲮᲐᲕᲓᲐ ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲖᲔ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲐᲡ.**

**ᲜᲐᲢᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ ᲠᲐᲙᲔᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲝᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲘᲗ ᲚᲘᲑᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲦᲣᲞᲐ 20 ᲐᲗᲐᲡᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲚᲢᲝᲚᲕᲘᲚᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ — 180 ᲐᲗᲐᲡᲘ, ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ ᲙᲘ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲛᲝᲘᲨᲐᲚᲐ.**

*უკრაინის დედაქალაქ კიევში მასობრივი საპროტესტო აქცია — ევრომაიდანი 2013 წლის 21 ნოემბერს დაიწყო და 2014 წლის თებერვალში სახელმწიფო გადატრიალებით — პრეზიდენტ იანუკოვიჩის რეჟიმის დამხობით — დასრულდა. მასობრივი გამოსვლების მიზეზი, აქციის მონაწილეთა თქმით, უკრაინის ხელისუფლების მიერ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერის შეჩერება იყო.

სინამდვილეში კი ყველაფერი აშშ-ისა და ევროკავშირის ძალისხმევით მოხდა. აშშ, რომელმაც, ექსპერტთა ცნობით, უკრაინაში მისთვის სასურველი ხელისუფლების მოსაყვანად ათეულობით მილიარდი დოლარი დახარჯა, თავის ზრახვებს არ მალავდა — აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ვიქტორია ნულანდი და აშშ-ის ელჩი უკრაინაში ჯეფრი პაიეტი აქციის მონაწილეებთანაც კი გადიოდნენ გასამხნევებლად. ამ აქციებმა კიევსა და ოდესაში 106 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. შემდეგ იყო ყირიმის გასვლა უკრაინის შემადგენლობიდან და რუსეთთან მიერთება, შემდეგ — უკრაინის ახალი ხელისუფლების მიერ ე. წ. ანტიტერორისტული ოპერაცია აღმოსავლეთ უკრაინაში და უკრაინელი ნაცისტებისა და დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო ლაშქრის დაპირისპირება.

**ᲒᲐᲔᲠᲝᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ (2015 ᲬᲚᲘᲡ 2 ᲛᲐᲠᲢᲘ), ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲝᲛᲡ 6 ᲐᲗᲐᲡᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲨᲔᲔᲬᲘᲠᲐ, 15 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲓᲐᲘᲭᲠᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲘᲩᲠᲓᲐ, ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲣᲚ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐᲛ ᲙᲘ 900 ᲐᲗᲐᲡᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲭᲐᲠᲑᲐ. ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ ᲡᲣᲚᲡ ᲚᲐᲤᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲕᲐᲚᲣᲢᲝ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲐᲓᲐᲐ.**

# ᲡᲐᲮᲓᲔᲞᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛᲝᲡᲘᲚᲘᲐ, ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲝᲡ




**ქართველთა და უკრაინელთა მეგობრობას ღრმა ფესვები აქვს: დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი 50 წლის განმავლობაში ცხოვრობდა უკრაინაში — მირგოროდში, და იქ არის დაკრძალული; ცნობილი უკრაინელი პოეტი ლესია უკრაინკა (ლარისა კოსაჩ კვიტკა) კი, რომელიც ამბობდა, უკრაინელი რომ არ ვიყო, ვისურვებდი, ქართველი ვყოფილიყავიო, წლების განმავლობაში საქართველოში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა; 1880-1886 წლებში თბილისის პირველ გიმნაზიაში სწავლობდა ცნობილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, უკრაინის სახალხო რესპუბლიკის რადის თავმჯდომარე (1917-1918) მიხეილ გრუშევსკი. უკრაინაში დღესაც ბევრი ქართველი ცხოვრობს და მოღვაწეობს და ასევე, საქართველოშიც ცხოვრობენ და მოღვაწეობენ უკრაინელები...**

ბოლო ხანს კი ქართულ-უკრაინულ ურთიერთობაში დიდი ბზარი გაჩნდა. აშშ-ის მიერ ხელდასხმულმა **ᲞᲔᲢᲠᲔ ᲞᲝᲠᲝᲨᲔᲜᲙᲝᲛ**, რომელსაც თანამემამულეების სისხლში აქვს ხელები გასვრილი, უკრაინის მთავრობაში ქართველთა სისხლში ხელგასვრილი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები დანიშნა. მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, საქართველოზე 11-ჯერ მეტ (45 მლნ) უკრაინაში საქართველოს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა დანიშვნა ქართველი ერის შეურაცხყოფაა, რადგან იმ ადამიანებს, რომლებიც უკრაინის მთავრობაში დაინიშნენ, უამრავი დანაშაული აქვთ ჩადენილი ქართველი ხალხის წინაშე.

აი, რა განაცხადა ამ საკითხზე საქართველოს პრემიერმინისტრმა **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ:** „ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენ მიერ ძებნილი, ინტერპოლით ძებნილი ადამიანები კომფორტულად არიან მოკალათებული უკრაინის მთავრობაში. ეს საზიანოა უკრაინის მთავრობისთვის, მათი იმიჯისთვის. პირადად ვესაუბრე პრეზიდენტ პოროშენკოსა და პრემიერ იაცენიუკს. ვუთხარი, რომ ეს აზიანებს ჩვენს ურთიერთობებს და არ არის სასიამოვნო. მე ვერ ავუხსნი ქართველ ხალხს, რატომ შეიძლება დაინიშნოს ჩვენი მეგობარი უკრაინის მთავრობაში ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი **ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ,** რომელიც დანაშაულებრივი რეჟიმის ერთ-ერთი წევრი იყო, რომლის დროსაც 300 ათასი ადამიანი გასამართლდა, ან ვანო მერაბიშვილის მოადგილე, რომელიც წლების განმავლობაში დანაშაულებრივი რეჟიმის გამამართლებელი იყო. ეს, პირველ რიგში, მათთვის არის დამაზიანებელი, რადგან, ეს იყო სასტიკი რეჟიმი. სამწუხაროა, მაგრამ ეს მათი არჩევანია, ეს არის მათი სუვერენული უფლება. როგორ შეიძლება, **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲕᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ,** რომელმაც პრაქტიკულად დაანგრია ჯანდაცვის სისტემა საქართველოში, უკრაინის ჯანდაცვის მინისტრი გახდეს?! ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ მაქსიმალურად დავხმარებოდით უკრაინის მთავრობას, მაგრამ მსგავსი ნაბიჯები არ იქნება სასარგებლო ჩვენს ურთიერთობაში“.

რა თქმა უნდა, **ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲞᲝᲠᲝᲨᲔᲜᲙᲝᲛ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲕᲠᲐᲓ ᲘᲪᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲯᲐᲚᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲗᲥᲕᲐ, „ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ“, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲐᲕᲡ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲫᲐᲚᲐ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲗ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ (ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ, „ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡᲐ“ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲑᲔᲕᲠᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲙᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲨᲘ ᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲛᲐ) ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲔᲑᲡ ᲕᲔᲠ „ᲒᲐᲓᲐᲐᲮᲢᲔᲑᲘᲐᲜ“. ᲮᲝᲛ ᲜᲐᲗᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲘᲠᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲔᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲨᲘ, ᲠᲐᲗᲐ ᲒᲐᲐᲗᲔᲗᲠᲝᲜ ᲔᲠᲗ ᲓᲠᲝᲡ „ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲨᲣᲥᲣᲠᲐᲓ“ ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ „ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲫᲐᲦᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ“ ᲛᲘᲔᲠ ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲣᲢᲘᲝᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲗᲐ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲔᲡ — ᲠᲣᲡᲔᲗᲡ.**

***მიწაზე ხოხვის მოყვარულ, ჰალსტუხისმღეჭველსა და ამჟამად უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველ მიხეილ სააკაშვილს 9-წლიანი მმართველობის პერიოდში უამრავი სასტიკი დანაშაული აქვს ჩადენილი.** ეს არის განათლების სისტემის მოშლა; ღვაწლმოსილი მეცნიერების ქუჩაში გაყრა; 2007 წლის 7 ნოემბერსა და 2010 წლის 26 მაისს მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევა, ახალგაზრდების ქუჩაში დახვრეტა; ბიზნესმენების დაწიოკება; საპყრობილეში პატიმრების წამება და გაუპატიურება; 2008 წლის აგვისტოს ომი და ტერიტორიების დაკარგვა და ა. შ.

**ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲙᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲔᲑᲘ „ᲩᲐᲣᲨᲕᲐ“, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲠᲮᲘᲡ ᲗᲝᲥᲨᲝᲣ „ᲨᲣᲡᲢᲔᲠ LIVE“-ᲨᲘ ᲬᲐᲛᲝᲠᲝᲨᲐ: „ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, ᲔᲕᲠᲝᲞᲔᲚᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲔᲕᲠᲝᲞᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲐᲜ. ᲮᲐᲚᲮᲘ ᲙᲕᲓᲔᲑᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲘᲓᲔᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲮᲐᲖᲘ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ“.**





*სააკაშვილის გუნდის მეორე წევრი **ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ ᲖᲦᲣᲚᲐᲫᲔ** უკრაინის შს მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. ეს ის ზღულაძეა, რომელსაც 2006-2012 წლებში საქართველოს შს მინისტრის მოადგილის პოსტი ეკავა. სწორედ ამ პერიოდში მოკლეს სანდრო გირგვლიანი, ზურაბ ვაზაგაშვილი, გიორგი გამცემლიძე, სასტიკად დაარბიეს მშვიდობიანი აქციები, შეიჭრნენ ტელეკომპანია „იმედში“ და ა. შ.

*უკრაინის ჯანმრთელობის დაცვის ამჟამინდელმა მინისტრმა **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲕᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ**, რომელსაც სააკაშვილმა 2008-2010 წლებში საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო ჩააბარა, ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, „ფაქტობრივად, დაანგრია საქართველოს ჯანდაცვის სისტემა“.

აი, როგორ ახასიათებს უკრაინელი პოლიტოლოგი მიხაილ პოგრებინსკი ალექსანდრე კვიტაშვილს: **„ᲩᲕᲔᲜᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲔᲒᲔᲑᲐ, ᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲣᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲐ“.**

*„ნაცმოძრაობის“ კიდევ ერთი წარმომადგენელი **ᲒᲘᲐ ᲒᲔᲬᲐᲫᲔ** უკრაინის იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილედ დაინიშნა. ეს ის გია გეწაძეა, რომელმაც სახელი ე. წ. ბოთლების სკანდალით გაითქვა. 2004 წელს, როდესაც იმერეთის გუბერნატორი იყო, გაზეთმა „ჯორჯიან თაიმსმა“ გამოაქვეყნა ფოტომასალა, სადაც ასახული იყო იმერეთის გუბერნატორის „ბოთლთან კეკლუცის“ ამბავი — **ᲒᲔᲬᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ ᲣᲙᲐᲜᲐᲚᲖᲔ ᲩᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲙᲐᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲑᲝᲗᲚᲨᲘ ᲩᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ.**

აი, ასეთი ადამიანები დანიშნეს უკრაინის მთავრობაში. თუმცა, როგორც საქართველოში უკრაინის ელჩმა განაცხადა, „უკრაინა სუვერენული(?) სახელმწიფოა და მისი გადასაწყვეტია(?), ვის სად დანიშნავს“.

ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ სისხლიანი ნაცრეჟიმის მამაც და შვილებიც!

**მოამზადა**
**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔᲛ**

---

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

## ᲘᲔᲜᲡ ᲡᲢᲝᲚᲢᲔᲜᲑᲔᲠᲒᲘ: ᲜᲐᲢᲝ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲕᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ

**ნატო არ აპირებს, სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის კონფლიქტში ჩაერთოს, ვინაიდან ეს ქვეყანა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პასუხისმგებლობის სფეროში არ არის, — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ტელეკომპანია „სქაი-ნიუსის“ ეთერში.**

„უკრაინა არ არის ნატოს წევრი, სწორედ აქ არის განსხვავება. უსაფრთხოების გარანტიები ალიანსის წევრებზე მოქმედებს“, — განაცხადა სტოლტენბერგმა.

ალიანსის გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ კიევს ნატოსგან ძლიერი პოლიტიკური მხარდაჭერა აქვს და ალიანსი არასოდეს შეეგუება იმ ქმედებებს, რომელთაც რუსეთი უკრაინაში სჩადის. მისივე თქმით, ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ეტაპზე უკრაინის კრიზისის აღმოსაფხვრელად მინსკის შეთანხმების განხორციელებაა.



ქრონიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ინტერვიუ რუსეთის პრეზიდენტთან, რომელსაც ავტორებმა „საკვანძო სიუჟეტი“ უწოდეს, არის ღერძი, რომელზეც აგებულია ეს ორსაათ-ნახევრიანი დოკუმენტური ფილმი, ხოლო ფაქტობრივი მასალა (მოვლენების მონაწილეებთან საუბრები, რეკონსტრუირებული მოვლენები და ა.შ.) რესპონდენტის პოზიციას, მისი დასკვნებისა და დებულებების ილუსტრირებაა.**

# ოპერაცია «გზა შინისაკენ»

## ვლადიმერ პუტინმა ყირიმის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებაზე «მწვანე კაცუნებსა» და კიევში განხორციელებულ გადატრიალებაზე ისაუბრა

**ანდრეი კონდრაშოვის ფილმმა „ყირიმი. გზა სამშობლოსაკენ“ ეკრანზე გამოსვლამდე კარგა ხნით ადრე ააფორიაქა საზოგადოებრივი აზრი, არნახულად დიდი ინტერესი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია სოციალურ ქსელებში. იშვიათი შემთხვევაა. 15 მარტს, ღამის 11 საათზე, ტელეარხ „როსია 1“-ის ეთერში მილიონობით მაყურებელმა იხილა ეს დოკუმენტური ფილმი, რომელსაც 8 თვის განმავლობაში — შარშანდელი სექტემბრიდან წლევანდელი თებერვლის პირველ ნახევრამდე იღებდნენ სევასტოპოლსა და ფოროსში, სიმფეროპოლსა და ქერჩში, იალტასა და ბაღჩისარაიში, ყირიმის სხვა ქალაქებში.**



**«არ მინდა, შევაფასო იანუკოვიჩის მოქმედება, მისი საქმიანობა. მან თქვა, რომ არ შეეძლო, ხელი მოეწერა ბრძანებისთვის იარაღის გამოყენების შესახებ... მაგრამ ამის გამო შეიძლება თუ არა მისი გაკიცხვა, არ ვიცი»**

მკითხველს უთუოდ დააინტერესებს ასეთი დეტალიც: არც ოპერატორებმა, არც სტატისტებმა ზუსტად არ იცოდნენ, რას იღებდნენ — ტელესიუჟეტებს, დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმის მასალებს. სამუშაოს დამთავრების შემდეგ კი ხელი მოაწერეს დოკუმენტს ინფორმაციის გაუთქმელობის შესახებ.

ფილმი ჯერ მხოლოდ დაანონსებული იყო, როცა "ენციკლოპედიური განათლებულობით" გამორჩეულმა აშშ ადმინისტრაციის "მოლაპარაკე თავმა" ჯენ ფსაკიმ (ფსაკი, მოგეხსენებათ, გვარია), თავისი შესაძლებლობები გამოავლინა კინომცოდნეობაში და დარწმუნებით განაცხადა, რომ ეს დოკუმენტური ფირი პროპაგანდისტული ოპუსია, რომელიც „სრულად ესადაგება მცდარ მიდგომას უკრაინის აღმოსავლეთში განვითარებულ მოვლენებში რუსეთის მონაწილეობის უარყოფის შესახებ“.

არ ენახა, ისე ამბობდა. ნათელმხილველი.

**რატომ აჩქარდა ქალბატონი ფსაკი? იმიტომ, რომ დაავალეს, არიქაო! ეს — ერთი. იმიტომ აჩქარდა, რომ ასე სჭირდებოდა აშშ კონტრპროპაგანდას: წინასწარ, ფილმის დემონსტრირებამდე შეექმნა მისდამი ნეგატიური დამოკიდებულების ფონი. ეს — მეორე. და მესამე — იმიტომ, რომ ამერიკა ყველგან და ყველაფერში მართალი უნდა იყოს, მაშინაც კი, როცა ბაიბურში არ არის.**

ფსაკისგან გაგვკვირვებია?!

ფილმი საზოგადოებრიობამ იხილა და მას, ამ საზოგადოებრიობას აქვს შესაძლებლობა, თვითონ შეაფასოს, გაიზიაროს ან გაემიჯნოს იმ პასუხებს, რომლებიც მიიღო რუსეთის ტელეარხებით წინასწარ დაანონსებულ კითხვებზე: **რით დაიწყო ყველაფერი? როგორ შეიქმნა ყირიმის მოხალისეთა ლაშქარი? ვინ იყო მისი ლიდერი? როგორ განაიარაღეს უკრაინის შეიარაღებული ძალების 193 სამხედრო ნაწილი ისე, რომ წვეთი სისხლი არ დაღვრილა? რატომ გახდა აუცილებელი ცეცხლის გახსნა და შტურმი ფეოდოსიაში? სად და როგორ დაუპირისპირდა რუსეთის არმია ნატოს დანაყოფებს? რაზე ელაპარაკა იმ დღეებში ვლადიმირ პუტინი აშშ პრეზიდენტს ბარაკ ჰუსეინ ობამას?**

ამ და ბევრს სხვა საკითხზეა საუბარი 50-ე მეტ ინტერვიუში, რომლებიც ფილმის ავტორებმა ჩაიწერეს, მაგრამ „მთავარი სიუჟეტი“, მათივე თქმით, რუსეთის პრეზიდენტისთვის „ცხელ კვალზე“ ჩამორთმეული ინტერვიუა.

**ერთხელ კიდევ თვალი გადავავლოთ მოვლენათა განვითარების ქრონოლოგიურ ქარგას.**

**2014 წლის 22 თებერვალს** უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა. პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი იძულებული შეიქნა, სასწრაფოდ გახიზნულიყო კიევიდან: უკრაინის უმაღლესმა რადამ მას უფლებამოსილება შეუწყვიტა. იანუკოვიჩმა თხოვნით მიმართა პუტინს, გადაერჩინა უეჭველი დაღუპვისგან. ფილმში პუტინი დეტალურად საუბრობს იმაზე, თუ როგორ გადაარჩინეს უკრაინელი კოლეგა აშკარა სიკვდილს.

„ეს იყო **22 და 23 თებერვალს** შორის ღამეს, დავამთავრეთ დილის 7 საათისთვის, ყველა გავუშვი და დასაძინებლად წავედი... ვიდრე დავიშლებოდით, არ დაგიმალავთ, ყველა ჩემს კოლეგას, ისინი კი ოთხნი იყვნენ, — **აზუსტებს პუტინი,** — ვუთხარი, რომ სიტუაცია უკრაინაში იმგვარად განვითარდა, რომ **იძულებული ვართ, დავიწყოთ მუშაობა ყირიმის რუსეთთან შემოსაერთებლად“.**

ეს ითქვა სოჭის ზამთრის ოლიმპიადის დახურვის წინა ღამეს, და პირველი განკარგულება, რომელიც პუტინმა გასცა, სპეცსამსახურებსა და თავდაცვის სამინისტროს კი არ ეხებოდა, არამედ პრეზიდენტის ადმინისტრაციას, რომლის სპეციალისტებმა სოციოლოგებთან ერთად ყირიმში ჩაატარეს დახურული გამოკითხვა. გაირკვა, რომ **რუსეთთან შეერთებას მხარს უჭერდა გამოკითხულთა 75 პროცენტი.**

ეს კი ნიშნავდა, რომ „რუსეთის შემადგენლობაში ყირიმის დაბრუნება“ ჯერ კიდევ გამოკითხვის ჩატარებამდე იყო დაწყებული, მაგრამ იმხანად „შემოერთებაზე“ ლაპარაკი არ ყოფილა.

მხოლოდ ვითარება შეისწავლეს.

ასე განაცხადა ვლადიმერ პუტირნმა **4 მარტს** ნოვოოგარევოში გამართულ პრესკონფერენციაზე.

ამ პრესკონფერენციამდე რამდენიმე დღით ადრე ყირიმის პრემიერმინისტრმა **სერგეი აქსიონოვმა** რუსეთის პრეზიდენტს სთხოვა, დახმარებოდა ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში.

**იმავე დღეს** პუტინი მიმართავს ფედერაციის საბჭოს და ითხოვს ნებართვას უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ, ამ ქვეყანაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ნორმალიზაციამდე. უმაღლესმა პალატამ დადებითი გადაწყვეტილება ერთხმად მიიღო.

რეფერენდუმზე, რომელიც **16 მარტს** გაიმართა, **ყირიმის მოქალაქეთა 96,77 პროცენტმა, სევასტოპოლის მოქალაქეთა 95,6 პროცენტმა მხარი დაუჭირა რუსეთთან შეერთებას.**

**17 მარტს** ყირიმის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სუვერენიტეტის შესახებ. იმავე დოკუმენტით უმაღლესმა საბჭომ თხოვნით მიმართა რუსეთს, მიეღო ყირიმი რუსეთის შემადგენლობაში ახალ სუბიექტად რესპუბლიკის სტატუსით.

**2014 წლის 18 მარტს** პუტინმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ყირიმის ნახევარკუნძულის რუსეთის შემადგენლობაში მიღების შესახებ. „რა თქმა უნდა, ჩვენ უარს ვერ ვეტყოდით ამ თხოვნაზე, ვერ დავტოვებდით ყირიმსა და მის მცხოვრებლებს უბედურების მოლოდინში, ეს იქნებოდა ღალატი“, — განაცხადა პუტინმა.

თუმცა, როგორ დაეხმარა რუსეთი ყირიმს, იმ დროს არ გაცხადებულა.

ისიც სათქმელია, რომ **2014 წლის 24 ოქტომბერს** საერთაშორისო სადისკუსიო კლუბ „ვალდაიში“ სიტყვით გამოსვლისას რუსეთის პრეზიდენტს არ დაუმალავს, რომ ყირიმში „უკრაინის სამხედრო დანაყოფების ბლოკირებისთვის“ გამოყენებული იყო რუსეთის შეიარაღებული ძალები.

საინტერესოა, რომ პუტინის განცხადება კიევში შეაფასეს, როგორც **„გულწრფელობის იშვიათი გამოვლენა“.**

ინტერვიუ რუსეთის პრეზიდენტთან, ეს „საკვანძო სიუჟეტი“, არის ღერძი, რომელზეც აგებულია ეს ორსაათ-ნახევრიანი დოკუმენტური ფილმი, ხოლო ფაქტობრივი მასალა (მოვლენების მონაწილეებთან საუბრები, რეკონსტრუირებული მოვლენები და ა.შ.) რესპონდენტის პოზიციის, მისი დასკვნებისა და დებულებების ილუსტრირებაა.

შეიძლება, პირიქითაც ითქვას, იმდენად ორგანულად არის წარმოდგენილი უახლესი ისტორია „ცხელ კვალზე“: ასე იყო!

**ფილმი იწყება მწვავე სიუჟეტით, თუ როგორ იყო ორგანიზებული უკრაინის ჯერ კიდევ ლეგიტიმური პრეზიდენტის — იანუკოვიჩის გადარჩენის ოპერაცია.**

22 თებერვალს იგი ხარკოვში გაიქცა, საიდანაც ტელეეთერში განაცხადა, რომ კიევში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, რომ არ აპირებს გადადგომას და რადას გადაწყვეტილება მისთვის უფლებამოსილების ჩამორთმევის შესახებ არალეგიტიმურია. ხარკოვიდან დონეცკში გადავიდა, იქიდან რუსეთში აპირებდა გამგზავრებას, მაგრამ უკრაინელმა მესაზღვრეებმა არ გაატარეს ქვეყნის საზღვარზე.

იგი საშველად მიმართავს ვლადიმერ პუტინს.

ჩატარდა ოპერაცია, რომლის ანალოგი ძნელად თუ მოიძებნება ისტორიაში: მეზობელი ცეცხლმოდებული ქვეყნიდან საიდუმლოდ იქნა ევაკუირებული პრეზიდენტი.

— რადიოდაკვირვების ჩვენი სამსახურები კვალში ჩაუდგნენ მის კორტეჟს, — **იხსენებს ვლადიმერ პუტინი,** — ნათელი გახდა, რომ ვიქტორ იანუკოვიჩი მალე ჩასაფრებულთა ალყაში მოექცეოდა. მას მოკლავდნენ.

მისი გადარჩენის ოპერაციის დეტალები მთელი წლის განმავლობაში მკაცრად იყო გასაიდუმლოებული.

ეს ვირტუოზული ოპერაცია, პუტინის თქმით, 23 თებერვლის დილის 7 საათისათვის დასრულდა. იმ ღამესვე უთხრა მან „ღამის შეხვედრის“ მონაწილეებს, რომ უნდა დაიწყონ მუშაობა ყირიმის დასაბრუნებლად რუსეთის შემადგენლობაში. (ჩვენს მკითხველებს, ალბათ, არ სჭირდებათ იმის გახსენება, თუ როგორ გადასცა საბჭოთა კანონმდებლობის სრული უგულებელყოფით, ვოლუნტარისტმა ხრუშჩოვმა ყირიმი უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას. ამით ნიკიტა შეეცადა უკრაინის ცეკას პირველი მდივნობისას ჩადენილი თავისი დანაშაულის — მასშტაბური რეპრესიების — გადაფარვას და უკრაინელების გულის მოგებას).

**პუტინი:** — ჩვენ ვერ მივატოვებდით ამ ტერიტორიას და ადამიანებს, რომლებიც იქ ცხოვრობენ, ბედის ანაბარა, ნაციონალისტების სატკეპნი მანქანის გადასავლელად. შესაბამისი ამოცანები დავუსახე. ვუთხარი, რა და როგორ უნდა გაეკეთებინათ. იქვე ხაზი გავუსვი, რომ ამას გავაკეთებდით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აბსოლუტურად დავრწმუნდებოდით, რომ ასე სურდათ ადამიანებს, რომლებიც ყირიმში ცხოვრობენ. მათ უნდა მიეცეს თვითგამორკვევის, თავიანთი აზრის გამოხატვის საშუალება. ასეთი იყო ჩვენი მიზანი. აბსოლუტურად გულახდილად, პატიოსნად გეუბნებით. ვიფიქრე, თუ ადამიანები ასე მოისურვებენ, ასეც უნდა მოხდეს. ექნებათ მეტი ავტონომია, რაღაც უფლებები, მაგრამ უკრაინის სახელმწიფოს შემადგენლობაში დარჩებიან. მაგრამ, თუ სხვანაირად მოისურვებენ, მაშინ ჩვენ მათ ვერ მივატოვებთ.

**კიევში ვითარება უკიდურესად რთულდება, იღუპებიან ადამიანები. ანდრეი კონდრაშოვი ეკითხება პუტინს:**

**— იანუკოვიჩი, ალბათ, გირეკავდათ და შეხვედრას გთხოვდათ?**

— დიახ, დიახ! პირველად მან 21 თებერვლის საღამოს დამირეკა. მითხრა, რომ აპირებდა ხარკოვში გამგზავრებას რეგიონულ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად. არ დაგიმალავთ, რომ ამის თაობაზე ჩემი მოსაზრება პირდაპირ ვუთხარი — ასეთ სიტუაციაში უმჯობესია დედაქალაქში დარჩენა. მიპასუხა, რომ კიდევ დაფიქრდებოდა და კვლავ დამირეკავდა.

შემდეგ მართლაც დამირეკა და მითხრა, რომ მაინც გადაწყვიტა გამგზავრება. ვურჩიე, რომ დამატებით არ გაეყვანა სამართალდამცველები. ეს კარგად მესმისო, მიპასუხა, გაემგზავრა და სამართალდამცველი ყველა ძალა მაინც გაიყვანა...

იმავე დღეს ოპოზიციამ, როგორც იცით, ხელთ იგდო პრეზიდენტისა და მთავრობის ადმინისტრაცია. 22-ში კვლავ დამირეკა (იანუკოვიჩმა) და მითხრა, რომ ხარკოვში იმყოფება, ჩემთან შეხვედრა და კონსულტაციის გამართვა სურს... რა თქმა უნდა, ვუთხარი: მზად ვარ, შეგხვდეთ, სადაც თქვენთვის უფრო მოსახერხებელი იქნება.

როგორც კი იანუკოვიჩმა კიევი დატოვა, ერთმანეთის მიყოლებით უკრაინის დედაქალაქში ჩადიან: რადოსლავ სიკორსკი — პოლონეთიდან, ოლივიე ბაი — ევროკომისიიდან, ლიტვიდან კი — დალი გრიბაუსკაიტე და სამივე ერთ ხმაში განაცხადებს, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმებას ევროკავშირი ხელს მოაწერს უკრაინის ახალ ხელისუფლებასთან. ▶

ქრონიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რით დაიწყო ყველაფერი? როგორ შეიქმნა ყირიმის მოხალისეთა ლაშქარი? ვინ იყო მისი ლიდერი? როგორ განაიარაღეს უკრაინის შეიარაღებული ძალების 193 სამხედრო ნაწილი ისე, რომ წვეთი სისხლი არ დაღვრილა? რატომ გახდა აუცილებელი ცეცხლის გახსნა და შტურმი ფეოდოსიაში? სად და როგორ დაუპირისპირდა რუსეთის არმია ნატოს დანაყოფებს? რაზე ელაპარაკა იმ დღეებში ვლადიმირ პუტინი აშშ პრეზიდენტს — ბარაკ ჰუსეინ ობამას?**

**◀ ლეგიტიმური და მოქმედი პრეზიდენტი კიევის გადატრიალების ორგანიზატორებისთვის აშკარად ხელის შემშლელ ფაქტორად იქცა.**

**პუტინი:** — ჩვენთვის აშკარა გახდა, ინფორმაციასაც ვიღებდით, რომ ამზადებენ არა მხოლოდ მის *(იანუკოვიჩის)* ხელში ჩაგდებას, არამედ მოსპობას. არ არის ადამიანი, — როგორც ცნობილი ისტორიული პერსონაჟი ამბობდა, — არ არის პრობლემები. მოვლენების შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა, რომ თუ იგი არ იქნებოდა, ოპოზიციურ ძალებს გაუადვილდებოდა მათ წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება.

**22 თებერვალს იანუკოვიჩი რუსეთის პრეზიდენტს დონეცკიდან ურეკავს და შეხვედრას სთხოვს.**

**პუტინი:** — შევთავაზე, თუნდაც როსტოვში შევხვედროდით ერთმანეთს, გადაფრენისთვის დრო რომ არ დაეკარგა, მზად ვიყავი, ჩავსულიყავი. კიდევ ერთი ზარი გაისმა და ვიქტორ ფიოდოროვიჩის დაცვის თანამშრომლებმა გვითხრეს, რომ დიდი პრობლემები აქვთ და გამოფრენა არ შეუძლიათ. მართალი გითხრათ, მივხვდი, რომ ისეთი ექსტრაორდინალური რამ ხდებოდა, რომელიც ჩვეულებრივი სიტუაციის ჩარჩოებს სცილდებოდა. მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ იანუკოვიჩის კორტეჟს უკვე ესროლეს, ესროლეს უკრაინის გენერალურ პროკურორსაც და მისი დაცვის ერთ-ერთი თანამშრომელი დაჭრეს.

სახელმწიფო გადატრიალება ამ დროისთვის უკვე მომხდარი ფაქტია და ოპოზიციურ ძალებს დაწყებული აქვთ ოპერაცია მისი *(იანუკოვიჩის)* ხელში ჩასაგდებად ან მოსასპობად.

**რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებს მთავარსარდალმა უბრძანა, გადაერჩინათ ვიქტორ იანუკოვიჩი. მას სხვა სპეცსამსახურებიც ეძებდნენ, მაგრამ იანუკოვიჩის კორტეჟი, როგორც ფილმშია ნათქვამი, „თითქოს გაქრა აღმოსავლეთ უკრაინის სივრცეში“.**

**პუტინი:** — დონეცკიდან იგი ყირიმში წავიდა, მაგრამ მისი მოძრაობის რუკა რომ მაჩვენეს...

**კონდრაშოვი: — თქვენ თვალს ადევნებდით მის მოძრაობას?**

**პუტინი:** — მას შემდეგ, რაც იანუკოვიჩმა დამირეკა, რადიოთვალთვალის სამსახური კვალში ჩაუდგა მის კორტეჟს. მუდმივად ვიცოდით მისი ადგილსამყოფელის. მაგრამ, როცა რუკა მაჩვენეს, აშკარა გახდა, რომ იგი მალე წააწყდებოდა ჩასაფრებას. უფრო მეტიც, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, ჩასაფრებულ ტერორისტებს დადგმული ჰქონდათ მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევები, „საუბარი“ მოკლე რომ ყოფილიყო.

**კონტრაშოვი: — მის შეჩერებას, ჩანს, არც არავინ აპირებდა...**

**პუტინი:** — საფუძველი გვქონდა, გვევარაუდა, რომ მას, უბრალოდ, მოსპობდნენ. მისი დაცვის თანამშრომლებს მიაწოდეს ინფორმაცია, რომ მოძრაობის გაგრძელება არ შეიძლებოდა! საკმაოდ საინტერესო დიალოგებია, რადგან ღია კავშირით მიმდინარეობდა და ჩვენც ამით ვსარგებლობდით, რათა გაგვერკვია, სად იმყოფებოდა. მაგრამ იქამდე, ვიდრე მის ადგილსამყოფელს ტექნიკური საშუალებებით გამოვთვლიდით, მოვემზადეთ დონეცკიდან მის გამოსაყვანად — ხმელეთით, ზღვით და ავიაციის მეშვეობით.

**კონდრაშოვი: — ესე იგი, თქვენ უბრძანეთ სხვადასხვა დანაყოფს, გადაერჩინათ იანუკოვიჩი?**

**პუტინი:** — დიახ. რადგან იგი დონეცკიდან შორს იყო უკვე გამგზავრებული, კატარღებს 5-6 საათი დასჭირდებოდათ ნაპირთან მისაახლოვებლად.

**კონდრაშოვი: — თქვენ უთხარით, ნაპირისკენ წასულიყვნენ** *(იანუკოვიჩი და მისი თანმხლებნი)*, **ანუ გააფრთხილეთ, რომ მათ სიცოცხლეს საფრთხე ელოდა?**

**პუტინი:** — დიახ. ისინი შემობრუნდნენ. ჩვენ ვუთხარით, ნაპირთან სად უნდა გასულიყო კორტეჟი და გავგზავნეთ ვერტმფრენების ჯგუფი, სპეცდანიშნულების მებრძოლებით ბორტზე.

რომელიღაც მომენტში აშკარა გახდა, რომ *(საათნახევრიანი ამაო ძებნის მიუხედავად)* ვერტმფრენები ვერ პოულობდნენ კორტეჟს და მათ *(ვერტმფრენებს)* უმთავრდებოდა საწვავი. ისინი ბაზირების აეროდრომზე უნდა დაბრუნებულიყვნენ. მაგრამ სწორედ ამ დროს მფრინავებმა დაინახეს, რომ შორს ერთდროულად აენთო რამდენიმე ავტომანქანის ფარები, რომლებითაც თავიანთ ადგილსამყოფელზე მიანიშნეს.

**კონდრაშოვი: — როგორ მიხვდნენ, რომ ეს კორტეჟის ავტომანქანები იყო?**

**პუტინი:** — უკარნახეს.

**კონდრაშოვი: — უკარნახეთ თქვენ ან თქვენმა კოლეგებმა?**

**პუტინი:** — რა თქმა უნდა, ასე იყო. მფრინავებმა შეამჩნიეს ისინი და აიყვანეს... მაგრამ ეს ისტორია ამით არ დასრულებულა, რადგან ვიქტორ ფიოდოროვიჩმა არ ისურვა რუსეთში გახიზნვა და ითხოვა, ყირიმში გადაგვეყვანა. გაემგზავრა კიდეც ნახევარკუნძულზე. ასე რომ, ვიდრე გადატრიალებასთან დაკავშირებული მოვლენები ვითარდებოდა, იგი უკრაინის ტერიტორიაზე იმყოფებოდა. თუმცა რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ნათელი გახდა, რომ კიევში მოლაპარაკება უკვე არავისთან აღარ შეიძლებოდა, კვლავ გვთხოვა და იგი რუსეთის ტერიტორიაზე გადმოვიყვანეთ.

**კონდრაშოვი: — როცა მისი გადარჩენის შესახებ მოგახსენეს, რა განცდა დაგეუფლათ?**

**პუტინი:** — *(ამოიოხრებს)* განცდა, რომ გადავარჩინეთ მისი და მისი ოჯახის წევრების სიცოცხლე. ვფიქრობ, რომ ეს კეთილი საქმეა, კეთილშობილური. არ მინდა, შევაფასო იანუკოვიჩის მოქმედება, მისი საქმიანობა. მან თქვა, რომ არ შეეძლო, ხელი მოეწერა ბრძანებისთვის იარაღის გამოყენების შესახებ... მაგრამ ამის გამო შეიძლება თუ არა მისი გაკიცხვა, არ ვიცი. უფლებამოსილი არ ვარ, ეს გავაკეთო. უმოქმედობის შედეგები რომ მძიმეა, აშკარაა.

**P.S. ჯენ ფსაკისა და მისნაირებისთვის ფილმის დემონსტრირებას ინგლისური თარგმანი მიჰყვებოდა.**

**საგაზეთო ვარიანტი მოამზადა**
**არმაზ სანებლიძემ**

# პროდუქტების გაძვირებამ მოქალაქეების ჯიბეს დაარტყა

**2015 წლის დასაწყისი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას უსიამოვნო სიურპრიზებით დაამახსოვრდება... არადა, ეს ის 2015 წელია, ბიძინა ივანიშვილი რომ გვეუბნებოდა, კარგი წელი იქნებაო... თუმცა ყოფილი პრემიერი იხტიბარს არ იტეხს და ქართველთა გაუსაძლის ყოფაზე ამბობს, რომ საგანგაშო არაფერია და „ლარის გაუფასურება მოსახლეობას არ აზარალებს... “**



ივანიშვილმა ლარის კურსის გაუფასურებას ჯანსაღი პროცესი უწოდა და მოსახლეობას ურჩია, კაპიტალის სწორი დაბანდების მიზნით, კერძო ბანკირები დაექირავებინა: **„ლარი აჩვენებს, რომ ის ცოცხალი ორგანიზმია, ჯანმრთელი ორგანიზმია, ეს არის „რუსთავი 2“-ის აგიტაცია, ლარი არაფერს აჩვენებს, გარდა კარგისა, რაც ხდება გლობალურ პოლიტიკაში, რა თქმა უნდა, ის პოვებს ასახვას ჩვენს მოქალაქეებში. რაც შეეხება ვალებს, ეს არის ბიზნესპროცესი და მოსახლეობაც ამ პროცესში უნდა გაერკვეს, თუ არ ერკვევა, უნდა დაიქირავოს ბანკი ან ვინც ამ პროცესში ერკვევა, ბიზნესმენებიც კი ვერ ერკვევიან, ვერ ახერხებენ, სწორად გამოიცნონ, სად გადაიტანონ თავისი ფული, სად გადაიტანონ ლარში, დოლარში თუ სად. თუ გინდათ, ამ საკითხზე ნებისმიერ ექსპერტს დაველაპარაკები,“ — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა „ქრონიკასთან“ ინტერვიუში. (სტილი დაცულია. —ე.ნ.)**

ივანიშვილის რჩევების მიუხედავად, მოსახლეობა გამოსავალს ეძებს და ცდილობს, როგორმე იშოვოს დოლარში აღებული სესხის დასაფარავად საჭირო თანხა, რომელიც საგრძნობლად გაიზარდა.

ლარის გაუფასურებამ ყველაზე მეტად საშუალო ფენა დააზარალა. ეროვნული ვალუტის დევალვაციის ყველაზე მძიმე შედეგი, რომელიც მოქალაქეების ჯიბეზე აისახება, არის ის, რომ ბოლო რამდენიმე კვირაში პროდუქტები მკვეთრად გაძვირდა. გაძვირებულია საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები და წამლებიც.

ლარის მკვეთრი გაუფასურების შედეგად საქართველოში მედიკამენტები, სურსათი და ჰიგიენური საშუალებები თვალსა და ხელს შუა ძვირდება. სადაზღვევო კომპანიების ინფორმაციით, ყველა მედიკამენტზე ფასი 30%-ით გაიზარდა.

სააგენტო „კომერსანტის“ ინფორმაციით, იანვარში ბოსტნეული და ბაღჩეული 7,5%-ით გაძვირდა, 4,2%-ით გაიზარდა ხილის ფასიც. წინა წლის დეკემბერთან შედარებით, 4,5 პროცენტით გაიზარდა ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს ფასიც. ეს განპირობებულია აქციზის გაძვირებით. 1 მარტიდან კი აქციზის გადასახადმა ლუდზეც მოიმატა.

თბილისის ერთ-ერთი სუპერმარკეტის მენეჯერმა ჩვენთან საუბრისას თქვა:

— ყველაფერი გავაძვირეთ, ბრინჯითა და ზეთით დაწყებული, „ჩუპა-ჩუპსით“ დამთავრებული. წიწიბურა ისე გაძვირდა, რომ ხალხმა საყვედურებით აგვავსო. ამბობენ, მალე პურიც გაძვირდებაო. ბოლო ორი თვის განმავლობაში სურსათი ჩვენს სუპერმარკეტში 10-დან 20 პროცენტამდე გაძვირდა. იგივე ხდება სხვა მაღაზიებშიც. მართალია, ეს ჩვენც არ მოგვწონს, მაგრამ ისინი, ვინც გვამარაგებენ, თითქმის ყველაფერს დოლარში ყიდულობენ, და როცა გაძვირებულ პროდუქტს გვაწვდიან, ჩვენც, იძულებული ვხდებით, მომატებული ფასი დავადოთ.

გაძვირების გამო უკმაყოფილებას გამოთქვამს მოსახლეობაც. დიასახლისები ამბობენ, ყველაფერი გაძვირდა, შეიძლება 10-20-30 თეთრით, მაგრამ ეს ჩვენს ჯიბეს მნიშვნელოვნად აზარალებსო.

გაძვირდა ზეთი, ჩაი, ყავა, რძის პროდუქტები, ტკბილეული, ჰიგიენური საშუალებები...

თუ მანამდე ტყუილი „სუპის“ დამზადება 2-3 ლარი ჯდებოდა, ახლა მისი ფასი 5 ლარამდე ავიდა. კომბოსტო 1,20 თეთრი ღირს, ასეთი ფასი, როგორც მოვაჭრეები ამბობენ, არასოდეს ყოფილა. ახლა დიდი მარხვის პერიოდია, ამიტომ მწვანილის ფასმაც მოიმატა.

მცირე მეწარმეების თქმით, მათ ის პროდუქტები გააძვირეს, რომლებსაც დოლარშიც ყიდულობენ და ფასის მომატების გარეშე მისი რეალიზაცია წაგების ტოლფასია: „სურსათის ერთი ნაწილი 5-10 %-ით გავაძვირეთ. 1 მარტიდან ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზი გაძვირდა და მისი ფასიც მოიმატებს. ფასმა უკვე მოიმატა ჩაისა და ყავაზეც. 10 თეთრით გაძვირდა რძის პროდუქტები და ტკბილეული. მოიმატა ძეხვეულის ფასმაც. ცოტა გავაძვირეთ ბავშვთა საკვები, რასაც მომხმარებლის ყველაზე მეტი პრეტენზია მოჰყვა... რა ვქნათ, ჩვენც ხარჯები გვაქვს, — ფართობის ქირას ვიხდი, პერსონალს ხელფასს ვაძლევ. გარდა ამისა, პირადად მე და ძალიან ბევრს ბანკის ვალი გვაქვს და ბიზნესს ვერ შევაჩერებთ“, — ამბობენ მეწარმეები.

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა კი რამდენიმე დღის წინათ განაცხადა: **„არანაირი ეკონომიკური კრიზისი საქართველოში არ არის. საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა რეგიონში, რომლის ეკონომიკაც გაიზრდება. მართალია ცოტათი, მაგრამ მაინც“.** ხადურის გამოსვლაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ თავს ვალდებულად არა ხალხის, არამედ მთავრობის წინაშე თვლის: **„ჩვენ საქართველოს მთავრობის წინაშე ვიყავით პასუხისმგებელი და მთავრობას წარვუდგინეთ კიდეც 5 მარტის ინფორმაცია“.**

**«ლარის მკვეთრი გაუფასურების შედეგად, საქართველოში მედიკამენტები, სურსათი და ჰიგიენური საშუალებები თვალსა და ხელს შუა გაძვირდა. სადაზღვევო კომპანიების ინფორმაციით, ყველა მედიკამენტზე ფასი 30%-ით გაიზარდა»**

**ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრმა რამდენიმე თვის წინათ საარსებო მინიმუმი ხელახლა დათვალა. გვესაუბრება ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი ქეთი კრიალაშვილი:**

— ჩვენმა ორგანიზაციამ ბოლოს საარსებო მინიმუმს შარშან ნოემბერში გადახედა და, ჩვენი გაანგარიშებით, საარსებო მინიმუმი 324 ლარს შეადგენს, ხოლო „საქსტატის“ მიერ წარმოდგენილი ოფიციალური მონაცემებით, — 159,6 ლარს. ლარის კურსის ცვლილება დეკემბრიდან დაიწყო, ამიტომ, თუ საბაზისოდ ავიღებთ ნოემბერს, თებერვალში ნოემბერთან შედარებით ინფლაციამ შეადგინა 0,9%, ხოლო ვალუტის მყიდველუნარიანობა შემცირდა 1.0%-ით.

ოფიციალური მონაცემებით, იანვარში საარსებო მინიმუმმა შეადგინა 160,2 ლარი, ანუ მოქალაქემ დღიურად მხოლოდ სურსათის შესაძენად უნდა იმყოფინოს 3,7 ლარი.

**— რა ვითარებაა ეკონომიკური თვალსაზრისით ქვეყანაში?**

— საქართველოს მიერ დაგეგმილი 5%-იანი ეკონომიკური ზრდა შემცირდა 2%-მდე, რაც უარყოფითად აისახება სახელმწიფო სექტორში სახელფასო განაკვეთების შემცირებებშიც. სახელმწიფოს მხრიდან გაზრდილი საფინანსო ვალდებულებები ქვეყნისთვის დამატებით ეკონომიკურ პრობლემებს წარმოშობს. ვერ მოხდება აქამდე გათვალისწინებული პროექტების დაფინანსება. ბიუჯეტის შესავსებად გაზრდილი გადასახადები კი ხელს შეუშლის მცირე ბიზნესის განვითარებას და, საზოგადოდ, ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას ქვეყანაში. იმ პირობებში, როცა ქვეყანაში მაღალია უმუშევრობის დონე და, შესაბამისად, დაბალია ეროვნული პროდუქტის წარმოება, საქართველო დამოკიდებული ხდება უცხოურ ინვესტიციებზე, ხოლო უცხოური ინვესტიციების შემცირება კიდევ უფრო მძიმე ტვირთად დააწვება ქვეყნის ეკონომიკას.

**მოამზადა**
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**P.S. წერილი უკვე დასაბეჭდად მზად იყო, როცა პარლამენტში ეკონომიკური გუნდი გამოვიდა და კრიზისიდან გამოსვლის სამი ვარიანტი გაგვაცნო: „უნდა გაიყიდოს: ბობოყვათის ყოფილი რეზიდენციის შენობების კომპლექსი; წყნეთის სამთავრობო აგარაკები; ეროვნული ბანკის ყოფილი შენობა; ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს შენობა; თელასის 25%-იანი სახელმწიფო წილი; საქართველოს ფოსტა; გუდაურში სასტუმრო კომპლექსი, რეზიდენცია ათონელზე, თუმცა შეიძლება ცვლილება გავაკეთოთ და საგარეო საქმეთა სამინისტრო გადავიდეს ათონელის რეზიდენციაში, ხოლო საპრივატიზაციოდ სამინისტროს შენობის გატანა მოხდეს. ღვინის ქარხნები — „გრუზვინპრომისა“ და აკურის; თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი ორთაჭალაში; ბათუმის ე.წ. ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შენობა, რომლის აუქციონიც უკვე დასრულდა და ამ შენობაში სასტუმრო კომპლექსი განთავსდება; ალმაშენებელზე მდებარე ყოფილი რკინიგზის კოლეჯის შენობა, აგრეთვე, ყოფილი ნარკოლოგიური შენობა; წყალტუბოს სანატორიუმები; თბილისში მდებარე სხვადასხვა მიწის ნაკვეთი, რომელიც სასტუმრო კომპლექსების მშენებლობისთვის მიმზიდველია.“**

დემოკრატიის ნილბით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დღეს საქართველოში პროდასავლური ელიტაა, რომელიც, რა თქმა უნდა, ისტორიას ისეთ შეფასებას აძლევს, რომელიც მომგებიანია მისთვის და დასავლეთისთვის. ჩვენი ახალგაზრდობა იზრდება დასავლური ფასეულობებით, რომლებიც ჩვენი ფასეულობების წინააღმდეგ და რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული“.**

# თბილისში დიდ სამამულო ომში გამარჯვების 70 წლისთავი აღნიშნეს

**11 მარტს სასტუმრო „ვერე-პალასში“ დიდ სამამულო ომში გამარჯვების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია გამართა. ღონისძიება არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობისა“ და „ევრაზიული კვლევების ინსტიტუტის“ (მოსკოვი) თაოსნობით ჩატარდა. ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე გამომსვლელებმა კიდევ ერთხელ შეაფასეს ისტორია, გაიხსენეს ომში მონაწილე ჯარისკაცების გმირობა და თავდადება და ისაუბრეს სტალინის დამსახურებაზე. მრგვალი მაგიდა ჩატარდა გამარჯვებულთა საერთაშორისო ფორუმის — „ერთიანობით მიღწეული დიადი გამარჯვება“— ფარგლებში და მას, ქართველ პოლიტოლოგებსა და ისტორიკოსებთან ერთად, ესწრებოდნენ რუსეთიდან საგანგებოდ მოწვეული სტუმრები: მიხეილ ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის მეცნიერ-თანამშრომლები. კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ ომის ვეტერანებიც, ადამიანები, რომლებმაც თავიანთ თავზე გამოსცადეს მეორე მსოფლიო ომის საშინელება. როგორც გამომსვლელებმა აღნიშნეს, აუცილებელია, დაღუპული გმირების თავდადება ყოველთვის გვახსოვდეს, ვინაიდან დღეს ზოგიერთი ცდილობს, გააყალბოს ისტორია და ჩრდილი მიაყენოს ფაშიზმზე მიღწეულ უდიდეს გამარჯვებას. არადა, მეორე მსოფლიო ომში მონაწილე სახელმწიფოებიდან საქართველომ ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო — ამ ომმა 300 ათასი ქართველის სიცოცხლე შეიწირა.**



**«გამარჯვება, რომელიც სისხლითა და არაადამიანური ძალისხმევის ფასად მოვიპოვეთ, დღეს ბევრს უნდა შევახსენოთ, ვინაიდან, სამწუხაროდ, ზოგიერთი ამ დიდ გამარჯვებას, კერძოდ კი, დიდ სამამულო ომში გამარჯვებულთა როლს, ეჭვქვეშ აყენებს. უფრო მეტიც, ზოგიერთი თავისი კონიუნქტურული ინტერესების დასაკმაყოფილებლად მიზანმიმართულად ცდილობს ისტორიის გაყალბებას»**

**ტარიელ გაგნიძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკიდრეობის“ ხელმძღვანელი:**

— დღევანდელი ღონისძიება დიდ სამამულო ომში გამარჯვების 70 წლისთავს ეძღვნება. **გამარჯვება, რომელიც სისხლითა და არაადამიანური ძალისხმევის ფასად მოვიპოვეთ, დღეს ბევრს უნდა შევახსენოთ, ვინაიდან, სამწუხაროდ, ზოგიერთი ამ დიდ გამარჯვებას, კერძოდ კი, დიდ სამამულო ომში გამარჯვებულთა როლს, ეჭვქვეშ აყენებს. უფრო მეტიც, ზოგიერთი თავისი კონიუნქტურულ ინტერესების დასაკმაყოფილებლად მიზანმიმართულად ცდილობს ისტორიის გაყალბებას.**

ამის მიუხედავად, დიდი სამამულო ომის ხსოვნა დავიწყებით არ იბინდება და მისი მონაწილეები, ადამიანები, რომლებიც ამ გამარჯვებას სჭედდნენ, დღეს აქ გვესწრებიან. მინდა, ჩემი პატივისცემა გამოვხატო და მათ მადლობა გადავუხადო, ქედი მოვიხარო მათი გმირობისა და მამაცობის წინაშე.

**ოქსანა სოლოპოვა, მიხეილ ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სწავლული მდივანი, დოცენტი:**

— მინდა, ულრმესი მადლობა გადავუხადო ქართველ კოლეგებს, პირველ რიგში კი — ომის ვეტერანებს, ადამიანებს, რომლებმაც სრულიად ახალგაზრდებმა, ბედნიერებისთვის დაბადებულებმა, იარაღი აიღეს და ომში წავიდნენ. მათ თავიანთი სიცოცხლე სამშობლოს გამო საფრთხეში ჩააგდეს. მე ახლა მინდა, ვისაუბრო, არა როგორც მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, არამედ, როგორც დედამ. მე ბიჭი მეზრდება, ის 15 წლისაა, კიდევ ცოტაც და იმ ასაკში იქნება, როდესაც თქვენ დიდ სამამულო ომში წახვედით და მე კარგად მესმის, რას განიცდიდნენ იმხანად თქვენი მშობლები.

ამიტომ, ჩემი, **ჩემი მშობლების, ჩემი შვილის სიცოცხლის გამო, მინდა მადლიერება გამოვხატო თქვენდამი. ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, სადაც ჩვენი გამარჯვებისთვის ბრძოლას განვაგრძობთ. ეს იყო დიდი გამარჯვება, რომლის ინტერპრეტაციაც სამშობლოსა და საკუთარი ხალხისადმი უპატივცემულობის გამოხატულების დამადასტურებელია.**

**რეზო ნაცარაშვილი, საქართველოს შეიარაღებული ძალების, ომისა და შრომის ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობის თავმჯდომარე:**

— ჩვენი ორგანიზაცია 1986 წელს ჩამოყალიბდა, თუმცა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ურთულეს მდგომარეობაში აღმოვჩნდით. თავდაპირველად ხელისუფლება თითქოს თანამშრომლობდა ჩვენთან, მაგრამ ბოლო პერიოდში საერთოდ არ გვაქცევდა ყურადღებას და ორგანიზაცია გაუქმების საფრთხის წინაშეც აღმოჩნდა, თუმცა ყველა სირთულე გადავლახეთ და ვეტერანების საკითხებზე მუშაობას დღემდე განვაგრძობთ.

დიდი სამამულო ომი მე-20 საუკუნის მთავარი მოვლენა იყო არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნებისთვის, არამედ მსოფლიოსთვის, თუმცა, ასე თუ ისე, ამ ომში გამარჯვება საბჭოთა კავშირის სახელმწიფოს ძლიერებასთან ასოცირდებოდა. **სამამულო ომის განსაკუთრებული სიმბოლო არის „გეორგიევსკის ლენტი“, როგორც ნიშანი სამამულო ომში თავდადებულთა ხსოვნისა, პატივისცემისა და სოლიდარობისა. ადამიანები ამ ლენტს იმაგრებდნენ სამამულო ომის ხსოვნის პატივსაცემად,** თუმცა შემდეგ ვითარება შეიცვალა. მაგალითად, ახლა „გეორგიევსკის ლენტს“ ოფიციალურად მხოლოდ რუსეთში უჭერენ მხარს. უკრაინაშიც ასე იყო 2014 წლის ცნობილ მოვლენებამდე, ახლა კი **უკრაინელებისთვის გამარჯვების სიმბოლოდ წითელი ყაყაჩო იქცა, დასავლეთის სახელმწიფოების გამარჯვების სიმბოლო,** რომელიც პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებასთან არის დაკავშირებული.

**მაია ბობენკო, მიხეილ ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ასისტენტი:**

— მინდა, გიამბოთ საბჭოთა სივრცეში არსებულ იმ ახალ სიმბოლოებზე, რომლებიც მოგვითხრობენ დიდ სამამულო ომში გამარჯვებასა და მიღწევებზე. **წითელი დროშა, გამარჯვების აღლუმი, „გეორგიევსკის ლენტი“, წითელი მიხაკები, გამარჯვების სალუტი და ა. შ. — ეს სიმბოლოები დაკავშირებულია დიდ სამამულო ომში გამარჯვებასთან. ჩვენში ადრეული ბავშვობიდან არის გამჯდარი ამ სიმბოლოებისადმი ხსოვნა და დღესაც ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის განუყოფელ ნაწილად სწორედ ეს სიმბოლოები უნდა იყოს.** ეს ერთ-ერთი ინსტრუმენტია, ახალგაზრდობამდე მივიტანოთ დიდ სამამულო ომში გამარჯვების მნიშვნელობა. რაც მეტი დრო გადის, მით მნიშვნელოვანია, შევინარჩუნოთ ამ დიდი გამარჯვების ხსოვნა, რომელიც აყალიბებს პატივისცემას საკუთარი გმირების, საკუთარი ისტორიისა და სამშობლოსადმი

მოკლედ

## ისლამურმა სახელმწიფომ საკუთარი სოციალური ქსელი შექმნა

**ისლამური სახელმწიფოს მიმდევრებმა შექმნეს საკუთარი სოციალური ქსელი, სახელწოდებით Caliphatebook.**

ქსელმა მუშაობა უკვე დაიწყო, მაგრამ ამ დროის განმავლობაში შეფერხებით მუშაობდა. შეიძლება ქსელზე თავდასხმა მოაწყვეს ჰაკერებმა, რომლებიც ისლამური სახელმწიფოს ინტერნეტვერსიის გაჩენის წინააღმდეგნი არიან.

გარეგნულად საიტი ძალიან ჰგავს „ფეისბუქს“. თუმცა პლატფორმა, რომელზეც საიტია განთავსებული, ძლიერ ინტერნეტტრაფიკზე გათვლილი არ არის. საიტი ამერიკული პროვაიდერის — GoDaddy გავლით დარეგისტრირდა, ვინმე **აბუ მუსაბას** სახელზე, რომელმაც სამშობლოდ ეგვიპტე მიუთითა. აღსანიშნავია, რომ ისლამური სახელმწიფოს მიმდევრების პროფილი არაერთხელ დაიბლოკა, როგორც Facebook-ზე, ასევე Twitter-სა და სხვა სოციალურ ქსელებზე.



დემოკრატიის ნიღბით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ომში მონაწილეობდა 72 სახელმწიფო, მათ შორის, 40 ქვეყანა ომის ქარცეცხლში იყო გახვეული. ომის პერიოდში სამხედრო ფარაჯა ჩაიცვა ას ათმა მილიონმა ჯარისკაცმა, მათგან 12 მილიონი საბჭოთა კავშირიდან იყო. ჯერ მსოფლიოში არც ერთ მხედართმთავარს არ გამოუყვანია ამდენი ჯარისკაცი საომრად. დღეს ბევრს საუბრობენ დიდ სამამულო ომში გამარჯვებაზე, თუმცა იშვიათად იხსენებენ ამ გამარჯვების სულისჩამდგმელს — იოსებ სტალინს“.



და დღეს ამ ახალგაზრდებზეა დამოკიდებული, შეინარჩუნებენ თუ არა დიდი სამამულო ომში გამარჯვების ხსოვნას.

**გრიგოლ ონიანი, საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარე:**

— ბოლო ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ ომში მონაწილეობდა 72 სახელმწიფო, მათ შორის, 40 ქვეყანა ომის ქარცეცხლში იყო გახვეული. ომის პერიოდში სამხედრო ფარაჯა ჩაიცვა ას ათმა მილიონმა ჯარისკაცმა, მათგან 12 მილიონი საბჭოთა კავშირიდან იყო. ჯერ მსოფლიოში არც ერთ მხედართმთავარს არ გამოუყვანია ამდენი ჯარისკაცი საომრად.

დღეს ბევრს საუბრობენ დიდ სამამულო ომში გამარჯვებაზე, თუმცა იშვიათად იხსენებენ ამ გამარჯვების სულისჩამდგმელს — იოსებ სტალინს.

სამწუხაროდ, დღეს ჩვენს ქვეყანაში ათასი ჯურის ნაძირალას იცავენ და მე არავინ მიცავს. ჩემს ინტერესებს, ადამიანისა, რომელსაც უნდა, თავის ფესვებს დაუბრუნდეს, ჩემი ქვეყანა არ იცავს. სხვათა შორის, უნდა ვთქვა, რომ ახლა ყველაზე დიდ საქმეს აკეთებს გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, რომლის ფურცლებზე ყველას, ვინც სიმართლეს ლაპარაკობს, ადგილს უთმობენ. მე მაქვს მასალები, რომლებიც გმირ ქართველებს ეხება და სწორედ ამ გაზეთის საშუალებით მალე ყველა გმირის ბიოგრაფიას გამოვაქვეყნებ, ვფიქრობ, ეს ძალიან დიდი საქმე იქნება.

რა თქმა **უნდა, დიდი სამამულო ომის ყველა ასპექტის დანახვა ძალიან რთულია, ვინაიდან მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ იმუშავა, რუსებისთვის ეს დიდი გამარჯვება რომ წაერთმიათ და ღრმად დაემარხათ მისი მთავარსარდალი, მაგრამ სამამულო ომი მაინც ისე წარმოჩინდება, როგორც საჭიროა.** მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო დღევანდელი ღონისძიების ორგანიზატორებს, განსაკუთრებით — ბატონ ტარიელ გაგნიძეს.

**ვლადიმერ სიმინდეი, აქტუალური ისტორიული კვლევების მხარდამჭერი ფონდის — „ისტორიული მეხსიერების“ — საკვლევი პროგრამების ხელმძღვანელი:**

— პოსტსაბჭოთა კავშირის ყველა ქვეყანაში, როგორც აქ უკვე ითქვა, სახელმწიფო დონეზე ეთმობა ყურადღება სამამულო ომში გამარჯვებისადმი მიძღვნილ იუბილეებსა და ვეტერანებს, თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ნაცისტების მხარდაჭერა ღიად მიმდინარეობს. მაგალითად, **ბალტიისპირეთის ქვეყნებში, ნაცისტების წინააღმდეგ მებრძოლ ვეტერანებს არათუ უთანაბრებენ ფაშისტების მხარეს მებრძოლებს, არამედ ამბობენ, რომ, ვინც ჰიტლერს უჭერდა მხარს, ის ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის თავისუფლებისთვის იბრძოდა. არადა, ჰიტლერი და ფაშისტები დაუფარავად აცხადებდნენ, რომ არც ერთი ერის ნაციონალურ ინტერესებს არ გაითვალისწინებდნენ.** ამიტომ ვფიქრობ, **დღეს ძალიან მნიშვნელოვანია, ისტორიკოსებმა ყურადღება მიაქციონ სარწმუნო ისტორიულ ფაქტებს, რათა საზოგადოებამდე, ახალგაზრდობამდე მიიტანონ სიმართლე, რომელსაც დღეს ზოგიერთი მიზანმიმართულად ამახინჯებს.** საზოგადოებამდე სიმართლის მიტანის საქმეში ისტორიკოსებსა და ჟურნალისტებს ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ, ომის გაკვეთილები და ომის ხსოვნა რომ არ დაიკარგოს.

**«სამწუხაროდ, ჩვენი მთავრობის წევრებმა არ იციან და ვერც წარმოუდგენიათ ის უბედურება, რომელიც იმ ომში ხდებოდა. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არიან ასე უყურადღებოდ ვეტერანები მიტოვებულნი, როგორც საქართველოში. დიდი სამამულო ომის მონაწილეებს პენსიაც კი გაუუქმეს. აი, სადამდე მივიდა ჩვენი მთავრობის უყურადღებობა»**

**თამარ კიკნაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი:**

— რატომ სურს ზოგიერთს სტალინიზმი ჰიტლერიზმთან გააიგივოს? ეს ტყუილუბრალოდ არ ხდება და ჩვენთვის, ქართველებისთვის, განსაკუთრებით მტკივნეულია, რადგან სწორედ სტალინი იყო მთავარი პირი, რომლის წარმატებული მოღვაწეობის წყალობითაც გავიმარჯვეთ. აღსანიშნავია, რომ **მეორე მსოფლიო ომში პროცენტულად ყველაზე მეტი ქართველი მონაწილეობდა.** ამ სახელმწიფოებს და მათ ლიდერებს შორსმიმავალი გეგმები აქვთ და სტალინის ფიგურის წინააღმდეგ ბრძოლა ჩემთვის გასაგებია, ვინაიდან სტალინმა გლობალისტებს გეგმები ჩაუშალა. ჩვენი ახალგაზრდობა ძალიან უარყოფითად არის განწყობილი, როგორც საბჭოთა კავშირისადმი, ასევე სტალინის ფიგურისადმი. დღეს საქართველოში პროდასავლური ელიტაა, რომელიც, რა თქმა უნდა, ისტორიას ისეთ შეფასებას აძლევს, რომელიც მომგებიანია მისთვის და დასავლეთისთვის. ჩვენი ახალგაზრდობა იზრდება დასავლური ფასეულობებით, რომლებიც ჩვენი ფასეულობებისა და რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული.

**გულბაათ რცხილაძე, ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი:**

— საქართველოში არის აგრესიული უმცირესობა, რომელიც ძალიან აქტიურია და ფინანსდება დასავლური ორგანიზაციების მიერ. რამდენიმე ხნის წინათ ისინი აჩერებდნენ მანქანებს, რომლებსაც „გეორგიევსკის ლენტი“ ეკეთათ და აძრობდნენ მათ, პოლიციამ კი არ იცოდა, რა რეაგირება მოეხდინა, ვინაიდან, „ნაციონალებმა“ და მათთან დაკავშირებულმა ორგანზაციებმა, აგრეთვე, მასმედიამ გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოს „გეორგიევსკის ლენტი“ ოკუპაციის სიმბოლოა. ჩვენთან კი მოქმედებს კანონი, რომელიც კრძალავს კომუნისტური სიმბოლიკის გამოყენებას და ის ფაშისტურ სიმბოლიკასთან არის გაიგივებული. ეს სამარცხვინოა, მაგრამ ფაქტია და ვერ დავმალავ.

ჩვენს ორგანიზაციას დიდი შესაძლებლობები არ აქვს, ამიტომ მადლობელი ვარ ტარიელ გაგნიძის, მისი ორგანზიაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“, რომელიც რეგულარულად გამოსცემს ჟურნალს, სადაც სიმართლე იბეჭდება ისტორიული მოვლენების შესახებ.

რაც შეეხება სასკოლო სახელმძღვანელოებს, **ხელთ მაქვს მე-12 კლასის სახელმძღვანელო, რომელშიც იმ ქართველების შესახებ, რომლებიც წითელ არმიაში ფაშისტების წინააღმდეგ იბრძოდნენ, ერთ გვერდზეა მოთხრობილი, ხოლო იმ ქართველებს, რომლებიც გერმანელების მხარეს იბრძოდნენ, 3 გვერდი აქვთ დათმობილი. ეს ძალიან სამწუხარო ფაქტია, მაგრამ არა შემთხვევითი.**

არ მესმის იმ ადამიანების, რომლებიც სამამულო ომში მიღწეულ ამ დიდ გამარჯვებას არაფრად მიჩნევენ, იმ ომში ხომ ყველა მათგანის წინაპარი იბრძოდა?!

**ანზორ დანელია, სამამულო ომის ვეტერანი:**

— მიმაჩნია, რომ **რუსეთს სამი დიდი ხელმძღვანელი ჰყავდა: პეტრე პირველი, იოსებ სტალინი და ახლა — ვლადიმერ პუტინი.** ეს ჭეშმარიტებაა. დღეს არ სურთ დიდ სამამულო ომში სტალინის როლისა და დამსახურების აღიარება, მაგრამ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. ჩვენ, ვეტერანები, მივდივართ და, სამწუხაროდ, ახალგაზრდებს არ ესმით და არ იციან სიმართლე, მათ რუსული ენაც კი არ იციან, რუსული სიმღერებიც კი აკრძალა სააკაშვილმა, ეს ჩემთვის გაუგებარია.

**შოთა ბუაძე, სამამულო ომის ვეტერანი:**

— მინდა, მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც დღეს ამ შეკრებაში მონაწილეობს, განსაკუთრებით — „ისტორიულ მემკვიდრეობას“, რომელიც ვეტერანებს არ ივიწყებს. არადა, დრო გადის და ვეტერანები ცოტანი რჩებიან. შეიძლება ითქვას, რელიქვიასავით შემოვრჩით. საქართველოში სულ 1500 ვეტერანიღა დარჩა ცოცხალი, მათგან 500 თბილისში ცხოვრობს.

ეს ჭორები სტალინისა და დიდი სამამულო ომის შესახებ ვრცელდება ახლა, როდესაც ჩვენ, ამ ომის უშუალო მონაწილეები, ჯერ კიდევ ცოცხალი ვართ და ვიცით, რაც ხდებოდა სინამდვილეში და ჩვენ შემდეგ რა იქნება?!

როდესაც დიდ სამამულო ომზე ვლაპარაკობ, შეუძლებელია, გვერდი ავუარო სტალინის პიროვნებას. სტალინი ეპოქალური მოვლენა იყო, დადგება დრო და სტალინის პიროვნებით საქართველო აუცილებლად იამაყებს. **რამდენიმე წლის წინათ ტუაფსეში ვიმყოფებოდი ფორუმზე, სადაც 39 მოხსენება მოვისმინე, ისაუბრეს დიდი სამამულო ომის მნიშვნელობაზე, სხვა სახელმწიფოების როლზე ფაშისტური გერმანიის დამარცხების საქმეში და არც ერთი სიტყვა არ უთქვამთ დიდი სტალინის შესახებ. მხოლოდ ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი ალექსანდრე ჭაჭია გამოვიდა და იკითხა, ნუთუ ამ ომს მხედართმთავარი არ ჰყოლიაო?!** მხოლოდ მაშინ მოეგნენ გონს და მთელი დარბაზი გაიტრუნა. არ შეიძლება, დიდ სამამულო ომზე სიტყვა დავძრათ და სტალინი არ გავიხსენოთ. ვინაიდან სტალინი იყო ამ გამარჯვების სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი. „ისტორიული მემკვიდრეობის“ ამოცანაა, დავამკვიდროთ სიმართლე სტალინის შესახებ. როდესაც ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი სტალინსა და ჰიტლერს შორის ტოლობის ნიშანს სვამს, ეს დანაშაულია. ისტორიის დამახინჯება არ შეიძლება, რადგან ისტორია რეალობას უნდა ასახავდეს. **სამწუხაროდ, ჩვენი მთავრობის წევრებმა არ იციან და ვერც წარმოუდგენიათ ის უბედურება, რომელიც იმ ომში ხდებოდა. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არიან ასე უყურადღებოდ ვეტერანები მიტოვებულნი, როგორც საქართველოში. დიდი სამამულო ომის მონაწილეებს პენსიაც კი გაუუქმეს. აი, სადამდე მივიდა ჩვენი მთავრობის უყურადღებობა.**

**ტარას იჩქიტიძე, სამამულო ომის ვეტერანი:**

— როდესაც ომი დაიწყო, მეორე დღესვე გამოვიდა სტალინი და განაცხადა, ჩვენი სახელმწიფო საფრთხის წინაშეა და ყველა უნდა დავირაზმოთ სამშობლოს დასაცავადო. იმხნად ჩვენი სამშობლო საბჭოთა კავშირი იყო და დავიწყეთ ბრძოლა ჩვენი ტერიტორიების გასათავისუფლებლად, ამიტომ არ შეიძლება სამამულო ომში გამარჯვების ხსოვნა დავიწყებას მიეცეს.

მოამზადა **შორენა ციქარაშვილმა**

**მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არიან ასე უყურადღებოდ ვეტერანები მიტოვებულნი, როგორც საქართველოში. დიდი სამამულო ომის მონაწილეებს პენსიაც კი გაუუქმეს. აი, სადამდე მივიდა ჩვენი მთავრობის უყურადღებობა**

**P.S. უახლოეს მომავალში, „დიდ სამამულო ომში გამარჯვების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი“ ღონისძიებები მოსკოვსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების სხვა ქალაქებშიც გაიმართება. სხვადასხვა ქვეყნის ვეტერანები პირადად მიაგებენ პატივს დაღუპულ თანამებრძოლებს და ომში გამარჯვებას კიდევ ერთხელ იზეიმებენ.**

მსოფლიო

## დემონსტრანტების თავდასხმის შედეგად ორი სამართალდამცველი მძიმედ დაშავდა

**აშშ-ის ქალაქ ფერგიუსონში, პოლიციის შენობასთან დემონსტრანტების თავდასხმის შედეგად, ორი სამართალდამცველი მძიმედ დაშავდა.** „ბი-ბი-სი“-ს ცნობით, აქციის მონაწილეები შარშან პოლიციის მიერ შეუიარაღებელი შავკანიანი თინეიჯერის მკვლელობას აპროტესტებდნენ.

აქციის მიმდინარეობისას აქტივისტებმა ერთ-ერთ პოლიციელს ცეცხლსასროლი იარაღიდან სახეში ესროლეს, მეორეს კი — მხარის არეში. ორივეს მდგომარეობა კრიტიკულია. დემონსტრაციის გამართვას წინ უძღოდა ფერგიუსონის პოლიციის უფროსის, ტომას ჯექსონის, გადადგომა მას შემდეგ, რაც, ფედერალური მთავრობის ანგარიშის მიხედვით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ აღნიშნული განყოფილების თანამშრომლები რასიზმით გამოირჩევიან.



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**კვირის კითხვა**

**— რას იტყვით ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე და მის მოქმედებაზე უკრაინაში?**

**გრიშა ონიანი:**

— ამერიკელი სცენარისტის მიერ დაწერილ ტრაგიკომედიას, რომელშიც ერთ-ერთი გმირი მიხეილ სააკაშვილია, ძალიან ცუდი ფინალი ექნება. „სპექტაკლის“ ბოლო მოქმედებაში მიხეილ სააკაშვილს ან მოკლავენ, ან სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაასრულებს!

# სტალინის როლი ქართული საგანძურის საქართველოსთვის დაბრუნებაში

## წერილი მეოთხე

### საგანძურის გატაცება თბილისიდან

1920 წლის ბოლოს ანტანტის ქვეყნები პანიკურად ტოვებდნენ კავკასიას რუსი ბოლშევიკების შიშით. გასაქცევად ემზადებოდა „დამოუკიდებლობამოპოვებული“ მენშევიკური მთავრობაც. უცხოეთის ბანკებში არაფრის მქონე საქართველოს ხელისუფლებამ „საგზლის გასახაზირებლად“ ეკლესია-მონასტრებიდან გატაცებულ განძეულსა და სახელმწიფო ხაზინას დაადგა თვალი. როგორც მკვლევარები ირწმუნებიან, მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლების გარდა, განძის გატანის ინიციატორები ზოგიერთი ქართველი ავტორიტეტი და მეცნიერიც ყოფილან.

„ივანე ჯავახიშვილი იბარებს ექვთიმე თაყაიშვილს და ეუბნება, ბოლშევიკები დღეს თუ ხვალ დედაქალაქში შემოვლენ და აქედან მთელ საქართველოს მოედებიან. მეშინია, რომ ისინი ჩვენს სამუზეუმო განძეულობას გაანადგურებენ და ქვეყანას გაძარცვავენ. გავიგე, რომ საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში მიდის და მინდა, როგორმე ხმა მივაწვდინო ნოე ჟორდანიას, რომ თან წაიღონ ჩვენი სამუზეუმო განძეულობა... მე მაშინვე თანხმობა განვუცხადე ივანეს და საჩქაროდ წავედი სასახლეში. იმ დროს ნოეს ნახვა არც ისე ადვილი იყო, მაგრამ მან დაუყონებლივ მიმიღო, მომისმინა და მაშინვე გამომაძახებინა ჩემი კარგი ნაცნობი და მეგობარი იოსებ ელიგულაშვილი, თანაშემწე ფინანსთა მინისტრის — კონსტანტინე კანდელაკისა, კაცი საქმიანი, ენერგიული და განათლებული. ბატონმა ნოემ უთხრა: „იოსებ, შენ თანამშრომლობ ექვთიმესთან, გეძლევათ სრული უფლება, იმოქმედოთ თქვენი შეხედულებისამებრ. ექვთიმე, შენ ინიშნები ამ განძეულობის გამგედ და უცხოეთშიც უნდა გამოჰყვე ამ განძეულობას“ (გურამ შარაძე, „ერის ისტორიული მეხსიერების დაბრუნება: ეროვნული არქივის დოკუმენტური ისტორია და კატალოგები“, თბილისი, 1998.).

**საინტერესოა მეორე ჩანაწერი, სადაც ექვთიმე თაყაიშვილი იხსენებს თბილისის უნივერსიტეტის რექტორ ივანე ჯავახიშვილთან საუბარს, თბილისიდან განძის გატანის დღეს, 21 თებერვლის დილას. ამ შეხვედრისას ივანე ჯავახიშვილს განძეულობის თბილისიდან გატანის თაობაზე, გარკვეული მოსაზრებით, გამოუთქვამს თავისი უარყოფითი შეხედულება.** „მაგრამ ეს, რასაკვირველია, მიღებულ გადაწყვეტილებას ვერ შეცვლიდაო“, — დასძენს ექვთიმე (გ. ჟორდანია, „დაბრუნებული საუნჯე“, გვ. 36).

ასე რომ, პირველი გაუგებრობა განძის გატანა-არ გატანის თაობაზე სწორედ აქ იჩენს თავს, რომელსაც სწორი პასუხი არ აქვს. ფაქტი კი ფაქტად დარჩა: **1921 წლის 21 თებერვალს, დილის 8 საათზე, მენშევიკურმა მთავრობამ თბილისის უნივერსიტეტის შენობიდან ეროვნული განძის დიდი ნაწილი გაიტაცა ქუთაისის მიმართულებით. განძის გატაცებისას კი მეგზურები ექვთიმე თაყაიშვილი და იოსებ ელიგულაშვილი იყვნენ.**

რა მიჰქონდა მენშევიკურ მთავრობას ემიგრაციაში, ამაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს გივი ჟორდანიას კვლევა, რომელიც ასახულია წიგნში „დაბრუნებული საუნჯე“. მინდა, მკითხველს ზუსტად მივაწოდო ჩანაწერი, ისე, როგორც ეს კვლევაშია მოხსენიებული.

**„ოქმი 1921 წლის 21 თებერვლითაა დათარიღებული და მასში აღრიცხულია: 70 ყუთი და 507 ტომარა ფულითა და საფასეთი, 11 ტომარა საეკლესიო ნივთები, 19 ჩანთა ოქროთი, 5 ჩანთა ვერცხლით და ბოლოს 6 ხატი.**

მოგვიანებით ყველა დოკუმენტში იხსენიება, რომ სახაზინო, ანუ სავალუტო ქონება ჩალაგებული ყოფილა 100 ყუთსა და 12 ტომარაში, (ხოლო სტამბოლში ამ 12 ტომარის ქონება გადაულაგებიათ ამდენივე ყუთში). როგორც ეტყობა, 30 ყუთში გადაულაგებიათ ტომრებისა და ჩანთების ქონება, ამას გარდა, დარჩენილა კიდევ ქონება, რომელიც ჩალაგებული ყოფილა 12 ტომარაში.

სად გადაალაგეს ტომრები და ჩანთები დიდ ყუთებში, ძნელი სათქმელია. შეიძლება ეს გააკეთეს ქუთაისის ხაზინაში, ხოლო შესაძლებელია უკვე თბილისშივე. და ის გარემოება, რომ ზემოხსენებულ ოქმში მაინც მოიხსენიეს, ყუთებისაგან განსხვავებით, 518 ტომარა და 24 ჩანთა, ალბათ, იმით შეიძლება აიხსნას, რომ, ეს ტომრები და ჩანთები გაუხსნელად ჩაალაგეს ყუთებში, გარდა 12 ტომრისა.

**უკეთუ ტომრების და და ჩანთების ყუთებში ჩალაგებას ჰქონდა ადგილი თბილისში, მაშინ თბილისიდან გატანილი იქნებოდა 154 დიდი ყუთი, 12 ტომარა, ერთი დიდი კალათი და ერთიც სურათების შეკვრა. ესე იგი, სულ 168 საცავი ერთეული; ხოლო თუ გადალაგება ქუთაისში მოხდა, მაშინ გამოდის, რომ თბილისიდან გაუტანიათ 124 დიდი ყუთი 518 ტომარა, 24 ჩანთა, ერთი დიდი კალათი და ერთიც სურათების შეკვრა, ესე, იგი 668 საცავი ერთეული“** (გ. ჟორდანია, „დაბრუნებული საუნჯე“, გვ.42).



ექვთიმე თაყაიშვილი

მკითხველო, არ გეგონოთ, რომ ციტირებისას დავამახინჯე ციფრობრივი ან ტექსტობრივი მასალა, არა, ბატონო, ტექსტი უცვლელია.

ეროვნულმა განძმა თბილისიდან ქუთაისში ჩააღწია. ქუთაისის ხაზინაში ექთიმე თაყაიშვილი და იოსებ ელიგულაშვილი კიდევ ერთხელ ათვალიერებენ და ყუთებში აწყობენ ეკლესია-მონასტრების საგანძურს, ამას თვალყურს ადევნებს მენშევიკური მთავრობის ფინანსთა მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი, რომელსაც თან ახლავს ბეკი — თბილისის ხაზინის გამგე.

„ქუთაისის ხაზინის გამგემ მათ უჩვენა რამდენიმე ყუთი და უთხრა: — „გელათის მონასტრიდან გაახლათ, მიტროპოლიტ ნაზარის მიერ დანიშნულმა ეკლესიის წარმომადგენლებმა, მოიტანეს ამ რამდენიმე დღის წინათ, თქვენს განკარგულებას ველოდებით“(ელიზბარ უბილავა. „განძის გუშაგი“, გვ. 30).

ძვირფასო მკითხველო, **ეს ის ყუთები და ის განძია, რომელიც ჟორდანიას პირადმა წარმომადგენელმა (ვფიქრობ, ეს ექვთიმე თაყაიშვილი იყო. — გრ. ონიანი) პოლიცელთა თანხლებით გამოიტანა გელათის მონასტრიდან და „ტყემლის ტყლაპების“ ყუთებით ქუთაისის ხაზინაში მიიტანა, რის გამოც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ, სინოდის წევრებთან ერთად, მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია მის კაბინეტში ანათემას გადასცა.**

ისტორიის გაყალბებისა და ფალსიფიკაციის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს **ელიზბარ უბილავას ენის მოჩლექა** ქართული ისტორიული სინამდვილის მიმართ.

1921 წლის 1 მარტს ექვთიმე თაყაიშვილს მიეცა ოფიციალური ცნობა ფრანგულ ენაზე ნათარგმნი: „რომ მას, **ექვთიმე თაყაიშვილს, მიაქვს საზღვარგარეთ მენშევიკური მთავრობის კუთვნილი ოქრო-ვერცხლი „ზოდებად და მონეტებად“ ისე, როგორც სხვა ძვირფასი ნივთები, რათა ჩააბაროს ისინი ევროპის ბანკებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით“**. „და, რომ ამ **განძის „გამგებლობის“ უფლება ეკუთვნის აღნიშნული რესპუბლიკის მთავრობას“.** რაც იმას ნიშნავდა, რომ ქართული განძის პატრონად ცხადდებოდა მენშევიკური მთავრობა“ (გ. ჟორდანია, „განძის დაბრუნება“, გვ 44).

არ მოიპოვება იმ საგანძურისა და ფასეულობათა ჩამონათვალი, რომლებიც ქუთაისის ხაზინიდან გაიზიდა. არ არის აღრიცხული, რამდენი კილოგრამი იყო ოქრო ზოდებად ან მონეტებად. მათი ზომის ერთეულებია მხოლოდ „ტომრები“, „ჩანთები“, „ყუთები“, „კალათები“ და შეკვრები“, რომლებსაც არათუ ზომა და წონა უწერია, არამედ გატანის მომენტში თვით განძეულის დასახელებაც არ არის მითითებული, რაზეც ასე წუხს შემდგომში „განძის გუშაგი“:

**„მუზეუმებმა ვერ მოასწრეს საევაკუაციო ნივთების სიის შედგენა და ყუთების გასაღებების გადმოცემაც. ევაკუაცია მოულოდნელი იყო“,** — წერს ექვთიმე 1935 წლის მაისში პარიზში დაწერილ სტატიაში „ერთი შეკითხვის გამო“ (გ. ჟორდანია, „განძის დაბრუნება“, გვ. 34).

სიმონ ჯანაშიას მოხსენებიდან ირკვევა: **„არავითარი დოკუმენტი განძეულობისა თვითსაცავებიდან ამოღებისა და გადაბარება-ჩაბარებისა არ შემონახულა. და, როგორც მცოდნე პირები მოწმობენ, არც ყოფილა როდესმე შემონახული“** (საარქ. № 2233 ფ.60. გვ.12).

**„სია საფრანგეთში გაკეთებული ყოფილა 1934 წლის მაისში, როდესაც შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციასთან დაკავშირებით ეს განძეულობა ჩაიბარა საფრანგეთის მთავრობამ. ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა იგი 1944 წლის ნოემბრამდის“** (საარქ № 2233 ფ.60. გვ 60.).

**აქტი**
**სამუზეუმო ფასეულობათა მიმღები კომისიისა**

დღეს, 14 ივნისს, მუზეუმ „მეტეხის“ მცირე ხელოვნების განყოფილების გამგემ, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ იროდიონ სონღულაშვილმა კომისიაში წარმოადგინა სამუზეუმო ფასეულობათა სიები და ოქმი ფრანგულ ენაზე, რომელიც შედგენილი ყოფილა პარიზში 1944 წლის 9 დეკემბერს, აღნიშნულ ქართულ სამუზეუმო ფასეულობათა საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის წარმომადგენელთა მიერ, საბჭოთა საკონსულოთათვის გადაცემის თაობაზე პარიზში.

აღნიშნული დოკუმენტები ამხ. ირ. სონღულაშვილისთვის გადაუცია მუზეუმ „მეტეხის“ დირექტორს, პროფ. შ. ამირანაშვილს 1945 წლის ივნისის 13-ს საღამოთი.

კომისიის წევრები ადასტურებენ, რომ, მიუხედავათ მათი მრავალგზისი შეკითხვისა, არსებობს თუ არა გადაცემა-მიღების აქტი, ამხ. ირ. სონღულაშვილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესახებ, მათ პირველად გაიგეს 1945 13 ივნისს, დღისით ამხ. Pპ. შარიასაგან, ხოლო პირადად მიიღეს ხელთ ეს დოკუმენტები დღეს, 1945 წლის 14 ივნისს“.

აქტს ხელს აწერს:
**კომისიის თავ-რე:**
**ს. ჯანაშია.**
**წევრები: ს. ჭილაია,**
**ვ. მგალობლიშვილი.**
**კომისიის მდივანი:**
**ა. აფაქიძე.**
**(საარქ №2233 ფ60 გვ 93).**

ძნელი წარმოსადგენია ასეთი „დომხალის“ პირობებში



კრეისერი „ერნსტ რენანი“

**ზღვაში შესულ გემზე საბახტარიშვილი შევალიესა და გემის კაპიტანთან ერთად თვალყურს ადევნებდა, როგორ ახარისხებდნენ უცხო პირები თავიანთი გემოვნებითა და შეხედულებით საუკუნეებგამოვლილ და ნალოლიავებ ქართულ ეროვნულ განძს, შემდეგ კი დაშლილი ყუთებიდან და დახეული ტომრებიდან გადაჰქონდათ «ყუთიდან ყუთში», «ტომრიდან ტომარაში», «ჩანთიდან ჩანთაში» და «კალათიდან კალათაში»**

**საეჭვო არ არის, რომ ყველა გათამაშებული სცენა, რომლებიც განძისა და ექვთიმე თაყაიშვილის დაცილებას გამოიწვევდა, დაკავშირებულია მენშევიკური მთავრობის ფარულ გარიგებასთან. ექვთიმე თაყაიშვილი, აბელ შევალიესთან ერთად, ამ შემთხვევაშიც და შემდეგაც გამოყენებულია ეროვნული განძის გატაცების ბრმა იარაღად. ის დანაშულის უნებლიე თანამონაწილეა.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ შესაძლებელი იყოს, განძის მოვლა და პატრონობა მაშინაც კი, როდესაც განძს იცავს უკეთილშობილესი და უპატიოსნესი ადამიანი

## განძის მოძრაობა ბათუმიდან მარსელამდე

„3 მარტს, საღამოთი, მატარებელმა ბათუმს მიაღწია. ქუთაისიდან ბათუმს ჩაიტანეს სულ 187 საცავი ერთეული. 154 მოზრდილი და 19 მომცრო ყუთი (მომცრო ყუთებში ელაგა ქუთაისიდან გატანილი სამონასტრო ქონება, აქედან ერთი იყო, ალბათ, მარტვილის ქონებით დატვირთული, დანარჩენი 18 — გელათური ქონებით, 12 ტომარა, ერთი დიდი კალათი და სურათების ერთი შეკვრა“ (გ. ჟორდანია, „დაბრუნებული საუნჯე“, გვ. 40).

ყურადღება მიაქციეთ წინა წერილებში ნახსენებ და დამოწმებულ სიტყვებს. ეს ქონება „ტომრებში“, „ყუთებში“ „ჩანთებსა“ და „კალათებში“ მათთვის არავის არ ჩაუბარებია და არც მიღება-ჩაბარების რაიმე საბუთი არსებობს.

ასე აბდაუბდად გატანილ-შემოტანილი განძი, რომელიც თბილისსა და ბათუმს შორის მოგზაურობდა, უამრავი ხალხის წინააღმდეგობას აწყდებოდა.

ქუჩაში გამოსული ხალხი პროტესტმა მოიცვა:

**„ყველა ჩვენი სიმდიდრე, ჩვენი საცხოვრებელი თან მიაქვთ და ჩვენ მშიერ-მწყურვალს გვტოვებენ. არა, ამას ვერ მოვითმენთ, ვერ დავუშვებთო. აღშფოთებული ხალხი რომ „მოეთაფლა“, იოსებ ელიგულაშვილი იძულებული იყო, მათთვის ცოტ-ცოტა ფული ექლია“** (გ. ჟორდანია, „დაბრუნებული საუნჯე“, გვ. 46). ასე იყო თუ ისე, „უზომ-უწონო“ ეროვნული განძით დატვირთული „ტომრები“, „ყუთები“, „ჩანთები“ და „კალათები“, **აბელ შევალიეს** (საფრანგეთის ელჩი) ბრძანებით, ფრანგულ სამხედრო კრეისერ „ერნესტ რენანზე“ აიტანეს და დააბინავეს. ეს მოხდა 1921 წლის 5 მარტს.

მოლაპარაკებისა და წესის თანახმად, **ეროვნულ განძს „განძის გუშაგი“ უნდა გაჰყოლოდა თანაშემწე იოსებ ელიგულაშვილთან ერთად, მაგრამ, შეგნებულად თუ შეუგნებლად (მგონი, შეგნებულად — გრ. ონიანი), იმის მომიზეზებით, რომ გემი სამხედრო იყო და მასზე სამოქალაქო პირი არ დაიშვებოდა, ექვთიმე თაყაიშვილსა და იოსებ ელიგულაშვილს უარი ეთქვათ განძის გაყოლაზე და ფრანგულ კრეისერზე ატანილი განძი გაშლილ ზღვაში ყოველგვარი გუშაგის გარეშე შეცურდა.** მაგრამ მოხდა უცნაური რამ: სამხედრო გემზე აღმოჩნდა სამოქალაქო პირი, ვინმე საბახტარიშვილი. მას, სამსახურეობრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, კარგად იცნობდა საფრანგეთის ელჩი. **ზღვაში შესულ გემზე საბახტარიშვილი შევალიესა და გემის კაპიტანთან ერთად თვალყურს ადევნებდა, როგორ ახარისხებდნენ უცხო პირები თავიანთი გემოვნებითა და შეხედულებით, საუკუნეებ-გამოვლილ და ნალოლიავებ ქართულ ეროვნულ განძს, შემდეგ კი დაშლილი ყუთებიდან და დახეული ტომრებიდან გადაჰქონდათ „ყუთიდან ყუთში“, „ტომრიდან ტომარაში“, „ჩანთიდან ჩანთაში“ და „კალათიდან კალათაში.“**

სამი დღის განმავლობაში გემზე მყოფმა „მავრმა” თავისი საქმე გააკეთა. „გამოშიგნული“ ყუთები და „ტომრები”, კვლავ აბელ შევალიეს ბრძანებით სტამბოლში სატრანსპორტო გემ “ბიენ-ჰოლზე” გადაიტანეს და მოთმინებადაკარგულ და ქანცგამოლეულ მეცნიერს თანხმლებ პირთან ერთად გემზე ასვლის უფლებაც მისცეს და გემის კაპიტანთან სადილითაც დააჯილდოვეს.

როდესაც ექვთიმე თაყაიშვილს სატრანსპორტო გემზე ასვლის ნება დართეს და მან ქართული განძი დაათვალიერა, შეამჩნია, რომ ყუთები და ტომრები შეცვლილი იყო. მაგრამ უფრო იმით იყო გაოცებული, რომ გემზე აღმოაჩინა ქონება, რომელიც ბათუმში დატოვა. ექვტიმე თაყაიშვილისთვის გამოცანა იყო, თუ როგორ მოხვდა ეს ქონება ჯერ სტამბოლში, შემდეგ კი — სატრანსპორტო გემზე.

საეჭვო არ არის, რომ ყველა გათამაშებული სცენა, რომელიც განძისა და ექვთიმე თაყაიშვილის დაცილებას გამოიწვევდა, დაკავშირებულია მენშევიკური მთავრობის ფარულ გარიგებასთან. ექვთიმე თაყაიშვილი, აბელ შევალიესთან ერთად, ამ შემთხვევაშიც და შემდეგაც გამოყენებულია ეროვნული განძის გატაცების ბრმა იარაღად. ის დანაშულის უნებლიე თანამონაწილეა.

სატრანსპორტო გემის ხელმძღვანელობა ხშირად „უწყობდა ხელს,” რომ ექვთიმე თაყაიშვილს ამა თუ იმ პორტში გაჩერებისას ესარგებლა პატარა გემით და მთელი დღის განმავლობაში ეთვალიერებინა მუზეუმები და საინტერესო ადგილები, რომლებიც გზად უამრავი იყო.

ხუთი მარტიდან ათ აპრილამდე მგზავრობდა ეროვნული განძი ზღვაზე, ვიდრე 10 აპრილს მარსელის ნავსადგურს არ მიადგა.

განძის თეატრალიზებული გადმოტვირთვის ცერემონიის შემდეგ, **„ბანკში შეზიდული ქართული განძეულობისა და სხვა ქონებას ჩალაგებულს 248 მომეტებულად დიდ ზომის ყუთსა და ერთ დიდ კალათაში დაუკავებია საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილების არა მარტო ოთახები, არამედ კორიდორებიც და ძლივს დატეულა“.** (გ.ჟორდანია „დაბრუნებული საუჯე” გვ. 56.)

გთხოვთ, დაიმახსოვროთ ეს ფრაზა, რადგან ამ საკითხზე კიდევ გვექნება საუბარი!

როგორც ექვთიმე თაყაიშვილის ჩანაწერებიდან ირკვევა, კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ: ე. თაყაიშვილი, ი. ელიგულაშვილი, ზ. ავალიშვილი და ა. დეკანოზიშვილი მარსელის ბანკის განყოფილებას ჩააბარა 167 ყუთი, რომელზედაც **„ბანკი თავის მხრივ არ კისრულობდა არავითარ პასუხისმგებლობას, ამ ყუთების არც შინაარსზე და არც წონაზე.“** (გ. ჟორდანია „დაბრუნებულინ საუნჯე“ გვ.60).









## 1918-21 წლებში ექვთიმე თაყაიშვილის წვლილი ქართული ეკლესია-მონასტრებიდან განძის გამოზიდვისა და ეკლესიის ქონების სახელმწიფო კუთვნილებად გამოცხადების საქმეში დიდია. ეკლესიებისთვის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფო საკუთრებად აღიარების საკანონმდებლო ბაზის შექმნა აშკარად ექვთიმე თაყაიშვილის შემოქმედებაა

## მენშევიკურმა მთავრობამ საგანძური არა თვითონ საგანძურის, არამედ საკუთარი თავის გადასარჩენად გაიტაცა, რაშიც ექვთიმე თაყაიშვილი ბრმა იარაღად იქნა გამოყენებული

საინტერესოა, ალალბედზე მიბარებული და მიგდებული ეროვნული საგანძური, რომელიც 167 ყუთში იყო განთავსებული და, რომელსაც არ ერთვოდა არც ჩამონათვალი, არც წონა და არც ზომა, რატომ არ იყო აღრიცხული მაშინ, როდესაც უცხო ხელმა რამდენიმეჯერ გახსნა და გადაალაგ-გადმოალაგა?!.

პარიზში ჩასული მენშევიკური მთავრობის მეთაური ნოე ჟორდანია მიიღო საფრანგეთის პრემიერ მინისტრმა, რომელმაც მას გულწრფელად ჰკითხა: „რით აპირებს პარიზში ცხოვრებას, არცთუ მცირერიცხოვანი ემიგრანტული მთავრობა?“

ნოე ჟორდანიამ უპასუხა, წამოღებული გვაქვს ხაზინა და ეროვნული განძი, და ერთხანს შემოგვეშველებაო.

1921 წლის 21 მაისს, ნოე ჟორდანიას განკარგულებით, ზურაბ ავალიშვილი და იოსებ ელიგულაშვილი, პარიზიდან მარსელს გაემგზავრნენ. ბანკიდან ეროვნული განძისა და ქონების გამოსატანად. მათ სთხოვეს ექვთიმე თაყაიშვილს, რომ თან გაჰყოლოდათ ბანკში განძის მისაღებად, მაგრამ ექვთიმე თაყაიშვილმა მტკიცე უარი განუცხადა, — მე ჩემი საქმე გავაკეთეო.

ზურაბ ავალიშვილმა და იოსებ ელიგულაშვილმა მარსელის ბანკში მიბარებულ 167 ყუთიდან 128 ყუთი გამოიტანეს და „ავეჯის საცავ საკანს ჩააბარეს”. „248 ყუთიდან, რომელიც კრეისერზე იქნა ატანილი ბათუმში, ბანკში დარჩა მხოლოდ 39 ყუთი’.

როგორც მასალებიდან ირკვევა, ექვთიმე თაყაიშვილს 21 მაისის შემდეგ, იურდიულად, განძთან არაფერი შეხება არ ჰქონდა და არც რამე ეკითხებოდა, რადგან ბანკში ჩაბარებული განძი თუ ფასეულობა თაყაიშვილის სახელზე არ იყო შეტანილი. და ამიტომაც **ასე იოლად შეძლეს ზურაბ ავალიშვილმა და იოსებ ელიგულაშვილმა მარსელის ბანკში მიბარებული 167 ყუთიდან 128-ის გამოტანა და რეალიზაცია.**

ექვთიმე თაყაიშვილის სიჯიუტე, რომ ის პარიზიდან მარსელში არ გაჰყვა მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლებს მთავრობის თავმჯდომარის განკარგულების შესასრულებლად, სრულ წარმოდგენას გვაძლევს ექვთიმე თაყაიშვილის უზადო პატიოსნებაზე, მაგრამ ნათელ სურათს გვაძლევს იმისა, რომ **ექვთიმე თაყაიშვილის ზურგს უკან მიმდინარეობდა ფარული გარიგებები, რომელსაც მენშევიკური მთავრობის სხვა წევრები სჩადიოდნენ განძის მიმართ.**

1918-21 წლებში ექვთიმე თაყაიშვილის წვლილი ქართულ ეკლესია- მონასტრებიდან განძის გამოზიდვისა და ეკლესიის ქონების სახელმწიფო კუთვნილებად გამოცხადების საქმეში, დიდია. ეკლესიებისათვის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფო საკუთრებად აღიარების საკანონმდებლო ბაზის შექმნა აშკარად ექვთიმე თაყაიშვილის შემოქმედებაა.

ეროვნული საგანძურის ოდისეა თბილისიდან პარიზამდე და პარიზიდან თბილისამდე — ეს არის ქართთველი ერის წინაშე ჩადენილი უმძიმესი დანაშაული, რომელსაც, ადრე თუ გვიან, სამართლებრივი სახე მიეცემა. და არა მგონია, არ გამართლდეს ედპ-ს იმჟამინდელი ლიდერის, სპირიდონ კედიას სიტყვები, რომლებსაც ის ექვთიმე თაყაიშვილს წერდა: „ეროვნული განძის გატაცება-განიავებისათვის მენშევიკურ მთავრობას მკაცრად მოეთხოვება, როდესაც ამის დრო დადგება!“.

მიუხედავად იმისა, რომ ექვთიმე თაყაიშვილი აკონტროლებდა სიტუაციას და იცოდა სიმართლე ქვეყნიდან გატაცებული განძის ორი მესამედის გაყიდვა-განიავების შესახებ, ის მაინც ჯიუტად იცავდა მენშევიკურ მთავრობას და უდასტურებდა მოსკოვში საქართველოს აკადემიურ წარმომადგენელ დამიანე ჯგუშიას, რომ განძის პატრონი თვითონ კი არა მენშევიკური მთავრობაა და მხოლოდ მას შეუძლია განძზე განკარგულების გაცემა.

ამ წერილში წინსწრები მოვლენების აღწერა და დოკუმენტების გამოყენება იმიტომ ჩავთვალე საჭიროდ, რომ მკითხველმა თავიდანვე თვალი გააყოლოს და დაუკვირდეს საგანძურის იმ მცირე ნაწილის საქართველოში დაბრუნებისათვის გაწეულ მუშაობას, სადაც ექვთიმე თაყაიშვილის როლი ძალზე მცირეა, მაგრამ უახლოესი ისტორიის მკვლევარებს, არ ვიცი, რატომ, სურთ, ბუზი სპილოდ აქციონ, ხოლო სპილო საერთოდ ამოიღონ „ცხოველთა სამყაროდან“.

ბოლოს უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ **მენშევიკურმა მთავრობამ საგანძური არა თვითონ საგანძურის, არამედ საკუთარი თავის გადასარჩენად გაიტაცა, რაშიც ექვთიმე თაყაიშვილი ბრმა იარაღად იქნა გამოყენებული.**

ეროვნული საგანძურის ორი მესამედი მენშევიკურმა მთავრობამ გაყიდა და მოახმარა თავის უმიზნო „დონკიხოტობას” და არა — საქართველოს ინტერესებს.

1918 — 1921 წლები საქართველოს ისტორიის შავი ლაქაა, რომლის ბაცილაც დღემდე მოჰყვება საქართველოს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას და რაც მთავარია მის ეკონომიკას.

**მომავალ წერილებში შევეცდები, ნათელი წარმოდგენა შეგიქმნათ იმ სიცრუის გორგალზე, რომლის შიგნითაც „ჯადოსავით” არის გახვეული „ეროვნული განძი” და „განძის გუშაგი“.**

## მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროპული კომისიის ხელმძღვანელის აზრით, ახალი ერთიანი ევროპული არმია მოახერხებს ევროკავშირის უსაფრთხოების გაზრდას, რადგან, მისი აზრით, ნატოს არ შესწევს უნარი, თავი გაართვას აღნიშნულ ამოცანას — ევროკავშირის ყველა ქვეყანა არ შედის ნატოში და ნატოში შემავალი ყველა ქვეყანა არ არის მზად, დადგეს ევროკავშირის ინტერესების სადარაჯოზე.**



## ეგვიპტის მთავრობა ახალი დედაქალაქის აშენებას აპირებს

**ეგვიპტის მთავრობა ახალი დედაქალაქის აშენებას აპირებს.** ამის თაობაზე ინფორმაციას „ბიბისი“ ავრცელებს. ქვეყნის ცენტრი ამჟამინდელ დედაქალაქ კაიროდან აღმოსავლეთით გადაინაცვლებს, სადაც მთავრობა, პარლამენტი და უცხოური დიპლომატიური წარმომადგენლობები გადავლენ. პროექტისთვის დაახლოებით 45 მილიარდი დოლარია გამოყოფილი და მასზე მუშაობა ხუთ-შვიდ წელიწადში დასრულდება.

ეგვიპტის მთავრობის ინფორმაციით, ახალი დედაქალაქის მშენებლობის მიზანს კაიროს განტვირთვა წარმოადგენს. ახალ ქალაქში ინფრასტრუქტურა რამდენიმე მილიონი ადამიანისთვის აშენდება.



## ვანუატუს დედაქალაქი ქარიშხალმა გაანადგურა

**ქარიშხალმა „პემმა“ ვანუატუს დედაქალაქი პორტ ვილა დაანგრია.**

შენობების 90% დანგრეულია. სხვადასხვა ინფორმაციით, დაღუპულია 44 ადამიანი.იმის გამო, რომ ქვეყანა ძირითადად, კუნძულებისგან შედგება, მაშველების აზრით, არსებობს საშიშროება, რომ გარდაცვლილთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდოს, როცა ყველა კუნძულთან კონტაქტის დამყარება მოხდება.

ათასობით ადამიანი დროებითი მოთავსების ბანაკებშია გადაყვანილი. ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული.

# ერთიანი ევროპული არმია: ევროკავშირის დამოუკიდებლობის შანსი თუ «ორმაგი ბიგ-მაკი» ამერიკისგან?

**ჟან-კლოდ იუნკერმა, ადამიანმა, რომელმაც ვერ მოახერხა, ესოდენ სწრაფად არ დაავადებულიყო ევროკომისიის ნებისმიერი მეთაურისათვის დამახასიათებელი ბაცილით — რუსოფობიითა თუ ევროიდიოტიზმით, ევროპელებს შესთავაზა, უკვე არსებული სახელმწიფო არმიების, უამრავი პოლონური, გერმანული, ბრიტანული და სხვა კერძო სამხედრო კომპანიებისა და ნატოს გაერთიანებული ევროპული ბლოკის გარდა, შექმნან კიდევ ერთი — საერთო ევროპული არმია.**



ევროპული კომისიის ხელმძღვანელის აზრით, ახალი ერთიანი ევროპული არმია მოახერხებს ევროკავშირის უსაფრთხოების გაზრდას, რადგან, მისი აზრით, ნატოს არ შესწევს უნარი, თავი გაართვას აღნიშნულ ამოცანას — ევროკავშირის ყველა ქვეყანა არ შედის ნატოში და ნატოში შემავალი ყველა ქვეყანა არ არის მზად, დადგეს ევროკავშირის ინტერესების სადარაჯოზე.

რაც შეეხება ევროკავშირის მთელი რიგი ქვეყნების საკუთარ არმიებს, მათ არ შეუძლიათ, სრულფასოვნად იზრუნონ საზღვრების უსაფრთხოებაზე შენგენის პირობებში. იუნკერი, როგორც ჩანს, ასე თავის მშობლიურ ლუქსემბურგზეც ფიქრობს...

ევოკომისიის ხელმძღვანელის მხრიდან ამგვარი განცხადებების შემდეგ მრავალ ევროპულ სახელმწიფოს მიეცა საბაბი, თავში წაეშინა ხელები; მაგალითად, „სამი ბალტიისპირული ვეფხვის“ ხელისუფლებებს. ამ „ვეფხვებმა“ უკვე აღარ იციან, რომელი შიდა რეზერვებიდან მოაგროვონ სამხედრო მოსამსახურეები, რათა ამოავსონ ხვრელები ნატოს „ათასერთი მისიის“ შესრულებისას ცენტრალური აფრიკიდან აზიის რეგიონამდე; არ იციან, სად „გააჩინონ“ ჯარისკაცები საკუთარი არმიების გასაფართოებლად, სად გამონახონ სახსრები რუსეთის საზღვრებთან ეგრეთ წოდებული სწრაფი რეაგირების ცენტრების შესანახად. ამ ყველაფერს ახლა იუნკერიც დაემატა.

ლიტველებს ისღა დარჩენიათ, უმოკლეს დროში მოახდინონ თავიანთი ჯარისკაცების კლონირება ან ერთი და იგივე ჯარისკაცი ჩაწერონ, როგორც ლიტვის, ისე ევროპული არმიის სიაში და ამავე დროს, არ ამოშალონ მისი სახელი ნატოს კონტინგენტის სიიდან, ნატოსი, რომელიც, შესაძლოა, სომალის ან ნიგერიის რომელიღაც ქალაქისკენ გაემართოს იქაურობის დემოკრატიზაციისთვის.

არსებობს კიდევ ერთი გამოსავალი — იუნკერის უგულებელყოფა, მაგრამ... სავარაუდოდ, ეს მესამე და ყველაზე მუშა ვარიანტი ბალტიისპირეთის ხელისუფლებებმა უმალ ჩამოწერეს, რადგან დღეს იუნკერის უგულებელყოფა პირდაპირ ნიშნავს იმას, რომ ის ხვალ ასევე უგულებელყოფს ბალტიისპირეთის ეკონომიკის ყველა მორიგ საკრედიტო განაცხადს.

ლატვიელთა კლონირებასთან დაკავშირებითაც, სავარაუდოდ, მთელი რიგი პრობლემები იქნება, ამიტომ ლიტვას, ლატვიასა და ესტონეთს ერთადერთი ვარიანტი რჩებათ — მრავალჯარისკაციანი არმიები.

სხვათა შორის, ევროკავშირში ისეთებიც არიან, ვისაც ჟან-კლოდ იუნკერის იდეა მოეწონა. ევროკომისიის მეთაურის შემოთავაზების დამფასებლებად იქცნენ გერმანიისა და ფინეთის სამხედრო უწყებების ხელმძღვანელები. როგორც ჩანს, ჩინოვნიკებს მოეწონათ იუნკერის ფრაზა, რომლითაც მან ახსნა ერთიანი ევროარმიის შექმნის არსი:

„ევროკავშირის არმია საჭიროა არა იმისთვის, რომ უმალ ავამოქმედოთ, არამედ რუსეთს მივანიშნოთ, რომ ჩვენ სერიოზული დამოკიდებულება გვაქვს ევროკავშირის ფასეულობების დაცვის მიმართ“.

ამ ყველაფერთან ერთად ფინელებმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტეს, რომ ევროპის ერთიანი არმია ძალიანაც საინტერესო ალტერნატივაა ნატოში შესვლისთვის. არსად შესვლა აღარ იქნება საჭირო — ისედაც არიან ევროკავშირში...

გერმანელებს რაღა უნდათ? კერძო სამხედრო კომპანიები, ნატოს კონტინგენტის წევრობა, ბუნდესვერი — ეს ყველაფერი ცოტაა ფრაუ მერკელისთვის? გავიხსენოთ იუნკერის კიდევ ერთი ფრაზა: **„ევროპული კავშირი ბოლო ხანს კარგავს პრესტიჟს. საგარეო პოლიტიკაშიც კი ევროკავშირი ყოველთვის სერიოზულად არ აღიქმება“.**

**52 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი, ოფიცერი და გენერალი — ეს არის ტიპური საოკუპაციო ჯარი, რომელსაც ათწლეულების მანძილზე სასხლეტზე უდევს თითი და მიანიშნებს, თუ საით და რისთვის უნდა მიემართებოდეს გერმანიის არმია**

რაც არის, არის, მაგრამ ვინაა დამნაშავე? ისევ რუსეთი თუ ამჯერად თვითონ არიან დამნაშავენი?

ერთი შეხედვით, გერმანიას არანაირი მიზეზი არ აქვს იმისათვის, რომ მხარი დაუჭიროს ევროკომისიის მეთაურის წინადადებას, მაგრამ საქმე ისაა, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გერმანია საკმაოდ ღია ამერიკული ოკუპაციის ქვეშაა. **სწორედ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ტერიტორიაზეა განლაგებული ევროპის მასშტაბით რეკორდული რაოდენობის ამერიკული კონტინგენტი — აშშ-ის არმიის 52 ათასი სამხედრო მოსამსახურე. ეს რიცხვი შთამბეჭდავზე მეტია და იმაზე მეტყველებს, რომ ბუნდესვერი, მიუხედავად მთელი მისი ძლევამოსილებისა, სხვა არაფერია, თუ არა მარიონეტული კოლოსი, რომელიც ვაშინგტონიდან იმართება.**

**52 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი, ოფიცერი და გენერალი — ეს არის ტიპური საოკუპაციო ჯარი, რომელსაც ათწლეულების მანძილზე სასხლეტზე უდევს თითი და მიანიშნებს, თუ საით და რისთვის უნდა მიემართებოდეს გერმანიის არმია.** ხდება ხოლმე, რომ ბერლინი წინააღმდეგობას გამოხატავს, მაგრამ მაინც ნებდება ამერიკულ ინტერესებს. ამ კონტექსტში უცნაურად გამოიყურება კითხვა, თუ რატომაა ფრაუ მერკელი ესოდენ დამთმობი აშშ-ის პრეზიდენტთან საუბრისას. **როგორ მოიქცეოდა სხვა ხელმძღვანელი, თუ მისი ქვეყნის ტერიტორიაზე ამდენი უცხოელი ჯარისკაცი იდგებოდა და ამათი ერთადერთი მიზანი არ იქნებოდა მასპინძელი ქვეყნის უსაფრთხოების დაცვა?**

გერმანიის ტერიტორიიდან ამერიკული კონტინგენტის გაძევებისთვის გერმანელებს გამბედაობა არ ჰყოფნით, რადგან ობამამ პირდაპირ მიანიშნა, რომ ამერიკელები არიან განსაკუთრებული ერი, რომელმაც გაიმარჯვა ცივ ომში, გერმანელები კი ფრჩხილის ჭუჭყზე მეტს არაფერს წარმოადგენენ. და გერმანელები იძულებულნი არიან, მოითმინონ...

აი, ამგვარ სიტუაციაში გერმანიის თავდაცვის მინისტრ ურსულა გერტრუდა ფონ დერ ლიაიენს რაღაც შანსის მაგვარი ეძლევა, შექმნას რაღაც რეალური საპირწონე მსგავსი მაინც ამერიკული ძალების წინააღმდეგ. და, **როგორც ჩანს, იუნკერი, ლიაიენი და ფინეთის თავდაცვის მინისტრი ჰაგლუნდი თანხმდებიან, რომ „განსაკუთრებულთა ნაცია“ არ შეეცდება ახალი სამხედრო მექანიზმის შექმნის გაკონტროლებას.**

აქაც ორი ვარიანტია: ეს ადამიანები ან ძალზედ გულუბრყვილონი არიან, ანდაც იუნკერის ინიციატივა არის იმავე ამერიკის შეერთებული შტატების კრეატურა, ამერიკისა, რომელმაც გადაწყვიტა, ევროპისგან ორმაგი მილიტარისტული ბიგ-მაკი გააკეთოს და შეიქმნას ახალი შესაძლებლობები იარაღით ვაჭრობისა და სხვა „დემოკრატიული მომხიბვლელობებით“ ვაჭრობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ადვილად შესაძლებელია, იუნკერის ინიციატივა სწორედაც აშშ-ის ინტერესებს უკავშირდება, რომელსაც სურს, მოსკოვი სახელმწიფოების ნგრევის ახალ შეჯიბრში ჩაითრიოს.

topwar.ru

მსოფლიო

## თურქმენეთის ელჩი: სატრანზიტო დერეფნის — თურქმენეთი-აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის — პროექტი აქტიურად განიხილება

**თურქმენეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში — დოვლეთმურად მურატოვმა საელჩოში გამართა ბრიფინგი თემაზე „ნეიტრალური თურქმენეთი: მშვიდობისა და კეთილმეზობლობის პოლიტიკა“.** დოვლეთმურად მურატოვის განცხადებით, თურქმენეთის ისტორიულმა არჩევანმა ნეიტრალური სტატუსის შესახებ არა მხოლოდ ქვეყანას, არამედ მსოფლიოს მოუტანა წარმატება. ელჩის თქმით, თურქმენეთი პარტნიორებთან ერთად სარკინიგზო მაგისტრალის თურქმენეთი-ავღანეთი-ტაჯიკეთის პროექტის განხორციელებას უახლოეს მომავალში გეგმავს. **„ამ ასპექტში ასევე აქტუალურად განიხილება ავღანეთში სატრანზიტო დერეფნის — თურქმენეთი-აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის პროექტის განხორციელება, რომელიც მომავალში კონტინენტური სატრანსპორტო სისტემის განუყოფელი ნაწილი შეიძლება გახდეს. აღნიშნული პროექტი ბევრ ქვეყანას მსოფლიო ბაზარზე გასვლის შესაძლებლობას მისცემს, ასევე ევრაზიის მაშტაბით ქვეყნებს ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების გაძლიერებაში დაეხმარება“,** — განაცხადა ელჩმა.



ამერიკის ნაქები პრინციპი კანონის უზენაესობის შესახებ უკვე აღარ გამოიყურება მტკიცედ. პირიქით, ის იცავს მდიდრებს სუსტებთან დაპირისპირებაში. ეს არის ამერიკული სტილის კორუფცია, რომლის დროსაც ლობირება და საარჩევნო კამპანიებში ფულის შეტანა მთელი სისტემის დისკრედიტებას იწვევს, როდესაც მაღალჩინოსნები მართლაც არ იღებენ ქრთამს.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სამართლიანი მოსმენა სუვერენული ვალების შესახებ

**შარშან, ივლისში, როდესაც აშშ-ის ფედერალურმა მოსამართლემ ტომას გრიესამ დაადგინა, რომ არგენტინამ ეგრეთ წოდებული ფასკუნჯი-ფონდების მიერ გარიგების ფასად შეძენილი სახელმწიფო ობლიგაციები ნომინალების მიხედვით უნდა აანაზღაუროს, ქვეყანა იძულებით გადავარდა დეფოლტში. ამ გადაწყვეტილებას შორს მიმავალი შედეგები მოჰყვა და გავლენა მოახდინა ობლიგაციებზე, რომლებიც მთელ რიგ იურისდიქციებში გამოუშვეს, რადგან ის გულისხმობს, რომ აშშ-ის მოსამართლეებს უფლება აქვთ, გადაწყვიტონ სხვა ქვეყნებში გაფორმებული კონტრაქტების ბედი.**



მას შემდეგ იურისტები და ეკონომისტები ცდილობენ, გრიესას გადაწყვეტილების ჩახლართულ შედეგებში გაერკვნენ. მართლა ვრცელდება აშშ-ის მოსამართლეების უფლებამოსილება ამერიკის საზღვრებს გარეთ?

ცოტა ხნის წინათ დიდი ბრიტანეთის სასამართლომ, როგორც იქნა, ოდნავ ნათელი მოჰფინა აღნიშნულ საკითხს და დაადგინა, რომ არგენტინაში ინგლისური სამართლის შესაბამისად გამოცემული ობლიგაციების პროცენტების ანაზღაურების წესი რეგულირდება ინგლისის კანონმდებლობით და არა აშშ-ის მოსამართლეების გადაწყვეტილებებით. ეს გადაწყვეტილება ჟანგბადის ნანატრი ულუფა იყო ამერიკის მოსამართლეების მთელი რიგი გადაწყვეტილებების შემდეგ. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელთ ბოლომდე არ ესმით გლობალური ფინანსური ბაზრის სირთულეები. იგივე გადაწყვეტილება რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა.

პირველ რიგში, და ეს უმთავრესია, **ის ფაქტი, რომ არგენტინის ვალებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში ამერიკული სასამართლო ერევა, ნათლად ადასტურებს, რომ სავაჭრო ურთიერთობების სტილში სახელმწიფო ვალების კრიზისების გადაჭრის მცდელობები ქაოსს ბადებს.**

არგენტინის დეფოლტამდე მრავალი ადამიანი მცდარად მიიჩნევდა, რომ სუვერენული ვალების დაფარვასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება შესაძლებელია მოლაპარაკებების დეცენტრალიზებით, არამკაცრ სამართლებრივ ჩარჩოებში. მაგრამ ამ მოვლენის შემდეგაც კი ფინანსურმა საზოგადოებამ და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა სახელმწიფო ობლიგაციების ბაზარზე გარკვეული წესრიგის დამყარება მოინდომეს სავალე კონტრაქტების დახვეწილი ტექსტების აგებით. ისინი მევალეებს ავალდებულებენ, დათანხმდნენ რესტრუქტურიზაციას, რომელიც მოიწონა კრედიტორების კვალიფიციურმა უმრავლესობამ.

მაგრამ ისეთი უბრალო მოდიფიკაციები, როგორიცაა კონტრაქტებში ჩასწორებები, ვერ აგვარებს სისტემურ ნაკლოვანებებს. სახელმწიფო ვალების სხვადასხვაგვარობის ფონზე, რომელიც რეგულირდება მთელი რიგი ურთიერთსაწინააღმდეგო კანონებით სხვადასხვა იურისდიქციებში, კრედიტორების ხმების დაჯამების საბაზისო ფორმულა ვერ გადაჭრის იმ რთულ საკითხებს, რომლებზეც მიმდინარეობს ვაჭრობა. ის ასევე ვერ დაეხმარება გაცვლის კურსების განსაზღვრის საქმეს, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს სხვადასხვა ვალუტაში ნომინირებული ვალების შეფასებისას. თუ ეს საკითხი ბაზრის მისახედი გახდება, მაშინ მისი გადაჭრა დაფუძნებული იქნება არა ეფექტურობასა და თანასწორობაზე, არამედ უბრალო საბაზრო სიმძლავრეზე.

ამ სისტემური ნაკლოვანებების შედეგი მხოლოდ უხერხულობა არაა. როგორც საბერძნეთის მაგალითიდან ჩანს, ვალის რესტრუქტურიზაციის დასრულების შეფერხება, შესაძლოა, ეკონომიკური რეცესიის გაღრმავებისა და გახანგრძლივების საბაბად იქცეს.

ბრიტანული დადგენილების მეორე გაკვეთილი ეხება იმას, რომ ცუდად მომუშავე სისტემისა და მაღალი განაკვეთების პირობებში სავალე ბაზრებს ნაკლები მიზეზები რჩებათ აშში მუშაობის გასაგრძელებლად. ამერიკა მუდამ ამაყობდა კანონის უზენაესობის პრინციპით. ეს არის ერთ-ერთი კონკურენტული უპირატესობა, რამაც უოლ-სტრიტი სუვერენული ვალების უმსხვილეს ბაზრად აქცია, მაგრამ გრიესას დადგენილებამ აჩვენა, რომ აშშ-ის კომერციულ ინტერესებს შეუძლია, გავლენა მოახდინოს ამერიკელი მოსამართლეების გადაწყვეტილებებზე.

**ამერიკის ნაქები პრინციპი კანონის უზენაესობის შესახებ უკვე აღარ გამოიყურება მტკიცედ. პირიქით, ის იცავს მდიდრებს სუსტებთან დაპირისპირებაში. ეს არის ამერიკული სტილის კორუფცია, რომლის დროსაც ლობირება და საარჩევნო კამპანიებში ფულის შეტანა მთელი სისტემის დისკრედიტებას იწვევს, როდესაც მაღალჩინოსნები მართლაც არ იღებენ ქრთამს.**

დასასრულ, უმნიშვნელოვანესი დასკვნა ბრიტანეთის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან არის ის, რომ აღნიშნულ პრობლემას ყველა ქვეყანამ უნდა მიაქციოს ყურადღება. ამერიკელი მოსამართლეები არ არიან მთელი მსოფლიოს მოსამართლეები. ეს უკანასკნელი აღმოჩენა ნაკლებ სიამოვნებას მიანიჭებს უოლსტრიტს, მაგრამ მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის, რომლებიც კრედიტებზე არიან დამოკიდებული, ეს მართლაც კარგი სიახლეა.

ProjectSyndicate

# მსოფლიო წესრიგის გადასარჩენად

**მსოფლიოს ახალი წესრიგის თაობაზე ახლა ყველგან და ყველაფერს ლაპარაკობენ. ნორმების, ინსტიტუტების, წესებისა და ურთიერთობების შესახებ, რომლებიც უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში არეგულირებდნენ მოქმედებებს მსოფლიო არენაზე, ცივი ომის შემდეგ არასდროს დათმობია ესოდენ დიდი ყურადღება. ამას საფუძვლიანი მიზეზები აქვს: მსოფლიო ლიდერებს შორის ყალიბდება აზრი, რომ მსოფლიო წესრიგი ირღვევა, მაგრამ ისინი ვერ ახერხებენ საერთო პოზიციაზე შეჯერებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა უშველონ ამ საქმეს.**



**ვაჭრობაში მსოფლიო ლიბერალიზაციის კრახი და რეგიონული ბლოკების წარმოშობა ერწყმის გლობალური მასშტაბით კონკურენტუნარიან სახელმწიფო დაწესებულებებს, რომლებიც საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის ნორმატიულ სტრუქტურას ცდიან**

პრეზიდენტმა ობამამ თავისი ახლახან გამოქვეყნებული ნაციონალური უსაფრთხოების სტრატეგიის თითქმის მეოთხედი მსოფლიო წესრიგს და ამ წესრიგის განსამტკიცებლად აშშ-ის ძალისხმევას მიუძღვნა. ჰენრი კისინჯერის ახალი წიგნი World Order (მსოფლიო წესრიგი) ბესტსელერად იქცა, ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაიტმა კი ცოტა ხნის წინათ ღრმა შეშფოთება გამოხატა მსოფლიო წესრიგზე, რადგან „სისტემა მნიშვნელოვან ზეწოლას განიცდის". საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს წარმომადგენელმა რიჩარდ ჰაასმა ახლახან დაწერა „არეულობის ეპოქის" შესახებ, ნაციონალური დაზვერვის დირექტორმა ჯეიმს კლეპერმა კი ამერიკის კონგრესს განუცხადა, რომ გასულ წელს მსოფლიოში 1992 წლის შემდეგ ყველაზე მძლავრი პოლიტიკური არასტაბილურობა იყო.

ყურადღება სავსებით გასაგებია. ლიბერალური საერთაშორისო წესრიგი აგებულია მეორე მსოფლიო ომის ფერფლზე და უზრუნველყოფდა მშვიდობის შენარჩუნებას ზესახელმწიფოებს შორის, ხელს უწყობდა ეკონომიკურ აღმავლობას და თავისუფლების გავრცელებას. მოძრაობის სამომავლო ტრაექტორიასთან დაკავშირებული განგაში უპრიანია, რადგან მსოფლიოში პრობლემები სულ უფრო მრავლდება. ღია და წესებზე დაფუძნებული გლობალური წესრიგის სისტემა მოქმედებას განიცდის უკრაინაში შექმნილი მდგომარეობის, „ისლამური სახლმწიფოს" გაძლიერების, სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ქცევის წესებთან დაკავშირებით ჩინური გამოწვევების გამო და ა. შ.

ახლა მსოფლიო წესრიგი რამდენიმეა და არა ერთი. არსებობს წესრიგი ვაჭრობაში, რომელიც კომერციულ გარიგებებსა და არადისკრიმინაციას ეფუძნება. არსებობს ფინანსური წესრიგი, რომელიც მცურავი სავალუტო კურსების მსოფლიოში ფულის მდგრადობის შენარჩუნებაზე ზრუნავს. საზღვაო წესრიგი ემყარება ტერიტორიულ სუვერენიტეტსა და ზღვაოსნობის თავისუფლებას. გაუვრცელებლობის სფეროში წესრიგი კი მიმართულია ბირთვული იარაღის გავრცელების აკრძალვისკენ. ადამიანის უფლებების სფეროში ჩამოყალიბებული წესრიგი დამყარებულია ფუნდამენტური თავისუფლებებისა და დემოკრატიული პროცესების დაცვაზე.

ხუთივე ჩამოთვლილი მიმართულებით დაწყებულია სერიოზული რღვევები. **ვაჭრობაში მსოფლიო ლიბერალიზაციის კრახი და რეგიონული ბლოკების წარმოშობა ერწყმის გლობალური მასშტაბით კონკურენტუნარიან სახელმწიფო დაწესებულებებს, რომლებიც საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის ნორმატიულ სტრუქტურას ცდიან.** ბოლო წლების საბაზრო აბდაუბდა აჩენს კითხვებს ფინანსური წესრიგის ლეგიტიმურობაზე. საზღვაო წესრიგი საფრთხეში აღმოჩნდა იმის გამო, რომ ჩინეთი პრეტენზიებს აცხადებს სამხრეთ-ჩინურ ზღვაზე. ბირთვული იარაღის შექმნის მიმართულებით ჩრდილოეთ კორეისა და ირანის მოქმედებები სერიოზულ საფრთხეს უქმნის ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის არსებულ წესრიგს. ახალი ზეწოლის ქვეშაა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით არსებული წესრიგიც: ზოგიერთი საზომით, მსოფლიოში ადამიანის თავისუფლების ხარისხი, მეცხრე წელია, განუხრელად იკლებს.

საერთაშორისო წესრიგის შესახებ წარმოდგენები, ჩვეულებრივ, აბსტრაქტული და ამორფული ხასიათისაა, მოწყვეტილია კონკრეტული რეალური პოლიტიკისგან, ვაჭრობისა და თავდაცვისგან, მაგრამ სტრუქტურა, რომელიც მსოფლიოს უდევს საფუძვლად, სავსებით რეალურია. ჩვენი ლიდერებიდან სულ უფრო მეტი იწყებს იმის გაგებას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს სისტემა და, ამასთანავე, მსხვრევადიც. შეუძლებელია, ისინი არ აცნობიერებდნენ, რომ მსოფლიო ან არსებობს ამგვარ წესრიგზე წარმოდგენებით, ან ინგრევა...

TheNationalInterest

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**BCCI-ი ეხმარებოდა ცსს-ს სხვადასხვა ოპერაციის ჩატარებაში, რომელთა შესახებაც მშვენივრად იცოდა უფროსმა ბუშმა სამმართველოს ხელმძღვანელობის პერიოდში. გარდა ამისა, ორგანიზაცია ეხმარებოდა ისრაელის გარკვეულ დაჯგუფებებს იარაღით ვაჭრობაში.**

# ბუშების ოჯახის როლი 9/11-ის ტერაქტებში

**კონგრესმა გამოაქვეყნა 11 სექტემბრის ტერაქტებთან დაკავშირებული საკუთარი გამოძიების შედეგები, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბუშების კლანი საკმაოდ მჭიდრო კავშირში იყო საუდის არაბეთის მოქალაქეებთან, რომლებიც ეჭვმიტანილები იყვნენ ზემოხსენებულ დანაშაულთან კავშირში. „28 გვერდის“ სახელით ცნობილი ანგარიშის გამოქვეყნება მოითხოვეს 9/11-ის მსხვერპლთა ოჯახების წევრებმა.**



„ამ ანგარიშში სიტყვაც არაა ნახსენები ნაციონალურ უსაფრთხოებაზე — ის ეხება ბუშის ადმინისტრაციის ურთიერთობას საუდის არაბეთთან“, — აღნიშნავს კონგრესმენი-რესპუბლიკელი უოლტერ ჯონსი. და მართლაც, აშშ-ის 41-ე და 43-ე პრეზიდენტების პოლიტიკურ ბედში არცთუ მცირე მნიშვნელობის როლი შეასრულა იმ ადამიანების მხარდაჭერამ, რომლებსაც აშშ-ის ხელისუფლება ტერორისტების დამფინანსებელთა სიაში მოიხსენიებს, ასევე — ორგანიზაცია BCCI-ს მხარდაჭერამაც.

დამოუკიდებელი გამოძიებისთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის „ჩავარდნის“ ფაქტი და თავდაცვის სისტემების დამოკიდებულება იმ კომპანიაზე, რომელიც ადრე ცნობილი იყო სახელწოდებით Ptech. მისი დაფინანსება ნაწილობრივ საუდელი ფინანსისტების მიერ ხდებოდა, მათ კი კავშირი ჰქონდათ ტერორისტულ ორგანიზაციებთან. ამჟამად Ptech-ი, უკვე ახალი სახელწოდებით Go-Agile, დაკავებულია იმ პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდებით, რომლითაც, სხვების გარდა, სარგებლობენ ფედერაციული საავიაციო სააგენტო და აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო.

აი, კონკრეტული სახელებიც: უფროსი ბუშის საწარმოებში — ArbustoEnergy-სა და HarkenEnergy-ში ინვესტორები იყვნენ სალემ ბენ ლადენი — იმ ავადსახსენებელი უსამა ბენ ლადენის უფროსი ძმა (სინამდვილეში სწორედ იგი იყო კომპანიის თანადამფუძნებელი) და ხალიდ ბინ მახფუზი — საუდის არაბეთის სამეფო ოჯახის პირადი ბანკირი.

ჯერ კიდევ 1992 წელს სენატორებმა ჯონ კერიმ და ჰენკ ბრაუნმა BCCI-ის საქმიანობის გამოძიების ფარგლებში ახსნეს, თუ კონკრეტულად რით იყო დაკავებული აღნიშნული ორგანიზაცია: „ტერორიზმის მხარდაჭერა, იარაღის უკანონო ბრუნვა, ბირთვული ტექნოლოგიების გაყიდვა, პროსტიტუციის, კონტრაბანდისა და არალეგალური იმიგრაციის ორგანიზება, გადასახადებისთვის თავის არიდება, ასევე მთელი რიგი ფინანსური დანაშაულებები, რომლებიც მხოლოდ თანამდებობის პირთა ფანტაზიების საზღვრებით იზღუდებოდა“.

გამომძიებლებმა ასევე დაადგინეს, რომ BCCI-მა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აბდულა კადირ ხანის ბირთვული პროგრამის დაფინანსებაში, აგრეთვე აბუ ნიდალას ტერორისტული ოპერაციების დაფინანსებაშიც.

**BCCI-ი ეხმარებოდა ცსს-ს სხვადასხვა ოპერაციის ჩატარებაში, რომელთა შესახებაც მშვენივრად იცოდა უფროსმა ბუშმა სამმართველოს ხელმძღვანელობის პერიოდში. გარდა ამისა, ორგანიზაცია ეხმარებოდა ისრაელის გარკვეულ დაჯგუფებებს იარაღით ვაჭრობაში.** „28 გვერდში“ ამასთან დაკავშირებით ნათქვამია შემდეგი: „1989 წლის აპრილში იარაღით მოვაჭრე ისრაელელების ქსელმა, რომელიც მაიამიდან მოქმედებდა, ისრაელის წარმოების 500 ტყვიამფრქვევი გადაუზიდა მედელინის კოკაინის კარტელს კარიბის კუნძულ ანტიგუას გავლით. მოგვიანებით ამ ტყვიამფრქვევებიდან ერთ-ერთით მოკლულ იქნა კოლუმბიის პრეზიდენტობის კანდიდატი ლუის კარლოს გალანი, კიდევ რამდენიმე ტყვიამფრქვევი აღმოჩნდა კრიმინალური ავტორიტეტის — ხოსე გონსალო როდრიგეს გაჩას საკუთრებაში. ეს უკანასკნელი კოლუმბიის ანტინარკოტიკულ პოლიციასთან შეტაკებისას მოკლეს“.

**ბუშების ოჯახის საქმიან კონტაქტებზე საუდის არაბეთის გარკვეულ წარმომადგენლებთან, მათ შორის სამეფო ოჯახის წევრებთანაც, ლეგენდები დადის.**

**ბუშების ოჯახის საქმიან კონტაქტებზე საუდის არაბეთის გარკვეულ წარმომადგენლებთან, მათ შორის სამეფო ოჯახის წევრებთანაც, ლეგენდები დადის**



2006 წელს გამომცემლობა Huffington Post-ი აღნიშნავდა: „როდესაც კაპიტოლიუმის პოლიცია ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ ბუშის გამოსვლამდე რამდენიმე წუთით ადრე ქვეყნიდან აძევებდა ანტისაომარ აქტივისტს — სინდი შიხანს, რომელსაც მაისურზე ეწერა „2244 გარდაცვლილი. კიდევ რამდენი?“, კაპიტოლიუმის დარბაზში საკუთარ სავარძელში მოიკალათა საუდის არაბეთის დაზვერვის ყოფილმა მეთაურმა, პრინცმა ტურკი ალ-ფეისალმა. პრინცი, სულ მცირე, ხუთჯერ შეხვდა უსამა ბენ ლადენს, მის დამხმარეებს და „ალ ქაიდას“ ლიდერს აღწერდა, როგორც „საკმაოდ სასიამოვნო ადამიანს“. სინდი შიხანისგან განსხვავებით, ალ-ფეისალი იმ საღამოს პრეზიდენტ ბუშისთვის სასურველი სტუმარი იყო“.

პორტრეტისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი შტრიხი: ალ-ფეისალი გამოდიოდა მოპასუხედ 9/11-ის ტერაქტის მსხვერპლთა ოჯახების სარჩელში — მას 1989 წელს მულა ომარის გაცნობის შემდგომ ტერორისტების დაფინანსებაში სდებდნენ ბრალს. როგორც იტყობინებიან, იმ **შეხვედრის შემდეგ „თალიბანმა“ 400 ახალი პიკაპი მიიღო. ამასთან, ალ-ფეისალი დაჟინებით მოითხოვდა, რომ საუდელ ბიზნესმენებს შემოწირულობები პირდაპირ „ალ ქაიდასა“ და უსამა ბენ ლადენისთვის გაეგზავნათ.** რაც შეეხება ხსენებულ ხალიდ ბინ მახფუზს, იგი ფონდ „მუვაფაკის“ თანადამფუძნებელი იყო. აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს მონაცემების თანახმად, ამ ფონდით სრულად სარგებლობდა „ალ ქაიდა“.

დავუბრუნდეთ კომპანია Ptech-ს. **9/11-ის ტერაქტების შემდეგ ცოტა ხანში JPMORGAN-ის სისტემურმა ანალიტიკოსმა შემთხვევით აღმოაჩინა, რომ თავდაცვისა და სამართალდამცავი უწყებების კომპიუტერული სისტემების ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი უცხოური კომპანიისთვის ხელმისაწვდომია.** რაც კიდევ უფრო უარესია, ამ კომპანიებს დოკუმენტურად დასაბუთებული ურთიერთობები ჰქონდათ ტერორისტების დაფინანსებასთან.

ადვილი მისახვედრია, რომ ეს კომპანია სწორედ Ptech-ი იყო, მისი ერთ-ერთი მთავარი ქველმოქმედი კი გახლდათ იასინ ალ-კადი, ხალიდ ბინ მახფუზის მსგავსად, ფონდ „მუვაფაკის“ თანადამფუძნებელი და აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს მიერ ტერორისტად გამოცხადებული.

ჯორჯ ბუში-უმცროსმა ხელი მოაწერა განკარგულებას იასინ ალ-კადის ანგარიშების გაყინვის თაობაზე ტერორისტებთან მისი კავშირების გამო, თუმცა Ptech-ის მოღვაწეობა გამოძიების საგანი მაინც არ გამხდარა. როდესაც ერთი წლის შემდეგ ბოლოს და ბოლოს მაინც მოჰკიდეს ხელი ამ საკითხს, კომპანია საკრედიტო აფერისთვის დაწესებული მომცრო ჯარიმით გამოძვრა მდგომარეობიდან. ყველაფერი ამით დასრულდა. გამოძიების ფედერალური ბიურო არ დაინტერესებულა Ptech-ისა და BCCI-ს კავშირებით, თუმცა იასინ ალ-კადის ანგარიშები გაყინული იყო. „ზოგიერთი ძალა, გაცილებით უფრო ძლევამოსილი, ვიდრე იუსტიციის სამინისტრო და გამოძიების ფედერალური ბიუროა, უბრალოდ, არ დაუშვებდნენ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას. ამგვარი საქმე არც ყოფილა აღძრული“, — ამბობს ფედერალური პროკურორი მარკ ფლესნერი.

გასული წლის მარტში კონგრესმენმა უოლტერ ჯონსმა პრესკონფერენციაზე განაცხადა: „არ მგონია, რომ ამერიკა, როგორც ერი, ისეთივე ძლიერია, თუკი ჩვენ არ ვითხოვთ სიმართლის გარკვევას. გთხოვთ, ზემოქმედებს პოლიტიკოსებზე, რათა ყველამ გავიგოთ სიმართლე“. გამორიცხული არ არის, რომ კიდევ ბევრი ახალი რამ გავიგოთ ბუშების ოჯახის „მეგობრობაზე“ ტერორისტების ხელშემწყობებთან.

**pravda.ru**

მოკლედ

## ისლანდიამ ევროკავშირში გაწევრების განაცხადი გამოითხოვა

**ისლანდიის მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ევროკავშირში გაწევრების განაცხადი გამოითხოვა. „თემა დახურულია.** ისლანდიის მთავრობა ევროკავშირში გაწევრების თაობაზე მოლაპარაკებების შემდგომში განახლებას არ გეგმავს“, — ეს განცხადება ისლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გუნარ ბრაგუი სვეინსონმა ლატვიელ კოლეგასთან — ედგარს რინკევიჩსთან შეხვედრის დროს გააკეთა. ლატვია ამჟამად ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანაა. ისლანდიის ევროკავშირში გაწევრების თაობაზე მოლაპარაკებები 2009 წელს დაიწყო და 2013 წლის მაისში შეჩერდა. ამის მიზეზი საზოგადოებრივი განწყობაა — ისლანდიელთა უმრავლესობა ევროკავშირში გაწევრების წინააღმდეგია.



**ქმნიდნენ რა სავალუტო კავშირს, რომელიც არ იყო გამყარებული პოლიტიკური და ფისკალური კავშირით, ევროპელებმა ცხენზე წინ ურემი დააყენეს, ახლა კი ცხენს აღარ სურს წინ დგომა.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროპის ნელი წამება

**„თუ ევრო დაეცემა, დაეცემა ევროპაც“, — ბრძანა ანგელა მერკელმა. სამწუხაროდ, ევრო თმობს პოზიციებს, მაგრამ ის ამას ნელ-ნელა აკეთებს. საბერძნეთმა უარიც რომ თქვას ევროზე, ევროზონა უახლოეს მომავალში ნაწილებად არ დაიშლება, თუმცა ამის ალბათობა მაინც რჩება დღის წესრიგში. თუმცა, სავარაუდოდ, ის კიდევ დიდხანს იარსებებს, შექმნის სულ უფრო ნაკლებ სამუშაო ადგილებს და სულ უფრო მეტად გააწვალებს იმ ქვეყნების ხალხებს, რომლებიც ამ ფულადი კავშირის არარსებობის შემთხვევაში მშვენივრად აიცილებდნენ თავიდან ტანჯვას. უბედურება თანაბრად ვერ გადანაწილდება კრედიტორებსა და მოვალეებს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის.**






და ეს სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება ასახვას ჰპოვებს არჩევნების შედეგებში, შექმნის სულ უფრო მეტ დაძაბულობას, იმის მსგავსს, როგორიც უკვე ვიხილეთ გერმანიასა და საბერძნეთს შორის. საბოლოო ჯამში, რაღაც აუცილებლად მოხდება, მაგრამ ამ პროცესმა, შესაძლოა, დიდი დრო მოითხოვოს. „ყველა ნაციაში ჩადებულია მისივე აღსასრულის მრავალი მარცვალი“, — თქვა ადამ სმიტმა. მიუხედავად იმ წარმოუდგენელი იმედებისა, რომელთაც ამ დრომდეც ამყარებენ ევროპულ პროექტზე, კონტინენტზე ჯერ კიდევ რჩება დაღუპვის უამრავი მარცვალი.

ცოტა ხნის წინათ ფრანკფურტში გაიმართა ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდნენ ევროპის წამყვანი ინვესტორების წარმომადგენლები. ამ ფორუმის დროს ჩატარდა სწრაფი გამოკითხვა: მონაწილეებს შესთავაზეს, განეხილათ რამდენიმე სცენარი იმისა, თუ როგორი გახდებოდა ევროზონა ხუთ წელიწადში და შესთავაზეს იმ სცენარის არჩევა, რომელიც მათ ყველაზე მეტად, სავარაუდოდ, მიაჩნიათ.

დამსწრეთა თითქმის ნახევარმა აირჩია ვარიანტი „90-იანი წლების იაპონია“. გამოკითხულთა დაახლოებით 20%-მა ხმა მისცა ვარიანტს „გაერთიანებული სამეფო ტეტჩერის შემდეგ“, რომელშიც ისინი, სავარაუდოდ, უფრო ზომიერ ეკონომიკურ პოლიტიკას გულისხმობდნენ, პოლიტიკას, რომლის ფარგლებშიც ეკონომიის ზომები და სტრუქტურული რეფორმები განაპირობებს გარკვეულ ზრდას, მაგრამ ამავე დროს გაზრდის უთანასწორობასა და გადახრებს.

არსი არის ის, რომ თვით „საუკეთესო“ ვარიანტის შემთხვევაშიც კი უთანასწორობა შესამჩნევი იქნება არა ერთი რომელიმე სახელმწიფოს ფარგლებში, არამედ უამრავ ქვეყანას შორის. გერმანელებს და ზოგიერთ სხვა ჩრდილოევროპელებს შემოსავლის დიდი ნაწილი ერგებათ, დანარჩენებს — მხოლოდ ტანჯვა.

ამის მტკიცება ნიშნავს იმ ეკონომიკური ანალიზის მხარდაჭერას, რომელსაც გერმანელი პოლიტიკოსები და ეკონომისტები მიზანმიმართულად გააპროტესტებენ. ისინი დაჟინებით ამტკიცებენ, რომ მკაცრი ეკონომიის ზომები და სტრუქტურული რეფორმები არის ერთადერთი გზა გადარჩენისთვის. როგორც 2013-ში მერკელმა განაცხადა, „რაც გავაკეთეთ ჩვენ, სხვებსაც შეუძლიათ გააკეთონ“.

თუმცა აქ, სულ მცირე, სამი პრობლემა ჩნდება: პირველი ისაა, რომ, როგორც ნებისმიერი გამოცდილი ექიმი იტყვის, თეორიულად სწორად შერჩეული წამალიც კი შეიძლება საწამლავი აღმოჩნდეს, თუ ავადმყოფობით დაუძლურებულ პაციენტს ძალიან დიდი დოზით მისცემენ;

მეორე არის ის, რომ ბერძნები, იტალიელები და ფრანგები გერმანელები არ არიან. მათი ეკონომიკები უდავოდ საჭიროებს სტრუქტურულ რეფორმებს, რომლებიც, მაგალითად, გაზრდიდნენ ესპანეთის ექსპორტს; მაგრამ ამ ქვეყნების კომპანიები და საზოგადოება აღნიშნულ საკითხზე სხვადასხვაგვარად რეაგირებენ;

**მესამეც — მთელი ევროზონაც რომ იქცეს გერმანული სტილის ერთ გიგანტურ EXPORTWELT-MEISTER-ად, ვიღა აიღებს საკუთარ თავზე მომხმარებლის როლს?** მოთხოვნის ნაწილი ევროზონის შიგნიდან უნდა მომდინარეობდეს, კერძოდ, შედარებით მდიდარი ქვეყნებიდან, ისეთებიდან, როგორიც გერმანიაა. **თუ ყველა ეცდება, რაც შეიძლება მეტად დაემსგავსოს გერმანიას, თვითონ გერმანიას მოუწევს, აღარ ჰგავდეს საკუთარ თავს, მაგრამ გერმანია ამისთვის მზად არ არის.**

გრძელვადიან პერსპექტივაში გერმანია საკუთარ თავზე იგრძნობს ნეგატიურ შედეგებს, მაგრამ ეს მალე არ მოხდება. გაიარეთ გერმანული ქალაქების ქუჩებში. სადაა კრიზისი? მიუხედავად იმისა, რომ გერმანია იძულებული შეიქნა, ფინანსური დახმარება გაეწია საბერძნეთის მსგავსი ქვეყნებისთვის, ფულის დიდი ნაწილი თითქმის მაშინვე დაუბრუნდათ გაუფრთხილებელ ლიდერებს, მათ შორის გერმანულ ბანკებს. ამასთანავე, გერმანული ექსპორტიორი კომპანიები ევროზონისგან საკმაოდ მოგებული დარჩნენ.

ევროპის სამხრეთში მკაცრი ეკონომიის პოლიტიკაზე მსჯელობისას ერთმა გერმანელმა ბანკირმა ბრძანა: „საბერძნეთის პრობლემა ისაა, რომ მათ არასდროს უცდიათ, დახმარებოდნენ საკუთარ თავს“. **საუბარია ქვეყანაზე, სადაც ადამიანები, რომლებიც ადრე საშუალო კლასს განეკუთვნებოდნენ, ახლა იძულებულნი არიან, უსახლკაროთა უფასო სასადილოებში იკვებონ, სადაც ყოველი მეორე ახალგაზრდა უმუშევარია და სადაც FINANCIAL TIMES-ის წარმომადგენელი მარტინ ვულფის თქმით, 2008 წლიდან საქონელსა და მომსახურებაზე მოსახლეობის ხარჯები, სულ მცირე, 40%-ით შემცირდა.**

მოცემულ შემთხვევაში სტრუქტურული პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ სავალუტო ზონა არის საერთოევროპული, დემოკრატიული პოლიტიკა კი — კიდევ უფრო ნაციონალური. საქმე ის არაა, რომ ამის შეცვლა ვერ მოხერხდება. კერძო საუბრებში ყველა აღიარებს, რომ საბერძნეთი ვერ შეძლებს გიგანტური ვალების გადახდას, ამიტომაც ბერლინმა მისი ვალები უნდა ჩამოწეროს იმ მასშტაბური რეფორმების სანაცვლოდ, რომლებსაც იქ ატარებს ახალი ხელისუფლება.

ანდა, გერმანიაში გაიზარდოს ხელფასები და ფასები, რათა მოხდეს ევროზონის შიგნიდან გადაბალანსება. ანდაც, საჭიროა დათანხმება ერთგვარ ფულად ტრანსფერებზე უფრო მდიდარი ქვეყნების მხრიდან იმ ღარიბი ქვეყნების მიმართ, რომლებიც ფედერალური კავშირების შემადგენლობაში შედიან.

**ქმნიდნენ რა სავალუტო კავშირს, რომელიც არ იყო გამყარებული პოლიტიკური და ფისკალური კავშირით, ევროპელებმა ცხენზე წინ ურემი დააყენეს, ახლა კი ცხენს აღარ სურს წინ დგომა.**

ნაციონალური დემოკრატია სულ უფრო მეტად უშლის ხელს ევროპულ ინტეგრაციას. ევროპული ინსტიტუტების ზოგიერთი ლიდერი ბრიუსელში ამას ხვდება. ფრანგი ევროკომისარი პიერ მოსკოვისი უკვე საუბრობს „უკანასკნელი შანსის კომისიაზე“.

პრობლემა ისაა, რომ ევროზონის სტრუქტურული პრობლემების გადაჭრა მოითხოვს უკლებლივ ყველა მოქალაქის ტრანსნაციონალურ ევროპულ დემოკრატიულ სოლიდარობას. ამგვარი სოლიდარობა კი პრაქტიკულად არ არსებობს ევროზონის შიგნით სხვადასხვა ეროვნებას შორის და, დიდი ალბათობით, უახლოეს მომავალში არც გაჩნდება.

ამიტომ ევროპა განაგრძობს სირთულეებთან ბრძოლას, ნაციონალურ პოლიტიკასა და საერთოევროპულ პოლიტიკურ კურსს შორის გახლეჩას. ამავე დროს პარალელურად სავალუტო კავშირი, რომელსაც უნდა გაეერთიანებინა ევროპა, ნაწილებად დაიშლება, მაგრამ ეს ნელი წამება იქნება.

იმ ქვეყნებში, რომლებიც ყველაზე მეტად იტანჯებიან ამ „ჯოჯოხეთის მანქანისგან“, როგორც ერთხელ უწოდა ევროზონას ერთმა გერმანელმა მაღალჩინოსანმა, ჯერ კიდევ შეინიშნება გულმხურვალე სურვილი, დარჩნენ ევროპაში. მიუხედავად მთელი თავისი რადიკალობისა, სირიზამ მოახდინა საოცარი მზადყოფნის დემონსტრირება, წასულიყო კომპრომისებზე ევროპაში დარჩენის გამო. სავარაუდოდ, იგივე მოხდება ესპანურ პარტია „პოდემოსთან“ დაკავშირებით.

ამ ქვეყნებს შორის აქამდე არსებობს მხარდაჭერის სისტემა, რომელსაც მნიშვნელოვანწილად დასუსტებული სოციალური სახელმწიფო უზრუნველყოფს. თუ ვისაუბრებთ უმუშევარ ახალგაზრდებზე, დამატებით მხარდაჭერად მათთვის იქცა ის, რომ მათსავე მშობლებს ჯერ კიდევ აქვთ საცხოვრებელი, სადაც შეუძლიათ დარჩნენ და დანაზოგი, რომლითაც მატერიალურ დახმარებას გაუწევენ, სხვაგვარად რომ ვთქვათ — დედ-მამის ბანკი.

სამუშაო ძალის მობილურობა, რომელიც გარანტირებულია ევროკავშირის მიერ, ასევე წარმოადგენს საკმაოდ მძლავრ დაცვით ელემენტს და ახალგაზრდა ესპანელები, რომლებსაც ორ-ორი უნივერსიტეტის დიპლომები აქვთ, ოფიციანტებად სამუშაოდ მიემგზავრებიან ლონდონსა და ბერლინში. მიგრაცია, თავის მხრივ, ასაზრდოებს ისეთი პარტიების ანტიევროპულ გამოსვლებს, როგორიცაა გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებლობის პარტია ან ალტერნატივა გერმანიისთვის. ამგვარი პარტიები თავიანთ ევროსკეპტიციზმს აბამენ ადამიანების მღელვარებას იმიგრაციასთან დაკავშირებით. დროთა განმავლობაში ეს მატერიალური და კულტურული რეზერვებიც ამოიწურება.

და რა მოხდება შემდეგ? ძალზე არასასიამოვნოა ის დასკვნები, რომლებიც აღნიშნულ მდგომარეობაში შეიძლება გაკეთდეს, მაგრამ ყველაფერი ევროპელებზეა დამოკიდებული და მათ ჯერ კიდევ აქვთ დრო იმისათვის, რომ ვითარება გამოასწორონ. მთავარი კითხვა დღეს ასეთია: შეძლებენ კი 1980 წლების ბოლოს დაბადებული ევროპელები, გამოიმუშაონ საკუთარ თავში პოლიტიკური წარმოსახვა და ნებისყოფა, რაც არ გააჩნიათ ამჟამინდელ პოლიტიკოსებს?

**TheGuardian**



## რომის პაპი შესაძლოა, გადადგეს

**რომის პაპმა ფრანცისკემ, მისი წინამორბედის მსგავსად, შესაძლოა, პონტიფიკოსის სკამი დროზე ადრე დატოვოს.** ამის შესახებ პაპმა მექსიკურ ტელევიზიასთან ინტერვიუში განაცხადა. „ვგრძნობ, რომ ჩემი პონტიფიკოსობა ხანმოკლე იქნება, ოთხი-ხუთი წელი, შესაძლოა, ორი-სამიც“, — აღნიშნა კათოლიკური ეკლესიის წინამძღოლმა. მან ასევე განაცხადა, რომ მისი წინამორბედის — ბენედიქტეს გადაწყვეტილება, დროზე ადრე გადამდგარიყო, მამაცური იყო. არგენტინელი სასულიერო პირი ფრანცისკე კათოლიკურ ეკლესიას სათავეში ზუსტად 2 წლის წინათ — 2013 წლის 13 მარტს ჩაუდგა. მისმა უშუალობამ და თავმდაბლობამ კათოლიკური სამყარო მალე მოხიბლა.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოსათვის, თავისი დიდი მეცნიერული ტრადიციებისა და მიღწევების, აგრეთვე, ჯერ კიდევ მდიდარი და ღონიერი მეცნიერული პოტენციალის გათვალისწინებით, მსოფლიო ბაზარზე მომგებიანად (თავის სასარგებლოდ) გაღწევის ყველაზე მნიშვნელოვანი სიმდიდრე სწორედ ინტელექტუალური პროდუქტია, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავაკნინოთ.**

# თუ აგრარულ მეცნიერებას ვერ გადავარჩენთ, ბედის ანაბარად დარჩება ჩვენი სოფელი

**მსოფლიოში ამჟამად „ცოდნის ეკონომიკის ხანაა. ეს მიმართულება, რომელსაც „ინოვაციურ ეკონომიკასაც“ უწოდებენ, დღითიდღე მძლავრობს და სულ უფრო მეტ წახნაგებს იძენს. უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოების შემდგომი განვითარებისა და მათთვის გლობალიზაციის საერთო სივრცეში ადგილის შენარჩუნებისა და დამკვიდრების გასაღები სწორედ ცოდნის ეკონომიკაში დევს.**



**ვაი, რომ მალე აღარ გვეყოლება უმაღლესდამთავრებული სწავლული აგრონომი, მეხილე, მევენახე, ნიადაგმცოდნე, აგროქიმიკოსი, მცენარეთა დამცველი. მექანიზატორი, აგროეკონომისტი და ა. შ. ამის გაგრძელება იქნება ის, რომ, აგრეთვე, აღარ გვეყოლება ამ დარგების სპეციფიკის მეცნიერი მკვლევარები. ძველ კადრს ამ სფეროებში მოღვაწეობის საშუალება არ აქვთ, ახალი კადრის აღზრდა კი ვერ ხერხდება**

მეცნიერების გარეშე თითქმის წარმოუდგენელია ბიზნესის განვითარება. ბიზნესის დღევანდელი მიღწევები განპირობებულია სწორედ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით, რომლის შედეგადაც შეიქმნა ბიზნესის სრულიად ახალი მიმართულებები. დასაბამი მიეცა ახალ ტექნოლოგიებს, ახალი პროდუქტის გამოშვებას, ახალ და სრულყოფილ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, კომპიუტერულ და რობოტიზებულ სისტემებს, მოდერნიზებულ მენეჯმენტს და ა. შ.

ბიზნესის ორგანიზებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მომხმარებლის (ბაზრის – ფართო გაგებით) მოთხოვნების შესწავლას და კვლევის ისეთ ორიენტაციას, რომელიც დააკმაყოფილებს და გააჯერებს ამ მოთხოვნებს. ბოლო ხანს საქართველოში სწორედ ამ კუთხით წამოიჭრა მწვავე პრობლემა, რომელსაც ქვეყნის განვითარებისთვის მიწის ყიდვა-გაყიდვის მწვავე პრობლემაზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს.

გამოყენებითი მეცნიერების წინსვლისა და წარმატების გარეშე მოუგვარებელი დარჩება საქართველოსათვის ისეთი დიდი და გადამწყვეტი როლის მქონე დარგის განვითარება, როგორიცაა სოფლის მეურნეობა.

ამ დარგს დღეს სჭირდება ახლებური მიდგომა, პროგრესული და ზონურად დიფერენცირებული მაღალი ტექნოლოგიები, მანქანათა სისტემა, აგროტექსერვისი, მარკეტინგული მოტივაციებისა და სიტუაციის შესაბამისი მენეჯმენტი, სასურსათო უსაფრთხოებაზე მორგებული, სწორი, ყოველმხრივად შეჯერებული სტრატეგია.

ყოველივე ამის უზრუნველყოფა და მიღწევა ჰაერში გამოკიდებული რჩება, რადგან **აღარ არსებობს სოფლის მეურნეობის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. ამ ინსტიტუტების ვითომდა ნებაყოფლობით მიერთებამ აგრარულ უნივერსიტეტთან, რომელიც შემდეგ კერძო სამართლის იურიდიულ პირად მოგვევლინა, ბეჭებზე დასცა კვლევითი საქმიანობა. ამ უნივერსიტეტმა მიერთებულ კვლევით ინსტიტუტებში წინასწარ გამიზნული და ჩაფიქრებული მეთოდებით ჯერ შტატები შეამცირა, შემდეგ კი საერთოდ გააუქმა კვლევითი სფერო,** იმის მომიზეზებით, რომ კერძო უნივერსიტეტს ეს ხელს აღარ აძლევდა და მისთვის არ იყო გამართლებული. რა გაეწყობა, საბაზრო ეკონომიკაა, რომელიც ყველას თავისებურად ესმის.

ტკივილიან მოგონებად რჩება ამ პროცესის ის შედეგი, რომ შეწყდა (მცირე გამონაკლისის გარდა) კარგად აგებული და მწყობრ სისტემაში მოქცეული მეცნიერული მუშაობა სოფლის მეურნეობისთვის ისეთ აუცილებელ და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა: მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა, აგროქიმია, მელიორაცია და ირიგაცია, მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია, მიწათმოქმედება, მემინდვრეობა, მეხილეობა და მევენახეობა, მეტყევეობა, მეცხოველეობა და ვეტერინარია, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია და სხვ.

საკვირველია, რატომ დაუშვა საქართველოს მთავრობამ ყოველივე ეს (ძველ მთავრობას რას გაუგებდი, როდის რას მოიმოქმედებდა), მაგრამ ეს უკვე ისტორიაა.

**ვაი, რომ მალე აღარ გვეყოლება უმაღლესდამთავრებული სწავლული აგრონომი, მეხილე, მევენახე, ნიადაგმცოდნე, აგროქიმიკოსი, მცენარეთა დამცველი, მექანიზატორი, აგროეკონომისტი და ა. შ. ამის გაგრძელება იქნება ის, რომ, აგრეთვე, აღარ გვეყოლება ამ დარგების სპეციფიკის მეცნიერი მკვლევარები. ძველ კადრს ამ სფეროებში მოღვაწეობის საშუალება არ აქვს, ახალი კადრის აღზრდა კი ვერ ხერხდება.**

აქედან გამომდინარე, **საქართველოს მთავრობის გასაგონად უნდა ითქვას, რომ პრინციპულად დგება საკითხი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჯერ კიდევ მძლავრ სისტემასთან, სახელმწიფო დაფინანსების საფუძველზე, აღდგეს ოპტიმალური სტრუქტურის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და მიეცეთ მათ საქმიანობის საშუალება ახლებურ, პროგრესულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით.** ეს კარგი საქმე ლოგიკურად მოითხოვს ამავე აკადემიასთან სადისერტაციო საბჭოს შექმნასაც, რათა გზა გაეხსნას ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდას. ახლა ამ მიმართულებით ჩავარდნა გვაქვს.

**აგრარული მეცნიერების გადარჩენის შანსი ჯერ კიდევ არსებობს. თუ იგი ხელიდან გაგვიფრინდა, ჩათვალეთ, რომ მეცნიერული უზრუნველყოფის გარეშე, ბედის ანაბარად დარჩება ჩვენი სოფელი.**

დარგობრივი სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტების გაუქმება და ამ მიმართულებით კვლევითი პროცესის შეჩერება ადვილი იყო და ეს, ხელის ერთი მოსმით გაკეთდა კიდეც, მაგრამ ახლა ამ საქმიანობის დაბრუნება, ახალ კალაპოტში ჩაყენება და ახლებურ, პროგრესულ მოთხოვნებზე აწყობა-მორგება რთული და ართუ ხანმოკლე პროცესი იქნება. როგორმე მაქსიმალურად და მაღალი უკუგებით უნდა გამოვიყენოთ ძველი გამოცდილი კადრი, თვალსაჩინო მეცნიერ-მკვლევართა ჯერ კიდევ მოღვაწე მცირე ჯგუფი, თუ არადა, დაუძლეველი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით.

ჩვენს მეცნიერებს გადმოცემით ახსოვთ და კარგად იციან, როგორ საზეიმო ვითარებაში და ამაღლებული განწყობით გამოეყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გასული საუკუნის 30-იან წლებში აგრონომიული ფაკულტეტი და მის ბაზაზე ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტმა სახელოვანი გზა განვლო 70 წლის განმავლობაში და წარუშლელი კვალი დაამჩნია სოფლის მეურნეობის განვითარებას. აქ მოღვაწე დიდმა მეცნიერებმა დაასაბუთეს დასავლეთ საქართველოს პირობებში (წითელმიწა ნიადაგებზე) ისეთი ახალი დარგების განვითარების შესაძლებლობა, როგორიცაა მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მეხილეობა, რამაც სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციას სრულიად ახალი პროფილი შესძინა.

ამ ინსტიტუტში მოღვაწეობდნენ საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერები: **დ. გედევანიშვილი, ი. ლომოური, ლ. დეკაპრელევიჩი, ს. დურმიშიძე, მ. საბაშვილი, ვ. გულისაშვილი, ნ. ხომიზურაშვილი, ვ. მახალდიანი, ი. ბათიაშვილი, ა. მენაღარიშვილი, ი. ჯაში, პ. ქლენტი** და სხვები. მათ მიერ დაწყებული საშვილიშვილო საქმე მივიწყებას არ უნდა მიეცეს და ახალი რეალობის პირობებში ინტენსიურად გაგრძელდეს.

ამიტომაც პრინციპულად უნდა დაისვას საკითხი, რომ აღდგეს, როგორც სახელმწიფო სტრუქტურა, დიდი ტრადიციებისა და უნიკალური სპეციფიკის მქონე სასოფლოსამეურნეო უნივერსიტეტი, აგრონომიული, მეხილეობა-მევენახეობა-მეღვინეობის, მეტყევეობის, მექანიზაციის, მცენარეთა დაცვის, აგროქიმის, ზოოტექნიკურ-სავეტერინარო, აგრობიზნესისა და სხვა მიმართულებებით. სასოფლო-სამეურნეო განათლება და კვლევა-ძიება საქართველოში — დიდი აგრარული პოტენციელის მქონე ქვეყანაში — სახელმწიფომ უნდა აიღოს ხელში და არეგულიროს ცოდნის ეკონომიკაზე დაყრდნობილ-მორგებული მარკეტინგული სტრატეგია და ადამიანური რესურსების უნარიანი გამოყენება.

მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში გათვითცნობიერებულ ადამიანს ესმის, რომ XXI საუკუნეში მსოფლიო ლიდერის პოზიციებს დაიკავებენ მხოლოდ ის ქვეყნები, რომლებიც შეძლებენ, წარმატებით ივაჭრონ მეცნიერული იდეებითა და მაღალი ტექნოლოგიებით; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რომლებიც წარმატებით განავითარებენ ცოდნის ეკონომიკას.

როგორც მეცნიერები მიიჩნევენ, ქვეყნის განვითარება ცოდნის (ინოვაციური) ეკონომიკის გზით შეიძლება გახდეს გამაერთიანებელი ეროვნული იდეა, რომელმაც უნდა წაიყვანოს ქვეყანა აღმავლობისკენ — ეს XXI საუკუნის ერთ-ერთი იმპერატივია.

შესაბამისად, განმსაზღვრელ პარამეტრად თანდათან შემოვა ცნება „ეროვნების (ნაციის) ინტელექტუალური რესურსი“.

საქართველოსათვის, თავისი დიდი მეცნიერული ტრადიციებისა და მიღწევების, აგრეთვე, ჯერ კიდევ მდიდარი და ღონიერი მეცნიერული პოტენციალის გათვალისწინებით, მსოფლიო ბაზარზე მომგებიანად (თავის სასარგებლოდ) გაღწევის ყველაზე მნიშვნელოვანი სიმდიდრე სწორედ ინტელექტუალური პროდუქტია, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავაკნინოთ.

თანამედროვე ეტაპზე ხელიდან გაშვება ამ სპეციფიკური შანსისა, რომელსაც შეუძლია საქართველოს სტრატეგიული განვითარების იმიჯის შექმნა და მისთვის ადგილის შენარჩუნება მსოფლიო წესრიგში, დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური სიბეცე იქნება.

მეცნიერებამ უნდა შექმნას ის რეალური ბაზა და პოტენციალი, რომლითაც ეკონომიკის განვითარების პირობები და დონე სულ უფრო დაექვემდებარება ხალხის ცხოვრების დონის ამოცანებს. ასე უნდა განისაზღვროს მეცნიერების განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიზანი და იდეოლოგია.

ზემოთ გაშლილი მსჯელობის საფუძველზე, პრინციპულად უნდა დაისვას საკითხი, რომ ცოდნის ეკონომიკა მოითხოვს ახალ ადამიანს, რომელსაც, ახლებური პირობებისა და გარემოს შესაბამისად, როგორც სახელმწიფოს, ასევე თავის მხრიდან, ალღოს აღება, მომავლის ხედვის ინტუიციის გამომუშავება და ხელშეწყობა სჭირდება. ეს პრობლემა დაფიქრებას მოითხოვს და სტრატეგიული გადაწყვეტილების წინაშე გვაყენებს.

ილუზიაა იმაზე ფიქრი, რომ ამის გარეშე ქვეყანა რაიმე წარმატებებს მიაღწევს.

**ომარ ქეშელაშვილი,**
**აკადემიკოსი**

**საქართველოს ისტორიოგრაფიაში ნავარაუდევი 300 ათასი დაღუპული და უგზო-უკვლოდ დაკარგული მებრძოლიდან ქართველი იყო 117 014, ამით შეივსო დიდი სამამულო ომის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი ხარვეზი, თუმცა მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ეს რიცხვიც სავარაუდოა, რადგან, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საარქივო დოკუმენტების გარკვეული რაოდენობა დაკარგულია.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ისინი სამშობლოსთვის იბრძოდნენ

## საქართველოდან გაწვეული, დაღუპული და უგზო-უკვლოდ დაკარგული მეომრების დაზუსტებული სტატისტიკა

**საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის ბიუროს 2014 წლის 3 დეკემბრის №12 გადაწყვეტილებით, დამევალა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში (1941-45 წწ.) საქართველოდან გაწვეულ და ბრძოლებში დაღუპულ მეომართა რაოდენობის განსხვავებული მონაცემების გაანალიზება, შეჯერება და შესაძლო რეალური მაჩვენებლის განსაზღვრა. ეს დავალება განაპირობა შემდეგმა გარემოებებმა:**

*** დიდ სამამულო ომში საქართველოდან 700 ათასამდე მეომარი იბრძოდა, მათ შორის — 23 ათასი ოფიცერი, 46 გენერალი და ადმირალი.**
*** 300 ათასამდე მებრძოლი ვერ დაბრუნდა სამშობლოში.**
*** საქართველოდან 16 ათასამდე ქალი იცავდა სამშობლოს.**
*** 224 700 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჯილდოვდა სსრკ-ის ორდენებითა და მედლებით.**
*** 164-ს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება**



2015 წლის 9 მაისს მსოფლიო საზოგადოება ფართოდ აღნიშნავს ფაშიზმზე გამარჯვების 70-ე წლისთავს;

ამ თარიღის შესახებ პრესაში, სატელევიზიო გადაცემებში, ვეტერანთა მემუარებში, სამეცნიერო ნაშრომებში ქვეყნდება მონაცემები საქართველოს წვლილზე ამ გამარჯვებაში;

წყაროებში აღნიშნულია საქართველოდან დიდ სამამულო ომში გაწვეულ მებრძოლთა და ბრძოლებში დაღუპულთა სხვადასხვა რაოდენობა;

მაგალითად, **„საქართველოს ისტორიის" მე-4 ტომში** (თბილისი. 2012 წ.) მითითებულია, რომ საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში **1942 წლის 15 აპრილისთვის საქართველოდან წარგზავნილი იყო 500 ათასამდე მებრძოლი, მაგრამ არ არის მონაცემები შემდგომ გაწვევებზე ომის დამთავრებამდე.**

ამავე წყაროში აღნიშნულია, რომ საქართველოდან გაწვეულთაგან დაღუპულებისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულების საერთო რაოდენობამ შეადგინა 163 311 კაცი, ანუ მობილიზებულთა 23,3 პროცენტი.

ამ მონაცემების მეშვეობით, მარტივი არითმეტიკული გაანგარიშებით შეგვიძლია, დავადგინოთ, რომ გაწვეულთა საერთო რაოდენობა შეადგენდა **700 905**-ს.

წიგნში **„Великая Победа над фашизмом" (Москва. 2014 გ.)** აღნიშნულია, რომ 1941 წლის 23 ივნისიდან 1942 წლის 15 აპრილამდე ფრონტზე და სამხედრო ოლქებში საქართველოდან გაწვეული იქნა 354 332 ადამიანი. ამასთანავე, დიდი სამამულო ომის დაწყებამდე სამხედრო ნაწილებში უკვე იმყოფებოდა ადრე გაწვეული 126 039 სამხედრო მოსამსახურე. ამგვარად, სულ მითითებული პერიოდისთვის წითელ არმიაში გაწვეულთა რაოდენობა შეადგენდა 480 371 კაცს.

**ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის საგანგებო კომიტეტის 1955 წლის №6 სპეციალურ ანგარიშში „კომუნისტური აგრესიის შესახებ" აღნიშნულია, რომ, „როდესაც ჰიტლერმა საბჭოთა კავშირს შეუტია", ...წითელ არმიაში 200 000-დან 300 000-მდე ქართველი გაიწვიეს".** საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნების მოქალაქეთა გაწვევის შესახებ ანგარიშში არაფერია ნათქვამი.

რეალური ცნობების მიღება რუსეთის ქ. პოდოლსკის სამხედრო არქივიდან ვერ მოხერხდა. გაირკვა, რომ არქივის სათანადო დოკუმენტები გაგზავნილი იყო საქართველოს პარტიულ არქივში, რომელსაც ამჟამად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგებს.

შსს-ს არქივის დირექტორმა, პოლკოვნიკმა ომარ თუშურაშვილმა წერილით (№231757 02.02.2015) გვაცნობა, რომ მეორე მსოფლიო ომში საქართველოდან გაწვეული მებრძოლების საერთო რაოდენობის შესახებ ინფორმაცია არ არის დაცული. პირადი საუბრისას განმარტა, რომ ქ. პოდოლსკის არქივიდან გამოგზავნილი მასალები თავდაპირველად ინახებოდა საქართველოს პარტიულ არქივში, იმავე პრეზიდენტის არქივში („იმელის" შენობაში).

**1992 წელს თბილისში პოლიტიკური დაპირისპირებისას არქივის ნაწილი განადგურდა, რის გამოც წარმოდგენილი მონაცემები არ არის სრული.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი თავის მემუარულ ნაშრომში „განცდილი და ნააზრევი" (ქ. თბილისი 1985 წ., „საბჭოთა საქართველო", გვ. 234) აღნიშნავს: **„1944 წლის 1 დეკემბრისთვის საბჭოთა არმიაში ომის დროს გაწვეულთა რაოდენობამ 563 ათასი შეადგინა. თუ ამ ციფრს დავუმატებთ 130 ათას სალდათს და ოფიცერს, რომლებიც 1941 წლის 22 ივნისისათვის სამხედრო სამსახურს გადიოდა, დავინახავთ, რომ სამამულო ომის ყველა ფრონტზე ქართული მიწის 693 ათასი შვილი იბრძოდა".**

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, სხვაობა მონაცემთა შორის თვალშისაცემია.

აღნიშნული მონაცემებიდან სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ ბოლო, რომელიც უახლოვდება „საქართველოს ისტორიის" მე-4 ტომის მონაცემებს და დასტურდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, გადამდგარი გენერალ-მაიორის **ივანე ბაბალაშვილის** კვლევებით.

აი, რას წერს გენერალ ბაბალაშვილის კვლევების შესახებ **ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მაყვალა ნათმელაძე:** „ივ. ბაბალაშვილს პირველს ეკუთვნის ომის წლებში საქართველოდან საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში გაწვეულთა საერთო რიცხვის **(700 000-მდე) განსაზღვრა, რომელიც ეფუძნება სანდო და უტყუარ მასალებს,** ამიტომაც იგი გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში. ივ. ბაბალაშვილს ეკუთვნის, აგრეთვე, საქართველოდან ომში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა რაოდენობის სავარაუდო განსაზღვრაც" („ომგადახდილი მეცნიერები", თბილისი, 2000).

დიდ სამამულო ომში საქართველოდან გაწვეულ მეომართაგან დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საერთო რაოდენობის განსაზღვრის საკითხი, აგრეთვე, საყურადღებოა და პრობლემური.

**სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს განმარტებით, მონაცემები ბრძოლებში დაღუპული და უგზო-უკვლოდ დაკარგული მებრძოლების შესახებ ეროვნულობის მიხედვით იკრიბებოდა და ჯამდებოდა გენერალურ შტაბში სამხედრო ოლქების მონაცემების მიხედვით.**

ამ მიზეზის გამო ხშირად ეს მონაცემები არ ემთხვეოდა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის მონაცემებს. ამასთანავე, ეს დოკუმენტები იყო გასაიდუმლოებული და მათი შეჯერება ადგილობრივ სტატისტიკურ მონაცემებთან არ ხდებოდა (იხ. „Памяти павших". Великая отечественная война 1941-1945 г.г. Москва 2005, стр. 79.).

ამ თემაზე სამეცნიერო-კვლევით მუშაობას სათავე დაუდო ჯერ კიდევ კავკასიაში საომარი მოქმედებების მსვლელობისას (1942 წლის თებერვალში) მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში შექმნილმა სამამულო ომის ისტორიის მასალების შემგროვებელმა და შემსწავლელმა კომისიამ, აკადემიკოს გ. ხაჭაპურიძის თავმჯდომარეობით.

შემდგომ პერიოდში ამ თემატიკაზე მუშაობდნენ და გამოქვეყნებული აქვთ ნაშრომები ნ. ჭეიშვილს, მ. ქოჩიაშვილს, ა. იოსელიანს, კ. ცქიტიშვილსა და სხვებს.

სხვადასხვა ავტორის ნაშრომების შეჯერებით, აგრეთვე, გენერალ ბაბალაშვილის კვლევებით (რაც ზემოთ იყო აღნიშნული), საქართველოს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა აზრი, რომ დიდ სამამულო ომში **საქართველოდან გაწვეულ პირთაგან დაიღუპა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა 300 ათასამდე მებრძოლი.**

ეს მონაცემი დასტურდება 1985 წელს გამოცემული „დიდი სამამულო ომის (1941-1945 წ.წ.) ენციკლოპედიით", რომელიც მოიძია „საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის" ბიუროს წევრმა **რობინზონ პაპიძემ.**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქ. პოდოლსკის ცენტრალურ სამხედრო არქივში შედგა დიდ სამამულო ომში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სიები რესპუბლიკების მიხედვით.

ამ სიების ნაწილი მიიღო საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ (5 ყუთი) და საქართველოს პრეზიდენტის არქივმა (8 ყუთი). სიები შედგენილია კომპიუტერული ბანკისთვის და შეიცავს სრულ ინფორმაციას თითოეული მებრძოლის შესახებ (დემოგრაფიული მონაცემები, საცხოვრებელი, გაწვევის, დაღუპვის, დაკრძალვის ადგილები და თარიღები).

ამ სიების დამუშავების შრომატევად და საპასუხისმგებლო საქმეს წარმატებით გაართვეს თავი საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებმა პროფესორების — **მაყვალა ნათმელაძისა** და **ელვერ კუპატაძის** ხელმძღვანელობით.

**იყო მცდელობა, შეგროვილი მასალების საფუძველზე გამოცემული ყოფილიყო დიდ სამამულო ომში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სიები 8 ტომად, სათაურით „წიგნი მარადიული ხსოვნისა". პირველი ტომი გამოვიდა 1985 წელს და მიეძღვნა თბილისელებს. მეორე ტომი დაიბეჭდა 1987 წელს, რომელიც მიეძღვნა ავტონომიურ ფორმირებებს, მომზადდა მესამე ტომი, მაგრამ მისი გამოცემა შეწყდა საქართველოში შექმნილი ფინანსური სიძნელეებისა და განვითარებული პოლიტიკური მოვლენების გამო.**

დადგინდა, რომ **საქართველოს ისტორიოგრაფიაში ნავარაუდევი 300 ათასი დაღუპული და უგზო-უკვლოდ დაკარგული მებრძოლიდან, ქართველი იყო 117 014** (ჟურნალი „საპოვნელა" №2, 2002 წ.), **ამით შეივსო დიდი სამამულო ომის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი ხარვეზი, თუმცა მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ეს რიცხვიც სავარაუდოა, რადგან, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საარქივო დოკუმენტების გარკვეული რაოდენობა დაკარგულია.**

დღეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში შემორჩენილია მონაცემები ომში დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მხოლოდ 135 363 ადამიანზე.

დასასრულ, **შეიძლება დავასკვნათ:**

***დიდ სამამულო ომში საქართველოდან 700 ათასამდე მეომარი იბრძოდა, მათ შორის — 23 ათასი ოფიცერი, 46 გენერალი და ადმირალი.**

***300 ათასამდე მებრძოლი ვერ დაბრუნდა სამშობლოში.**

***საქართველოდან 16 ათასამდე ქალი იცავდა სამშობლოს.**

***224 700 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჯილდოვდა სსრკ-ის ორდენებითა და მედლებით.**

***164-ს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.**

**ეს მონაცემები მიღებულია საქართველოს ისტორიოგრაფიაში და აღიარებულია საზოგადოებრიობის მიერ (იხ. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" მე-3 ტომი, გვ. 538).**

**შენიშვნა:** ცნობას გაეცნო ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მაყვალა ნათმელაძე, რომელიც დასკვნას დაეთანხმა.

**გურამ გვეტაძე,**
**გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი, საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის ბიუროს წევრი**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

1973 წლის 28 ნოემბერს საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შემოიჭრა ირანის თვითმფრინავი „ფანტომ-II“, რომელიც აშშ-ის დავალებით სადაზვერვო საქმიანობას ეწეოდა. კაპიტანი ელისეევი ირანული თვითმფრინავის შესაჩერებლად საქართველოდან აფრინდა — ვაზიანის აეროდრომიდან.

# 5 ყველაზე ცნობილი საჰაერო ტარანი კაცობრიობის ისტორიაში

ტარანი (მოწინააღმდეგის თვითმფრინავის, ხომალდის ან ტანკისთვის დარტყმა საბრძოლო მანქანის კორპუსით), როგორც საჰაერო ბრძოლის ხერხი, ბოლო არგუმენტია, რომელსაც მფრინავები გამოუვალ მდგომარეობაში იყენებენ, და ამის შემდეგ სიცოცხლის შენარჩუნება თითქმის შეუძლებელია.



## მსოფლიოში პირველი ტარანი

**პირველი საჰაერო ტარანი შეასრულა „მკვდარი მარყუჟის“ (უმაღლესი პილოტაჟის ფიგურა, რომლის დროსაც თვითმფრინავი „ჩაკეტილი მარყუჟის“ ტრაექტორიაზე მოძრაობს) ავტორმა, რუსეთის არმიის შტაბს-კაპიტანმა პეტრე ნესტეროვმა (1887-1914).** ეს მოხდა პირველ მსოფლიო ომში.



1914 წლის 8 სექტემბერს ქალაქ ლვოვის საჰაერო სივრცეში გატარნა ავსტრიული მძიმე ბომბდამშენი „ალბატროსი“, რომელსაც ფრანც მალინა და ბარონი ფრიდრიხ ფონ როზენტლი მართავდნენ.

ნესტეროვი მსუბუქ აეროპლან **„მორანით“** ჰაერში აიჭრა, დაეწია ავსტრიელთა „ალბატროსს“, რომლითაც რუსული არმიის პოზიციებს ზვერავდნენ, და თავისი საფრენი აპარატის ცხვირი მტრის თვითმფრინავს დაარტყა. ავსტრიული თვითმფრინავი ჩამოვარდა. დარტყმისას ნესტეროვი, რომელიც აფრენას ჩქარობდა და უსაფრთხოების ღვედის გაკეთება ვერ მოასწრო, კაბინიდან გადმოვარდა და სასიკვდილოდ დაშავდა.





„И-21“

## პირველი ტარანი მეორე მსოფლიო ომში

**მეორე მსოფლიო ომში პირველი საჰაერო ტარანი განახორციელა 31 წლის უფროსმა ლეიტენანტმა ივან ივანოვმა,** რომელმაც 1941 წლის 22 ივნისს, 4 საათსა და 25 წუთზე, დუბნასთან მდებარე აეროდრომ მლინოვის თავზე „ი-16“-ით გატარნა გერმანელთა ბომბდამშენი „ჰეინკელი“, რის შემდეგაც ორივე თვითმფრინავი ჩამოვარდა.



ივანოვი დაიღუპა. მას სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. აღსანიშნავია, რომ ივანოვის გმირობიდან 20 წუთის შემდეგ უმცროსა ლეიტენანტმა **დიმიტრი კოკოროვმა** ზამბროს რაიონში გერმანელთა „მესერშმიტი“ ტარანით ჩამოაგდო და ცოცხალი გადარჩა.

საბჭოთა კავშირის გმირმა **ბორის კოვზანმა** კი ტარანის მეთოდით 4 გერმანული თვითმფრინავი ჩამოაგდო.




## ქალის მიერ შესრულებული პირველი ტარანი

**მსოფლიოში მხოლოდ ერთადერთმა ქალმა განახორციელა ტარანი. ეს გახლავთ საბჭოთა მფრინავი ეკატერინა ზელენკო.**

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ეკატერინა ზელენკომ 40 საბრძოლო გაფრენა შეასრულა და 12 საჰაერო ბრძოლაში მონაწილეობდა. 1941 წლის 12 სექტემბერს, დავალების შესრულების შემდეგ, აეროდრომზე ბრუნდებოდა, როდესაც გერმანულმა „მესერშმიტებმა“ შეუტიეს, ერთის ჩამოგდება შეძლო და, როდესაც საწვავი გაუთავდა, მტრის მეორე თვითმფრინავი გატარნა.



ეკატერინა ზელენკო დაიღუპა. მას სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

## პირველი „ცეცხლოვანი“ ტარანი

„ცეცხლოვან“ ტარანს უწოდებენ საჰაერო ბრძოლის ისეთ ხერხს, როდესაც პილოტი თავის თვითმფრინავს, რომელიც გაზიანებულია და ვარდება, მიმართავს მიწაზე მდებარე მტრის ობიექტისკენ და აზიანებს მას. ბევრისთვის ცნობილია **ნიკოლაი გასტელოს** გმირობა, რომელმაც თავისი თვითმფრინავით გერმანელთა ტანკების კოლონაში საწვავით სავსე ცისტერნა ააფეთქა. მაგრამ **პირველი „ცეცხლოვანი“ ტარანი 1941 წლის 22 ივნისს განახორციელა უფროსმა ლეიტენანტმა პეტრე ჩირკინმა.** მან თავისი დაზიანებული „ი-153“ ქალაქ სტარიისთან (დასავლეთი უკრაინა) გერმანელთა ტანკების კოლონას დააჯახა.





## რეაქტიული თვითმფრინავის პირველი ტარანი

**სტალინგრადში დაბადებულმა კაპიტანმა გენადი ელისეევმა რეაქტიული გამანადგურებელი „მიგ-21“-ით განახორციელა ტარანი.**

1973 წლის 28 ნოემბერს საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შემოიჭრა ირანის თვითმფრინავი „ფანტომ-II“, რომელიც აშშ-ის დავალებით სადაზვერვო საქმიანობას ეწეოდა. კაპიტანი ელისეევი ირანული თვითმფრინავის შესაჩერებლად საქართველოდან აფრინდა — ვაზიანის აეროდრომიდან.

„ჰაერი-ჰაერი“ ტიპის რაკეტების გამოყენებამ შედეგი ვერ გამოიღო — „ფანტომმა“ სითბური მახეები გაუშვა და სარაკეტო დარტყმა თავიდან აიცილა. ელისეევმა ბრძანების შესასრულებლად ტარანის შესრულება გადაწყვიტა და თავისი თვითმფრინავის ფრთა „ფანტომს“ კუდში დაარტყა. „ფანტომი“ ჩამოვარდა, მისი ეკიპაჟი კი კატაპულტირების შემდეგ დააკავეს.

ელისეევის „მიგ-21“-მა სიმაღლე დაკარგა და მთას შეეჯახა. სიკვდილის შემდეგ ელისეევს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭეს.

სადაზვერვო თვითმფრინავის ეკიპაჟი — ამერიკელი პოლკოვნიკი და ირანელი პილოტი — 16 დღის შემდეგ ირანის ხელისუფლებას გადასცეს.



„МиГ 21“

მოამზადა **გიორგი გაჩეჩილაძე**

მსოფლიო



## პოლონეთი ამერიკისგან ფრთოსან რაკეტებს ყიდულობს

**პოლონეთი „ტომაჰავკის“ ტიპის ამერიკული ფრთოსანი რაკეტების შეძენას გეგმავს.** შესაბამისი ოფიციალური თხოვნით ვაშინგტონს პოლონეთის თავდაცვის მინისტრმა ტომაშ სემონიაკმა უკვე მიმართა. რაკეტები პოლონურ წყალქვეშა ნავებზე განთავსდება. 2014 წლის დეკემბერში პოლონეთმა უკვე გააფორმა კონტრაქტი JASSM ტიპის 40 ფრთოსანი რაკეტის შესყიდhვაზე. სტელზის ტექნოლოგიით დამზადებული 40 ცალი რაკეტა განკუთვნილია F16 ტიპის 52 ავიაგამანადგურებლისთვის, რომლებიც პოლონეთს შეიარაღებაში აქვს. ამ კლასის რაკეტას გამანადგურებელი მანამდე ისვრის, სანამ თვითმფრინავი შევა მოწინააღმდეგის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ზონაში. კონტრაქტის ღირებულება 250 მლნ დოლარია. პოლონეთი ფრთოსანი რაკეტების გარდა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემასაც იძენს.










მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ფორცა, იტალია!







## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

იტალიის რესპუბლიკა ხმელთაშუა ზღვის ცენტრში მდებარე სამხრეთი ევროპის სახელმწიფოა. ზუსტად ცნობილი არ არის, როგორ წარმოიშვა სიტყვა იტალია, ყველაზე გავრცელებული თვალსაზრისით, ეს სახელწოდება ძველბერძნული ენიდანაა და „ხბოების ქვეყანას“ ნიშნავს. სამხრეთ იტალიაში მცხოვრები ხალხების სიმბოლო იყო ხარი, რომელსაც ხშირად გამოსახავდნენ რომაული ძუ მგელის რქენის პროცესში.

იტალია ჩრდილოეთ-დასავლეთით ესაზღვრება საფრანგეთს, ჩრდილოეთით — შვეიცარიასა და ავსტრიას, ჩრდილო-აღმოსავლეთით — სლოვენიას; აქვს შიგა საზღვრები ჯუჯა სახელმწიფოებთან — ვატიკანთან და სან-მარინოსთან.

იტალიის ტერიტორია მოიცავს აპენინის ნახევარკუნძულს, ბალკანეთის ნახევარკუნძულის მცირე ნაწილს, პადანიის დაბლობს, ალპების სამხრეთ ფერდობს, კუნძულებს — სიცილიას, სარდანიას და რიგ პატარა კუნძულებს. ქვეყნის მთავარი თავისებურებაა მისი ფორმა — ჩექმა, რომელიც „აპანღურებს“ სიცილიას.

იტალია მთაგორიანი ქვეყანაა. იტალიისა და საფრანგეთის საზღვარზე მდებარეობს ევროპის უმაღლესი მწვერვალი **მონბლანი (4808 მ).**

**უდიდესი ვულკანები: ეტნა (3320 მ)** — ყველაზე მაღალი ვულკანი ევროპაში და **ვეზუვი (1277 მ).**

**უდიდესი მდინარეები: პო (676 კმ), ადიჯე (410 კმ)** და **ტიბრი (404 კმ).**

**უდიდესი ტბები: გარდა, ლაგო-მაჯორე, კომო**.

**კლიმატი.** ქვეყნის კლიმატი მრავალფეროვანია. ალპებში საშუალო ტემპერატურა დაბალია. ცენტრალური იტალია რბილი ზამთრითა და არც ისე ცხელი ზაფხულით გამოირჩევა. ქვეყნის სამხრეთში კი ზოგჯერ ტემპერატურა პლუს 40-45 გრადუსს აღწევს.

**ფლორა.** ტყეებსა და ბუჩქნარს ქვეყნის 25% უკავია. ხარობს: მუხა, წაბლი, ნეკერჩხალი, კვიპაროსი, პალმა, ტირიფი, ფიჭვი. იტალიაში ბევრია ნაკრძალი: სტელვიო, გრანპარადიზო, აბრეცო, კალაბრიის პარკი და სხვ.

**ფაუნა.** იტალიის ტერიტორიაზე ბინადრობს: მგელი, გარეული ტახი, გარეული კატა, კურდღელი, დათვი, არწივი, შევარდენი, მწყერი, იხვი და სხვ.

**მოსახლეობა.** იტალიის მოსახლეობა, 2014 წლის მონაცემებით, **62 მლნ-ს შეადგენს** (მე-3 — ევროპაში; 23-ე — მსოფლიოში) და, ძირითადად, იტალიელებისგან (93,52%) შედგება, ცხოვრობენ, აგრეთვე, რუმინელები (1,32%), ჩრდილოაფრიკელები (1,01%), ალბანელები (0,73), გერმანელები (0,4), ავსტრიელები (0,4), ფრანგები, ჩინელები და სხვ.

**დედაქალაქი: რომი (2,8 მლნ. გარეუბნებით — 3,7 მლნ).**

**უდიდესი ქალაქები: მილანი (1,3 მლნ. გარეუბნებით — 7,4 მლნ), ნეაპოლი (1,05 მლნ), ტურინი (1,0 მლნ), პალერმო (679 ათასსი).**

**ოფიციალური ენა: იტალიური.**




## მმართველობის ფორმა და რელიგია

იტალია დეცენტრალიზებული უნიტარული ქვეყანაა. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. ამჟამად იტალიის პრეზიდენტია **სერჯო მატარელა**; მთავრობას ხელმძღვანელობს პრემიერმინისტრი. პოსტი ახლა უკავია **მატეო რენცის. საკანონმდებლო ორგანო:** ორპალატიანი პარლამენტი (სენატი და დეპუტატების პალატა), რომელსაც 5 წლით ირჩევენ.

ქვეყანა დაყოფილია **20 ოლქად**, რომელთაგან 5-ს — სიცილიას, სარდინიას, ტრენინო-ალტო-ადიჯეს, ვალე დ'ასოტას და ფრიული-ვენეცია-ჯულიას — განსაკუთრებული სტატუსი აქვს. ამ ოლქებში 110 პროვინციაა, რომლებიც, თავის მხრივ, 8101 კომუნად იყოფა.

**რელიგია.** ბოლო მონაცემებით, იტალიაში რომის კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლები მოსახლეობის 96,77%-ს შეადგენენ. სხვა რელიგიური მრწამსის წარმომადგენელთა შორის ჭარბობენ იეღოვას მოწმეები, ევანგელისტები, ლუთერანები და ბაპტისტები; ცხოვრობენ, აგრეთვე, ბუდისტებიც.

## ეკონომიკა

უზარმაზარი სახელმწიფო ბიუჯეტი (972 მლნ დოლარი, 2012 წლის მონაცემებით) და კონკურენტუნარიანი საშუალო კლასი იტალიას საშუალებას აძლევს, წამყვან პოზიციებზე იყოს მოდის, დიზაინის, ტანსაცმლისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის წარმოების სფეროში. იტალიის უდიდესი ფირმებია „ფიატი“ (ავტომრეწველობა), „მონტედისონი“ (პლასტმასის მრეწველობა), „ოლივეტი“ (კომუნიკაციები) და „ბენეტონი“ (სამოსი).

წამყვანი დარგებია: მანქანათმშენებლობა (ავტომრბოლები, ველოსიპედები, მოპედები, ტრაქტორები, სარეცხი მანქანები, მაცივრები); რადიოელექტრონული მრეწველობა; მეტალურგია; მსუბუქი მრეწველობა (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ტყავის ნაწარმი); სოფლის მეურნეობა (ხორბალი, სიმინდი, ბრინჯი, ღვინო, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვები; ზეთისხილი, ციტრუსები, მაკარონი, ყველი, ეთერზეთები, ყვავილები, ნატურალური ესენციები); მინისა და ქაშანურის, აგრეთვე, საიუველირო ნაკეთობების წარმოება.

იტალიაში მოიპოვებენ ვერცხლისწყალს, ბუნებრივ აირს, დოლომიტებს, კალიუმიან მარილს.

ქვეყნის შიგა მთლიანი პროდუქტი 1,7 ტრილიონ დოლარს შეადგენს (მე-10 მსოფლიოში), მოსახლეობის ერთ სულზე — 29,1 ათასს (27-ე).

**ვალუტა: ევრო.**
**ინტერნეტდომენი: it**
**სატელეფონო კოდი: +39**
**საათობრივი სარტყელი: UTC+1**

## კულტურა

იტალიელთა მიერ მსოფლიოს კულტურასა და ხელოვნებაში შეტანილი წვლილი იმხელაა, რომ ერთ საგაზეთო სტატიაში ჩამოთვლაც კი შეუძლებელია. განსაკუთრებით აღსანიშნავია აღორძინების პერიოდი: ლუჩენტო (XIII ს) — პროტორენესანსი; ტრეჩენტო (XIV ს) — პროტორენესანსის გაგრძელება; კვატროჩენტო (XV ს) — ადრეული რენესანსი; ჩინკვეჩენტო (XVI ს) — მაღალი რენესანსი.

მხატვრებიდან აღსანიშნავია **ლეონარდო და ვინჩი (1452-1519), რაფაელი (1438-1520), ბოტიჩელი (1445-1510), მიქელანჯელო (1475-1564)** და სხვ.

იტალიური პოეზიისა და მწერლობის უდიდესი წარმომადგენლები არიან: „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი **დანტე ალიგიერი** (1265-1321); **პეტრარკა** (304-1374); ექვსი იტალიელი მწერალი კი ნობელის პრემიის ლაურეატია: **ჯოზუე კარდუჩი, გრაცია დელადა, ლუიჯი პირანდელო, სალვატორე კვაზიმოდო, ეუჯენიო მონტალე** და **დარიო ფო.**

იტალიელ კინემატოგრაფებს მსოფლიოში აქვთ სახელი განთქმული, მათ შორის არიან 5-გზის ოსკაროსანი **ფედერიკო ფელინი** („გზა“, „კაბიროს ღამეები“, „ტკბილი ცხოვრება“, „8 1/2“ და სხვ); ოთხგზის ოსკაროსანი **ვიტორიო დე სიკა** („ველოსიპედების გამტაცებლები“, „გუშინ, დღეს, ხვალ“, „ქორწინება იტალიურად“ და სხვ.), **ბერნარდო ბერტოლუჩი** („უკანასკნელი ტანგო პარიზში“, „უკანასკნელი იმპერატორი“ და სხვ.), **ჯუზეპე დე სანტისი, მიქელანჯელო ანტონიონი და სხვ.**

**ღირსშესანიშნაობები: რომში** — ტაძარი-პანთეონი, კოლიზეუმი, კარაკალას აბანოები, ტრიუმფალური თაღი, ნაციონალური მუზეუმი, ბორგეზეს გალერეა და სხვ. **მილანში** — ოპერა ლა სკალა, სან ამბროჯოს ეკლესია, დომინიკელების მონასტერი და ვინჩის ფრესკით „საიდუმლო სერობა“; პიზაში — დახრილი კოშკი. **ფლორენციაში** — სტროცის სასახლე, რომლის ნაგებობებსა და მოედანს ამშვენებს მიქელანჯელოს, ჯოტოსა და ჩელინის ქმნილებები. უნიკალურია 118 კუნძულზე გაშენებული **ვენეცია** თავისი 400 ხიდით.



## პიცა

**ნამდვილი თხელი იტალიური პიცის დასამზადებლად საჭიროა მუხის ნაჭრები და ღუმელი, სადაც ტემპერატურა 485 გრადუსს მიაღწევს და პიცა 2-3 წუთში გამოცხვება. ჩვეულებრივ აირღუმელში კი, თუკი რიყის ქვებს შეაწყობთ, ტემპერატურის აწევა 300 გრადუსამდე შეგიძლიათ, მაგრამ პიცის გამოცხობას 10-12 წუთი დასჭირდება.**



**ინგრედიენტები:**

**ცომისათვის:**
*წყალი — 1 ჭიქა
*ხორბლის ფქვილი — 2 ჭიქა
*საფუარი — 1 ჩ.კ.
*შაქარი — 2 ჩ.კ.
*მარილი — 1 ჩ.კ.
*ზეითუნის ზეთი — 3 ს.კ.

**შიგთავსისთვის:**
*ტომატის სოუსი — 6 სუფრის კოვზი
*პომიდორი — 1 ც.
*ძეხვი (სალიამი) — 100 გრ.
*შამპინიონი — 5-6 ცალი
*გახეხილი ყველი (მოცარელა) — 300 გრ.

**მომზადება:**

**1.** პატარა ჯამში ჩაასხით თბილი წყალი, დაუმატეთ 2 ჩ. კ. შაქარი, მწიკვი მარილი, საფუარი, 1 სუფრის კოვზი ფქვილი და აურიეთ.

10-15 წუთის შემდეგ ცომი აფუვდება (წარმოიქმნება ქაფი), შემდეგ დიდ ჯამში ჩაყარეთ დარჩენილი ფქვილი, მარილი, ზეითუნის ზეთი დაუმატეთ აფუებული ცომი და მოზილეთ. ცომი თხელი და მოქნილი უნდა გამოვიდეს.

**2.** ცომი ფქვილმოყრილ ზედაპირზე დადეთ და კიდევ მოზილეთ 10 წთ-ის განმავლობაში, შიგადაშიგ ცოტა ფქვილი დაუმატეთ. შემდეგ მას ზეითუნის ზეთი მოასხით, ნაჭერი გადააფარეთ და საათ-ნახევრის განმავლობაში თბილ ადგილას შეინახეთ, ვიდრე სამჯერ მეტი არ გახდება, შემდეგ სამ ნაწილად დაყავით და თითოეული ბურთივით დაამრგვალეთ.

**3.** ფქვილიან ზედაპირზე დადეთ ცომის ბურთი და ხელით გააბრტყელეთ — თხილი ფირფიტის მილებამდე. შემდეგ წაუსვით 2 კოვზი ტომატის სოუსი (თითოეულ ბურთს). მოაყარეთ თხლად დაჭრილი ძეხვი, პომიდორი, შამპინიონები, გახეხილი ყველი და შედგით გახურებულ აირღუმელში 10-12 წუთით, ვიდრე პიცა არ გამოცხვება.

## სამზარეულო

იტალიურმა სამზარეულომ მსოფლიოში პოპულარობა მოიხვეჭა ისეთი კერძებით, როგორებიცაა პიცა და სპაგეტი. იტალიური კერძების ძირითადი ინგრედიენტებია ბოსტნეული (პომიდორი, ბადრიჯანი, ყაბაყი), ხორბლის ფქვილი (მაკარონი), ყველი (პარმეზანი, მოცარელა, მასკარპონე), ზეთისხილი, სანელებლები (ნიორი, ბაზილიკა, ხახვი, წიწაკა, ორეგანო), ბრინჯი, ლობიო, ლიმონი, ფორთოხალი, ატამი, სოკო, ნუში, ღვინო, ლიქიორი, თევზეული და, რა თქმა უნდა, ძროხისა და ღორის ხორცი.

მოამზადა
**ნიკა გელაშვილმა**

**P.S. „ფორცა“ იტალიური სიტყვაა და ნიშნავს „წინ“.**

მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მზის დაბნელება და ახალმთვარეობა დედამიწაზე გამოიწვევს წყალდიდობებს და ცუნამის. მზის დაბნელებას წინა და შემდგომ პერიოდში (18-22 მარტი) დიდია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გამწვავების ალბათობა. ეს პერიოდი ძალიან სახიფათოა ჰიპერტონიკებისთვისაც.**



# რა უნდა ვიცოდეთ 20 მარტის მზის სრული დაბნელების შესახებ



**2015 წლის 20 მარტის მზის სრული დაბნელება, რომლის დროსაც მთვარე მზის შუქის 90%-ს არ გამოუშვებს დედამიწაზე, ბოლო 16 წლის განმავლობაში ყველაზე დიდი ასტრონომიული მოვლენა იქნება. ამ დღეს მთვარე დედამიწასა და მზეს შორის გაივლის და მისი ჩრდილი დედამიწას დაეცემა. მზის ბოლო სრული დაბნელება მოხდა 1999 წლის 19 აგვისტოს, მომდევნო კი 2026 წელს იქნება.**




20 მარტს მზის დაბნელება მოხდება გაზაფხულის ბუნიობაზე (დღისა და ღამის ტოლობა), როდესაც მზისა და მთვარის ტრაექტორიები ციურ ეკვატორიაზე თევზების თანავარსკვლავედში გადაიკვეთება. ამით მზის დაბნელება სიმბოლურად აღნიშნავს ასტრონომიული ახალი წლის დადგომას.

მთვარის ჩრდილი ატლანტიკის ოკეანის ჩრდილოეთიდან დაიწყებს გადაადგილებას, გაივლის ფარერის კუნძულებსა და ნორვეგიის ზღვას, შემდეგ — შპიცბერგენის არქიპელაგს და ჩრდილოეთ პოლუსს მიაღწევს. მზის სრული დაბნელების მაქსიმალური ხანგრძლივობა 2 წუთი და 47 წმ იქნება, წერტილი კი სადაც მოხდება ეს მოვლენა, მდებარეობს ნორვეგიის ზღვაში, ისლანდიის აღმოსავლეთით და ფარერის კუნძულების ჩრდილოეთით.

მთვარის ჩრდილი, რომლის ყველაზე დიდი სიგრძე 487 კმ იქნება, და „მოგზაურობისას" 5800 კმ-ს გაივლის. საქართველოს ტერიტორიიდან მზის სრული დაბნელების დანახვა შეუძლებელი იქნება, თუმცა მზე 55%-ით დაბნელდება საქართველოს ტერიტორიიდან მზის დაბნელება ყველაზე კარგად გამოჩნდება სოხუმიდან, ქუთაისიდან და ბათუმიდან.

მზის დაბნელება დაიწყება 20 მარტს, დილით, 7 საათსა და 41 წუთზე მსოფლიოს დროით (UTC) და დასრულდება 11 საათსა და 50 წუთზე (UTC). საქართველოს დროით მზის დაბნელება 13 საათსა და 31 წუთზე დაიწყება, მაქსიმალურ ფაზას 14 საათსა და 24 წუთზე მიაღწევს და 15 საათსა და 17 წუთზე დასრულდება.

### რეკომენდაციები მზის დაბნელებაზე დაკვირვების მსურველთათვის

უწინარესად, თვალები უნდა დაიცვათ. მზე ისეთი კაშკაშა მნათობია, რომ მისთვის რამდენიმე წუთით შეხედვისას შეიძლება მხედველობა დაიზიანოთ. მცდარია მოსაზრება, რომ მზის დაბნელებისას მისი ნათება კაშკაშა არ იქნება. ამიტომ მზის დაბნელებას სპეციალური მუქი სათვალით ან სინათლის ფილტრით უნდა დააკვირდეთ, მით უმეტეს, თუ დაკვირვებას აწარმოებთ ბინოკლით ან ტელესკოპით.

### სათვალე

მზის დაბნელებაზე დასაკვირვებლად ჩვეულებრივი მუქი სათვალე არ გაიკეთოთ — ის ბევრ სინათლეს ატარებს. ამისათვის გამოდგება შემდუღებლის ნიღბის მინა და მზის შუქის ფილტრები, რომლებიც რამდენიმე სახეობის ტელესკოპს მოჰყვება.




**მზის დაბნელება დაიწყება 20 მარტს, დილით, 7 საათსა და 41 წუთზე მსოფლიოს დროით (UTC) და დასრულდება 11 საათსა და 50 წუთზე (UTC). საქართველოს დროით მზის დაბნელება 13 საათსა და 31 წუთზე დაიწყება, მაქსიმალურ ფაზას 14 საათსა და 24 წუთზე მიაღწევს და 15 საათსა და 17 წუთზე დასრულდება**







დამცავი სათვალის დამზადება თვითონაც შეგიძლიათ. ამისთვის ჩვეულებრივი მინა უნდა გამოწვათ ან გამოიყენოთ დასხივებული ფოტოლენტი.

### პროექტორი

თუ გაქვთ პატარა ტელესკოპი, შეგიძლიათ, პროექტორად გადააკეთოთ. ამისთვის საჭიროა ტელესკოპის ოკულარის უკან თეთრი ქაღალდი დაამაგროთ, თვითონ ინსტრუმენტი კი მზისკენ მიმართოთ. ტელესკოპის მილზე დაამაგრეთ მუყაოს ფარი ისე, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები. შემდეგ ეს მილი მზისკენ მიმართეთ ისე, რომ ოკულარში არ ჩაიხედოთ. ტელესკოპის ოკულარიდან მზის შუქი წამოვა და ფურცელს დაეცემა. შემდეგ ფოკუსი გაასწორეთ და გამოსახულება დიდი და მკაფიო გახდება.

### ტელესკოპი

მზეზე დაკვირვება ყველაზე კარგად, რა თქმა უნდა, ტელესკოპის მეშვეობით შეიძლება, მაგრამ ამისათვის ის აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური ფილტრით, რომელიც ინსტრუმენტის შემავალ ნახვრეტს უკეთდება და მას სინათლის დიდი ნაწილისგან იცავს. ოკულარზე კი სინათლის ფილტრის დაყენება რეკომენდებული არ არის, რადგან შეიძლება გაიბზაროს, გატყდეს ან მზის სხივების კანის ზემოქმედებით, დადნეს.

ტელესკოპით მზის გამოსახულებას კარგად დაინახავთ. მნათობის დისკოზე თქვენ შეამჩნევთ ლაქებსა და ცეცხლის კერებს.

### რა უნდა გავითვალისწინოთ

როდესაც მთვარე მზის სხივების შთანთქმას დაიწყებს, დედამიწა სიბნელეში ჩაიძირება, ცხოველები ჩაჩუმდებიან, ტემპერატურა დაეცემა, ცაზე კი ვარსკვლავები გამოჩნდება. მთვარისგან დაფარული მზის შორიახლოს (დასავლეთით, დაახლოებით 20 გრადუსით) დაინახავთ პლანეტა ვენერას, ცოტა იქით — მარსს. მზისგან მარჯვნივ გამოჩნდება დიდი სამკუთხედი, რომელსაც შექმნიან ვარსკვლავები — ვეგა, დენები და ალტაირი.

მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ მზის დაბნელება ძალიან სახიფათოა მზის ენერგიაზე მომუშავე ელექტროსადგურებისთვის, რადგან ენერგიის დანაკარგები 98%-ს მიაღწევს.

მზის დაბნელება და ახალმთვარეობა დედამიწაზე გამოიწვევს წყალდიდობებს და ცუნამის. მზის დაბნელებას წინა და შემდგომ პერიოდში (18-22 მარტი) დიდია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გამწვავების ალბათობა. ეს პერიოდი ძალიან სახიფათოა ჰიპერტონიკებისთვისაც.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

მოზაიკა



## მიშელ ობამა «მაიმუნების პლანეტის» გმირს შეადარეს

**ამერიკულ ტელეკომპანია Univision-ის ტელეწამყვანმა როდნერ ფიგეროამ თავის გადაცემაში აშშ-ის პირველი ლედი მიშელ ობამა „მაიმუნების პლანეტის" გმირს შეადარა.** „იცით, მიშელ ობამა ისე გამოიყურება, თითქოს „მაიმუნების პლანეტის" სამსახიობო გუნდშია", — განაცხადა ფიგეროამ. როდესაც ამას ამბობდა, ის „მაიმუნების პლანეტის" ცნობილ ვიზაჟისტზე საუბრობდა. ფიგეროას რასიზმში დასდეს ბრალი. ინციდენტის შემდეგ ტელეკომპანიამ მას სამსახური დაატოვებინა და განაცხადა, რომ ფიგეროას კომენტარი ეწინააღმდეგება იმ ფასეულობებს, რომლებზეც დაფუძნებულია ტელეკომპანია Univision-ი. განცხადება გააკეთა თვითონ წამყვანმაც: „თავს საშინლად ვგრძნობ. ჩემნაირი პროფესიონალი არ უნდა აკეთებდეს ისეთ კომენტარებს, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს შეურაცხმყოფელად ან რასისტულად, განსაკუთრებით ახლა, როდესაც ქვეყანა რთულ მდგომარეობაშია".



20 მარტს ახალმთვარეობა და მზის დაბნელებაა. ეს მოვლენები აისახება დედამიწაზე და ადამიანებზეც, განსაკუთრებით — თევზების, ტყუპის, ქალწულისა და მშვილდოსნის ნიშნებით დაბადებულებზე. მზის დაბნელებამ დედამიწაზე შეიძლება გამოიწვიოს წყალდიდობები, ადამიანებში კი გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები.

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

18 – 24 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი

## ვერძი
21 მარტი – 20 აპრილი

რთული პერიოდია — შესაძლოა, თავი წამოყოს ძველმა, დავიწყებულმა პრობლემებმა. თუმცა მთავარია, თავი აარიდოთ კონფლიქტს, როგორც თანამშრომლებთან და პარტნიორებთან, ისე ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან.

დაიოკეთ ტემპერამენტი და შეეცადეთ, მოუსმინოთ ადამიანებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძვირფას ადამიანებს დაკარგავთ.

შესაძლოა, მოგიწიოთ მივლინებაში ან სამოგზაუროდ წასვლა და, თუ საჭეს მიუჯდებით, ყურადღების კონცენტრაცია გმართებთ.

კარგი იქნება, თუ სპორტის რომელიმე სახეობით დაკავდებით და ფიზიკურად დაიტვირთებით.

მოერიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს!

**დადებითი დღე: 23 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 20 მარტი.**

## კურო
21 აპრილი – 21 მაისი

ამ პერიოდში კუროები გაიცნობენ ახალ ადამიანებს, რომლებიც დიდ გავლენას მოახდენენ მათ მომავალზე.

ბევრმა კურომ შეიძლება ფინანსური დახმარება მიიღოს ნათესავებისგან. საზოგადოდ კი, ეს კარგი პერიოდია უძრავი ქონების შესაძენად, აგრეთვე, ოჯახურ წრეში დროის გასატარებლად ან რომანტიკული ურთიერთობებისთვის — მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა ყურადღებას დაიმსახურებთ.

სამსახურში კი, შესაძლოა, მოშურნეებმა თქვენზე ამბები შეთხზან და რეპუტაცია შეგილახონ, მაგრამ ყურადღებას ნუ მიაქცევთ და ცოტა ხანში ყველაფერი გაირკვევა.

გაფრთხილდით ელექტროხელსაწყოების გამოყენებისას!

**დადებითი დღე: 24 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 19 მარტი.**

## ტყუპი
22 მაისი–21 ივნისი

თუ მუშაობის დაწყება გსურთ, ამისათვის შესანიშნავი პერიოდია. შანსი ხელიდან არ გაუშვათ — მიაკითხეთ ფირმებს, კომპანიებს და სამსახურზე უარს არ გეტყვიან.

იმ ტყუპებმა კი, რომლებიც მუშაობენ, კარიერის კიბეზე ასასვლელად თავდაუზოგავად უნდა იმუშაონ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას წვრილმანებზე ნუ განაწყენდებით და ბუზისგან სპილოს ნუ შექმნით. იფიქრეთ იმაზე, რა ბედნიერებაა, ის თქვენს გვერდით რომ არის.

ამ პერიოდში ენერგიით აღსავსე იქნებით და თქვენს ჯანმრთელობას საფრთხე არ დაემუქრება.

**დადებითი დღე: 24 მარტი,**
**უარყოფითი დღე: 20 მარტი.**

## კირჩხიბი
22 ივნისი–22 ივლისი

ამ პერიოდში კირჩხიბების მთავარი პრობლემა მუშაობის პროდუქტიულობის ამაღლება იქნება. მოერიდეთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებსა და ქაოსურ მოქმედებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავიდან ვერ აიცილებთ საყვედურებსა და საქმის გარჩევას.

ყურადღება გამოიჩინეთ საფინანსო საკითხების გადაწყვეტისას, რადგან დიდია მოტყუების ალბათობა.

მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის წევრებს და დაეხმარეთ მათ პრობლემების მოგვარებაში.

დაიცავით კვების რეჟიმი. ამით თავიდან აიცილებთ საჭმლის მომნელებელი სისტემის ქრონიკული დაავადებების გამწვავებას!

**დადებითი დღე: 18 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 20 მარტი.**

## ლომი
23 ივლისი –22 აგვისტო

ლომებისთვის შესანიშნავი პერიოდია. შესაძლოა, გაგიჩნდეთ მასშტაბური პროექტის განხორციელების იდეა, მაგრამ მისი რეალიზაცია თქვენს მზადყოფნაზე იქნება დამოკიდებული.

თქვენმა მბრძანებლურმა ტონმა, შესაძლოა, კოლეგებისა და ხელქვეითების გაღიზიანება გამოიწვიოს. თუ ამბიციებს არ მოთოკავთ, საქმე კონფლიქტამდე მივა, რომელიც თქვენს რეპუტაციას შელახავს.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას დაივიწყეთ საქმეები, პრაქტიკულობა და მის პრობლემებს გულისხმიერად მოეკიდეთ. კარგი იქნება, თუ მას რომანტიკულ საღამოს მოუწყობთ.

ამჟამად თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი არც ისე მაღალია, ამიტომ შეეცადეთ, ფიზიკურად არ დაიტვირთოთ, განსაკუთრებით — 18-21 მარტის პერიოდში.

**დადებითი დღე: 23 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 19 მარტი.**

## ქალწული
23 აგვ. –23 სექტემბ.

მიუხედავად იმისა, რომ ენერგიით აღსავსე იქნებით, ამ პერიოდში ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ, ნურც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მიიღებთ.

შესაძლოა, გაგიჩნდეთ უძრავი ქონების შეძენის შანსი, რომელიც ხელიდან არ უნდა გაუშვათ. ფინანსური საკითხების მოგვარებაში ახლობლები დაგეხმარებიან.

ბევრ ქალწულს მოუწევს შვილების პრობლემების მოგვარება, რაც ხარჯებთან იქნება დაკავშირებული.

შეყვარებულმა ქალწულებმა თავიანთი სატრფოსადმი მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ.

ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას — დიდია შარდსასქესო ორგანოების ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა!

**დადებითი დღე: 23 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 19 მარტი.**

## სასწორი
24 სექტ. – 23 ოქტ.

საქმეები დაგიგროვდებათ და მათ ერთდროულად კეთებას თუ შეეცდებით, შეცდომებს დაუშვებთ. კოლეგებთან ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობისას შეეცადეთ, თქვენი თვალსაზრისი დაიცვათ.

საერთოდ კი, ენას კბილი დააჭირეთ და თქვენს საიდუმლოებებზე ნუ ილაპარაკებთ.

კარგი პერიოდია ელექტრონული მოწყობილობების — ტელეფონის, ტელევიზორის ან კომპიუტერის შესაძენად.

შეეცადეთ, მოთხოვნებით საყვარელ ადამიანს თავი არ მოაბეზროთ.

თქვენს ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ ფიზიკური დატვირთვა არ გაწყენდათ.

**დადებითი დღე: 24 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 20 მარტი.**

## მორიელი
24 ოქტ. – 22 ნოემბ.

ამ პერიოდში მორიელებს კარიერის კიბეზე მაღლა ასვლის შანსი გაუჩნდებათ. რაც უფრო აქტიურად იმუშავებთ მიმდინარე პროექტებზე, მით ინტენსიური იქნება კოლეგებთან და ხელქვეითებთან ურთიერთობა, მათი რჩევები კი დასახული მიზნების მიღწევაში დაგეხმარებათ.

დაძაბული სამუშაო გრაფიკი საშუალებას არ მოგცემთ, საკმარისი დრო დაუთმოთ საყვარელ ადამიანს, რომელსაც ძალიან სჭირდება თქვენი მზრუნველობა. შეეცადეთ, მას მიზეზი აუხსნათ.

ამ პერიოდში თქვენს ჯანმრთელობას არაფერი ემუქრება, თუმცა, თუ გონებრივ სამუშაოს ასრულებთ, ფიზიკური დატვირთვა, მაგალითად, 2-3 კმ-ზე ფეხით გასეირნება არ გაწყენდათ.

**დადებითი დღე: 22 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 23 მარტი.**

## მშვილდოსანი
23 ნოემ. – 21 დეკ.

კარგი პერიოდია ახლო წარსულში გაკეთებული საქმეების გასაანალიზებლად და სამომავლო გეგმებზე დასაფიქრებლად.

რეკომენდებული არ არის ისეთი პროექტის დაწყება, რომელიც დიდ ფინანსურ დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული. არც ძვირად ღირებული ნივთის შეძენაა სასურველი.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუ იმპულსურობას არ გამოამჟღავნებთ და ემოციებს მოთოკავთ.

კარგი იქნება, თუ ოჯახის წევრებთან ერთად ბუნების წიაღში გაისეირნებთ.

გაუფრთხილდით ჯანმრთელობას — დიდია ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 23 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 19 მარტი.**

## თხის რქა
22 დეკემ. – 20 იან.

კარგი პერიოდია. გაბედულად იარეთ დასახული მიზნებისკენ. საქმე, რომელსაც ხელი მოჰკიდეთ, სიამოვნებას მოგგვრით და უფრო ხარისხიანად შეასრულებთ, თუმცა, შეიძლება იფიქროთ, რომ შესაბამის ანაზღაურებას ვერ იღებთ.

კარგი პერიოდია უძრავი ქონების შესაძენად.

ბევრი თაყვანისმცემელი გაგიჩნდებათ და შეიძლება, შეხვდეთ ადამიანს, რომელსაც თქვენს ბედს დაუკავშირებთ.

ამ პერიოდში დიდია ტრავმირების ალბათობა — გაფრთხილდით ავტომობილის მართვისას!

**დადებითი დღე: 23 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 20 მარტი.**

## მერწყული
21 იან. – 19 თებ.

შეიძლება გაგიჩნდეთ განცდა, რომ უინტერესო საქმეს მოჰკიდეთ ხელი, მაგრამ ახლა ახალი სამსახურის ძებნის დრო არ არის, თანაც თქვენი ფინანსური მდგომარეობა არც ისე მყარია.

საყვარელ ადამიანთან, თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შეიძლება უთანხმოება შეგექმნათ, მაგრამ ემოციებს ნუ აჰყვებით და შეეცადეთ, სადავო საკითხებზე კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღოთ.

ვითარების გასანეიტრალებლად კარგი იქნება, თუ რამდენიმე დღით სადმე გაემგზავრებით დასასვენებლად.

მოერიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს და დაიცავით კვების რეჟიმი!

**დადებითი დღე: 22 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 18 მარტი.**

## თევზები
20 თებ. – 20 მარტი

ამ პერიოდში თქვენი ყურადღება პროფესიული საქმიანობისკენ იქნება მიპყრობილი. მთავარია, გადაწყვეტილებები სწრაფად მიიღოთ და დაუყოვნებლივ იმოქმედოთ.

მნიშვნელოვანი პროექტი, რომელზეც კარგა ხნის განმავლობაში მუშაობდით, სწორედ ახლა გამოიღებს პირველ შედეგს და ფინანსური მდგომარეობაც გაგიუმჯობესდებათ.

დაძაბული სამუშაო გრაფიკის გამო ოჯახის წევრებთან ურთიერთობისთვის დრო ცოტა დაგრჩებათ და შესაძლოა, გაგინაწყენდნენ. ამიტომ შეეცადეთ, მოძებნოთ ოქროს შუალედი პირად და საქმიან ცხოვრებას შორის.

კარგი იქნება, თუ დროს ფიზიკური ვარჯიშისთვისაც გამოძებნით.

**დადებითი დღე: 23 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 20 მარტი**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





# ზოგი რამ გოთების შესახებ

**გოთები ერთ-ერთი თანამედროვე სუბკულტურის წარმომადგენლები არიან და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობენ. სუბკულტურა აღმოცენდა გაერთიანებულ სამეფოში ადრეულ 1980-იან წლებში, როგორც პოსტ პანკის ჟანრის განშტოება. გოთური სუბკულტურა ასოცირებულია განსაკუთრებულ მუსიკალურ გემოვნებასთან, ესთეტიკასთან, მოდასთან. თანამედროვე მსოფლიოში უამრავი სახის სექტა და მიმდინარეობა ჩამოყალიბდა. მათ შორის არიან ისეთებიც, რომელთათვისაც სრულიად გაუგებარი მცნებებია მნიშვნელოვანი და თავადაც არ იციან ბოლომდე, თუ ვის სცემენ თაყვანს.**

გასული საუკუნის 80-იან წლებში დიდ ბრიტანეთში პანკმოძრაობის ბაზაზე შეიქმნა სუბკულტურა „გოთები“. დღეს ეს სუბკულტურა მოიცავს ნებისმიერი ასაკის ადამიანებს. მიუხედავად ძირითადი ბნელი იმიჯისა, გოთური მიმართულებები საკმაოდ მრავალმხრივი და საინტერესოა.

ყველაფერი გოთური სათავეს 80-იან წლებში გახმაურებული გოთური როკჯგუფებისგან იღებს.

70-იანი წლების ბოლოს ინგლისში პანკების ტალღა ჩაწყნარდა. მათმა სტილმა სახეცვლილება განიცადა, რასაც, შესაბამისად, აუდიტორიის შეცვლა მოჰყვა. სწორედ ამ დროს ჩამოყალიბდა პოსტ-პანკი, რომლის მუსიკალურ მიმდინარეობას არ ჰქონდა არანაირი მიზანი, უბრალოდ, პანკების გარკვეულმა ნაწილმა შეცვალა მუსიკალური ჟღერადობა უფრო დეპრესიულით, რასაც მათი იმიჯის შეცვლაც მოჰყვა.

ჯგუფებმა Bauhaus, Sex gang children, Souxsie and the bansnes, Joy Division, Southern death cult, Specimen და სხვებმა საფუძველი ჩაუყარეს ახალ სტილს — გოთიკურ პოსტ-პანკურ ტალღას. ამ ჯგუფების ფანები არ ჩამორჩნენ თავიანთი თაყვანისცემის ობიექტებს და მათი იმიჯიც ჯგუფების წევრების იმიჯს დაემსგავსა. ამ პერიოდის ესტეტიკა Dark-პანკების ესთეტიკის სახელითაა ცნობილი.

ცოტა მოგვიანებით გაჩნდნენ Gothic rock-ის სტილში შემსრულებელი ჯგუფები — Fields of nephilim, Sisters of mercy, The mission და სხვები, რომლებსაც თითქმის არაფერი აკავშირებდათ პოსტპანკებთან.

Dark-პანკები ძალიან ახლოს იდგნენ პანკებთან, მაგრამ მათგან განსხვავებით ამ ადამიანებში აგრესია და პროტესტის გრძნობა გაცილებით ნაკლები იყო. პანკებსა და გოთებს შორის მჭიდრო კავშირს ადასტურებს მათი დევიზებიც „Punks not dead“ და „Goths undead“.

**ვინაიდან პირველმა გოთებმა ბევრი რამ პანკებისგან აიღეს, არცაა გასაკვირი, რომ მათი უმეტესობა სწორედ ყოფილი პანკი იყო. გოთური სუბკულტურის არსებობის ათვლის წერტილი 1979 წლიდან იწყება, უფრო ზუსტად, იმ პერიოდიდან, როცა ჯგუფმა Bauhaus გამოუშვა სიმღერა Bela Lugosis dead. სწორედ ამ სიმღერამ გამოიწვია გადატრიალება, მიუხედავად იმისა, რომ იგი დაწერილი იყო, როგორც ხუმრობა.** მისი მოსმენის შემდეგ გოთები გამოეყვნენ პანკებს და შექმნეს ახალი, განსხვავებული მიმდინარეობა — გოთური სუბკულტურა.

თვითონ სიმღერა დაიწერა უნგრელ მსახიობ ბელა ლუგოსიზე, რომელიც 1931 წელს ცნობილი გახდა ფილმში Dracula შესრულებული მთავარი როლით. მისამღერში გამოყენებულმა სიტყვებმა undead, undead, undead წარმოშვა დევიზი Goths undead. ბევრმა გოთმა Bauhaus-ს პირველად მოუსმინა ფილმში The hunger, სადაც ჯგუფი თავის ცნობილ სიმღერას ერთ-ერთ კლუბში ასრულებს. ეს ფილმი ორ ვამპირზეა, რომლებიც სისხლს სვამენ არა „ტრადიციული წესით“ (ყელზე კბენით), არამედ მსხვერპლს ყელზე პატარა ჭრილობას უკეთებენ პატარა ანხის — მარადიული სიცოცხლის ეგვიპტური სიმბოლოს სახით. სწორედ ამ ფილმის წყალობით გახდა ანხი გოთებში პოპულარული.

ალსანიშნავია ისიც, რომ **Dark-პანკები და ადრეული გოთები საკუთარ თავს გოთებს არ უწოდებდნენ. ამ ტერმინმა მოგვიანებით შეიძინა პოპულარობა, როდესაც ჩამოყალიბდა წარმოდგენა გოთიკურ მსოფლმხედველობაზე.** ადრეული გოთები უდიდესი წარმატებით სარგებლობდნენ მსმენელებში, მაგრამ 80-იანი წლების ბოლოს ყველაფერი შეიცვალა. გოთური მუსიკის და საერთოდ სუბკულტურის აღმავლობა შეწყდა. ყველაფერი უარესობისკენ მიექანებოდა. სადღაც გაქრა უწინდელი პოპულარობა და ბევრი ფიქრობდა, რომ გოთური სუბკულტურა გაქრებოდა და ყველას დაავიწყდებოდა, მაგრამ ვარაუდები არ გამართლდა.

1980-იანი წლების ბოლოს მასმედიამ გოთის მიმართ ინტერესი დაკარგა. ამის გამო სუბკულტურა ჩაჩუმდა, თითქოს გაქრა საზოგადოების თვალთახედვიდან, შეიძლება ითქვას, რომ საკუთარ თავში ჩაიკეტა. თუმცა, სწორედ ამ გაუჩინარებამ გამოიწვია მისი გადარჩენა, მომავალში კი — გაძლიერება. როდესაც ყველა ფიქრობდა, რომ გოთური სუბკულტურა სამუდამოდ გაქრა, მაშინ დაიწყო მისი მზადება განახლებისთვის.

წამოიმართა გოთური ჯგუფებისა მეორე ტალღა – The Shroud, London After Midnight, Corpus Delicti, Rosetta Stone, Mephisto Waltz და სხვები. ამ ჯგუფის წევრები საკუთარ თავს გოთებს უწოდებდნენ. მათ შექმნეს წარმოდგენა გოთიკურ მსოფლმხედველობაზე და ზოგადად მთელ სუბკულტურაზე, მუსიკას განსხვავებული ჟღერადობა შესძინეს, განავითარეს და დახვეწეს ჩაცმის სტილი. ეს ადამიანები დაინტერესებულები იყვნენ გოთიკური ხელოვნებით – მუქ, პირქუშ „ფერებში“ გადმოცემული ლიტერატურითა და მხატვრობით. ასევე მათში დიდი პოპულარობით სარგებლობდა მწერალ ენ რაისის ნოველები ვამპირებზე.



სუბკულტურის ასეთმა განვითარებამ 90-იანი წლების შუამდე მიაღწია, შემდეგ დაიწყო ახალი ეტაპი. ამ პერიოდში გერმანიაში, ამერიკასა და ინგლისში დიდი ცვლილებები განიცადა მუსიკამ. ჩამოყალიბდა ახალი მიმდინარეობები გოთურ სტილში – Darkwave, Dark folk, Ethereal და სხვები, რომელთა მიხედვითაც მოხდა ასევე აუდიტორიის დაყოფა. თუმცა ეს დაყოფა აისახა არამარტო მუსიკაზე, არამედ გოთებზეც. გაჩნდნენ გოთების სხვადასხვა ტიპები, რომლებიც ერთმანეთისგან ძირითადად სამოსით, მუსიკალური გემოვნებით და მისწრაფებებით განსხვავდებოდნენ.

90-იანი წლების შუა პერიოდში გოთურმა სუბკულტურამ არნახულ წარმატებას მიაღწია, განვითარდა საკმაოდ ძლიერად და ჩამოაყალიბა ისეთი ინფრასტრუქტურა (გოთიკური ჟურნალ-გაზეთები, მაღაზიები, კლუბები, რადიო და ა.შ.), რომელიც უკვე აღარ იყო დამოკიდებული მასმედიაზე ან საზოგადოების რეაქციაზე და მათ გარეშეც სრულიად თავისუფლად შეეძლო არსებობის გაგრძელება.

90-იანი წლების მეორე ნახევარი გოთური სუბკულტურის განვითარების ახალ სტადიად იქცა. ჩამოყალიბდა ე.წ. Dark-კულტურა, რომელიც მოიცავდა არამარტო გოთურ, არამედ ვამპირულ, ფეტიშურ და სხვა სუბკულტურებს.

Dark-კულტურის წარმომადგენლებში შედიოდნენ მეტალისტებიც. ვინაიდან და რადგანაც გოთური მუსიკა იმ პერიოდში საკმაოდ პოპულარული იყო, ჰქონდა პირქუში ჟღერადობა და თან განეკუთვნებოდა Dark-კულტურას. მეტალისტები მისით დაინტერესდნენ, რის შედეგადაც შეიქმნა ახალი მიმდინარეობა Gothic Metal. მიუხედავად იმისა, რომ ეს სტილი მეტალისტებმა ჩამოაყალიბეს, იგი ძალიან ახლოს იყო გოთურ ესთეტიკასთან.

**1990-ანი წლების მეორე ნახევარში გოთურ სუბკულტურას განვითარებაში ხელი ინტერნეტმაც შეუწყო. აღსანიშნავია ისიც, რომ გოთები ინტერნეტის აქტიური მომხმარებლები ჯერ კიდევ მაშინ იყვნენ, როცა ვირტუალური სამყარო ფართო საზოგადოებაში იწყებდა გავრცელებას.** გარდა ამისა, სუბკულტურის რეალურ ცხოვრებაშიც დიდი ცვლილებები ხდებოდა. რეგულარულად ტარდებოდა გოთური ფესტივალები (გერმანია — Wave gothic treffen; ინგლისი — Whitby gothic weekend; და აშშ — Convergence), რომლებზეც უამრავი ქვეყნიდან ჩამოსული გოთები იკრიბებოდნენ. ასეთი აქციები დიდ როლს თამაშობდა გოთური სუბკულტურის განვითარებაში.

გოთები იცვამენ პანკურ, ანდროhგენულ, შუა საუკუნეების, რენესანსისა და ვიქტორიანული ეპოქისათვის დამახასიათებელი სტილის ტანისამოსს. ეს ყველაფერი კი კომბინაციაში მოჰყავთ ძირითადად შავ მორთულობასთან, სპეციფიკურ მაკიაჟთან და თმის ვარცხნილობასთან.



გოთების ძირითადი ატრიბუტია „ანხი“ — ეგვიპტური ჯვარი, რომელიც ზემოდან წრით სრულდება. ეს არის უკვდავების სიმბოლო და წყალთან ასოცირდება. ძველი ეგვიპტური ჯვარი ან „ნილოსის გასაღები“, როგორც მას ეგვიპტელები ეძახდნენ, სუბკულტურის მოდაში ფილმ „შიმშილის“ შემდეგ დამკვიდრდა.

დამატებით გამოიყენება ჯვრები, პენტაგრამები, ჩონჩხისა და ღამურების გამოსახულებები. გოთებს მრავალნაირი ვარცხნილობა აქვთ. ეს შეიძლება იყოს, როგორც იროკეზი, ისე ჩამოშლილი გრძელი თმა ან ნახევრად გაპარსული თავი. ძირითადი ფერი შავია, თუმცა გვხვდება იასამნისფერი, წითელი და ლურჯთმიანი გოთებიც.

**გოთების გარეგნობაც პანკების გარეგნობიდან ჩამოყალიბდა** — თავზე იროკეზებს იკეთებდნენ, მოგვიანებით კი ამ ვარცხნილობას მკვეთრი შავი ფერიც მიეცა. ამას ფეხსაცმლის გუტალინის საშუალებით ახერხებდნენ. ასეთი ვარცხნილობა გოთების ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია. თმას ასევე უკან ივარცხნიდნენ, იკრავდნენ „კუდს“ ან გვერდზე იყოფდნენ. გავრცელებული იყო ვარცხნილობა „აფეთქება მაკარონის ფაბრიკაში“, რომელიც ამჟამად თითქმის აღარ გამოიყენება.

მათი სამოსიც რადიკალურად შავი ფერისკენ იყო გადახრილი, თუმცა საკმაოდ განსხვავდებოდა თანამედროვე სამოსისგან. ეს განსხვავება განსაკუთრებით მამაკაც გოთებს ეხებოდათ, მათ შორის ანდროგინებს, რომლებიც ხშირად დახეულ კოლგოტებს, ბადისებრ კოფთებს (რომლებიც ახლაც აქტიურად გამოიყენება) და სხვა ქალურ სამოსს იცვამდნენ.

ვერ ხსნიან, რატომ არიან ასე ბევრი ანდროგინი გოთები, მაგრამ ისინი გოთური სუბკულტურის წარმოშობიდან დღემდე არსებობენ, ამიტომ ნორმად ითვლება მამაკაცი გოთის ქალურობა. აქტუალური დარჩა თვითნაკეთი პირსინგებიც (ინგლისური ქინძისთავები, რგოლები). რა თქმა უნდა, პირსინგი მრავალი საუკუნის განმავლობაში არსებობდა. პანკებმა ის პროტესტის ერთ-ერთ იარაღად გამოიყენეს, Dark-პანკებმა (ანუ პირველმა გოთებმა) კი ეს პროტესტის ფორმა ნამდვილ ესთეტიკად აქციეს. მათ პანკებისგან აიღეს ასევე ეკლიანი სამაჯურები და ყელსაბამები, თუმცა დღესდღეობით თუ სამაჯურები ფართოდ გამოიყენება როგორც გოთებს, ასევე პანკებს და მეტალისტებს შორის, ყელსაბამები მხოლოდ და მხოლოდ გოთების აქსესუარად იქცა. ▶

ქრონოგრაფი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





ორივე სქესის გოთები ყოველთვის იყენებდნენ გრიმს, Dark-პანკებს საკმაოდ პირქუში გრიმი ჰქონდათ — თეთრი სახე, შავად შეღებილი ტუჩები და ფრჩხილები.

თანამედროვე გოთური გარეგნობა საკმაოდ რთული შემადგენლობისაა. წინა წლებისგან განსხვავებით სამოსმა, აქსესუარებმა და მაკიაჟმა უფრო სრულყოფილი და დახვეწილი სახე მიიღო. დღესდღეობით გოთების იმიჯის შემადგენელი ძირითადი ნაწილები მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია.

არსებობს 2 სახის კორსეტი — „ისტორიული“, მიახლოებული წინა ეპოქების სამოსთან, რომელიც იქმნება ხავერდისგან ან ფარჩისგან და არის სხვადასხვა ფერის და Fetish esTetikis, რომელიც იქმნება ლატექსისგან, ვინილისგან ან ტყავისგან და უმეტესად შავი ფერისაა. Cyber გოთების ესთეტიკაში (რომელიც ახლოსაა Fetish ესთეტიკასთან) გამოიყენება პლასტიკატის კორსეტებიც. ისინი ფოსფორითაა დაფარული და სიბნელეში ანათებს. ასეთ კორსეტებს, ძირითადად, უკვეთავენ ან ყიდულობენ სპეციალურ გოთიკურ და Fetish მაღაზიებში.

კაბა ყველაზე მრავალფეროვანია გოთურ სამოსში. არსებობს ისტორიული ეპოქის კაბები, მაქმანებითა და ბიუსტჰალტერში ჩადგმული ფერადი ქსოვილებით. ამგვარი კაბები ხანდახან ორმაგი სახისაც გვხვდება. ისტორიული კაბები უმეტესად ხავერდისგან, აბრეშუმისგან, ფარჩისგან, შიფონისგან და გიპიურისგან იქმნება. ფერები უამრავი სახისაა, თუმცა ძირითადად შავი, ბორდოსფერი და იისფერი დომინირებს. გოთურ კაბებს ქმნიან თანამედროვე მასალებისგანაც — ლატექსი, ვინილი, ტყავი და სხვ. ისინი გვხვდება როგორც მოკლე, ასევე გრძელი, უმეტეს შემთხვევაში — ვიწრო. კაბებს, დეკორატიული თვალსაზრისით, ზოგჯერ შავი ხელოვნური ბეწვით ან ბუმბულით აფორმებენ ან უმატებენ წვრილ ჯაჭვებს, რგოლებს, მოწნულ ქსოვილებს.... გასათვალისწინებელია ისიც, რომ კაბა გოთურ სუბკულტურაში არამარტო ქალების, არამედ მამაკაცების სამოსიცაა, განსაკუთრებით ანდროგენი გოთების შემთხვევაში.

თუ გოთი იცვამს ისტორიული ეპოქის კაბას, მაშინ მისი ზედატანიც აუცილებლად ამ სტილში, ამავე ფერებში და ამავე მასალის იქნება. ასეთი სამოსი სახელოებსა და გულთან ხშირად გაფორმებულია მაქმანებით, ფართოდ გამოიყენება თანამედროვე დიზაინით შექმნილი ზედატანები ჩაჭრილი სახელოებით, მასზე დამაგრებული სხვადასხვა სახის ზონრებით, ჯაჭვებითა და ლითონის რგოლებით. არის როგორც ხავერდის, ასევე ლატექსის, ძირითადად — შავი ან იისფერი, რომლებსაც ისევ და ისევ რგოლები, ზონრები ან მოწნული ქსოვილები აქვთ დამატებული. დიდი პოპულარულობით სარგებლობს ბადისებრი კოფთები, რომლებსაც ორივე სქესის გოთები იცვამენ. ეს სამოსი გვხვდება როგორც სახელოებით, ასევე მათ გარეშე. ბადისებრი კოფთების გასაფორმებლად გამოიყენება ბუნებრივი მასალისგან დამზადებული ზონრები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში შავი ფერისაა. კოფთებს ამზადებენ ასევე შავი ხელოვნური ბეწვისგანაც, თუმცა არსებობს გოთებისათვის საკმაოდ ექსტრავაგანტური ფერის ზედატანებიც, მაგალითად თეთრი, ვარდისფერი ან სალათისფერი.

კოლგოტებს ორივე სქესის გოთები ატარებენ. ისინი სხვადასხვა სახისაა და მათი არჩევანი საკმაოდ დიდია. კოლგოტები ხშირად ნახატებითაა გაფორმებული ან ფერადია. გავრცელებულია ამ სამოსის ბადისებრი და დახეული (გარღვეული) ვარიანტებიც.

Combat boots — ასე უწოდებენ იმ სამხედრო სტილის ფეხსაცმელს, რომლებიც უმეტესად შავი, მრგვალცხვირიანი და მაღალყელიანია და რომელსაც ორივე სქესის გოთები იყენებენ. ცნობილი გოთური წვეტიანი ფეხსაცმელი თითქმის შეუმჩნეველ ქუსლებზეა, ფერების მხრივ კი შეზღუდვა არ არსებობს. ასეთ ფეხსაცმელს უმეტესად ქალი გოთები იყენებენ.









**გოთების სამკაულებში, როგორც უკვე აღინიშნა, ლითონი ჭარბობს. ძირითადადი არის ვერცხლი, რკინა (როგორც მოვერცხლილი, ასევე უბრალო) და სხვ. გოთები არასდროს იყენებენ ოქროსფერ სამკაულებს. რაც შეეხება ქვებს, უმეტესად ონიქსი და აქატი გამოიყენება, თუმცა, რთული კონსტრუქციის სამკაულებში პრაქტიკულად ყველა ქვას იყენებენ.** სამკაულებს შეადგენენ ვერცხლის ბეჭდები სხვადასხვა ორნამენტებით, წარწერებით ან თვლებით (ხშირად გვხვდება მთელ თითზე შემოხვეული ბეჭდებიც), დიადემები, ასევე საყურეები და გულსაკიდები სხვადასხვა სიმბოლოებით (ანკი, ღამურები, ჯვრები, პენტაგრამა, თავის ქალები და ა.შ.)....

**გოთებს უყვართ ხელთათმანები. მათ უმეტესად ამზადებენ ხავერდისგან ან ბადისებრი ქსოვილისგან და აფორმებენ მაქმანებით. ისინი სხვადასხვა ფერისაა, არსებობს როგორც მოკლე, ასევე გრძელი და ზოგჯერ სიგრძე მხრებამდეც კი ადის. რაც შეეხება ლატექსის ხელთათმანებს, ისინი შავი ფერისაა და გაწყობილია ზონრებით.**

გოთური მაკიაჟი უმეტესად თეთრისა და შავის კონტრასტს წარმოადგენს, თუმცა, გოთების ტიპების და მათივე გემოვნების მიხედვით, თითოეულმა შტრიხმა შეიძლება აბსოლუტური ცვლილება განიცადოს. სახეს, როგორც წესი, ითეთრებენ ან იფერმკრთალებენ თეთრი გრიმით, ტონალური კრემით და სხვა კოსმეტიკური საშუალებებით. თვალებს იღებავენ შავი ფანქრით, ტუშით და სხვადასხვა მუქი ფერის ჩრდილებით, ასევე იწებებენ ხელოვნურ წამწამებს (მათი არჩევანი საკმაოდ დიდია) წარბებს ხშირად იპარსავენ ან იტოვებენ წვრილ ხაზებს, რომელთაც შემდეგ ფანქრით ამუქებენ. ტუჩებზე შავ ან სისხლისფერ პომადას ან საცხს ისვამენ. ზოგიერთი გოთი კი საერთოდ უკარგავს ტუჩს ფერს თეთრი ან ღია ფერის ტონალური კრემის საშუალებით.

თითოეული გოთის ფანტაზიიდან გამომდინარე, სახეს ემატება ისეთი შტრიხები, როგორიცაა წვრილი, ორნამენტის მსგავსი ხაზები შუბლზე, შავი საღებავით დახატული ობობას ქსელები ან ცრემლის წვეთები თვალის კუთხეში და სხვა, თუმცა ამგვარ დეტალებს ყოველდღიურ ცხოვრებაში გოთები თითქმის არ იყენებენ. რაც შეეხება ფრჩხილებს, გოთები ყველაზე ხშირად შავი ლაქით იღებავენ, ხანდახან გამოიყენება იისფერი, ბორდოსფერი, მუქი ლურჯი და თეთრი ლაქიც, ზოგიერთი გოთი ფრჩხილებზე ორნამენტებს ან სიმბოლოებსაც იხატავს.

**ბევრი გოთებსა და პანკებში ერთ მიმართულებას ხედავს, მაგრამ ეს ასე არ არის. პანკი აქტიურია, გოთი — პასიური. საქმე ისაა, რომ პანკები ღიად და აგრესიულად გამოხატავენ პროტესტს სამყაროს მიმართ. გოთები კი, თავის მხრივ, მშვიდად არ იწონებენ არსებულ რეალობას.** დასაწყისში ისინი ისეთივენი იყვნენ, როგორც პანკები, მაგრამ დარწმუნდნენ რა ღია პროტესტის არაეფექტუროობაში, გადავიდნენ მორალურ, ანტიაგრესიულ წინააღმდეგობაში საკუთარ შინაგან სამყაროსა და გარემომცველ სამყაროს შორის.

თუ გოთებს დააკვირდებით, ბევრ მათგანში პესიმიზმის მარცვალსაც კი ვერ იპოვით.

ისინი უპირისპირებენ საკუთარ „მეს“ მთელს გარე სამყაროს და არსებულ სტრუქტურებს. გოთები სულელები არ არიან, ისინი გამოდიან ინტელექტუალური განათლების და მსოფლმხედველობის გაფართოების დასაცავად (რასაც სხვა სუბკულტურები იშვიათად აკეთებენ).

**გოთებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხასიათს და ესთეტიკას. ისინი შეპყრობილნი არიან რომანტიზმითა და ნეორომანტიზმით. მათი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპია სწრაფვა შინაგანი თავისუფლებისკენ.** მიუხედავად იმ გავრცელებული სტერეოტიპებისა, რომლებიც ხალხში არსებობს, საზოგადოება არ ფლობს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ აღიქვამს გოთი სამყაროს. მათ ახასიათებთ არტისტულობა და გრძნობების გადაჭარბებული გამოხატულება, ჩაკეტილობა, დეპრესია, მელანქოლია, მიზანტროპია, სილამაზის თავისებური აღქმა, ლტოლვა ოკულტიზმისა და სხვა ირეალურისადმი, სტერეოტიპებისადმი შეუგუებლობა, ანტაგონიზმი საზოგადოებისადმი და მისგან სრული იზოლაცია, თუმცა, რა თქმა უნდა, არ არის აუცილებელი, რომ ყველა გოთს ყველა ეს თვისება ჰქონდეს.

რეალურად გოთებმა შექმნეს ურბანისტულ გარემოში პატარა ფუტურისტულ რომანტიული გარემო, რომელშიც თავს მშვენივრად გრძნობენ.

ხშირად გოთებს სატანისტებთან აიგივებენ, მაგრამ სინამდვილეში ეს ადამიანების სრულიად სხვადასხვა ტიპია. თუ სატანისტები ეშმაკს ეთაყვანებიან, გოთებს სადღაც გულის სიღრმეში ღმერთი სწამთ. გოთი არასოდეს მიაყენებს ზიანს ადამიანსა და ცხოველს რიტუალური მკვლელობის გზით. ეს მშვიდი სუბკულტურაა, რომელსაც არავისთვის სურს ცუდი.

უცხო არაა, რომ გოთები, ისევე, როგორც სხვა სუბკულტურის წარმომადგენლები, ხშირად აწყობენ შეკრებებს სხვადასხვა ადგილას. ისეთ პატარა ქალაქებშიც კი, სადაც გოთიკური სუბკულტურა მინიმალურ დონეზეა განვითარებული, ეს შეკრებები მაინც იმართება. არსებობს უამრავი ადგილი, სადაც გოთები ერთმანეთს ხვდებიან. ქალაქებში ასეთი ადგილები, როგორც წესი, არის კლუბები, გოთური მაღაზიები, სასაფლაოები, მიტოვებული შენობები......

რთულია იმის დეტალურად აღწერა, თუ როგორია გოთური მსოფლმხედველობა, მაგრამ მთლიანობაში ესაა განსაკუთრებული რომანტიკულ-დეპრესიული შეხედულება ცხოვრებაზე, რომელიც მათ ქცევაში (მელანქოლია, ხშირი დეპრესიები, საკუთარ თავში ჩაკეტვა, გულგატეხილობა), რეალობის აღქმაში (მიზანთროპია, ზებუნებრივობის მშვენიერების ფაქიზი შეგრძნება) და საზოგადოებასთან ურთიერთობაში (სტერეოტიპების დამსხვრევა, განსხვავებული გარეგნობა, საზოგადოებისგან იზოლირება) აისახება. ბუნებრივია, ზემოთ ჩამოთვლილი თვისებები ყველა გოთს არ ეხება, თუმცა, რასაც ეწოდება „გოთური მსოფლმხედველობა“ ამგვარად შეიძლება აიხსნას.

**გოთების უმეტესობისთვის დამახასიათებელია სიკვდილისკენ სწრაფვა, ამ მოვლენით გატაცება, რის გამოც ხშირად სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებენ.** გოთებისთვის დამახასიათებელია არტისტიზმი, თვითგამოხატვისკენ სწრაფვა. ამის გამომჟღავნება ხდება საკუთარ გარეგნობაზე მუშაობით, პოეზიით, მხატვრობითა და ხელოვნების სხვა ნიმუშების შექმნით. მიუხედავად ყველაფრისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ, ამ კრიტერიუმების გარდა, თითოეულ გოთს აქვს საკუთარი, ინდივიდუალური თვითგამოხატვის საშუალება. სწორედ ამის გამოა რთული გოთური მსოფლმხედველობის ზუსტად განსაზღვრა.

გოთს ხშირად ადანაშაულებენ საზოგადოებაზე ცუდი გავლენის გავრცელებაში, განსაკუთრებით სუიციდის პროპაგანდაში. თუმცა, დღეს არსებობს საპირისპირო ვერსიაც — ვინაიდან გოთების საზოგადოება იღებს პესიმისტ ადამიანებს, საშუალებას აძლევს მათ, ეკონტაქტონ სხვებს ამ საზოგადოების შიგნით და ამით თანდათანობით აშორებს მათ ფიქრებს სუიციდისგან.

ინტერნეტში არსებობს უამრავი საიტი სხვადასხვა ტესტით, რომელთა დახმარებითაც ადგენენ, არის თუ არა ესა თუ ის ადამიანი გოთი. ასეთი ტესტების უმეტესობა მხოლოდ და მხოლოდ გართობის მიზნითაა დაწერილი და მათი საშუალებით შეუძლებელია ამის დადგენა.

**მრავალი სუბკულტურისგან განსხვავებით, საკმაოდ რთულია, დაადგინოთ, რა განსაზღვრავს გოთობას, მით უმეტეს, თანამედროვე ცხოვრებაში.** თუ ჩვენ შეგვიძლია, მეტალისტად მოვიხსენიოთ ნებისმიერი ადამიანი, რომელიც უსმენს მეტალის რომელიმე მიმდინარეობას, გოთების შემთხვევაში ყველაფერი გაცილებით რთულადაა. არ არსებობს სტანდარტული, ჩარჩოებში მოქცეული გოთი, რის გამოც შეუძლებელია რამე კრიტერიუმით იმ ადამიანის შეფასება, რომელიც თავს გოთს უწოდებს. ყველაფრის მიუხედავად, არსებობს 4 „წესი“, რომელთა მიხედვით, ასე თუ ისე, შეგვიძლია ამის განსაზღვრა. ესენია: გოთების თავშეყრის ადგილებში სიარული, გოთური მსოფლმხედველობა, გოთური გარეგნობა და სიყვარული გოთური მუსიკის მიმართ.

თანამედროვე ადამიანის გონებაში ზღვა ინფორმაცია იღვრება და ადამიანი ხშირად ვერ იკვლევს გზას მსოფლმხედველობის ამ უღრან ტყეში. ეს განსაკუთრებით ეხება ახალგაზრდებს, რადგან გამოუცდელობის გამო ადვილად ხვდებიან ამგვარი მოვლენების გავლენის ქვეშ. **წინათ ადამიანის ქრისტიანული ცნობიერება გამახვილებული იყო და მისი სული ფხიზლობდა, ამიტომ ადვილად ამჩნევდა ყველაფერს, რაც საწინააღმდეგო იყო ქრისტიანული სულისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ახლა მრევლი მრავლდება და ეკლესია აღორძინებას განიცდის, ჯერ კიდევ ყველა ფენამდე ვერ მიაღწია ქრისტიანულმა ცნობიერებამ.**

ღვთისმსახურთა აზრით, ეკლესიისთვის ყველა ასეთი ადამიანი დაკარგული ცხვარია, ამ ადამიანს შეიძლება ეგონოს, რომ ის ქრისტიანია, რადგან ლოცვებს ამბობს, მაგრამ პარალელურად შეუძლია, რომ ვამპირების სურათებით ტკბებოდეს; ის ვერ აცნობიერებს, რომ აბსოლუტურად შეუთავსებელია ეს ორი ერთმანეთთან, თუ ათი მცნების მიმდევარი ხარ, ათი მცნების მიმდევარი უნდა იყო და არ შეიძლება, მას შეუთავსო სხვა მცნებები, მითუმეტეს სატანური. არ შეიძლება, რომ ქრისტიანს მოსწონდეს გოთური კულტურა, რომლისთვისაც დამახასიათებელია შავი ფერი, ვამპირული ესთეტიკა, გამომწვევი ეროტიული სტილი. ასეთი ადამიანის ცნობიერების ცენტრი არის არა უფალი და მოყვასი, არამედ საკუთარი თავი.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ყველაზე რომანტიკული ხელის თხოვნა

**ყველაზე რომანტიკული ჟესტით, რომლის მოფიქრებაც შეძლო, ჩინელმა მამაკაცმა თავის მეგობარ გოგონას 1001 ჰოთ დოგით სთხოვა ხელი.** საქმე ისაა, რომ წყვილმა ერთად სწორედ 1001 დღე გაატარა. რამდენიმე ჰოთ დოგით ვანგმა „სიყვარული“ დაუწერა გულისსწორს. როდესაც ნამდვილი სიყვარულის საუკეთესო დეკლარირება მოხდა, გოგონამ, რასაკვირველია, ცოლობაზე თანხმობა განაცხადა. შემდეგ ოჯახის წევრებმა და მეგობრებმა ერთად დაიწყეს ჰოთ დოგების ჭამა.



# ადგილი, სადაც ქრისტე ცხოვრობდა



**ბრიტანული უნივერსიტეტის რედინგის არქეოლოგები, რომლებიც ისრაელში კვლევებს ატარებდნენ, თვლიან, რომ მათ აღმოაჩინეს სახლი, რომელშიც იესო ქრისტე გაიზარდა.**

მეცნიერების განცხადებით, გათხრების ტერიტორიაზე ნაპოვნი სახლის ფრაგმენტები პირველი საუკუნით თარიღდება. მეცნიერების თქმით, ბიზანტიელებმა და ჯვაროსნებმა წერილებში ახსენეს ადგილი, სადაც, სავარაუდოდ, ქრისტე ცხოვრობდა და ეს ის ადგილია, რომლის კვლევაც მიმდინარეობს. „რამდენად საფუძვლიანია ჩვენი ვერსია, ამას დრო გვიჩვენებს. საქმე ჯერ არ დასრულებულა“, — აღნიშნეს მეცნიერებმა.

# პროფესიები, რომლებიც უახლოეს მომავალში გაქრება

**პროფესიების „სიკვდილიანობის“ ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ტექნოლოგიებისა და ავტომატიზაციის პროცესის განვითარება დაასახელეს.**

„სკოლსკოვოს“ ბიზნეს-სკოლამ და სტრატეგიული ინიციატივების სააგენტომ შეადგინეს იმ პროფესიების ჩამონათვალი, რომელთა საჭიროება უახლოესი ექვსი წლის განმავლობაში აღარ იქნება. პროფესიების „სიკვდილიანობის“ ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მათ ტექნოლოგიებისა და ავტომატიზაციის პროცესის განვითარება დაასახელეს. როგორც წესი, პროცესი ამა თუ იმ პროფესიის შესაძლო ავტომატიზაციის ექსპერიმენტებით იწყება და იმ შემთხვევაში, თუკი ტექნოლოგია თავისუფლად შეძლებს ადამიანის ჩანაცვლებას, მაშინ მანქანის მიერ ადამიანის ჩანაცვლების პროცესი წარმატებით განვითარდება.



წარმოგიდგენთ გაქრობადი პროფესიების ჩამონათვალს: ნოტარიუსი, ტურისტული აგენტი, მბურღავი, ბიბლიოთეკარი, პროვიზორი, ქოფირაითერი, რიელთორი, გამომცდელი, სისტემური ადმინისტრატორი, სტენოგრაფისტი, საბანკო ოპერაციების განმახორციელებელი, ანალიტიკოსი, დისპეტჩერი, ჟურნალისტი.



# რატომ უჭირთ ქალებს წონის დაკლება

**მამაკაცები, რომლებსაც საკუთარი წონა დიდად არ ადარდებთ, უფრო უადვილდებათ დაკლება და თან გაცილებით სწრაფად. ასეთ დასკვნამდე მივიდა ექსპერტების საერთაშორისო ჯგუფი, რომლებმაც გააანალიზეს რამდენიმე ათეული კვლევა.**

სპეციალისტებმა ამ „უსამართლობის“ რამდენიმე მიზეზი გამოავლინეს. პირველ რიგში, მამაკაცებს ბუნებრივად გაცილებით დიდი კუნთოვანი მასა აქვთ, რაც კალორიების აქტიურ წვას უწყობს ხელს.

ამასთან, ქალები საჭმლის მზადების პროცესში ხშირად იმატებენ წონაში, რადგან აგემოვნებენ საკუთარ კულინარულ შედევრებს. კიდევ ერთი მიზეზი ისაა, რომ გოგონები ჰორმონალური მიზეზების გამო უფრო ნაკლებ უძლებენ სტრესს და მიდრეკილი არიან ასეთ დროს დიდი რაოდენობის საკვების მიღებისკენ.

ყველაზე ჯანმრთელი და ეფექტური მეთოდი გახდომისთვის, რომელსაც სპეციალისტები უწევენ რეკომენდაციას, არის შემდეგი: ჯერ ადამიანმა უნდა მოიმატოს წონაში კუნთების ხარჯზე. ამისთვის საჭიროა ვარჯიში, ცილების შემცველი საკვებით გაძლიერებული კვება, ანუ შიმშილით თავის წვალება საჭირო არ არის. კუნთოვანი მასის დაგროვების შემდეგ იწყება „გამოშრობა“. ადამიანი იკლებს, რადგან გაზრდილი კუნთები ეხმარება კალორიების დაწვაში.



# ყველაზე შხამიანი ნივთიერებები

**შხამები გამუდმებით გარს გვაკრავს. ადამიანებს ხშირად ვერც კი წარმოუდგენიათ, რა ხშირად ხვდება ისინი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაგალითად, კონსერვის ქილების შიგთავსს, რომელშიც CLOSTRIDIUM BUTULINUM-ის ჩხირი ჩასახლდა, თავისუფლად შეუძლია, სამარის კარამდე მიგვიყვანოს, ხოლო გატეხილ ლუმინესცენციურ ნათურას — ძლიერი მოწამვლა გამოიწვიოს. ბოტოქსის ჩხვლეტებიც კი, რაც თანამედროვე ლამაზმანებს არაფრად მიაჩნიათ, არც ისე უსაფრთხოა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. დღეს ყველაზე საშინელი შხამების ხუთეული ასე გამოიყურება:**




### ციანიდი

**ეს იდეალური მკვლელია. მოქმედებს ერთბაშად.** იგი ბლოკირებას უკეთებს სისხლის უჯრედების ჟანგბადით მომარაგებას. სულ მცირე, ციანიდიც საკმარისია საიქიოში გასამგზავრებლად.

ეს შხამი ძველი დროიდანვე ცნობილია. ამჟამად მას სიკვდილმისჯილთა დასასჯელად იყენებენ. ციანიდი ასევე გამოიყენება მრეწველობაში პლასტიკისა და ოქროს საწარმოებლად. იგი შეუცვლელია, თუმცა ძალზე საშიში.

ბუნებაში ციანიდი ლამის ყველა ხეხილის, მაგალითად, ალუბლის, ნუშის, გარგრის კურკებში გვხვდება, ამიტომ ფრთხილად იყავით: თუკი მათ უზომო რაოდენობით მიირთმევთ, შესაძლოა, მოიწამლოთ კიდეც.



### ბოტულოტოქსინი

**ეს უძლიერესი შხამია, რომელიც ბოტოქსის მისაღებად გამოიყენება, სწორედ იმ ბოტოქსის, რომელსაც ლამაზმანები მთელ მსოფლიოში იყენებენ ახალგაზრდობის გასახანგრძლივებლად.** უნდა ითქვას, რომ ბოტოქსში შხამის დოზა მინიმალურია, მაგრამ მასაც შეუძლია გამოიწვიოს სერიოზული შედეგები. სახის კუნთებმა, რომლებშიც პრეპარატი შეჰყავთ, შესაძლოა, სამუდამო დეფორმაცია განიცადონ. მაგრამ კოსმეტიკური დეფექტი არც ისე საშიშია. ბოტოქსის წარუმატებელი ინიექციების შემდეგ, შესაძლოა, ყლაპვის პრობლემები წარმოიქმნას და მაშინ ქირურგეჰბის დახმარება გახდება საჭირო.

ბოტულოტოქსინი შეიძლება ჩვეულებრივ საოჯახო კონსერვებში გაჩნდეს. ასეთი საკვების დეგუსტაციის შემდეგ ვითარდება ბოტულიზმი — სერიოზული დაავადება, რომელიც იწვევს დამბლასა და სიკვდილს.




### გაზი ზარინი

**ეს გაზი მშვიდობიანი მიზნით შეიქმნა, რათა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მავნებლებისგან დაეხსნათ,** არადა, უძლიერესი შხამი გამოდგა, რომელიც კანსა და თვალებზე მოქმედებს, ხოლო ჩასუნთქვისას — შინაგან ორგანოებზეც. ის ყველაზე ტოქსიკური და საშიში გაზია კაცობრიობის ისტორიაში.

ზარინით მოწამლული ადამიანი ტანჯვა-წამებით კვდება. ჯერ იწყება მოგუდვა, ღებინება, მოქმედებას წყვეტენ შინაგანი ორგანოები, შემდეგ ადამიანი კომაში ვარდება და კვდება.

ერთხანს იგი გამოიყენებოდა, როგორც ქიმიური იარაღი, მაგრამ შემდეგ აკრძალეს.



### ვერცხლისწყალი

**ვერცხლისწყალი, როგორც ვიცით, ყველგან გამოიყენება.** თვითნაბადი ვერცხლისწყალი ცნობილი იყო ძველ ინდოეთში, ჩინეთში, საბერძნეთში, რომში. ლითონურ ვერცხლისწყალს ფართოდ იყენებენ ქიმიურ მრეწველობაში, აგრეთვე, ატომურ ენერგეტიკაში, ელექტროტექნიკაში, ხელსაწყოთმშენებლობაში, მედიცინასა და სამთო საქმეში.

ლითონური ვერცხლისწყალი ტოქსიკურად ინდიფერენტულია, მისი ორთქლი კი ძლიერი შხამია, რომელიც აზიანებს თავის ტვინს, ფილტვებს, ცენტრალურ ნერვულ სისტემას. ამის გამო ვერცხლისწყლის წარმოებაში უსაფრთხოებისთვის აუცილებელია აპარატურის სრული ჰერმეტიზაცია, სადგომის აქტიური ვენტილაცია და პირადი ჰიგიენის წესების დაცვა.

### ტეტროდოტოქსინი

**იაპონიის რესტორნებში გურმან ექსტრემალებს თევზ ფუგუს სთავაზობენ.** და აი, სწორედ ის წარმოადგენს ამ საშიში შხამის წყაროს, მაგრამ არა მხოლოდ ის. ეს შხამი გვხვდება, აგრეთვე, ზოგიერთი სხვა სახეობის თევზში, რვაფეხებსა და შხამიან ბაყაყებში. ტეტროდოტოქსინი იწვევს დამბლას, ძლიერ კრუნჩხვებს, კომასა და სიკვდილს ექვსი საათის განმავლობაში.

როგორც ამბობენ, ვუდუს ჯადოქრები სარგებლობენ ამ შხამით და ადამიანს ცოცხალ მიცვალებულად — ზომბად აქცევენ. ორგანიზმზე მისი ზემოქმედება იმდენად ძლიერია, რომ მისგან გამოწვეული დამბლა თითქმის შეუძლებელია სიკვდილისგან გავარჩიოთ. ადამიანი ამ შხამის ზემოქმედებით მართლაც შეიძლება, მკვდრად ჩავთვალოთ. შემდეგ იგი ცოცხლდება, მაგრამ თავის მეს კარგავს და ცოცხალი მიცვალებული ხდება.





## სენსაციური სელფები

მხოლოდ ძალიან ზარმაცი ან ცხოვრების რიტმს ჩამორჩენილი ადამიანები არ იღებენ სელფის. საკუთარ თავს ფოტოებს ყველა ადამიანი უღებს, დაწყებული ცნობილი პირებით, დამთავრებული კოსმონავტებით ღია კოსმოსში. ყველაზე წარმატებული სელფფოტოები კი უკვე ინტერნეტჰიტებად იქცა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საბედისწერო შეცდომები

**ზოგი შეცდომა არ არის უბრალოდ უყურადღებობის ან უიღბლობის შედეგი, არამედ რეალური ტრაგედიაა. შეცდომები, რომლებიც ყველაზე ძვირი დაუჯდათ ადამიანებს, ცალკე აღნიშვნას იმსახურებს.**



## «ეფლი»

**რონალდ უეინი სტივ ჯობსთან ერთად „ატარიში“ მუშაობდა, ვიდრე ორივე სტივენ ვოზნიაკთან ერთად კომპანია „ეფლზე“ დაიწყებდნენ მუშაობას.** ის არა მხოლოდ საქმიანი პარტნიორი, არამედ კომპანიის საწყის ეტაპზე ერთ-ერთი მთავარი პირი იყო. თუმცა იმის შიშით, რომ კომპანია თავისი პარტნიორების გამოუცდელობის გამო წარმატებას ვერ მიაღწევდა, მან კომპანიის აქციების 10%-იანი წილი გაყიდა. ჯამში მან 2 300 დოლარი მიიღო. აქციები რომ შეენარჩუნებინა, 2011 წელს მათი ღირებულება 35 მილიარდი ამერიკული დოლარი იქნებოდა.




## «ვარსკვლავური ომები»

**ჯორჯ ლუკასი „ვარსკვლავური ომების“ შექმნისას ბევრ წინაღობას წააწყდა.** სტუდიას „მეოცე საუკუნე ფოქსთან“ დიდხანს მოუწია ვაჭრობა ფილმის ბიუჯეტთან დაკავშირებით. სტუდია ფიქრობდა, რომ ფილმი თავის დაფინანსებას გაქირავებაში ვერ ამოიღებდა, ამიტომ ბიუჯეტი 350 000 დოლარით შეამცირეს იმ პირობით, რომ ლუკასს დარჩებოდა ყველა უფლება „ვარსკვლავური ომების“ ბრენდზე. როგორც ვიცით, ფილმმა არნახული წარმატება მოიპოვა; მისი მიხედვით შეიქმნა ვიდეოთამაშები, სათამაშოები, წიგნები და მრავალი სამომხმარებლო ნივთები. საერთო ჯამში ბრენდმა 20 მილიარდ დოლარზე მეტი მოიტანა, მაგრამ „ფოქსს“ აქედან ერთი ცენტიც არ შეხვდა.



## ნასა

**ნასამ 125 მილიონი დოლარი და რამდენიმე წელი დახარჯა იმ მკვლევარი ზონდის შექმნაზე, რომელსაც მარსის კლიმატი უნდა შეესწავლა და მონაცემები ატმოსფეროს შეცვლის და ნებისმიერი აღმოჩენის შესახებ დედამიწაზე გადმოეგზავნა.** ზონდთან კონტაქტი მისიის დაწყებამდე გაწყდა. აღმოჩნდა, რომ ნასას ყველა პროექტზე მომუშავე ჯგუფი მეტრიკულ სისტემას იყენებდა გამოთვლებისთვის, ერთი ჯგუფი ყველა გამოთვლას დუიმებში, ფუტებსა და იარდებში აწარმოებდა. სწორედ ეს გახდა შეცდომის მიზეზი — საბოლოოდ ზონდი მარსის ატმოსფეროში ძალიან დაბლა დაეშვა და მისი განადგურება გამოიწვია.




## ჯეკპოტი

**ბრიტანელმა წყვილმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა 2010 წელს, როდესაც ცოლმა ლატარეაში ჯეკპოტი მოიგო.** მოგებულმა თანხამ 181 მილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა. ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი თანხა იყო ლატარიის არსებობის ისტორიაში. საუბედუროდ, ქმარმა არ იცოდა, რომ ცოლმა ლატარეაში მოიგო და ბილეთი გადააგდო. მიუხედავად იმისა, რომ წყვილმა ჯეკპოტი ვერ მიიღო, თანხა ქველმოქმედებაზე დაიხარჯა.

# ორი წლის ვუნდერკინდი

**ოსკარ რიგლი ერთი შეხედვით ჩვეულებრივი სკოლამდელი ასაკის ბავშვია. მასაც, როგორც მის თანატოლებს, უყვარს თამაში და გართობა. მაგრამ, თუ თამაშსა და წიგნის კითხვას შორის უნდა გააკეთოს არჩევანი, მეორეს აირჩევს.**




საქმე ის არის, რომ ოსკარს 2 წლის ასაკში მიანიჭეს მსოფლიოში ყველაზე ჭკვიანი ბავშვის ტიტული. მისი ინტელექტის კოეფიციენტი მაშინ 160-ს აჭარბებდა, თვით აინშტაინს უტოლდებოდა ინტელექტის დონით. ამავე ასაკში მიიღეს მაღალი ინტელექტის მქონე ადამიანებისთვის განკუთვნილ ორგანიზაციაში – მენსის ოქსფორდულ კლუბში.

როგორც ოსკარის მშობლები ამბობენ, 9 თვის ვუნდერკინდმა არა მხოლოდ სიტყვების წამოსროლა დაიწყო, არამედ სიტყვათშეთანხმებეhბისაც. 2 წლისა უკვე ჩვეულებრივ ლაპარაკობდა დიდებთან სერიოზულ რამეებზე, რაც ჩვენს სამყაროში ხდება.

მშობლები აღტაცებულები არიან თავიანთი შვილით და მის ციტატებსაც კი იწერენ.

ბავშვის მამა პროგრამისტია. ჯო რიგლი იხსენებს: „ცოტა ხნის წინათ ოსკარი ცდილობდა ჩემს ცოლთან პინგვინების რეპროდუქციულ ციკლზე საუბარს. მას სრულიად არაბავშვური თემები აინტერესებს და შეკითხვებით გვავსებს. ყველა მშობელს სურს, სჯეროდეს, რომ მისი შვილი განსაკუთრებულია, თუმცა ჩვენ ზუსტად ვიცით: ოსკარი განუმეორებელი პიროვნებაა. მოუთმენლად ველოდები იმ დროს, როცა მოვა ჩემთან და მეტყვის, რომ მე იდიოტი ვარ, გეფიცებით, არ მეწყინება...“



# სხვადასხვა ფერის ტყუპი და

**ლუსი და მარია ეილმერი ტყუპი დები არიან, თუმცა ერთი შეხედვით ამას ვერ იტყვი. ლუსის თეთრი კანი და სწორი ჟღალი თმა აქვს, მის დას კი — მუქი კანი და ხვეული შავი თმა. გოგონები ბრიტანულ ქალაქ გლოსტერში დაიბადნენ.**

**მათი მამა ვინსი თეთრკანიანია, დედა დონა – ნახევრადიამაიკელი. „არავის სჯერა, რომ ტყუპი ვართ, — ამბობს ლუსი, — ერთნაირადაც რომ ჩავიცვათ, მაინც არ ვგავართ დებს, მით უმეტეს, ტყუპს“.**

ორრასიანი ტყუპის დაბადების ალბათობა 500-ში ერთია, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ დები აოცებენ საზოგადოებას.

დები ახლა 18 წლისანი არიან. როგორც მათი დედა იხსენებს, პირველად რომ აჩვენეს ტყუპი, შოკში იყო.

დები სხვადასხვა კოლეჯში სწავლობენ, ლუსი ხელოვნებასა და დიზაინს სწავლობს, მარია – სამართალსა და ფსიქოლოგიას.

# 21 წლის გოგონა წელიწადში 36-ჯერ კვდება




**21 წლის სარა ბრაუტიგამისთვის გულის გაჩერება ჩვეულებრივი პროცედურაა — იშვიათი დაავადების გამო იგი წელიწადში 36-ჯერ განიცდის კლინიკურ სიკვდილს.**

ოთხი წლის წინათ სარას პოსტურალური ორთოსტატიული ტაქიკარდიის სინდრომი დაუდგინეს, რომლის გამოც დროდადრო გულისცემა უხშირდება, წნევა უვარდება, გული ფეთქვას წყვეტს და კლინიკური სიკვდილი დგება. ექიმები მის გონებაზე მოყვანას ტკივილის მიყენებით ახერხებენ, ამიტომ გოგონა ხშირად ჩალურჯებებით იღვიძებს.

მისი თქმით, კლინიკური სიკვდილის დროს გვირაბის ბოლოს სინათლეს ვერ ხედავს — გარშემო ყველაფერი ბნელდება და გარკვეული დროით გარშემო მყოფი ადამიანების ხმა ესმის, მაგრამ განძრევა ან ხმის გაცემა არ შეუძლია.

# კიდევ ერთი ლეგენდა კაცი გამოაკლდა ქვეყანას

**საქართველოს საზოგადოებამ და ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ორგანიზაციებმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. ჩვენს რიგებს გამოაკლდა მხედრული ტრადიციების ოჯახში აღზრდილი, უკეთილშობილესი ადამიანი, საზოგადო მოღვაწე და ღირსეული მამულიშვილი, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა თბილისის საქალაქო კავშირის თავმჯდომარე, სახელოვანი ბერმუხა, ვახტანგ გორგასლის სამივე ხარისხის ორდენების, ღირსების, წითელი დროშის, ალექსანდრე ნეველის, სამამულო ომის პირველი ხარისხის, სამი წითელი ვარსკვლავის ორდენებისა და მრავალი სხვა საბრძოლო მედლის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე, გადამდგარი პოლკოვნიკი მოსე ჯიმშეთის ძე მდინარაძე.**



ბატონი მოსე მდინარაძე ფაშიზმთან ომის დაწყების პირველივე დღიდან უყოყმანოდ ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. მან სწრაფად აითვისა სამხედრო თეორიისა და ტაქტიკის მეთოდები, რაზეც, არმიის სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით, იგი სრულიად ახალგაზრდა, 26 წლის ასაკში, დაინიშნა ერთ-ერთი მოწინავე პოლკის მეთაურად, ეს იმ პერიოდში იშვიათი შემთხვევა იყო.

1944 წლის ივნისში მისმა პოლკმა გაარღვია გერმანელ ფაშისტთა თავდაცვის ხაზი და პირველი გავიდა სახელმწიფო საზღვარზე, მაგრამ იგი ამ ბრძოლაში დაიჭრა და 9 თვე ჰოსპიტალში იწვა, საიდანაც ჯერ კიდევ მოუშუშებელი ჭრილობებით დაუბრუნდა თავის დივიზიას, რომელიც მონღოლეთის ტერიტორიაზე ბაიკალისპირეთის ფრონტზე იმყოფებოდა. მოსე მდინარაძის მეთაურობით პოლკმა აქტიური მონაწილეობა მიიღო იაპონიის კვანტუნის არმიის დამარცხებაში.

ომის დამთავრების შემდეგ ბატონი მოსე განაგრძობდა სამსახურს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დისლოცირებული საბჭოთა შეიარაღებული ძალების შენაერთების შემადგენლობაში, საიდანაც გადმოყვანილ იქნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში. ის სხვადასხვა დროს წარმატებით ასრულებდა სამხედრო კომისრის მოვალეობას ქუთაისში, ჭიათურაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და თბილისის 26 კომისრის რაიონში.

სამხედრო სამსახურიდან გადადგომის შემდეგ, მოსე მდინარაძე წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის სამინისტროს ერთ-ერთ სამმართველოს, აქტიურად მუშაობდა დედაქალაქის სხვადასხვა ორგანიზაციაში.

1995 წლიდან იგი აქტიურად ჩაება ომის ვეტერანთა საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობაში. არჩეული იყო ქ. თბილისის ვეტერანთა ვაკის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ, ქ. თბილისის ვეტერანთა საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, ხოლო 2004 წლიდან იგი ხელმძღვანელობს ომის ვეტერანთა საქალაქო კავშირის გამგეობას, სადაც მთელ თავის ცოდნას, გამოცდილებასა და ენერგიას ვეტერანთა სოციალური დაცვის, მათი კეთილდღეობის ამაღლების, ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მამულიშვილურ საქმეს ემსახურებოდა.

ბატონი მოსე გულისხმიერი და დიდი ტაქტის მქონე ადამიანი იყო. მისი სიდინჯე, აუჩქარებლობა და მაღალი რანგის დიპლომატებისთვის დამახასიათებელი მოზომილი სიტყვა-პასუხი კიდევ უფრო ზრდიდა მისადმი პატივისცემას.

ქ. თბილისის საპატიო მოქალაქის, ბატონი მოსე მდინარაძის დაღუპვამ დიდი მწუხარება და დანაკლისი მოუტანა მის ოჯახს, ქვეყანაში მცხოვრებ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს, ფართო საზოგადოებას; მისი ხსოვნა მარად დარჩება მათ გულებში.

**ირაკლი შიხიაშვილი, მიხეილ ხომერიკი, რევაზ ნაცარიშვილი, ტიტე ლეფსაია, უშანგი შერმაზანაშვილი, გურამ გვეტაძე, ვახტანგ ჯაფარიძე, გიორგი ხაზარაძე, დავით იაკობაშვილი, ტარასი იჩქიტიძე, შოთა ბუაძე, სერგო მირზოიანი, მანანა არევაძე, რეზო თოიძე, შოთა ვაშაკიძე, თეიმურაზ სიმონიშვილი, გოჩა ბაქრაძე, როზა ოსეფაიშვილი, გაიოზ ხუციშვილი, მითრიდატე ჭანტურია, იაგო გოგსაძე, აპოლონ ჩიჩხაშვილი**



## «რადიო თავისუფლების» ჟურნალისტი უკრაინელი ნაციონალისტების მხეცობებზე ვიდეოს გადაღებისთვის დაითხოვეს

**„რადიო თავისუფლების“ სამხედრო კორესპონდენტი ანდრეი ბაბიცკი უკრაინელი ნაციონალისტების მიერ ჩადენილი მხეცობების შესახებ ვიდეოს გადაღებისთვის დაითხოვეს. ამის თაობაზე ბაბიცკიმ პრაღის გაზეთ Lidove noviny-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.**

„შარშან, 2 სექტემბერს ვიდეოზე გადავიღე ექსჰუმაცია ოთხი ცხედრისა — ორი სამოქალაქო პირისა და ორი ამბოხებულის. ადგილობრივების თქმით, ისინი სახალხო ლაშქრის წარმომადგენლები კი არა, სოფელ ნოვოსვეტლოვსკის მცხოვრებნი იყვნენ და უკრაინელმა მოხალისეებმა მოკლეს ბატალიონ „აიდარიდან“. ვიდეოსთვის არანაირი კომენტარი არ დამირთავს, უბრალოდ, გადავიღე და მასალა „რადიო თავისუფლების“ მოლდოვის რედაქციაში გავგზავნე. როდესაც ეს მასალა ვებგვერდზე ატვირთეს, ნაციონალისტებს, რომლებიც „რადიო თავისუფლების“ უკრაინულ რედაქციაში სხედან, ისტერიკა დაემართათ. ატყდა საშინელი სკანდალი“, — განაცხადა ჟურნალისტმა.

აღსანიშნავია, რომ ანდრეი ბაბიცკი 25 წლის განმავლობაში მუშაობდა „რადიო თავისუფლების“ კორესპონდენტად.

**გიორგი მოსეშვილი და გიორგი კორძაძე დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი**

**რამაზ ნაცვლიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

# ფესვებიდან წამოსული ღაღადი

**აი, რას გვიყვება ნუგზარ თაბუნიძის შესახებ ერთ-ერთი კლინიკის მთავარი ექიმი თ.ნ.:**

— ბატონ ნუგზარს თამამად ვუწოდებ „ოქროს ხელს“, რომელიც შველის უამრავ გაჭირვებულ, დაავადებულ ადამიანს. იგი სულითა და გულით მდიდარ ცოდნას აქსოვს ავადმყოფთა მკურნალობას. უმოკლეს დროში აღწევს იმ შედეგებს, რომლის შედარება არ შეიძლება იმ მეთოდებთან , რომლებიც აქამდე გამოიყენება სამედიცინო პრაქტიკაში, როგორც მედიკამენტოზური, ისე ფიზიო, ბალნეო, მექანოთერაპია, სამკურნალო ფიზკულტურა და სხვ. მე პირადად სისტემატურად ვიტარებდი მკურნალობას ყველა ამ მეთოდით, მაგრამ შედეგს ვერ მივაღწიე. ნუგზარ თაბუნიძესთან მკურნალობის მხოლოდ ერთი კურსის ჩატარების შემდეგ, მომეხსნა ტკივილები წელისა და ფეხის არეში, სადაც მქონდა გონართროზი, მუხლის სახსარს თავისუფლად ვამოძრავებ. დიდ მადლობას ვუხდი ბატონ ნუგზარს ამისთვის. დავრწმუნდი და ჩემი თვალით ვნახე, როგორ ამარცხებს პროტრუზიას, დისკოპათიას, პროლაფსს, ნერვის ანთებას, ხონდროზებს და სხვ.

**პაციენტი ზაურ სიგუა:**

— ნუგზარ თაბუნიძე მკურნალობის იმ ჯადოსნურ მეთოდს ფლობს , რომელსაც ფლობდნენ მოსინიკები, მესხები, თუბარელები, შემდგომში კოლხები.

მკურნალობის მე-7 დღეს წელისა და ფეხის ტკივილმა გამიარა. რაც მე ვიგრძენი, არ არის ფანატიზმი, დუალიზმი, სულის მატერიალიზაცია. არ დარჩენილა ძველი თუ ახალი მთავრობის, პარლამენტის, სასულიერო ფენის ხელმძღვანელი თუ რიგითი პირი, რომ თაბუნიძესთან არ ემკურნალოს.



მკურნალობენ: მოხუცები, ახალგაზრდები, ქალები, ბავშვები, მამაკაცები; მწერლები, კომპოზიტორები, სპორტსმენები - მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონები. მკურნალობენ ისეთი ადამიანები, რომელთაც მოიარეს მოწინავე განვითარებული ქვეყნები და ვერ განიკურნენ. ნუგზარ თაბუნიძისგან კი მიდიან მადლიერნი, უფლის ნებითა და მადლით განკურნებულნი.

ბატონ ნუგზარს მიწვევა აქვს საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყნიდან, მაგრამ არ მიდის, რადგან მიაჩნია, რომ მისი აქ ყოფნა განგებამ ისურვა. გამდიდრებისა და განდიდებისთვის არ გავჩენილვარ, აქ უნდა ვემსახურო ჩემს ხალხსო. ახლახან მიწვევა მიიღო ბათუმის ერთ–ერთი კლინიკიდან.

ნუგზარ თაბუნიძე, როგორც ოჯახის უფროსი ვაჟი, მარტო ფლობს მკურნალობის საიდუმლოებას. ამბობს, რომ იცის და მალე იტყვის იმ საიდუმლო ადგილსამყოფელს, სადაც თამარ მეფეა დაკრძალული.

თაბუნიძეებში ცოცხლად დაცული ტრადიცია, მათი მესხური ვინაობისა მიგვითითებს, რომ სამკურნალო ცოდნა ძველი მესხური ხალხური ცოდნაა და სრულიად შესაძლებელია უფრო ძველი ფორმა ამავე გვარისა მაშინ ჩამოყალიბდა თაბუნიძეებად, როდესაც საქართველოში სიტყვა „აქიმი“ და „თაბუნი“ დამკვიდრდა პრაქტიკაში. მედეას ქვეყანა და მესხური მედიცინა, ბუნებრივია, არ დაელოდებოდა არაბებს, მკურნალობისა და ავადმყოფობის აღსანიშნავად საკუთარი სიტყვა და საკუთარი ლექსიკური ასახვა შეემუშავებინა.

ბუნებრივია, უძველეს კოლხურ მედიცინასთან ერთად, უფრო უძველეს მესხური მედიცინის რეალობასთან გვაქვს საქმე. მესხური მედიცინა, რომელიც შესაძლებელია, გავაცნობიეროთ, როგორც უძველესი ქართული ცივილიზაციის ორგანული ნაწილი.

მესხური მედიცინა, ქართველ წინაპართა და მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიისათვისაც იმ მოდგმის მედიცინა და ცივილიზაციაა, რომლებიც ბიბლიაში მოიხსენიება ,,მესხებად“. თავისი ტრანსკრიფციული სახესხვაობით ჯერ კიდევ მოკლებულია სინათლეს, მესხურ-კოლხურ ერთიანი ცივილიზაციის გაგებას.

თაბუნიძეები ბაგრატიონთა ექიმები იყვნენ — ომებშიც ერთ მუშტად შეკრულნი გვერდში ედგნენ მეფის ამალას.

**დღეს ნუგზარ თაბუნიძე , მათი ტრადიციის გამგრძელებელი, უკვე 50 წელზე მეტია, თბილისში, წყნეთის ქუჩაზე კორპუს 3-ში ცხოვრობს.**

**მობ: 599-22-11-66**


## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**
**მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**



## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**



ესტუმრეთ ჩვენს საიტს

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894